

დისკურსის გენდერული დინამიკა ახალგაზრდების მეტყველებაში
(გერმანული და ქართული ენობრივი მასალის მიხედვით)

მირანდა გობიანი

*სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ფილოლოგიის დოქტორის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და ხელოვნების
ინტერდისციპლინური სადოქტორო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ფილოლ.მეცნ.დოქტ., პროფესორი დალი ბახტაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2013

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული/ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მირანდა გობიანი

2013

აბსტრაქტი

დისკურსის გენდერული დინამიკა ახალგაზრდების მეტყველებაში (გერმანული და ქართული ენობრივი მასალის მიხედვით)

კვლევის მიზანს წარმოადგენს მოზარდების დისკურსის გენდერული და სოციოლინგვისტიკური ასპექტების დადგენა და ინტერპრეტაცია.

სადოქტორო ნაშრომის მიზანია: განვიხილოთ ახალგაზრდობა, როგორც ბიოლოგიური და სოციალური ასაკობრივი ფაზა, როგორც სუბკულტურა; გაანალიზდეს ახალგაზრდების სოციალიზაცია და ენობრივი იდენტიფიკაციის პროცესი; დადგინდეს ამ პროცესზე ზემოქმედი სოციალური აგენტები; განვიხილოთ ახალგაზრდების დისკურსი, როგორც ენობრივი, კულტურული და სოციალური ფენომენი; შესწავლილ იქნეს გერმანელი და ქართველი ახალგაზრდების ცხოვრების სტილი და მოხერხდეს მათი შედარებით–შეპირისპირებითი ანალიზი; განხილულ იქნეს ახალგაზრდების დისკურსი დინამიკისა და მოდალობის თვალსაზრისით; მოხერხდეს ემპირიულ მასალაზე დაყრდნობით გერმანელი და ქართველი ახალგაზრდების დისკურსის სინთეზური ხედვა; ნაჩვენები და დადასტურებულ იქნეს ახალგაზრდული ენობრივი საშუალებების არსებობის ფაქტი არა მხოლოდ ცალკეული მაგალითებით, არამედ დისკურსის მსვლელობის პროცესში.

კვლევისთვის გამოვიყენეთ შემდეგი მეთოდები: შეპირისპირებითი ანალიზის მეთოდი, ემპირიული კვლევის მეთოდი, დისკურსის ანალიზური და ეთნოგრაფიული მეთოდი.

ნაშრომის კორპუსს შეადგენს, ერთი მხრივ, გერმანელი ავტორების ემპირიული მასალა, მეორე მხრივ, 2008-2012 წლებში ჩვენ მიერ გაკეთებული ქალაქ ქუთაისში მცხოვრები ახალგაზრდების დისკურსის აუდიო-ვიდეო ჩანაწერების ტრანსკრიპციები.

ნაშრომი შედგება შესავლისაგან, სამი თავისა და დასკვნისაგან. ნაშრომს თან ერთვის ტრანსკრიპციული ნიმუშებისა და ლიტერატურის სია.

შესავალში განსაზღვრულია ის მიზნები და ამოცანები, რამაც განაპირობა საკვლევო თემის შერჩევა, მისი აქტუალობა, თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა, კვლევის მეთოდოლოგია და მეთოდთა სისტემა.

ნაშრომის პირველი თავი წარმოადგენს დისკურსის ენობრივ-კულტურული ასპექტების ზოგად მიმოხილვას. განხილულია გენდერისა და ახალგაზრდების მეტყველების ლინგვისტიკური კვლევის სპეციფიკა, მისი გენეზისი და თანამედროვე პრობლემატიკა, ენის გენდერული კვლევის თეორიული, ფსიქოლოგიური და ტექსტობრივ-ლინგვისტიკური საფუძვლები. მეორე თავი ეძღვნება ახალგაზრდების დისკურსის გენდერული პარამეტრების დადგენას. წარმოდგენილია სქესი და ასაკი, როგორც პიროვნების სოციოლინგვისტიკური ასპექტები და განხილულია გენდერლექტი, როგორც სოციალური სქესის ასპექტი. მესამე თავი წამოადგენს ნაშრომის ემპირიულ ნაწილს, შეპირისპირებულია ქართველი და გერმანელი ახალგაზრდების ცხოვრების სტილი, მათი სასაუბრო თემები, ენობრივი საშუალებები, ენობრივი სტილი, დისკურსის დინამიკა და მოდალობა. თემის დასკვნით ნაწილში მოცემულია კვლევის შედეგები.

ძირითადი საძიებო სიტყვები: სოციოლინგვისტიკა, გენდერი, ახალგაზრდების მეტყველება, დისკურსი.

Abstrakt

Gender Dynamics of Discourse in Youth Speech (According to German and Georgian Linguistic Material)

The research object of the Doctoral thesis is the sociolinguistic analysis of the discourse of girls and boys.

The aim of the doctoral thesis is: to discuss the youth as a biological and social age-phase and a subculture; girls and boys should be perceived as intercultural phenomena and the communication among them as an intercultural relation; to discuss youth discourse as a linguistic, cultural and social phenomenon; to establish the parameters of gender discourse of young people; to discuss theoretical, psychological and textual-linguistic bases of youth discourse; to analyse gender and age as the aspects of personality; to study the life style of German and Georgian youth and make their comparative analysis; to determine and empirically confirm linguistic means of discourse, conversation topics for young people of both nationalities; to discuss youth discourse in terms of dynamics and modality; to determine synthetic vision of discourse of German and Georgian young people and its generalization, to establish similarities and differences according to the empirical material, to show and prove the fact of existence of linguistic tools used by young people not only by isolated examples but in discourse process, i.e. to conduct comparative analysis of content aspects of communication and social contexts.

During studies following research methods were used: interdisciplinary method, method of comparative analysis, empirical research method and analytic and ethnographic discourse methods.

Core of the paper consists, on the one hand, of empirical material of German authors (e.g. Androutsopoulos 1998, Schlobinski 1993, Neuland 2003/2006/2008, Branner 2003, Schmidt 2004, Koffhoff 2003/2008, Michaleck, 2006/2008, Spreckels 2006 etc) and on the other hand, of transcriptions of the audio-video materials of young people living in Kutaisi recorded in 2008-2012.

The structure of the doctoral thesis describes the complex character of the research subject. The paper consists of the introduction, three chapters and the conclusion. The paper has the appendix of transcription signs and the references. In the introduction the aims and objectives are established that conditions the choice of the research topic, its relevance,

theoretical and practical importance, research methodology and system of methods. The first chapter analysis linguistic and cultural aspects of discourse, discusses the following aspects: The Genesis of the Research of Gender and Youth Discourse and Modern Problematics, Theoretical Bases of Gender Study of Verbal and Non-verbal Language, Psychological Aspects of Gender Study of Discourse and Textual-linguistic Bases of Gender Studies of Discourse. Second chapter gives the definition of Gender Discourse, analysis the Parameters of Youth Discourse and Genderlect and presents Sex and Age as the Aspects of Personality. Third chapter is Comparative Description of Georgian and German Socio-Linguistic material. In conclusion are presented the research results.

Key Words: Sociolinguistics, gender, youth language, discourse.

მადლობა

უღრმესი მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს ხელმძღვანელს, ქალბატონ დალი ბახტაძეს, გაწეული დახმარებისათვის, კრიტიკული შენიშვნებისათვის, საინტერესო და მნიშვნელოვანი რჩევებისათვის და ნებისყოფისთვის, წლების განმავლობაში ემუშავა ჩემთან ერთად სადისერტაციო ნაშრომზე.

დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ფრაიბურგის ალბერტ ლუდვიგის უნივერსიტეტის პროფესორს, ქალბატონ ჰელგა კოტჰოფს და ფრაიბურგის საუბრის კვლევის გაერთიანების ხელმძღვანელს, ქალბატონ დამარ ბარტ-ვანგარტენს მხარდაჭერისათვის. მათი დახმარებით მოვიპოვე და გამოვიყენე უახლესი სამეცნიერო ლიტერატურა და საშუალება მომეცა სხვადასხვა სემინარებისა თუ სპეცკურსების გავლით ამემალეებინა კვალიფიკაცია საუბრის კვლევის სფეროში.

მადლობა გერმანიის გაცვლით სამსახურს, DAAD-ს ფინანსური მხარდაჭერისათვის, მემუშავა სადისერტაციო პროექტზე გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში.

მადლობა პატივცემულ რეცენზენტებს მნიშვნელოვანი შენიშვნებისა და სურვილებისათვის.

მადლობა ჩემს კოლეგებს, ჩემს პედაგოგებს, მეგობრებს, რომელთა მხარდაჭერას ყოვეთვის ვგრძნობდი.

დიდი მადლობა იმ ახალგაზრდებს, რომლებიც წლების განმავლობაში საშუალებას მაძლევდნენ უპრობლემოდ ჩამეწერა მათი საუბრები და თავი მათი ჯგუფის წევრად მეგრძნო.

და ბოლოს, უღრმესი მადლობა ჩემს ოჯახს მუდმივი თანადგომისათვის.

სარჩევი

განაცხადი	I
აბსტრაქტი	II
მადლობა	VII
სარჩევი	VIII
ცხრილების ჩამონათვალი	X
გრაფიკების ჩამონათვალი	XI
1. შესავალი	1
1.1. საკითხის შესწავლის წინაპირობა და მიზანი.....	1
1.2. ახალგაზრდების ენის დეფინიციისათვის.....	3
1.3. კვლევის აქტუალობა	6
1.4. კვლევის მეთოდოლოგია და მეთოდთა სისტემა.....	6
1.5. მონაცემთა ბაზა.....	10
1.6. კვლევის პროცესი და სტრუქტურა.....	11
1.7. კვლევის თეორიულ-პრაქტიკული ღირებულება და სიახლე.....	12
2. დისკურსის გენდერული დინამიკის ენობრივ-კულტურული ასპექტები.	16
2.1. გენდერის და ახალგაზრდების დისკურსის კვლევის გენეზისი და თანამედროვე პრობლემატიკა.....	16
2.2. დისკურსი როგორც ენობრივი, კულტურული და სოციალური ფენომენი	26
2.2.1. დისკურსის განსაზღვრისათვის.....	26
2.2.2. ახალგაზრდების დისკურსი როგორც სოციო-კულტურული ფენომენი	32
2.2.3. მამაკაცური და ქალური რიტორიკა როგორც საუბრის მანერა დისკურსში.....	33
2.3. ვერბალური და არავერბალური ენის გენდერული კვლევის თეორიული საფუძვლები	37
2.4. დისკურსის გენდერული კვლევის ფსიქოლოგიური საფუძვლები.	47
2.5. დისკურსის გენდერული კვლევის ტექსტობრივ-ლინგვისტიკური საფუძვლები.	55
3. გენდერული დისკურსის სოციოლინგვისტიკური ასპექტები	66
3.1. ახალგაზრდების დისკურსის გენდერული ანალიზის პარამეტრები	66
3.1.1. სოციალიზაციის პროცესი	67
3.1.2. სოციალური აგენტები.....	69

3.1.3. ინტერაქციის სტრუქტურა	80
3.2. სქესი და ასაკი როგორც პიროვნულობის ასპექტები.....	92
3.3. გენდერლექტი როგორც ენობრივი ვარიანტულობა	100
3.3.1. ქალისა და მამაკაცის ენის სოციოლინგვისტიკური ანალიზი	108
3.3.2. გენდერლექტის მახასიათებლები	134
4. გოგონებისა და ბიჭების ჯგუფური კომუნიკაციის თავისებურებანი (გერმანული და ქართული სოციოლინგვისტიკური მასალის შეპირისპირებითი დახასიათება)	135
4.1. ახალგაზრდების ცხოვრების სტილი როგორც მათი ენობრივი სტილის და სასაუბრო თემების განმსაზღვრელი ფაქტორი, ეთნოლინგვისტიკური სხვაობის ფონზე.....	135
4.2. გოგონებისა და ბიჭების დისკურსის ენობრივი საშუალებები.....	182
4.2.1. სოციალური კატეგორიები.....	184
4.2.2. ქარაგმები და საიდუმლო ენა.....	194
4.2.3. დისკურსული ნაწილაკები და კლიშეები	195
4.2.4. ჟარგონი	198
4.2.5. ელიფსები და რუტინები	210
4.2.6. ციტირების მარკერები	214
4.2.7. ენობრივი საშუალებების შეჯამება	215
4.3. გოგონებისა და ბიჭების დისკურსის დინამიკა – კოოპერაციული და კომპეტითური საუბრის სტილი	219
4.3.1. დირექტივების ტიპები ახალგაზრდების მეტყველებაში	219
4.3.2. საუბრის მხარდამჭერი მინიმალური რეაქციები	221
4.3.3. საუბარში ჩარევისა და გაწყვეტინების ფაქტორები	221
4.3.4. გენდერული დინამიკის მახასიათებლები საუბრის პროცესში.	221
4.3.5. ახალგაზრდების დისკურსის დინამიკის შეჯამება	234
4.4. ახალგაზრდების ინტერაქციის მოდალობა	235

4.4.1. არასერიოზული, სახუმარო მოდალობა	235
4.4.2. გახელება, გამოჯავრება	244
4.4.3. ქილიკი/დაცინვა/მასხრად აგდება/გაცურება	245
4.4.4. რიტუალური ლანძღვა	253
4.4.5. „დისენ“	255
4.4.6. საუბრის სერიოზული მოდალობა	259
4.4.7. ახალგაზრდების გენდერული დისკურსის მოდალობათა შეჯამება	264
5. დასკვნა	266
ლიტერატურა	275
დანართი 1. ტრანსკრიპციული ჩამონათვალი	316
შემოკლებათა ჩამონათვალი	317

ცხრილების ჩამონათვალი

ცხრილი 1. ქალისა და მამაკაცის ტვინის ნახევარსფეროების ფუნქციური განსხვავება	38
ცხრილი 2. პროფესიული არჩევანი.....	99
ცხრილი 3. პრესტიჟული ენობრივი ფორმების გამოყენების პროცენტული მაჩვენებელი.....	109
ცხრილი 4. დიალექტის გამოყენება	112
ცხრილი 5. საუბრის გაწყვეტინება	118
ცხრილი 6. ქალისა და მამაკაცის იუმორის მახასიათებლები.....	125
ცხრილი 7. დირექტივების ტიპები	130
ცხრილი 8. გენდერლექტის მახასიათებლები	133
ცხრილი 9. გერმანელი გოგონებისა და ბიჭების აქტივობა თავისუფალ დროს....	137
ცხრილი 10. ქართველი გოგონებისა და ბიჭების აქტივობა თავისუფალ დროს....	138
ცხრილი 11. გერმანელი ახალგაზრდების სოციალური კატეგორიები.....	191
ცხრილი 12. ქართველი ახალგაზრდების სოციალური კატეგორიები.....	193
ცხრილი 13. კოლოკაციები.....	204
ცხრილი 14. ფუნქციური ზმნები machen/kriegen.....	205

ცხრილი 15. ჟარგონული სიტყვები.....	206
ცხრილი 16. გოგონებისა და ბიჭების მეტყველების განსხვავება სინტაქსის, ლექსიკის და პრაგმატიკის დონეზე.....	216
ცხრილი 17. „დისენ“	257

გრაფიკების ჩამონათვალი

გრაფიკი 1. ქალთა და მამაკაცთა სოციალური პრესტიჟი.....	49
გრაფიკი 2. ქალის სოციალური როლი	50
გრაფიკი 3. ქალისა და მამაკაცის ტიპური თვისებები.....	52
გრაფიკი 4. ქალურობისა და მამაკაცურობის სტერეოტიპები.....	53
გრაფიკი 5. წარმატებული არჩევანის მოდელი.....	97
გრაფიკი 6. ენობრივი ვარიანტულობა.....	103
გრაფიკი 7. სოციოლექტი.....	104
გრაფიკი 8. სექსლექტი.....	107
გრაფიკი 9. გოგონების სასაუბრო თემები.....	181
გრაფიკი 10. ბიჭების სასაუბრო თემები.....	182
გრაფიკი 11. ახალგაზრდების გენდერული დისკურსის მოდალობა.....	265

1. შესავალი

1.1. საკითხის შესწავლის წინაპირობა და მიზანი

სადოქტორო ნაშრომის კვლევის ობიექტია გოგონებისა და ბიჭების დისკურსის სოციოლინგვისტიკური ანალიზი. კერძოდ, მოზარდების (12-18წ.) დისკურსის გენდერული ანალიზი, მათი ვერბალური და არავერბალური ენის სოციოლინგვისტიკური ასპექტების დადგენა და ინტერპრეტაცია. ამ სუბკულტურას ახასიათებს თავისი საუბრის სტილი, საკომუნიკაციო სტრატეგიები და საზოგადოებასთან იდენტურობის ჩამოყალიბების სპეციფიკური პროცესი. შეპირისპირების დონეზე უნდა გავანალიზოთ ქართველი და გერმანელი ახალგაზრდების ენის სოციალური დიფერენციაციის საკითხები.

ლინგვისტიკაში ახალგაზრდების მეტყველება ვარიანტულობის სხვაობაა (Varietät), თავისებური სუბკულტურული ენობრივი სტილი (Neuland.2008,6). აქ გარეენობრივი ფაქტორები, ასაკი და სქესი, ზემოქმედებას ახდენს ენაზე და ქმნის ენობრივ ნაირსახეობას. საკომუნიკაციო სიტუაციაში შესაძლებელია ერთმანეთს შეერწყას რეგიონალური და სოციალური, საზოგადოებრივად სპეციფიკური, სიტუაციური, სტილისტური თუ სხვადასხვა ენობრივი ფორმები.

სქესი გავლენას ახდენს სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაზე, ისინი სოციალური როლის თვისებებია (Veith 2002, 155).

გოგონებისა და ბიჭების დისკურსის სოციოლინგვისტიკურ ასპექტებში იგულისხმება მოსაუბრის მიერ ენის ცოდნა, გამოყენება და აღქმის საკითხი. ეს ენობრივი ქმედებაა, ენის ფუნქციებია, სხვადასხვა სოციალურ სიტუაციაში.

გარეენობრივი პარამეტრების ურთიერთკვეთა განსხვავებულად აისახება გოგონებისა და ბიჭების ენაში, მაგალითად, დაბალი საზოგადოებრივი ფენიდან გამოსული სტუდენტი ვაჟი განსხვავებულად მეტყველებს, ვიდრე იმავე ფენიდან გამოსული გოგონა. ენობრივი საშუალებების სხვაობით ბიჭის სოციალური მდგომარეობის დადგენა უფრო ადვილია, ვიდრე გოგონასი,

რადგან გოგონა იყენებს მეტ ენობრივ ვარიანტს. მოსაუბრეთა ენობრივი შემოქმედების შედარების დროს მნიშვნელობა ენიჭება კულტურულ კანონზომიერებებს.

კვლევის მიზანია: 1) განვიხილოთ ახალგაზრდობა, როგორც ბიოლოგიური და სოციალური ასაკობრივი ფაზა, როგორც სუბკულტურა; 2) განვიხილოთ გოგონა და ბიჭი, როგორც ინტერკულტურული ფენომენები, ხოლო მათ შორის კომუნიკაცია, როგორც კულტურათაშორისი ურთიერთობა; 3) ვაჩვენოთ, რომ ახალგაზრდების მეტყველების ნაირსახეობა არ არის „თავისუფალი ვარიანტი“, ის სისტემურად აგებულ სოციალურ სხვაობებს შეესაბამება; 4) გავანალიზოთ ახალგაზრდების სოციალიზაცია და ენობრივი იდენტიფიკაციის პროცესი; 5) დადგინდეს ამ პროცესზე ზემოქმედი სოციალური აგენტები; 6) განვიხილოთ ახალგაზრდების დისკურსი, როგორც ენობრივი, კულტურული და სოციალური ფენომენი; 7) დავადგინოთ ახალგაზრდების გენდერული დისკურსის პარამეტრები; 8) განვიხილოთ ახალგაზრდების დისკურსის თეორიული, ფსიქოლოგიური და ტექსტობრივ-ლინგვისტიკური საფუძვლები; 9) სქესი და ასაკი გავანალიზოთ, როგორც პიროვნულობის ასპექტები; 10) შევისწავლოთ გერმანელი და ქართველი ახალგაზრდების ცხოვრების სტილი და მოხერხდეს მათი შედარებითი ანალიზი; 11) დადგინდეს და ემპირიულად დადასტურდეს ორივე ეროვნების ახალგაზრდების დისკურსის ენობრივი საშუალებები, სასაუბრო თემები; 12) განვიხილოთ ახალგაზრდების დისკურსი დინამიკისა და მოდალობის თვალსაზრისით; 13) მოხერხდეს, ემპირიულ მასალაზე დაყრდნობით, გერმანელი და ქართველი ახალგაზრდების დისკურსის სინთეზური ხედვა და განზოგადება, განსხვავებებისა და მსგავსებების დადგენა; 14) ვაჩვენოთ და დავადასტუროთ ახალგაზრდული ენობრივი საშუალებების არსებობის ფაქტი არა მხოლოდ ცალკეული მაგალითებით, არამედ დისკურსის მსვლელობის პროცესში, ანუ კომუნიკაციის შინაარსობრივი ასპექტებისა და სოციალური კონტექსტების შეპირისპირებითი ანალიზით.

1.2. ახალგაზრდების ენის დეფინიციისათვის

ახალგაზრდების ენის დეფინიციისათვის ენათმეცნიერებაში გამოყოფილია შემდეგი ჰეტეროგენული პარამეტრები:

- ბიოლოგიური სქესი
- სოციალური სქესი
- ბიოლოგიური ასაკობრივი ფაზა (პუბერტეტის/ტრანსფორმაციის ფაზა)
- სოციალური ასაკობრივი ფაზა
- ახალგაზრდობა, როგორც სოციალური ასაკობრივი ჯგუფი, 10-25 წლამდე (პირჯგუფი)
- ახალგაზრდობა, როგორც სუბკულტურა
- ახალგაზრდების ჯგუფი, როგორც პრობლემური ჯგუფი (Dittmar, 1997,230)

ახალგაზრდების მეტყველებას ენათმეცნიერთა უმეტესობა განიხილავს როგორც სპეციფიკურ ფენომენს, დამოკიდებულს სიტუაციურ კონტექსტზე (Schlobinski, 1989,6). თუ ახალგაზრდულ ასაკს ინდივიდის განვითარებაში სპეციფიკურ გარდამავალ ფაზად ჩავთვლით, ახალგაზრდების მეტყველება ქმნის დიალექტისა და სოციოლექტის ვარიანტულობას. ასაკი და სოციალური როლი ქმნის ერთ კატეგორიას. ენობრივი დისკურსის კვლევა სასურველია წარმართოს დიატოპურად (დიალექტურად), დიასტრატულად (სოციოლექტურად) და დიაფაზურად (სიტუოლექტურად).

სოციოლინგვისტურად ახალგაზრდობა წარმოადგენს ენობრივი სოციალიზაციის იმ ფაზას, როცა ხდება საზოგადოების სტრუქტურებში თავის დამკვიდრების პროცესი. ამ ფაზის ფუნქციაა კულტურული კაპიტალის ინდივიდუალური შეთვისება (Ruso,2008,112). შესაბამისად, სოციოლინგვისტიკურ კვლევებში წინა პლანზე გამოდის სოციალური როლის, სოციალური სქესისა და ასაკის ურთიერთდამოკიდებულება ენასთან.

სოციოლინგვისტიკაში შემუშავებულია ახალგაზრდებში არსებული ასაკობრივი დიფერენციაცია, 10/14 წ. – მოზარდობის ადრეული ასაკი, 15/19წ. – მოზარდობის შუა პერიოდი, 20/24 წ. – მოზარდობის გვიანი პერიოდი

(Neuland 2008,43), ეს საშუალებას იძლევა აიხსნას სოციალიზაციის პროცესში ასაკისათვის შესაბამისი ენობრივი ცვლა და განვითარება.

ახალგაზრდების სოციალიზაციისა და ენობრივი იდენტიფიკაციის საფეხურები დამოკიდებულია სოციალურ ინსტიტუციებზე, ანუ სოციალურ აგენტებზე, ესენია:

- ოჯახი, ბავშვის პირველი სოციალური აგენტი, თავისი ენობრივი და სოციალური მონაცემებით.
- სკოლა, სოციალიზაციის მეორე საფეხური, თავისი ენობრივი თუ ქცევის ნორმებით, კულტურული ღირებულებებითა და ინტელექტუალური უნარ-ჩვევებით, რაც ხელს უწყობს მათ მომზადებას შემდგომი როლებისთვის.
- მასმედია, სოციალიზაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი აგენტი (ტელევიზია, რადიო, ფილმები, კომპიუტერული პროგრამები, ჟურნალ-გაზეთები, წიგნები)
- თანატოლთა და თანაბართა ჯგუფი ე.წ. პირჯგუფი (Peergroup), რომლის საფუძველს ჯგუფის იდენტობა და კოჰეზია წარმოადგენს. ახალგაზრდებისათვის ეს ყველაზე მნიშვნელოვანი სოციალური აგენტია.

საზოგადოებასთან იდენტიფიკაცია სწორედ სოციალიზაციის ამ საფეხურებით ხდება. შესაბამის პროცესში ახალგაზრდები მრავალი კონფლიქტის წინაშე აღმოჩნდებიან. ამ კონფლიქტების მიზეზია ოჯახის, სკოლის თუ სხვა სოციალური აგენტების ინტერესთა სხვაობა. მაგალითად, ოჯახი, ისევე როგორც სკოლა, ახალგაზრდისაგან მოითხოვს გარკვეულ წესრიგს სწავლის პროცესში ახალგაზრდის თავისუფლებისა და ინტერესების უგულებელყოფის ხარჯზე. პირჯგუფში ახალგაზრდა თავისუფალია მშობლისა და სკოლის ზეწოლისაგან, შეუძლია ითამაშოს და თავისუფალი დრო მხიარულად გაატაროს თანატოლებში, გამოხატოს პროტესტი მასწავლებლებისა და მშობლების მიმართ (Vaith 2002,64).

ზრდასრულისა და მოზარდის ურთიერთდამოკიდებულება ყოველთვის ასიმეტრიულია. მშობლის ან პედაგოგის სოციალური სტატუსი განაპირობებს მოზარდის დაქვემდებარებულ მდგომარეობას (Kalhun 2007,47).

პირჯგუფში გააქტიურებულია ერთიანობის „ჩვენ“ გრძნობა, რასაც ისინი განსაკუთრებული ენობრივი საშუალებებით გამოხატავენ. ახალგაზრდები ცდილობენ თავიანთი ჯგუფისთვის მისაღები სემანტიკური და გრამატიკული საშუალებებით შექმნან განსაკუთრებული ენა, ე.წ. „Sondersprache“, რითაც სხვა ჯგუფებისაგან განსხვავდებიან. სწორედ ეს არის ახალგაზრდების ენა, ნორმირებული ენის ის ვარიანტული ფორმა, რომელიც სოციოლინგვისტიკური კვლევის საგანია. ჰენეს მიხედვით (Henne 1986, 118), მასში შედის:

- განსაკუთრებული სიტყვები და გამოთქმები, რომლებიც ძირითადად ინსტიტუციებსა და ჯგუფებზეა ორიენტირებული
- განსაკუთრებული სტილისტური ხერხები
- საიდუმლო ენა, როგორც კონტრასტული ენა
- სიტყვათა თამაში
- სიტყვათა შემოკლებები
- ფრაზეოლოგიზმები, მათ ახალგაზრდები სხვადასხვა მიზნით იყენებენ: თავდაცვა, მოგერიება, ვინმეს გაბრაზება ან მუქარა, სხვათა მიღება, შეთვისება, გრძნობების გამოხატვა: სიხარული, განცვიფრება, ხუმრობა
- ენობრივი ხატოვანი სურათხატები.
- თავისებური მისაღმებისა და მიმართვის ფორმები
- სხარტი გამოთქმები და სტერეოტიპული ფორმულები ან გამოთქმათა ნაწყვეტები
- რეპლიკები
- ხმაბამვითი სიტყვები, ონომატოპოეტიკა
- ინოვაციები, ახალი სიტყვები, ახალი მნიშვნელობები
- განსაკუთრებული საკომუნიკაციო რიტუალები, მაგ., ლანძღვისა და ქილიკის გამომხატველი
- ახალგაზრდების სუბკულტურული ლექსიკა ეფუძნება გარკვეულ „სცენებს“ მათთვის ჩვეული ურთიერთობის სფეროებიდან.

- ანგლიციზმების ან სხვა ნასესხობების დიდი რაოდენობით გამოყენება.

1.3. კვლევის აქტუალობა

ახალგაზრდების დისკურსის გენდერული კვლევის აქტუალობას განსაზღვრავს ის ფაქტი, რომ გენდერისა და ასაკის სოციალური სტრუქტურა უშუალო კავშირშია ენის სტრუქტურასთან. სოციალური სქესის, სოციალური სტატუსის, კულტურისა და ენის ურთიერთშერწყმა, გოგონებისა და ბიჭების საურთიერთო ქცევების, როლის, სიტუაციური და თემატური ტიპების დადგენა, უდავოდ, საინტერესო მასალას იძლევა ენის ფუნქციონირების თვალსაზრისით, რადგან „თანამედროვე ლინგვისტიკისათვის აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს არა მხოლოდ საკუთრივ ენისა და მისი შინაგანი პროცესების შესწავლა, არამედ ის, თუ როგორ გამოიყენება კონკრეტული ენა ამ ენაზე მეტყველთა მიერ, ანუ როგორ ფუნქციონირებს იგი“ (ლადარია 2002, 5–6).

1.4. კვლევის მეთოდოლოგია და მეთოდთა სისტემა

დასმული პრობლემის სრულყოფილი კვლევისათვის საჭიროა ენათმეცნიერების მრავალი მომიჯნავე დისციპლინის გათვალისწინება. კვლევა შერეული ტიპისაა (თვისობრივი და რაოდენობრივი). ნაშრომში გამოყენებულია კვლევის შემდეგი მეთოდები: დისკურსის ანალიზური და ეთნოგრაფიული მეთოდი, შეპირისპირებითი ანალიზის მეთოდი, ემპირიული მეთოდი.

პრობლემის კვლევისათვის აუცილებელია ბუნებრივ სიტუაციაში ინტერაქციის პროცესი. საკომუნიკაციო სიტუაციის, საუბრის აქტის დეტალური აღწერის და მისი ბუნებრივი, სოციოლინგვისტიკური ანალიზისათვის საჭიროდ ჩავთვალეთ დისკურსის ანალიზური და ეთნოგრაფიული მეთოდების გაერთიანება.

დისკურსის ანალიზური და ეთნოგრაფიული მეთოდის პრობლემატიკა და კვლევის პრინციპებია:

1. დიალოგში ინტერაქციული პრაქტიკა: რა ფუნქცია დაეკისრა ამა თუ იმ ენობრივ ფორმას წინადადებაში
2. ინტერაქციის მიზანი და მისი ფორმები, მაგ., შეფასება, შეჯიბრი
3. კომუნიკაციური ჟანრები/მოვლენები. მაგ., ინტერაქცია თავისუფალ დროს: თემები, ქცევები, საუბრის თანამიმდევრობა, ენობრივი ინვენტარი, სიტუაციები
4. სოციალური გარემოს საკომუნიკაციო პორტრეტი: კომუნიკაციის შესაძლებლობა, კომუნიკაციის მონაწილეები, კომუნიკაციის იდეოლოგია, ურთიერთობის ფორმები, კონკრეტული სტილის უპირატესობა

საუბრის ცალკეულ მონაკვეთთა დეტალური ანალიზისათვის გამოიყოფა:

1. ლინგვისტური / მულტიმოდალური ფენომენი:
 - ფონოლოგია და პროსოდია (ფონეტიკა, ტემპი, პაუზა, ტონალობები, ხმის ხარისხი)
 - სინტაქსი (სიტყვათა თანამიმდევრობა: წინადადებების ფუნქციონალური პერსპექტივა, კავშირები წინადადებაში)
 - კატეგორიები და ლექსიკური არჩევანი (რეფერენტულობის ფორმა, სოციალური კატეგორიები – თავისი თავი/სხვა), პრედიკაციები – როგორ აყალიბებენ ბიჭები და გოგონები გამონათქვამების/წინადადებების სემანტიკას, სპეციალური ფორმულირებები, ფრაზეოლოგიზმები, ტროპები (მეტაფორა, მეტონიმია, ირონია)
 - ფორმულირებების მსვლელობა და კოჰერენტულობა: მოვლენათა სუქცეზიური (ნაბიჯ–ნაბიჯ, უწყვეტად მიმდინარე) განვითარება, ურთიერთკავშირის დადგენა კოჰეზიისა (ანაფორა, კატაფორა) და კონექციის (კავშირი) საშუალებით
2. ინტერაქციის აგებულების დონეები
 - საუბრის ორგანიზება (ვინ საუბრობს ვისთან? რაზე? კონტაქტი, ადრესატი, მონაწილეთა სტრუქტურა (საუბარში მონაწილეობის მიღების უფლება/ვალდებულება, მოსაუბრეთა ცვლა)
 - ქცევა

- თემა, მოვლენა
3. ღონისძიებათა კომპლექსი, სხვისი ან საკუთარი იდეის/კონცეპტის/ არგუმენტაციის უკეთესად მოძებნისა და მსმენელის ცნობიერებაში მისი აღბეჭდვის მიზნით.
 4. საუბრის დეტალური ანალიზი
 - 4.1. პარაფრაზირებისა და ქცევის აღწერა
 - საუბრის თემატიკა
 - ვინ საუბრობს, რაზე? ვისზე?
 - რას ეფუძნება ცალკეული ენობრივი გამონათქვამი? რას ემსახურება იგი?
 - რა რჩება გაურკვეველი, მრავალმნიშვნელოვანი? რა საფუძვლები, ფუნქციები აქვს მას?
 - 4.2. ფორმულირების დინამიკის საკითხი
 - საუბრის ბმულობის საკითხი
 - რა და რა ნაწილებად შეიძლება დაიყოს იგი?
 - რა პრინციპით უკავშირდებიან ერთმანეთს?
 - სად გვხვდება განმეორება, აზრის ფორმულირების პრობლემა, ტექსტის კორექციის მცდელობა და სხვა?
 - 4.3. აქტივობის საკითხი
 - კომუნიკანტთა საუბრის უფლებათა დიფერენციაცია
 - პარალელური საუბარი. როდის იწყება და მთავრდება იგი?
 - დუმილი
 - 4.4. კონტექსტის ანალიზი
 - კოჰეზიური რელაციები გამონათქვამში
 - კონტექსტუალურობის ნიშნები. რელევანტური კონტექსტი
 - ფოკუსური გამონათქვამების წინარე და მომდევნო პროცესები
 - კონტექსტების ფუნქციური ცვლილებები
 - 4.5. პროექციის საკითხი

- კონკრეტული გამონათქვამის საწყისის პრობლემა (მისი კონდიციონალური რელევანტურობა და პრეფერენცია)
- მოსაუბრის ენობრივი და არაენობრივი ანაფორიკა დისკურსში

4.6. მოსაუბრის გამონათქვამის ინტენციაზე მსმენელის რეაგირების საკითხი

4.7. საუბრის მოდულთა დინამიკა

- აქტივობების კომპლექსის დასაწყისი და დასასრული
- პოზიციების რეალიზება, რეალიზების პრევენციული ღონისძიებანი
- მოსაუბრეთა უფლებები და მოვალეობები
- აქტივობების კომპლექსის ინიციატორი
- ცალმხრივი თუ კოოპერაციული აქტივობები
- მოცემული ნიმუშის მდგრადობა ან ფლექსიურობა

შეპირისპირებითი ანალიზის მეთოდში ვიყენებთ ქართული და გერმანული ენების შეპირისპირებით მეთოდს.

ჩვენ მიერ შეირჩა ემპირიული მასალის მოპოვების შემდეგი ემპირიული მეთოდები: ნოტაციის ტექნიკა, მონაცემთა ბაზის შექმნის და მონაცემთა შენახვის ტექნიკა (აუდიო– და ვიდეომანტიტოფონის საშუალებით). ემპირიული კვლევებით დასტურდება, რომ დისკურსის ფენომენზე დეტალური, მიკროანალიზური ფოკუსი საუკეთესო გზაა, რათა მოვიცვათ გლობალური სოციალური იდენტობები, როგორცაა, მაგალითად, ჯგუფის და სქესის იდენტობა.

1.5. მონაცემთა ბაზა

მონაცემთა ბაზის შექმნის დროს დაცულია ბუნებრივობისა და ანონიმურობის პრინციპი. აუდიო– და ვიდეოჩანაწერებიდან სადოქტორო ნაშრომში გამოყენებული დიალოგების არჩევა ეფუძნება კვლევის ინტერესებს. მონაცემთა ტრანსკრიპტების სახით შენახვა საჭიროა დეტალების ზუსტი დაფიქსირებისა და ზეპირი მეტყველების სპეციფიკის შესანარჩუნებლად.

მონაცემთა შექმნის დროს ჩვენი მიზანია: ავთენტიკური საუბრების ჩაწერა, საუბრის თანამიმდევრობის რეკონსტრუქცია, მისი სოციალური ანალიზი.

ტრანსკრიპტების ანალიზის დროს გამოვიყენეთ:

- ფონეტიკური ტრანსკრიპცია სტანდარტული სატრანსკრიპციო ნიშნებით (IPA)
- ტრანსკრიპტების საყოველთაო სტრუქტურა: ენობრივი და არაენობრივი ქცევების ჩვენება ახალგაზრდების საუბრების აუდიო–ვიდეოჩანაწერებში 5 წლის განმავლობაში (2008–2012)
- ტრანსკრიპტების იკონური ჩვენება
- ტრანსკრიპტების მონაკვეთებად დაყოფა და მისი ანალიზი

ჩანაწერთა ტრანსკრიბირების დროს გამოვიყენეთ GAT–ის ტრანსკრიბირების სხვადასხვა დონეები. სადოქტორო ნაშრომში თვადაპირველად ვიყენებთ მინიმალურ ტრანსკრიპციას, ვაჩვენებთ შემდეგ ფენომენებს: სიტყვის გაწყვეტინება, პარალელური საუბარი, პაუზა, სიცილი, არავერბალური ქცევები, რთულად გასაგები ან გაუგებარი სემანტები. საუბრის ანალიზის შემდგომ ეტაპზე ვიყენებთ საუბრის საბაზისო ტრანსკრიპციას. აქ ემატება პროსოდიული ნიშნები: ინტონაცია, ფოკუსირებული აქცენტი, ტონალობების ცვლა, ახალი ინტონაციური ფრაზის უწყვეტი ბმა, ინტერპრეტაცია კომენტარის სახით¹.

¹ სადისერტაციო ნაშრომში შეგნებულად ავარიდეთ თავი ტრანსკრიპტის უფრო დაწვრილებითი ნიუანსების ჩვენებას, იგი ართულებდა ჩანაწერთა წაკითხვას

1.6. კვლევის პროცესი და სტრუქტურა

კვლევის პროცედურა მომდინარეობდა შემდეგნაირად:

- საკითხის დასმა
- საკვლევი სფეროს განსაზღვრა: კონტაქტი საკვლევ ჯგუფთან, კვლევის პროცესში მონაწილეთა თანხმობა
- მონაცემთა ჩაწერა (აუდიო-ვიდეოჩაწერა)
- მონაცემთა შენახვა: დიგიტალიზაცია, დოკუმენტირება, ინვენტარიზაცია, ტრანსკრიბირება
- მონაცემთა ანალიზი: საუბრის ცალკეული მონაკვეთების ანალიზი
- თეორიის შექმნა-ჩამოყალიბება
- კვლევის შედეგების ჩვენება გრაფიკების, ცხრილებისა და დასკვნების სახით.

ვიყენებთ ინდუქციური კვლევის პრინციპს, მიზანია:

- ემპირიულ მასალაზე დაყრდნობით ფენომენთა აღმოჩენა (რა? როგორ? რისთვის?)
- ლიტერატურის მიმოხილვა
- თეორიების ემპირიული მასალით გამყარება

რა? როგორ? რისთვის?

- კომპონენტები
- მსვლელობა
- მონაწილეთა როლი
- კატეგორიების გამოყოფა
- საუბრის თემის დამუშავება: აღწერა, მოყოლა, არგუმენტირება, თემის მართვა, თემის განვითარება
- პოზიციონირება: როგორ წარმოაჩინენ თავს მოსაუბრენი, როგორია მათი ურთიერთობა, კატეგორიებზე დაფუძნებული ქცევა/თვისებები, კონტექსტზე დამოკიდებული ლექსიკური ტერმინების გამოყენება, სიტუაციური შესაბამისობა, ქცევის ეფექტურობა, პროექციები და მისი

შედეგები (რეაქციები, მოლოდინი); ქცევისა და თემის შესაბამისობა, იდენტურობის დონეები

1.7. კვლევის თეორიულ–პრაქტიკული ღირებულება და სიახლე

ნაშრომის კომპლექსური ხასიათი აუცილებელს ხდის კვლევის ინტერდისციპლინარულობას, რაც განსაზღვრავს თემის თეორიულ ღირებულებას. ნაშრომი წარმოადგენს სოციოლინგვისტიკის მომიჯნავე მეცნიერებებისა და ენათმეცნიერული დარგების ერთ ფოკუსში თავმოყრისა და გააზრების ცდას, ესენია: ანთროპოლოგია, სოციოლოგია, ფსიქოლოგია, ეთნოლოგია, დიალექტოლოგია, პედაგოგიკა, კულტუროლოგია, ბიოლოგია, ნევროლოგია. ახალგაზრდების დისკურსის გენდერული ანალიზისათვის საკმარისი არაა მხოლოდ ტექსტის ანალიზი, ცალკეული დისკურსის შინაარსობრივი აღწერა, აქ აუცილებელია სემანტიკური წინაპირობების, ენობრივი ნიშნების შესაძლებლობების, საკომუნიკაციო სიტუაციების, მოსაუბრეთა რეაქციების, საუბრის მსვლელობის ჩვენება. შესაბამისად, დისკურსის დეტალური ანალიზისათვის გვესაჭიროება შემდეგი დისციპლინების გათვალისწინება: ტექსტის ლინგვისტიკა, ტექსტის სემანტიკა, ლინგვისტური პრაგმატიკა, საუბრის ლინგვისტიკა, რიტორიკა, პრაგმატული სტილისტიკა, ლექსიკოლოგია, პროტოტიპებისა და სტერეოტიპების სემიოტიკა, არგუმენტაციის თეორია, საუბრის აქტის თეორია, სიმბოლოების კვლევა, კინესიკური სემიოტიკა, პარალინგვისტიკა. აღნიშნული მეცნიერული დარგების ინტერდისციპლინარულმა შეჯამებამ უნდა მოგვცეს საკვლევი საკითხის განზოგადებული ხედვა, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ გოგონებისა და ბიჭების დისკურსის კვლევა ახალი მიმართულებაა ლინგვისტიკაში, შესაბამისად, ბევრი რამ მასში დაუზუსტებელია, რაც ართულებს საკითხის განზოგადებას.

სადოქტორო ნაშრომის მასალა და კვლევის შედეგები, პრაქტიკული თვალსაზრისით, შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს განათლების სისტემაში. გენდერული ლინგვისტიკა სოციოლინგვისტიკის ახალი მიმართულებაა, მაგრამ

კოლეჯებსა და უნივერსიტეტებში „მოდერნა სოციალური სქესის შესახებ“ (Genderstudie) იკითხება, როგორც არჩევითი საგანი ამერიკის შეერთებულ შტატებში 1970 წლიდან, ხოლო გერმანიაში 1980 წლიდან, უკვე 90-იანი წლებიდან გერმანიის 84 უნივერსიტეტში (მაგალითად: ჰუმბოლდტის უნივერსიტეტში ბერლინში, ბერლინის ტექნიკურ უნივერსიტეტში, გოეთეს უნივერსიტეტში მაინის ფრანკფურტში, გეორგ-აგუსტუს უნივერსიტეტში გოტინგენში და სხვა). განათლებისა და პედაგოგიურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე როგორც პირველადი საგანი, შემოტანილია „მოდერნა სოციალური სქესის შესახებ“. საგანი მნიშვნელოვანია, რადგან მასში მოხდა სხვადასხვა პედაგოგიური საბაზისო დისციპლინების ინტეგრაცია: ისტორიული პედაგოგიკა, ემპირიული პედაგოგიკა, სასკოლო პედაგოგიკა, სოციალური პედაგოგიკა, პროფესიული პედაგოგიკა (Wieland, 2003,12). საქართველოში გენდერული კვლევისადმი მზარდი ინტერესი, ვფიქრობთ, ხელს შეუწყობს ამგვარი თეორიული და პრაქტიკული საუნივერსიტეტო კურსების დანერგვის შესაძლებლობას.

გენდერული ვერბალური ენის სოციოლინგვისტიკური ასპექტების კვლევა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს აგრეთვე პოლიტიკასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. საზოგადოების სოციალურ სტრუქტურაში ქალები და მამაკაცები ქმნიან სპეციფიკურ ჯგუფებს. ტერმინები: დიალექტი, ენის ვარიანტულობა, აგრეთვე ენის სტილი, შეუძლებელია განისაზღვროს მხოლოდ შიდაენობრივი ფაქტორების გათვალისწინებით. მხედველობაშია მისაღები სოციალური და კულტურული გარემოს განსხვავება. გოგონა/ქალი, ერთი მხრივ, და ბიჭი/მამაკაცი, მეორე მხრივ, ერთმანეთის ანტიპოდია არა მხოლოდ ბიოლოგიური, არამედ, სოციალური და ფსიქოლოგიური თვალსაზრისით. ისინი სხვადასხვა სუბკულტურის წარმომადგენლები არიან. აქედან გამომდინარე, ნათელი ხდება გენდერლექტის კვლევის აქტუალობა, სადაც ენისა და საზოგადოების ურთიერთმიმართების კვლევა ხდება ენის შინაგანი სტრუქტურის, სქესისა და ასაკის, როგორც სოციოლინგვისტიკური გარეენობრივი ფაქტორის ურთიერთობის არეალში.

ნაშრომის თეორიული მასალა აღებულია ძირითადად გერმანულ, აგრეთვე ინგლისულ, ქართულ, რუს ავტორთა სამეცნიერო ნაშრომებიდან. ნაშრომის კორპუსს შეადგენს, ერთი მხრივ, გერმანელი ავტორების (მაგ: Androutsopoulos 1998, Schlobinski 1993, Neuland 2003/2006/2008, Branner 2003, Schmidt 2004, Kotthoff 2003/2008, Michaleck, 2006/2008, Spreckels 2006 და სხვა) ემპირიული მასალა, მეორე მხრივ, 2008-2012 წლებში ჩვენ მიერ გაკეთებული ქალაქ ქუთაისში მცხოვრები ახალგაზრდების (12-18 წლის) დისკურსის აუდიო-ვიდეო ჩანაწერების ტრანსკრიპციები (ჩანაწერები – 100 საათზე მეტი). ჩანაწერთა ტრანსკრიპცია შესრულებულია GAT-ის მიხედვით (Gesprächsanalytische Transkription) (Selting 1998, 91).²

სადოქტორო ნაშრომის სიახლეს განსაზღვრავს:

- თვით საკვლევი თემის პრობლემის სიახლე, რადგან ქართული ენათმეცნიერება მწირ მასალას იძლევა სოციოლინგვისტიკის ახალი მიმართულებების – გენდერლინგვისტიკის – შესასწავლად, არ არის გამოკვლეული ქართველი ახალგაზრდების მეტყველება;
- ნაშრომში გამოყენებული მეცნიერული ლიტერატურის სიახლე; ჩვენ მიერ ჩატარებული ემპირიული კვლევები – რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, პირველად გაკეთდა ახალგაზრდების სამეტყველო ქცევების აუდიო-ვიდეოჩანაწერები, ტრანსკრიპციები, მათი სოციოლინგვისტური ანალიზი;
- პირველად გაკეთდა გერმანელი და ქართველი ახალგაზრდების დისკურსის შედარებითი ანალიზი ენობრივი საშუალებების, დისკურსის დინამიკისა და მოდალობის თვალსაზრისით.

სადოქტორო ნაშრომის სტრუქტურა: შესავალი, 3 თავი, დასკვნა, ლიტერატურის სია, დანართი.

შესავალში განსაზღვრულია ის მიზნები და ამოცანები, რამაც განაპირობა საკვლევი თემის შერჩევა, მისი აქტუალობა, თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა, კვლევის მეთოდოლოგია და მეთოდთა სისიტემა. ნაშრომის პირველი თავი წარმოადგენს დისკურსის ენობრივ-

² საუბრის ანალიზის ტრანსკრიპციული სისტემის ცხრილი იხილეთ დანართის სახით.

კულტურული ასპექტების ზოგად მიმოხილვას. განხილულია გენდერისა და ახალგაზრდების ენის ლინგვისტიკური კვლევის სპეციფიკა, მისი გენეზისი და თანამედროვე პრობლემატიკა, ენის გენდერული კვლევის თეორიული, ფსიქოლოგიური და ტექსტობრივ-ლინგვისტიკური საფუძვლები. მეორე თავი ეძღვნება ახალგაზრდების დისკურსის გენდერული პარამეტრების დადგენას. წარმოდგენილია სქესი და ასაკი, როგორც პიროვნების სოციოლინგვისტიკური ასპექტები და განხილულია გენდერლექტი და გერონტოლექტი, როგორც სოციალური ასაკისა და სოციალური სქესის ასპექტები. მესამე თავი წამოადგენს ნაშრომის ემპირიულ ნაწილს, შეპირისპირებულია ქართველი და გერმანელი ახალგაზრდების ცხოვრების სტილი, მათი სასაუბრო თემები, ენობრივი საშუალებები, ენობრივი სტილი, დისკურსის დინამიკა და მოდალობა. თემის დასკვნით ნაწილში მოცემულია კვლევის შედეგები.

2. დისკურსის გენდერული განზომილების ენობრივ-კულტურული ასპექტები.

2.1. გენდერული დისკურსის და ახალგაზრდების დისკურსის მეცნიერული კვლევის გენეზისი და თანამედროვე პრობლემატიკა

გენდერული დისკურსი განსხვავებული ენობრივი სტილი და საუბრის მანერაა ბიოლოგიური და სოციალური სქესის მიხედვით. გენდერული დისკურსის მეცნიერული კვლევა მე-20 საუკუნის 70-იან წლებში დაიწყო. სქესის საკითხზე სოციოლინგვისტიკური მეცნიერული ლიტერატურის არსებობა უფრო ადრეც დასტურდება, კერძოდ, მე-16 – მე-17 საუკუნეებში. მკვლევართა ამ პერიოდის ცნობებში გვხვდება ნაკლებად ყურადსაღები მინიშნებები ქალთა ენობრივი თავისებურებების შესახებ, მაგრამ, ესეც ცხადყოფს, რომ ქალთა ვერბალური ენა ისტორიულად დიდი ინტერესის საგანს წარმოადგენდა.

პირველადი წყაროები ძირითადად უკავშირდება არაევროპული კულტურის აღმოჩენისა და კოლონიზაციის პერიოდს. განსხვავება ქალთა და მამაკაცთა ენობრივ ქცევებს შორის განსაკუთრებით შესამჩნევი იყო აფრიკულ, აზიურ, ჩრდილო და სამხრეთ ამერიკულ ენებში. მაგალითად, ჩრდილოეთ კალიფორნიაში საუბრობენ სამხრეთამერიკულ ენაზე – „იანიზე“. აქ სიტყვებს ორი ფორმა აქვთ: “მამრობითი” და “მდედრობითი”. ამ ფორმების გამოყენება არაენობრივი ფაქტორებითაა განპირობებული, კერძოდ, მოსაუბრის ან მოსაუბრე პირების ბიოლოგიური სქესით. მამრობითი ენობრივი ფორმები გამოიყენება მამაკაცების მიერ მხოლოდ მაშინ, როცა ერთმანეთში საუბრობენ, ხოლო მდედრობითი ენობრივი ფორმები – ყველა სხვა კონტექსტში. როგორც ვხედავთ, მდედრობით ენობრივ ფორმებს აქვთ მაღალი გამოყენების სიხშირე, ხოლო მამრობით ფორმებს – მაღალი პრესტიჟი. მათი გამოყენება მამაკაცების პრივილეგიაა, რათა ქალებისათვის მათი საუბარი ტაბუდადებული იყოს.

მამრობითი ფორმები ჩრდილოამერიკელთა ენაში უფრო გრძელია, ვიდრე მდედრობითი. ისინი შეიცავენ, მაგალითად, სრულ ხმოვანს. მდედრობითი ეს ხმოვანი რედუცირებულია, მაგალითად, მამაკაცი ამბობს: moi, ქალი – mo (ჰამა). სხვა შემთხვევაში მამრობით ფორმებს დამატებითი მარცვლი აქვთ, მაგალითად, მამაკაცი ამბობს - ina, ქალი – i (ხე) (Sapir, 1968, 206).

ჩრდილოამერიკელ ინდიელთა ენაში „კომატიში“ ქალები და მამაკაცები იყენებენ ზმნის სხვადასხვა ფორმას (Haas, 1994,145).

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ზოგიერთი მკვლევარი (მაგ.Sapir,1968 Haas,1994) მამრობით ენობრივ ფორმებს, მათი გამოყენების დაბალი ხარისხის მიუხედავად, ფუნდამენტურ ფორმებს უწოდებს, ხოლო მდედრობითს – რედუცირებულს. არსებობს განსხვავებული ჰიპოთეზაც – მდედრობითი ფორმები საბაზისოა, ხოლო მამრობითი ნაწარმოებია მდედრობითი ფორმებისაგან სუფიქსების საშუალებით. ენის ისტორიული ასპექტები ადასტურებენ მდედრობითი ენობრივი ფორმების უძველეს წარმოშობას (Herlinger, 1990,14).

სქესით განპირობებული აღნიშნული ენობრივი განსხვავებები მიუთითებენ ასიმეტრიულ საზოგადოებრივ პროპორციებზე. სოციალური იერარქია, რომელშიც მამაკაცს უფრო მაღალი რანგი აქვს, ვიდრე ქალს, განსაზღვრავს ენობრივი ცვლის მიმართულეობას (Höfels, 2002, 1).

მე-20 საუკუნის დასაწყისში მეცნიერები ევროპულ ენებში ბიოლოგიური სქესისა და კომუნიკაციის ურთიერთმიმართების საკითხით დაინტერესდნენ. 1921 წელს ქვეყნდება ფსიქოლოგ ფ. მაუტნერის (Mautner, 1921) სტატია – “Beiträge zu einer Kritik der Sprache”, აქ ავტორი განიხილავს ქალთა და მამაკაცთა განსხვავებული ვერბალური ქცევების საკითხს. ამ კუთხით უფრო საფუძვლიან კვლევას გვთავაზობს დანიელი ლინგვისტი – ოტო იესპერსენი (Jespersen, 1925). თავის წიგნში “Language” მან ქალთა ენას უძღვნა სპეციალური თავი “The Women”. ზემოხსენებული სათაურით ცალკე თავის გამოყოფას ლინგვისტი ს. ჰარკი იმ ტენდენციის ხაზგასმად მიიჩნევს, რომელიც საზოგადოებაში მყარადაა დამკვიდრებული: „ყველაფერი მამრობითი ნორმაა, მდედრობითი – ნორმიდან გადახვევა“ (Hark, 2001,13).

ევროპულ ენებში ფონეტიკურ და მორფოლოგიურ დონეზე განსხვავებები ქალთა და მამაკაცთა ვერბალურ ენებს შორის თითქმის არ შეიმჩნევა. სხვაობები გვხვდება, ძირითადად, ლექსიკის დონეზე, იგი, უმეტესწილად, გამოწვეულია, ერთი მხრივ, ტაბუს კონცეპტით – ქალებისათვის ტაბუდადებული გარკვეული ენობრივი ფორმების გამოყენებით (მაგალითად, სექსიზმების გამოყენება), მეორე მხრივ – სოციალურ რანგთა წყობით: კაცებს აქვთ მაღალი სოციალური პრესტიჟი და, შესაბამისად, ენობრივი პრივილეგია (Jespersen,1925,237).

70-იანი წლების გამოკვლევები გამოირჩევა სხვადასხვა სქესის წარმომადგენელთა ენობრივი ქცევებისადმი მზარდი ინტერესით. სოციოლინგვისტიკაში გაჩნდა ახალი მიმართულება გენდერული ლინგვისტიკის სახელწოდებით.

გენდერლექტის შესწავლისადმი მზარდ ინტერესს საფუძვლად დაედო „ქალთა კოოპერაციულობისა“ (female cooperativeness) და „მამაკაცთა მეტოქეობის“ (male competitiveness) შეპირისპირების თეორია. სოციოლინგვისტები ამტკიცებენ, რომ ენების (მაგ., გერმანული, ინგლისური) უმეტესობა შინაარსობრივი თვალსაზრისით თავიდანვე განსაზღვრულია საზოგადოებაში მამაკაცთა უპირატესობის წარმოჩენისათვის (Spender,1985,68). ამ განცხადებამ გამოიწვია სერიოზული დისკუსია – შეესაბამება თუ არა დასახელებული ჰიპოთეზა რეალობას. გააქტიურდა სქესით განსაზღვრული ენობრივი ქცევების მეცნიერული კვლევა (Veith,2002,157).

გენდერული ლინგვისტიკის ფუძემდებლად უ. ლაბოვი ითვლება, ხოლო მისი ნაშრომი სოციოფონოლოგიაში მდებრობითი და მამრობითი ვერბალური ენის მეცნიერული კვლევის დასაწყისად. ის ერთ-ერთი პირველთაგანია, ვინც ყურადღება გაამახვილა სქესისა და გენდერის, როგორც სოციალური ცვლადის მნიშვნელობაზე. მან ემპირიული კვლევებით დაადასტურა სისტემური დამოკიდებულება სხვადასხვა ლინგვისტურ ვარიაციასა და არაენობრივ ფაქტორს შორის (Labov, 1972,113). ლაბოვის ანალიზის შედეგად ენობრივი ცვლადები განაწილდა სქესის, გენდერის, ასაკის, სოციოეკონომიკური

მდგომარეობის, სტატუსისა და სიტუაციური კონტექსტის მიხედვით. ყურადღება გამახვილდა ადამიანის სამეტყველო ქცევის ორ მახასიათებელზე:

ა) ყველა სოციალური კლასის და ასაკის ქალები უფრო სტანდარტულ ენობრივ ვარიანტებს იყენებენ, ვიდრე მათი ეკვივალენტური მამაკაცები.

ბ) საშუალო ფენის წარმომადგენელთა მეტყველებას აქვს “ჰიპერკორექტულობისაკენ” მიდრეკილება. მამაკაცებისაგან განსხვავებით, ქალთა “უფრო კორექტული” საუბრის მიზეზად სოციოლინგვისტიკური და პრესტიჟული ენობრივი ნორმების მიმართ მათი მეტი მგრძნობელობა სახელდება (Labov, 1976,302).

გენდერული ლინგვისტიკის განვითარების შემდგომი ეტაპი თარიღდება 1980-85 წლებით. ამ პერიოდში გამოჩნდა დიდი რაოდენობის სამეცნიერო ლიტერატურა შემდეგი ასპექტების მიხედვით: სოციოლინგვისტიკა, ფსიქოლინგვისტიკა, ადამიანური მიმიკებისა და ჟესტების ლინგვისტიკა და სხვა. ისინი, ასე თუ ისე, ეხებიან გენდერული ლინგვისტიკის საკითხებს. მეცნიერები უკვე ფართოდ იყენებენ სოციოლინგვისტიკური კვლევის ახალ მიმართულებებს: დისკურსის ანალიზს, მეტყველების ეთნოგრაფიას და კონტექსტს (Milroy, 1983.51). უპირატესობა ენიჭება სოციალური სქესის და კომუნიკაციის ურთიერთდამოკიდებულების საკითხს, რადგან პიროვნების გენდერული იდენტიფიკაცია ენის სისტემაში სამეტყველო და საკომუნიკაციო ქცევების თავისებურებებში აისახება (Двинианова, 2000.32). მნიშვნელოვანი ხდება სქესთა დეკონსტრუქციისა და სოციალური კონსტრუქციის საკითხიც (Cemmermöhle, 2000.24). სქესთა განსხვავებულ საკომუნიკაციო თავისებურებებს, უკვე ეჭვგარეშე, საფუძვლად უდევს არა მხოლოდ ბიოლოგიური, არამედ სოციალური განსხვავება, ხოლო სხვაობები საზოგადოებაში ყალიბდება სოციალური ინსტიტუციების, საზოგადოებრივი ნორმებისა და ფასეულობების ზეგავლენით (Schmidt, 1998,17).

გენდერული ლინგვისტიკის განვითარების ისტორიის კიდევ ერთ ეტაპად ითვლება 1985-90 წლები. ამ პერიოდში ვითარდება ფემინისტური მოძრაობები ინგლისურ და გერმანულენოვან ქვეყნებში, ძლიერდება ინტერესი ენაში ქალთა დისკრიმინაციის ფაქტების კვლევისადმი. ქალთა საზოგადოებრივი

დისკრიმინაცია ენობრივი ასიმეტრიების აღწერით დასტურდება (Herlinger, 1990.12). ფემინისტურმა ლინგვისტიკამ შესაძლებელი გახადა ქალს თავად დაენახა თავისი თავი მრავალმხრივ ჭრილში, სხვადასხვაგვარად გამოეხატა ის ენაში და თავადვე შეეფასებინა. უბრალოდ, მას შესაძლებლობა მიეცა მოესმინათ მისთვის და გაეგოთ, გაეგონათ მისი ხმა და აზრი (ყიფიანი, 2011, 441).

გერმანიაში განსაკუთრებული გამოხმაურება პოვა ტრომელ პლოტცის (Trömel-Plötz 1978) და ლუიზა პუშის (Luisa Putsch 1979/1984) კვლევებმა. გააქტიურდა დებატები გერმანულ ენაში გრამატიკული სქესისა და ბიოლოგიური სქესის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ.

გენდერული ლინგვისტიკის ახალი ეტაპი 1990 წლიდან იწყება. ამ პერიოდში შეიქმნა მალტც/ბორკერის (Maltz/Börker 1991) “ორი კულტურის თეორია”, რომელიც არა ეთნიკურად განსხვავებული ინდივიდების, არამედ ქალისა და მამაკაცის, როგორც სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლების ენობრივ ინტერაქციას ეხება. დასახელებული თეორია აქტუალური გახდა ინგლისსა და გერმანიაში. ქალთა და მამაკაცთა ენა განიხილება, როგორც სხვადასხვა სუბკულტურული ფენომენები, ხოლო მათ შორის ურთიერთობა კულტურათაშორისი კომუნიკაციის ფორმაა³.

ქალთა და მამაკაცთა ენის გენდერული კვლევის ერთ-ერთი საფეხურია ახალგაზრდების ენის გენდერული კვლევა. გენდერული დიფერენციაცია ახალგაზრდების ენის კვლევაში მრავალმხრივ პერსპექტივებს გვთავაზობს. ახალგაზრდების ენის კვლევასაც თავისი ისტორია აქვს: 1980 წელს მანჰაიმის გერმანული ენის ინსტიტუტში გერმანული ენათმეცნიერების წარმომადგენელმა ჰელმუტ ჰენემ თავის მოხსენებაში „Jugendsprache und Jugendgespräche“ განაცხადა: „Eine linguistische Jugendsprachforschung gibt es nicht“ (Henne 1981,372). ამ განცხადებამ განაპირობა გერმანიაში ახალგაზრდათა ენის ლინგვისტიკური კვლევის დაწყება. ახალგაზრდათა ენის ლინგვისტიკური კვლევის განვითარებაში უდავოდ დიდი წვლილი შეიტანა აგრეთვე 1982 წ. ენისა და ლიტერატურის გერმანული აკადემიის მიერ დასმულმა საკითხმა:

³ „ორი კულტურის თეორიას“ დაწვრილებით იხილავთ 2. 3. თავებში

„Spricht die Jugend eine andere Sprache?“ და ამ საკითხის ირგვლივ გამოქვეყნებულმა შრომებმა.

ახალგაზრდების ენის ლინგვისტიკური კვლევის დაწყებისთანავე დაისვა საკითხი: ჩამოყალიბებულიყო ლინგვისტურ მიმართულებად თაობათა მიერ ენის გამოყენების სპეციფიკა. თავდაპირველად ლინგვისტიკური კვლევა ახალგაზრდების ენის ლექსიკოლოგიურ-ლექსიკოგრაფიულ მიმოხილვას წარმოადგენდა. იგი მოიცავდა აგრეთვე პრაგმალინგვისტიკურ ასპექტებს. ლინგვისტური კვლევების შემდგომი ეტაპია ახალგაზრდათა ენის სტილის ნიშნებითა და სტილის ტენდენციებით დაინტერესება.

სოციოლინგვისტიკური ინტერესების გვერდით დადგა პედაგოგიური ინტერესებიც: ახალგაზრდების ენისადმი კრიტიკული დამოკიდებულება, რათა იგი არ იქცეს ენობრივი დაცემა-დაქვეითების სიმბოლოდ (Neuland, 2008, 22).

ახალგაზრდების ასაკში ხდება საზოგადოებასთან იდენტიფიკაციის სოციოფსიქოლოგიური და ენობრივი პროფილირების პროცესი. მან მოითხოვა კვლევის შემდგომ ეტაპზე ემპირიული მტკიცებულებებისა და მონაცემების ბაზის შექმნა.

1980 წლიდან დღემდე ახალგაზრდების ენის კვლევის მიმართულებები ქრონოლოგიურად შემდეგნაირად შეიძლება დალაგდეს :

- **ახალგაზრდების ენის პრაგმატიკა.** მაგ., 1986 წელს ქვეყნდება ჰ. ჰენეს წიგნი *Jugend und ihre Sprache* (Henne, 1986), აქ გაანალიზებულია ახალგაზრდებთან მიმართვისა და მისალმების ფორმები.
- **ახალგაზრდების ენის ლექსიკოგრაფია.** შეიქმნა ლექსიკონები, მაგ, 1989 წელს ჰაინემანის (Heinemann, 1989) ახალგაზრდების ენის ლექსიკონი, 1987 წელს იუნეშეკის (Juneschek, 1987) *Wort-und Sprüchesammlungen und-analysen der Jugendsprache*.
- **ახალგაზრდების ენის ეთნოგრაფია.** მაგ, კალმაიერის (Kallmeier) ხელმძღვანელობით 1994 წ. ქალაქ მანჰაიმში განხორციელდა ამ ქალაქისათვის სპეციფიკური ენის კვლევის პროექტი. დეტალურად დამუშავდა ახალგაზრდების ჯგუფისთვის დამახასიათებელი

სპეციფიკური საკომუნიკაციო საშუალებები და მათი ფუნქციები, კომუნიკანტთა ეთნოგრაფიული მახასიათებლები.

- **ენის სტილის ანალიზი** ჩნდება 80-იანი წლების ბოლოს. შლობინსკის ნაშრომში *Sprachstilanalyse einer katholischen Kirchengemeinde* (Schlobinski, 1989). იგი ეხება ახალგაზრდების კონკრეტული ჯგუფის საუბრის სტილს, როგორც ახალგაზრდების ჯგუფისთვის ტიპურ კულტურულ რესურსს (Schlobinski, 1989, 34).
- **ახალგაზრდების ენის კულტურულ-ანალიზური კვლევა.** იგი სოციოლინგვისტიკურად ენისა და კულტურის ურთიერთდამოკიდებულებაა. ამ ურთიერთდამოკიდებულებას ეძღვნება ევა ნოილანდის შრომა *Jugendsprache – Bedrohung oder Bereicherung der Standardsprache?* (Neuland, 1997), ევა ნოილანდისა და სტეფან მარტინის: *Sprachegebrauch und Sprachinstellungen Jugendlicher in Deutschland* (Neuland /Martin 2003), ნოილანდისა და დანიელ შუბერტის ნაშრომი: *Spricht die Jugend eine andere Sprache?* (Neuland/Schubert 2005) და ა.შ. კვლევის ამ მიმართულებაში საზოგადოებრივი კონვენციებიდან გამოყოფილია თაობათა სპეციფიკური ფუნქციური ასპექტები.
- **ახალგაზრდების ენის კონტრასტული კვლევა.** 90-იანი წლებიდან გერმანიაში იწყება ახალგაზრდების ენის კონტრასტული ლინგვისტიკური კვლევა. მაგ., 1998 წელს ჯენის ანდროუტსოპოლუსის (Androutsopolous 1998) რედაქტორობით გამოქვეყნდა შრომათა კრებული *Jugendsprache_ linguistische und soziolinguistische Perspektiven*. 2003 წელს ევა ნოილანდის რედაქტორობით გამოიცა ინტერნაციონალური ნაშრომების კრებული ახალგაზრდათა ენობრივ-კულტურული გამოხატვის ფორმების შესახებ: *Jugendsprache-Jugendliteratur-Jugendkultur* და 2007 წელს: *Jugendsprachen: mehrsprachig-kontrastiv-interkulturell*. დასახელებულ კრებულებში გაკეთებულია ლექსიკური და მორფოლოგიური შედარებითი ანალიზი. კონტრასტულმა კვლევებმა აჩვენა, რომ განსხვავებები ახალგაზრდების ენებს შორის აიხსნება სხვადასხვა საზოგადოების განსხვავებული

კულტურული სპეციფიკით, განსხვავებული სოციალიზაციითა და ცხოვრების ფორმით. ამის დასტურია, მაგ., მიმართვის ფორმების სხვადასხვაობა ევროპულ და აზიურ ქვეყნებში.

- **ახალგაზრდების ენის მედიაანალიზური კვლევა.** ახალგაზრდების ენის ლინგვისტიკური კვლევის დასაწყისშივე სოციოლინგვისტები დაინტერესდნენ ახალგაზრდების მეტყველებაზე მედიის ზეგავლენის საკითხით (მაგ. H.Henne: *Jugend und ihre Sprache*, 1986). მედიაანალიზური კვლევები მოიცავდნენ ახალგაზრდათა სუბკულტურაში პრინტმედიის (მაგ., Hess- Lütich: *Textproduktion und Textrezeption*, 2003), ალტერნატიული პრესის, რადიოს (მაგ., B. Berns: *Radiosendungen für Hip-Hop-Anhänger*, 2003), ტელევიზიის ზეგავლენას ენობრივი იდენტიფიკაციის პროცესზე. ახალგაზრდები იყენებენ ენას არა პასიურად, არამედ თავად არიან ენის შემოქმედნი. კვლევის ახალი მიმართულება ეკუთვნის ანდროუცოპულოსს (J. Androutsopoulos: *Mode, Medien, Musik. Jugendliche als Sprachexperten*, 1997). მან წინ წამოსწია ახალგაზრდების როგორც ინტერნეტის ხშირი გამომყენებლებისა და მედიის ზეგავლენით სამწერლობო ენის ახალი ფორმების შექმნელთა საკითხი, მაგ: ისინი იყენებენ აკრონომიულ სიტყვაწარმოებას, გრაფოსტილისტურ საშუალებებს, ემოციის გამომხატველი სიმბოლოებს.
- ნოიმან-ბრაუნისა და დეპერმანის შრომებით (მაგ. K. Neumann-Braun/ A. Dopfermann (1998): *Ethnografie der Kommunikationskulturen Jugendlicher*) საფუძველი ჩაეყარა **ახალგაზრდების საკომუნიკაციო კულტურის ეთნოგრაფიულ კვლევას.** აქ ახალგაზრდების კომუნიკაციის კვლევისათვის გამოიყენება საუბრის ეთნოლინგვისტური ანალიზი. შენარჩუნებულია ენობრივი და სოციალური ინტერაქციის კვლევის ეთნოგრაფიული ტრადიციები.

ახალგაზრდების ენის კვლევას ევროპაში შემდეგი ინტერნაციონალური კონფერენციები მიეძღვნა:

-1992 წ. კონფერენცია ლაიფციგში თემაზე: *Jugendsprache – theoretische Standpunkte und methodischer Zugriff*

-1997წ. ჰაიდელბერგის კონფერენცია თემაზე: Soziolinguistische und linguistische Analyse von Jugendsprache

-1998 წ. ოსნაბრუკენის დარგობრივი კონფერენცია თემაზე: Jugendsprachen – Jugendkulturen – Wertsysteme

-2001წ. ვუპერტალის კონფერენცია თემაზე: Jugendsprache – Spiegel der Zeit . ამ კონფერენციის მასალები გამოქვეყნდა სხვადასხვა სექციის მიხედვით:

- ენის ცვლა
- კონტრასტული შედარება
- თავისუფალი დრო და მედია
- სკოლა და ენის გაკვეთილები

-2005წ. ცურიხის საერთაშორისო შეკრება თემაზე: Perspektiven der Jugendsprachforschung. მასალები გამოქვეყნდა შემდეგი სექციების მიხედვით :

- ენის გამოყენება და იდენტურობის საკითხი
- ახალგაზრდების მეტყველება გლობალურად და ლოკალურად
- ზეპირი და წერილობითი ენის გამოყენების ასპექტები ახალგაზრდებში.

-2008წ. კონფერენცია კოპენჰაგენში, მასალები გამოქვეყნდება 2009 წელს

-2011წ. კონფერენცია ფრაიბურგში სახელწოდებით: Jugendsprache _ Dynamiken und kulturelle Kontexte. მასალები გამოქვეყნდება 2013 წელს

-2014წ. იგემება საერთაშორისო კონფერენცია ქალაქ კარლსრუეში სახელწოდებით: Jugendsprache und Schule.

90-იანი წლების დასასრულს გერმანულენოვან სამეცნიერო სივრცეში ახალგაზრდების დისკურსის გენდერული კვლევის პირველი შედეგები განხილულია ვუპერტალის პროექტში. ის მიზნად ისახავდა გერმანიის სხვადასხვა ქალაქის ახალგაზრდების ენის შესწავლას. შედეგებმა აჩვენა, რომ გოგონებს მეტი ენობრივი მგრძობელობა აქვთ. ასეთი ენობრივი მგრძობელობა სემანტიკურად თავს იჩენს სოციალურ კონოტაციებსა და ამ კონოტაციების გამოყენების შეზღუდვაში. გოგონები თავს არიდებენ დისკრიმინაციული კონოტაციების გამოყენებას, ბიჭები პირიქით, ინტენსიურად იყენებენ (Neuland, 2008, 141).

ბოლო 10 წლის განმავლობაში გაიზარდა ინტერესი გოგონებისა და ბიჭების პირჯგუფების ენობრივი თავისებურებების მიმართ. თანამედროვე კვლევები უპირატესობას ანიჭებენ ჰომოგენური ჯგუფების კვლევას, გოგონებისა და ბიჭების ჯგუფების ყოველდღიური მეტყველების დეტალურ და სოციოლინგვისტიკურ ანალიზს. მაგ., იურგერ ბუდე იკვლევს მამაკაცურობის საკითხს სკოლაში (Budde, 2003). მინგმა შერფა იძლევა ბიჭების საკომუნიკაციო სტრატეგიების ანალიზს (Sherpa, 2007). ჯანეტ შპრეკელსმა გოგონების ჯგუფში ჩაატარა იდენტურობის ეთნოგრაფიული და საუბრის ანალიზური კვლევა (Spreckels 2005). რებეკა ბრანერმა თავისი ნაშრომი მიუძღვნა პირჯგუფში გოგონების სახუმარო კომუნიკაციას (Branner, 2003), ახელ შმნიდტმა – ბიჭების პირჯგუფის ინტერაქციულ ქცევებს (Schmidt, 2004) და ა.შ.

დღეს ახალგაზრდების ენა განისაზღვრება როგორც ახალგაზრდების მიერ გარკვეულ სიტუაციაში გამოყენებული ჯგუფური კომუნიკაციის მედიუმი. ამ ენას ახსიათებს ყოველდღიური სასაუბრო ენის, ჯგუფის ენისა და ინტერაქციის არსებითი ნიშნები (Neuland 2008, 45).

2.2. დისკურსი როგორც ენობრივი, სოციალური და კულტურული ფენომენი

2.2.1. დისკურსის განსაზღვრისათვის

ჰუმანიტარულ მეცნიერებებში დისკურსის გაგება სხვადასხვაგვარია, ამას გარკვეულწილად განაპირობებს კვლევის სფეროები, სადაც იგი კვლევის საგანია. განმარტებათა ლინგვისტიკურ და სემიოტიკურ ტერმინთა ლექსიკონში მოცემული განმარტებებიდან პირველი, რომელიც ტექსტის ლინგვისტიკასა და დისკურსის ანალიზშია გამოყენებული, დისკურსს განსაზღვრავს როგორც თემატურად, კულტურულად ან კიდევ რაიმე სხვა

ნიშნით ურთიერთდაკავშირებული ტექსტების ერთობლიობას, რომლის განვითარება და შევსება შესაძლებელია დამატებითი ტექსტებით (ლექსიკონი 2001⁴, ციტ. ომიაძესთან 2009, 18). დისკურსი გაგებული როგორც ტექსტთა ერთობლიობა მნიშვნელოვანია ჩვენი კვლევისთვის, რადგან, ლებანიძის მიხედვით, ფილოლოგია სწორედ ტექსტთა კვლევის გზით ცდილობს დაადგინოს კავშირი ადამიანური სინაღვილის ისეთ ფენომენებს შორის როგორცაა ენა, ლიტერატურა და კულტურა (ლებანიძე 2009).

მეორე განმარტებით, რომელიც სოციოლოგიასა და სოციალურ სემიოტიკაშია მიღებული, დისკურსი არის ურთიერთობა, რომელიც განიხილება როგორც გარკვეული დისკურსული “პრაქტიკების” განხორციელება. მესამე დეფინიციაც სოციოლოგიურია, მაგრამ გამოიყენება აგრეთვე ლოგიკასა და ფილოსოფიაშიც. აქ დისკურსი განსაზღვრულია როგორც სამეტყველო კომუნიკაციის სახეობა, რომელიც გულისხმობს სოციალური ცხოვრების ღირებულებათა, ნორმათა და წესთა რაციონალურ კრიტიკულ განხილვას და რომლის ერთადერთი მოტივია ურთიერთგაგების მიღწევა (ომიაძე 2009, 18).

სტრუქტურულ-ფუნქციური თვალსაზრისით, დისკურსი ენის გამოყენების ტექსტუალიზებულ (ბმულ) ერთეულთა მთლიანობაა, რომელიც ფუნქციურადაა ორგანიზებული (ომიაძე, 2009,26). დისკურსის ცნების უკეთესი გაგებისათვის საჭიროა ოთხი კომპონენტის გათვალისწინება:

- დისკურსის კავშირი ტექსტის ცნებასთან
- დისკურსის კავშირი ენობრივი ქმედების კონცეპტთან და ამით მისი ორიენტირება პრაგმატიკისაკენ
- დისკურსის კავშირი საზოგადოებასთან, დისკურსის გაგება როგორც დისკურსში მონაწილეების აზრთა გამოხატულება
- დისკურსის ფუნქცია როგორც საზოგადოებრივი ცვლილებების სტიმული (Gardt 2007,26).

⁴ Баранов, А. М./ Добровольский, Д. О. /Михайлов, М. Н /Паршин, П. Б. /Романова, О. И.(2001): *Англо–русский словарь по лингвистике и семиотике*. Москва.

დისკურსის ორმხრივი შედარებისას (ჩვენს შემთხვევაში გერმანელი და ქართველი ახალგაზრდების დისკურსის შედარება) წინ წამოიწევა არა უნიკალური და ოკაზიური საკომუნიკაციო აქტი, არამედ ტიპური, სტანდარტული ტექსტები და სიტუაციები. თანამედროვე ტიპოლოგიური კვლევის მოთხოვნები საჭიროებს დისკურსის არა მხოლოდ ენობრივი სტრუქტურების შეპირისპირებას, არამედ მომდევნო ეტაპს – კომუნიკაციის შინაარსობრივი ასპექტების, სოციალური კონტექსტების, ტექსტში ენობრივი სტრუქტურების შეთანხმება-შეხამების, წინადადებათა კოჰეზიური მიმდევრობების კოჰერენტულობის, ტექსტის სტრუქტურული და ფუნქციური ორგანიზაციის (ტექსტუალიზაციის, ანუ გაბმული ტექსტის შექმნას კონკრეტულ სიტუაციასთან დაკავშირებით) შეპირისპირებით ანალიზს, ინტერკულტურულ კვლევას და სხვ. (იხ. ბახტაძე 2010: 328-329)

დისკურსის ფენომენის ჩვენეული განსაზღვრისათვის საჭიროა რამდენიმე ფაქტორის გათვალისწინება:

ა) კონვერსაციული ანალიზის ინტერესების სფეროა სოციალური აქტივობის ინტერაქციული ორგანიზება. კონვერსაციული ანალიზის ფუძემდებლის ჰერვერ ზაკსის (Sacks 1992) კონვენციები ეფუძნება ჰაროლდ გარფინკელის სოციალურად მოქმედი პირების (ადამიანების) ყოველდღიური ცხოვრების ეთნომეთოდოლოგიურ კვლევებს (Garfinkel 1967), რომლის მიხედვით, საზოგადოების წევრთა ქმედება ამ საზოგადოების სხვა წევრების მიერაა ინტერპრეტირებული. საზოგადოების წევრთა კომუნიკაცია ინდექსური ფენომენია, ის არსებობს კონტექსტში და მხოლოდ კონტექსტითაა შესაძლებელი მისი უპრობლემო გაგება (Kotthoff 2008,1). შესაბამისად, ვერბალური ინტერაქციის კვლევით დასტურდება, რომ კონვერსაციულ ანალიზს სოციალური წარმოშობის კონტექსტი აქვს, საუბრის ანალიზს კი ლინგვისტიკური კონტექსტი უდევს საფუძვლად. საუბრის ანალიზისას ძირითადია საუბრის ნაწილაკების: რა/როგორ/ რისთვის (Was, Wie, Wozu) რეკონსტრუქცია (აღდგენა) (Deppermann 2001,79). „რა“ განიხილავს თემებს, სიტუაციას, გარემოებას, „რისთვის“ შეიცავს ისეთ ფუნქციებსა და ამოცანებს, როგორცაა: კატეგორიების შექმნა, სახელდება, შეფასება, თვისებების მიწერა,

ჯგუფის იდენტურობის ხაზგასმა. პრაგმალინგვისტიკური და ლინგვისტიკური კვლევებისათვის მნიშვნელოვანია კითხვა “როგორ”, ანუ ის ენობრივი და არაენობრივი რესურსები, რა საშუალებითაც საუბარში მონაწილე პირი სხვადასხვა საკომუნიკაციო დავალებას ასრულებს. რთულია ერთმანეთისაგან გამიჯნო “როგორ” და “რისთვის”, ამიტომ საუბრის ანალიზის დროს ისინი ერთად განიხილება.

დისკურსის ანალიზში თითქმის შეუძლებელია გამოყო დომინანტური დისციპლინა. ამ ტერმინით თანამედროვე ლინგვისტიკაში მოცემულია კონვერსაციული ანალიზის და საუბრის ანალიზის კრებითი ცნება (Hausendorf, 2008, 404). ჩვენი კვლევა საჭიროებს ორივე კონტექსტს, სოციალურსა და ლინგვისტიკურს, ამიტომ გამოვიყენებთ ტერმინს „დისკურსის ანალიზი“. დისკურსის ანალიზის მიდგომები დიდ გავლენას ახდენენ ემპირიულ კვლევათა მიზნებზე, მეთოდებსა და აქცენტებზე.

ამ მიდგომათა შორის მნიშვნელოვანია დისკურსის თეორია და კრიტიკული დისკურს-ანალიზი. დისკურსის თეორიის ზოგადი იდეაა ის, რომ დისკურსში ასახული სოციალური მოვლენა არასოდეს არაა დამთავრებული და სრული. არასოდეს არაა საბოლოოდ ფიქსირებული მნიშვნელობა. დასახელებული თეორიის მიხედვით არტიკულაციური პრაქტიკის შედეგად წარმოდგენილი მთელი სტრუქტურული ერთიანობა არის დისკურსი. „არტიკულაციას“ ვუწოდებთ ნებისმიერ ქმედებას, რომელიც ისე ადგენს მიმართებას ელემენტთა შორის, რომ იცვლება ნიშანთა იდენტურობა (Laclau/Mouffe, 1985, 105, ციტ. ომიამქსთან 2009).

კრიტიკულ დისკურსს, კ. ბლუმის მიხედვით, „კრიტიკული თეორიის“ ტრადიციები უდევს საფუძვლად. კრიტიკული დისკურსის ანალიზი დისკურსს განიხილავს, როგორც სოციალურ პრაქტიკას, რომელიც არა მხოლოდ აირეკლავს სოციალურ ურთიერთობებს, არამედ მის ორგანიზებასაც ახდენს. აქ იგულისხმება ტექსტის დეტალური ანალიზი, სადაც მნიშვნელოვანია ცალკეულ ტექსტებში დისკურსული პროცესების მიმდინარეობა. კრიტიკული დისკურსის მიზანია აჩვენოს ურთიერთდამოკიდებულება, ერთი მხრივ, ენობრივ საშუალებებსა და კონკრეტულ დისკურსულ ქცევას შორის და მეორე მხრივ,

დისკურსულ პრაქტიკასა და პოლიტიკურ, სოციალურ და ინსტიტუციურ სინამდვილეს შორის (Bluhm, 2000, 4).

დისკურსის ანალიზისათვის ენობრივი ქცევა სოციალური ქცევაა, იგი ნათელს ჰფენს კავშირს ტექსტებს, სოციოკულტურულ პროცესებსა და სტრუქტურებს შორის (Calinski 2004, 4). დისკურსის ანალიზის თეორიის საფუძველი, ისევე როგორც გენდერული კვლევების, სოციალური კონსტრუქტივიზმია (Flick 1995).

ბ) ინტერაქციის ინდექსურობა (პირობითობა) და კონტექსტურობა გვიჩვენებს ტექსტსა და კონტექსტს შორის ურთიერთდამოკიდებულების რეფლექსურობას. ეთნომეთოდოლოგიასა და ლინგვისტიკურ პრაგმატიკაში დადასტურებულია, რომ ადამიანი ჯერ გაიაზრებს, შემდეგ ამბობს. შესაბამისად, „თქმა/ნათქვამთან“ ერთად სხვა სოციალური აქტივობაც იძენს ინტერესს, კერძოდ, რა გაიაზრა ადამიანმა, რა ქვეტექსტი უდევს ნათქვამს საფუძვლად.

ეთნომეთოდოლოგიისათვის ენობრივი ქმედების ამოსავალია დიალოგი და ინტერსუბიექტურობა. ინდივიდი ენასთან ერთად ითვისებს იმ სოციალური და ბუნებრივი სინამდვილის არსს, რომელიც ენაში აისახება (Berger/Luckmann 2000,39). ენათმეცნიერებაში ენობრივ სისტემას უკავშირდება დიალოგზე ორიენტირებული დისკურსის ანალიზი (Sacks 1992; Quasthoff/Friederike 2003; Garfinkel 1967). დისკურსის კვლევის სფეროს განსაზღვრავენ ეთნომეთოდოლოგიური კონვერსაციის ანალიზი, საუბრის დიალოგიური და პრაგმატიკული მიმართულება, კომუნიკაციის ეთნოგრაფიული კვლევა (Kotthoff 2006, 164).

გ) ანალიზი იკვლევს ზეპირი მეტყველების თავისებურებებს.

საჭიროდ მიგვაჩნია ერთმანეთისაგან გავმიჯნოთ ზეპირი და წერიტი მეტყველება. ზეპირი მეტყველება ახლო საუბარია, წერიტი მეტყველება – დისტანციური, მათ ერთმანეთისაგან შიდა მოდალობაც განასხვავებს. სასაუბრო ენა ფართო პერსპექტივას ხსნის, დროით და სივრცით პირობებს ექვემდებარება, ახასიათებს წესები და კონსტრუქციების დარღვევა და ბევრი

სხვა თავისებურებები. ზეპირი კომუნიკაცია წერითი კომუნიკაციისაგან განსხვავდება იმით, რომ ზეპირი კომუნიკაცია:

- უწყვეტ ნაკადად მიმდინარე შეუქცევადი პროცესია
- მოსაუბრეს შეუძლია თავისი ნათქვამი “შეაკეთოს”, დააკონკრეტოს, ხელახლა მოახდინოს ფორმულირება და სხვა
- თავისი სხეულიც კი ჩართოს კომუნიკაციაში
- გამოიყენოს პროსოდიული და ტონალობის თავისებურებები (ბგერითი სიძლიერე, ტონის სიმაღლე, მეტყველების გამომხატველობითი მანერა, დიალექტური საშუალებები, ტემპი)
- იყოს არავერბალურად აქტიური (გაღიმება, სიცილი, მთქნარება, გამომეტყველება, მზერა, ჟესტი, მიმიკა) და ჩართოს სხვა პარალინგვისტიკური ქმედებები
- ერთმანეთს შეუნაცვლოს სტანდარტული და არასტანდარტული ენის ერთეულები
- მიმართოს გამეორებებს, შეწყვეტას, დარღვევას ან სხვა მსგავს ქმედებებს (ბახტაძე, 2010, 329).

დ) დისკურსის ანალიზი ყურადღებას ამახვილებს საუბრის კავშირზე ყოველდღიურ ინტერაქციასთან: როგორ იწყებს ინდივიდი რაიმეს თხრობას? როგორაა განაწილებული ინტერაქტანტებს შორის საუბრის უფლება, საუბრის დრო? (Ehlich, 1980,2). უწინარესად საჭიროა სიტუაციაში მონაწილე პირების, მათი ურთერთობისა და ამ ურთიერთობაზე ორიენტირებული კონტექსტის, მიზნების, ადგილის, ინსტიტუციური გარემოს ანალიზი, საუბრის ინტერაქციული თანმიმდევრობის სეკვენცია (ლოგიკური ანალიზი): საუბრის დაწყების, დამთავრების, განგრძობის სიგნალები (ბახტაძე, 2010, 329).

ე) დისკურსის ანალიზისათვის აუცილებელია ერთმანეთისაგან გავმიჯნოთ საუბრის შიდა და გარე სტრუქტურები. საუბრის შიდა სტრუქტურა შედგება შემდეგი ელემენტებისაგან: პროსოდიული თავისებურებები, ხმის ხარისხის ასპექტები, ჟესტიკულაცია, მიმიკა, ფონეტიკური ვარიაციები, ლექსიკურ-სემანტიკური და მორფოსინტაქსური ფენომენები, ვარიანტულობების ცვლა, სტილისტიკური და რიტორიკული

ფიგურები, შინაარსობრივი მხარე, თემები. საუბრის გარე სტრუქტურა საუბრის შიდა სტრუქტურის კავშირია სოციალურ გარემოსთან. აქ იგულისხმება ეთნიკური ან კულტურული ჯგუფების კომუნიკაცია, სხვადასხვა სოციალური სქესის წარმომადგენელთა ვერბალური და არავერბალური ურთიერთობა, საუბარზე ინსტიტუციონალური ზეგავლენა, მოქმედების ადგილი, მოსაუბრეთა სტატუსი და ა.შ. (Günther 2007,378).

და ბოლოს, ფართო გაგებით დისკურსი ყველაფერია, რაც ითქმება და იწერება, ის სამეტყველო ქმედებაა, ინერაქტიული პროცესია სოციოკულტურულ კონტექსტში (Bußmann, 2002, 171).

2.2.2. ახალგაზრდების დისკურსი, როგორც სოციოკულტურული ფენომენი

სოციოლინგვისტიკაში ახალგაზრდების მეტყველება განიხილება, როგორც სოციალური სტილი. ვარიაციების კვლევა იწყება სტილის კვლევით: მაგ., ჩაცმა, ვარცხნილობა, მოძრაობა, საუბრის სტილი. საუბრის სტილი ლექსიკის, პროსოდის, სემანტიკის, ფონეტიკის, მორფოლოგიის, სინტაქსის, დისკურსის ერთობაა (Kotthoff 2008,2496). სოციალურ სტილს აქვს მოსაუბრის სოციალური პოზიციის ჩვენების ექსპრესიული ფუნქცია (Kallmeier 2000,266), იგი სოციალური აქტივობებისა და საუბრის სტილის ერთობაა (Hahn 1986,603). სოციალური აქტივობები და საუბრის სტილი ინტერაქციის ჩარჩოებშია მოქცეული, ჩარჩოს უმეტესად ინსტიტუციები ქმნიან, მას კავშირი აქვს ოპოზიციურ წყვილებთან, როგორცაა: სერიოზული/არასერიოზული, სიმეტრია/ასიმეტრია, მაღალი სტატუსი/დაბალი სტატუსი.

ახალგაზრდების დისკურსის, როგორც სოციოკულტურული ფენომენის კვლევის ძირითადი პრობლემა, ეთნოსოციალური საზღვრების გადაკვეთაა ენაში, რაც ლინგვისტიკაში ენობრივი ნაჯვარის (Sprachliche Kreuzung) სახელითაა ცნობილი. სამეცნიერო ლიტერატურაში ენობრივი ნაჯვარი განიხილება, როგორც ახალგაზრდების კომუნიკაციის მახასიათებელი

(Schwitalla, 1988, 166). ენობრივი ნაჯვარი საუბრის დროს ორი ან მეტი სხვადასხვა ენისა და ენობრივი ვარიანტულობების ფრაგმენტული, არანორმირებული და მოულოდნელი გადაკვეთაა (Rampton, 1998, 298). ფართო გაგებით, ენობრივი ნაჯვარი ეთნიკური ჯგუფის ფასეულობებსა და ნორმებს წარმოაჩენს, ხოლო ვიწრო გაგებით, იგი კონკრეტული ჯგუფის თავისებურების სიმბოლოა (Androutsopoulos, 2008, 7).

სოციოლინგვისტიკაში გამოიყოფა ენობრივი ნაჯვარის შემდეგი ფენომენები: ვარიანტულობების შერევა, საუბარში მედიალური რესურსების გამოყენება (მაგ., ციტატები სარეკლამო ტექსტებიდან), უცხო ენის ფუნქციური გამოყენება (უცხო ენა გამოიყენება არა ინსტიტუციონალური ზეგავლენით, არამედ არაფორმალურ კონტექსტში) (Androutsopoulos, 2008, 11).

ენობრივი ნაჯვარი ახალგაზრდებში პრესტიჟის მაჩვენებელია, ისინი საუბრის დროს ახდენენ მოდური ენობრივი ფორმების პრეზენტაციას. პრესტიჟის ცნება მნიშვნელოვანია გენდერული დისკურსის ანალიზისთვის.

საინტერესოა, რა ენობრივ რესურსებს საჭიროებს ენობრივი ნაჯვარი. აქ გრამატიკული ნიშნები იშვიათად იჩენს თავს. მისთვის სპეციფიკური ნიშნების შემჩნევა შესაძლებელია შემდეგ ლექსიკოგრაფიოლოგიურ ფორმებში:

- მისალმება, მიმართვის ფორმები
- ცალკეული ენობრივი ქმედებები (მაგ., დამუქრება, სიყვარულის ახსნა, და ა.შ.)
- ვულგარული გამოხატულებები (მაგ., ლანძღვა-გინება)
- განცვიფრების, დათანხმების, უარყოფის გამომხატველი სიტყვები
- დისკურსის ნაწილაკები (მინიმალური რეაქციები, მაგ: ჰმ, აჰა)
- სიტყვათა მარაგი გარკვეული სემანტიკური სფეროებიდან
- სიტყვათა მარაგი სოციალური კატეგორიებიდან (მაგ., სექსუალურობა, სხეულის ნაწილები და ფუნქციები, ფული და სხვა) (Hewitt 1986,141).

ახალგაზრდების გენდერული დისკურსის კვლევისათვის მნიშვნელოვანი ასპექტია “საუბრის დრო” (Redezeit). არსებობს სტერეოტიპი – გოგონები საუბრობენ ბევრს, ვიდრე ბიჭები. კვლევები ადასტურებს საწინააღმდეგოს

(მაგ., James/Drakoch 1993; Kotthoff 1992/1993), კერძოდ, ჰეტეროგენულ ახალგაზრდათა ჯგუფებში სასაუბრო დროის დიდ ნაწილს იკავებენ ბიჭები. გენდერი პირდაპირ კავშირშია სტატუსის ფაქტორთან. ბიჭს, როგორც მაღალი სოციალური სტატუსის მქონეს, აქვს საუბრის მეტი დრო.

ამრიგად, დისკურსისათვის ღირებულია:

- 1) სოციალური აქტივობის ორგანიზება
- 2) ურთიერთდამოკიდებულება ტექსტსა და ყოველდღიურ ინტერაქციას შორის
- 3) ურთიერთდამოკიდებულება ტექსტსა და კონტექსტს შორის
- 4) ურთიერთდამოკიდებულება საუბრის შიდა და გარე სტრუქტურებს შორის
- 5) ეთნოსოციალური საზღვრების გადაკვეთა ენაში
- 6) საუბრის დრო და უფლება.

გენდერული დისკურსის ანალიზი საკომუნიკაციო სტილში გულისხმობს არა ენობრივ სტილს, არამედ საკომუნიკაციო მანერას. შესაბამისად, გოგონების/ქალებისა და ბიჭების/მამაკაცების რიტორიკა მათი საკომუნიკაციო მანერაა. საკომუნიკაციო მანერა/კომუნიკაციის სტილი განაპირობებს დისკურსის სახეს. ამ კუთხით დანახული ახალგაზრდების გენდერული დისკურსი სოციოლინგვისტიკურ ჭრილში აერთიანებს კომუნიკაციურ სტილს და სამეტყველო ქცევას. სამეტყველო ქცევა, გვენცამის მიხედვით, გამონათქვამებია, რომლებიც – მათი სიტუაციური სისრულის შემთხვევაში – შეიძლება მივიჩნიოთ მოკლე ტექსტებად, იგი ინტერკულტურული პრაგმატიკის სფეროს მიეკუთვნება (გვენცამე, 2009, 231). სწორედ სამეტყველო ქცევის საშუალებით ხდება კომუნიკაციის პროცესში კულტურული ინფორმაციის გადაცემა.

2.2.3. მამაკაცი და ქალური რიტორიკა, როგორც საუბრის დისკურსული მანერა

არსებობს მოსაზრება, რომ მამაკაცები უფრო კარგი ორატორები არიან, ვიდრე ქალები. სინამდვილეში ორივე მხარეს აქვს თავისი სუსტი და ძლიერი მხარეები. ვფიქრობთ, რომ ჩვენი კვლევისათვის ინტერესმოკლებული არ იქნება მოკლედ შევხვით იმ სირთულეებს, რომლებიც ხელს უშლიან გოგონათა უმეტესობას, იყვნენ კარგი მოსაუბრეები:

- წინასწარი ნეგატიური განწყობა საკუთარი მეტყველების მიმართ
- ხმასა და არტიკულაციასთან დაკავშირებული პრობლემები: ხმის სიმძლავრე, მაღალი ბგერები, ჩქარი მეტყველება. ნაცვლად დადმავალისა, აღმავალი ინტონაცია წინადადების ბოლოს.

გოგონათა საკომუნიკაციო მანერის დასახელებული სუსტი მხარეები ნაკლებად შეიმჩნევა ბიჭებთან, თუმცა გოგონებს გააჩნიათ ის ძლიერი მხარეები, რომლებიც დეფიციტურია ბიჭებში, მაგ:

- გოგონებს ბიჭებთან შედარებით იშვიათად აქვთ მეტყველებასთან დაკავშირებული პრობლემები
- მათი არტიკულაცია უფრო მკაფიოა, მეტყველებენ უფრო თავისუფლად
- გააჩნიათ უფრო დიდი ლექსიკური მარაგი
- გოგონებს უფრო გამომსახველობითი ჟესტიკა და მიმიკა აქვთ, ვიდრე ბიჭებს (Thim-Mabrey, 2007, 163).

გოგონებისათვის მნიშვნელოვანია საკომუნიკაციო შესაძლებლობების დადებითი მიმართულებით განვითარება, საკომუნიკაციო სტრატეგიების შესწავლა, კერძოდ: საუბარი უნდა იყოს გასაგები, აღწევდეს საკომუნიკაციო მიზანს, უნდა გადალახოს საკომუნიკაციო დაბრკოლებები, გამომუშავდეს აზრის სწორად ფორმულირების ჩვევები, უნდა ჰქონდეს მსმენელის უკეთესად მოტივირებისა და სხვებზე ზეგავლენის უნარი.

საკომუნიკაციო სტრატეგიები, ენობრივი თუ არაენობრივი საშუალებები, რითაც მოსაუბრე გამოხატავს აზრს და ზემოქმედებას ახდენს სხვებზე, განისაზღვრება არა მხოლოდ საკომუნიკაციო პირობებითა და სიტუაციით, არამედ მსმენელის ვარაუდით, დამოკიდებულებით მოსაუბრის მიმართ. მაგალითად, მოსაუბრე გოგონას საკომუნიკაციო სტრატეგია – “ლიმილი” – მსმენელის მიერ უმეტესად აღიქმება, როგორც “არათავდაჯერებულობის” ნიშანი, ხოლო ბიჭისათვის კი – „თავდაჯერებულობის“ ნიშანი.

ჩვენი კვლევისათვის მნიშვნელოვანია საკომუნიკაციო სიტუაციებში მსმენელის ვარაუდისა და საკომუნიკაციო პირობების ურთიერთკავშირის საკითხი. ბიჭებთან შედარებით გოგონებზე უფრო მეტ გავლენას ახდენს ის, თუ როგორი საუბრის მანერას მოელის მისგან მსმენელი, განსაკუთრებით, როცა მსმენელი საპირისპირო სქესისაა.

საკომუნიკაციო სიტუაცია ხშირად შეიძლება აღმოჩნდეს როგორც ხელის შემწყობი, ასევე ხელის შემშლელი ფაქტორი. გენდერულ ლინგვისტიკაში მჭერმეტყველების ერთ-ერთ დამაბრკოლებელ მიზეზად ითვლება “საჯარო გამოსვლის შიში”. დადასტურებულია, რომ ადამიანები გაცილებით ადვილად გადმოსცემენ საკუთარ აზრს ახლობლების გარემოცვაში ან მსმენელთა მცირე ჯგუფთან, ვიდრე ფართო აუდიტორიის წინაშე. ეს პრობლემა აქვთ გოგონებსაც და ბიჭებსაც. განსხვავებულია სქესის მიხედვით შიშის გამოვლენის ფორმები (მაგ., გოგონებში უფრო ხშირია ხმის ჩაწყვეტა, ბიჭებში – სიწითლე, ოფლიანობა) (Oppermann/Weber 1997, 162).

საჯარო გამოსვლის შიშის განცდა ზოგ შემთხვევაში ნეგატიურ, ზოგ შემთხვევაში პოზიტიურ გავლენას ახდენს მოსაუბრეზე. ნიშანდობლივია, რომ აქაც შეინიშნება გარკვეული გენდერული თავისებურებანი. მაგალითად, გოგონასათვის საკმარისია ერთი წარუმატებელი გამოსვლა, რომ ეს მარცხი ხანგრძლივი დროის განმავლობაში ნეგატიურ ზეგავლენას ახდენდეს მის ორატორულ შესაძლებლობებზე. ბიჭებს გაცილებით პოზიტიური და რეალისტური დამოკიდებულება აქვთ თავიანთი პოტენციის მიმართ. ეს მათ მეტ თავდაჯერებულობას, ძალასა და ენერჯიას მატებთ.

დისკურსის ანალიზისა და სოციოლინგვისტიკის სფეროში არ გვხვდება მდედრობითი და მამრობითი საუბრის სტილის განსაზღვრა. ქალურობისა და მამაკაცურობის კულტურული კონცეპტი, მათი საკომუნიკაციო მანერა საკამათო ცვლადებია, თუმცა გენდერმა სოციოლინგვისტიკაში იგივე მნიშვნელობა შეიძინა, რაც ეთნოსმა, ასაკმა და სოციალურმა ფენამ. დისკურსის ანალიზი გვამლევს ვერბალური ენის გენდერული განზომილების ყველაზე რეალურ სურათს. ჩვენი კვლევისათვის მნიშვნელოვანია არა სქესთა შორის არსებული განსხვავებების, როგორც ფაქტის, დადასტურება, არამედ მსგავსება-სხვაობის პროცესის ჩვენება.

2.3. ვერბალური და არავერბალური ენის გენდერული კვლევის თეორიული საფუძვლები

გენდერული ლინგვისტიკის ყველა კონცეპტში გვხვდება სხვადასხვა თეორიის ორგანიზების მცდელობა, როგორც გენდერული კვლევების სავალდებულო ელემენტი. საჭიროა გაირკვეს, სქესისა და გენდერის რა თეორიები უდევს საფუძვლად გენდერულ ლინგვისტიკას. პირველ რიგში გავმიჯნოთ ერთმანეთისაგან ტერმინები სქესი და გენდერი.

სქესი და გენდერი ორი სრულიად დამოუკიდებელი კატეგორიაა. დაუშვებელია ამ ტერმინების სინონიმებად გაგება (Koh, 2000,27). ტერმინი „გენდერი“ პირველად ინგლისურენოვან სამეცნიერო ლიტერატურაში გაჩნდა, იგი სქესის გრამატიკულ კატეგორიას აღნიშნავდა. მოგვიანებით ცნება „Gender“ იძენს „სოციალური სქესის“ მნიშვნელობას (West/Zimmermann,1991,13). „სქესი“ – ბიოლოგიური განსხვავებაა ქალებსა და მამაკაცებს შორის, ხოლო „გენდერი“ – მამრთა და მდედრთა შორის არსებული ფსიქოლოგიური, სოციალური და კულტურული განსხვავება (ლადარია, 2002,59). სოციოლინგვისტიკა სქესს და

გენდერს განიხილავს, როგორც სოციალურად განვითარებულ სტატუსებს. მათ შორის უწყვეტი კავშირია, რადგან ბიოლოგიური სქესი სიგნალია გარკვეული სოციალური სქესის მისაღებად (Lewontin,R,1982,65).

გენდერის მიხედვით ინდივიდში ვლინდება სხვადასხვა სუბკულტურა, რომლებიც, თავი მხრივ, ქმნიან ენობრივ ვარიანტებს, როგორც ამ სუბკულტურების არსებობის სიმბოლოებს (Троицкая, 2000, 374), ესენია:

- 1) მასკულინური ტიპი – ინდივიდი, რომელიც გამოირჩევა მამაკაცური ფსიქოლოგიური თავისებურებებით
- 2) ფემინური ტიპი – ინდივიდი მკვეთრად გამოხატული ქალური ფსიქოლოგიით
- 3) ანდროგენული ტიპი – ინდივიდი, როგორც ქალური, ასევე მამაკაცური ფსიქოლოგიური მახასიათებლებით
- 4) არადიფერენცირებული ტიპი – ინდივიდი, რომელშიც მამაკაცური და ქალური ხასიათი დაბალი ხარისხით ვლინდება (Bem, 1974,156).

სქესთა გენდერული დიფერენცია ხაზს უსვამს, რომ რეალურ ცხოვრებაში არსებობენ ექსცენტრული ქალები და მამაკაცები. თავიანთი განსაკუთრებული სამეტყველო ქცევებით. ჩვენ დავინტერესდით მხოლოდ მასკულინური და ფემინური ტიპებით. ანდროგენული და არადიფერენცირებული ტიპების ენობრივი ქცევების შესწავლა ნაკლებად საინტერესო მასალას გვამღევს სქესით განპირობებული ენობრივი სხვაობების კვლევის თვალსაზრისით.

სოციოლინგვისტები ემხრობიან იმ მოსაზრებას, რომ სქესიც მიჩნეულ იქნეს კონტინუუმად, რომელიც შემდეგნაირად კლასიფიცირდება:

- 1) მორფოლოგიური სქესი
- 2) ქრომოსომული სქესი
- 3) ტვინის თავისებურებები, რომლებიც სპეციფიკურია სქესისათვის
- 4) ჰორმონული სქესი (Wieland, 2003,101).

მორფოლოგიური განსხვავება არ შემოიფარგლება მხოლოდ სქესის ნიშნებით, ის არსებობს ტვინის ორანიზაციაში. ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის დასასრულს ანატომიაში დადგინდა, რომ მამაკაცების ტვინი უფრო მძიმეა

ვიდრე ქალის, რაც იმ პერიოდისათვის მამაკაცთა ინტელექტუალური უპირატესობის დასტური იყო. დრომ გვიჩვენა: ტვინის სიმძიმე დამოკიდებულია სხეულის სიმძიმეზე. ამით გამოირიცხა ინტელექტუალობის ხარისხის კავშირი ტვინის წონასთან (Ruso, 2008, 111).

მნიშვნელოვანია განსხვავებები თვით ტვინის აგებულებაში და ცენტრალური ნერვული სისტემის სტრუქტურაში (Schweder, 2008, 155). ზოგადად ტვინის ნახევარსფეროების ფუნქციური განსხვავება მოცემულია შემდეგ ცხრილში:

ცხრილი 1.

ტვინის ნახევარსფეროების ფუნქციური განსხვავება (Pease ,2000, 87)

ტვინის მარცხენა ნაწილი	ტვინის მარჯვენა ნაწილი
მათემატიკა	კრეატიულობა
ვერბალური ქცევა	ვიზუალური აღქმა
ლოგიკა	ინტუიცია
ფაქტები	იდეები
დედუქცია	წარმოსახვა
ანალიზი	მრავალმხრივი აზროვნება
სწორხაზოვანი აზროვნება	სიმღერის მელოდია
პრაქტიკული წესრიგი	„მთლიანური“ აღქმა
სიმღერის ტექსტი	
დეტალური აღქმა	

გამოკვლევებმა დაადასტურა, რომ ბიჭების/მამაკაცების მეტყველებაზე პასუხისმგებელია ტვინის მარცხენა მხარე, მაშინ, როცა გოგონების/ქალების მეტყველების პროცესში ტვინის ორივე ნახევარსფერო თანაბრადაა ჩართული.

გარდა ამისა, გოგონების ტვინის მარცხენა ნახევარსფერო უფრო სწრაფად ვითარდება, ვიდრე ბიჭებისა. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ პატარა ასაკის გოგონები უკეთესად საუბრობენ, კითხულობენ და მეტყველებასთან დაკავშირებული ნაკლები პრობლემები აქვთ. ბიჭებში უფრო სწრაფად ვითარდება მარჯვენა ნახევარსფერო, რის გამოც მათ უკეთესი ორიენტაციის, ვიზუალური და ლოგიკური აღქმის უნარი აქვთ.

ტვინის მარცხენა და მარჯვენა ნახევარსფეროებს აკავშირებს ნერვული სისტემის მაკავშირებელი ბოჭკო ე.წ. “Corpus callosum”. ამ ბოჭკოთი ხდება ორივე ნახევარსფეროს შორის კომუნიკაციისა და ინფორმაციის გაცვლა. ნევროლოგიური გამოკვლევებმა აჩვენა, რომ გოგონების ტვინის ნახევარსფეროების დამაკავშირებელი ბოჭკო უფრო სქელია, ვიდრე ბიჭებისა. გოგონებში 30%-ით მეტია ნახევარსფეროს შორის დაკავშირების ხარისხი. დადასტურდა აგრეთვე, რომ გოგონები და ბიჭები ერთი და იმავე საქმიანობის თუ დავალების შესრულების დროს ააქტიურებენ ტვინის სხვადასხვა სფეროებს. ტვინის ორივე სფეროს შეკავშირების მაღალი ხარისხი კომუნიკაციური თვალსაზრისით გოგონათა მეტ შესაძლებლობებზე მეტყველებს. მათ შესწევთ უნარი იმავდროულად სხვადასხვა საქმე აკეთონ ან იაზროვნონ. მამაკაცური ტვინი კონცენტრირებას ახდენს ცალკეულ დავალებებზე: ჯერ ერთი საქმე უნდა გაკეთდეს, შემდეგ – სხვა, და არა რამდენიმე ერთად (Pease, 2000, 90-94).

ამ მონაცემებზე დაყრდნობით ჩნდება კითხვა: სხვაობა ქალებსა და მამაკაცებს შორის თანდაყოლილია თუ შეძენილი? ანუ ეს ბუნებაა თუ კულტურა? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა რთულია. ერთი რამ ცხადია, აზროვნება ბევრადაა დამოკიდებული სოციალიზაციაზე. ვფიქრობთ, ბუნება და კულტურა იმდენადაა ინდივიდში ურთიერთშერწყმული, რომ ძნელია მათ შორის ზღვარის გავლება.

შემდგომი განსხვავება ჰორმონულია. ანდროგენები და ოსტროგენები ორივე სქესში არსებობენ. სხვადასხვა მნიშვნელოვან ფუნქციათა შორის მთავარი გამრავლების ფუნქციაა. ენდოკრინოლოგიურ დონეზე სქესის განსხვავებას იწვევს არა ჰორმონების სახეობა, არამედ ცალკეული ჰორმონების

კონცენტრაცია, რაოდენობა, პოზიცია, რეცეპტორების მგრძობელობა (Faber/Horid 1995). ჰორმონების ზეგავლენით აიხსნება ქალებისა და მამაკაცების გარკვეული ქცევები და უნარები. მაგ., ბიჭებს აქვთ უკეთესი ორიენტაციის უნარი და აბსტრაქტული აზროვნება რიცხვებით. გოგონებს – უფრო სწრაფი და ზუსტი აღქმის უნარი (Hampson, 1993, 359).

რაც შეეხება სქესის ნიშან-თვისებებს, აქ განასხვავებენ სქესისთვის სპეციფიკურ და სქესისთვის ტიპურ ნიშნებს. სპეციფიკური განსხვავებები ბიპოლარულ-დიქტომიურია, ამიტომ ბიოლოგიურად მხოლოდ „მამრობითობა“ და „მდედრობითობა“ შესაძლებელია. ტიპური ნიშნები არაპირდაპირ კავშირშია რეპროდუქციის ფუნქციასთან. ამჯერად აღარ ვსაუბრობთ ბიპოლარულ-დიქტომიაზე, აქ საუბარია სტატისტიკურ-დესკრიფციულ სხვაობაზე, იგი შეიმჩნევა ჯგუფების შედარების დროს (Kirchengast, 2008, 93).

ანთროპოლოგია ეძიებს დაადგინოს: ინდივიდის განვითარების პროცესში, ერთი მხრივ, როგორ ხდება სქესისთვის სპეციფიკური და ტიპური ნიშნების ჩამოყალიბება, მეორე მხრივ, რა ფილოგენეტიკური და ევოლუციური მიზეზები აქვს ამ ნიშნებს შორის განსხვავებებს (Bosinski, 2000, 96).

სოციალური ფსიქოლოგია “სქესის” ცნებას სამგვარად განსაზღვრავს:

- სქესი – ბიოლოგიური ნიშანი (მაგ., სხეულის აგებულება)
- სქესი – ფსიქოლოგიური ნიშანი (ინდივიდის წარმოდგენა საკუთარ სქესზე)
- სქესი – სოციალური ნიშანი.

სოციოფსიქოლოგიაში არსებობს სქესის დიფერენციაციის შესახებ შემდეგი მოსაზრებები:

- ფსიქოლოგიური სქესი განსხვავდება კულტურის მიხედვით
- სქესთა ისტორიული ცხოვრების წესის ცვლა აისახება მათ ფსიქოლოგიურ თვისებებში
- ფსიქოლოგიური სქესის სხვაობა მეტ-ნაკლებად დამოკიდებულია ინდივიდის ბიოგრაფიაზე

- სქესი როგორც სოციალური კატეგორია, დროისა და კულტურის შესაბამისი ცვლადია (Abele, 2008, 168).

როგორც ზემოთ აღნიშნულიდან ჩანს, არც სქესი და არც გენდერი არ ქმნის ბინარულ კრიტერიუმს, არამედ წარმოადგენს კომპლექსური კომბინაციის ფორმას, ამიტომ ინდივიდთა დაყოფა ორ სქესად (მამრი/მდედრი) და ორ გენდერად (მამაკაცური/ქალური), ვფიქრობთ, საზოგადოებრივი შეთანხმების შედეგია. საზოგადოების მიერ ინდივიდთა ბინარულ დაყოფაზე შემდეგი სამი ჰიპოთეზა არსებობს:

1) **კონსტანცას ჰიპოთეზა:** საზოგადოება ექვემდებარება კაცობრიობის ისტორიის მანძილზე შემუშავებულ სქესთა დაყოფის კანონს.

2) **ბუნებრიობის ჰიპოთეზა:** არსებობს ფიზიკური ნიშნები, როგორც სქესის ძირითადი მაჩვენებლები. სხეულის ფორმების საშუალებით დაცულია სქესის სტაბილურობა.

3) **დიქოტომიის ჰიპოთეზა:** საზოგადოება იცნობს მხოლოდ ორ პოლარულ კუთვნილებას – ან მდედრი, ან მამრი (Hirschauer, 1994,675).

თანამედროვე სოციოლინგვისტიკაში გენდერული კვლევები, ზოგადად, ამ ჰიპოთეზებს ეყრდნობა, თუმცა ჩნდება კითხვები: ავითარებს თუ არა ყველა ბიოლოგიური მდედრი/მამრი საკუთარ თავში მდედრობითი/მამრობითი გენდერის დამახასიათებელ თვისებებს? როგორ უნდა ავხსნათ მათ შორის არსებული განსხვავებები? – ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად მართებულად მიგვაჩნია მოსაზრება, რომ მდედრობით და მამრობით სინამდვილის აღქმისა და განცდის ორი სხვადასხვა გზაა. ისინი ცვლადი ფენომენებია და მათი ვარიაციულობა და მრავალფეროვნება გარემოზეა დამოკიდებული (Connel, 1993,23).

არსებობს მოსაზრება, რომ სქესთა ენობრივი სხვაობა მათი სოციალური არათანასწორუფლებიანობის პროდუქტია (Trömel-Plötz.1982.36). მიგვაჩნია, რომ არსებულ მრავალ თეორიათა შორის პირველ რიგში უნდა დავასახელოთ

“სქესთა სოციალური კონსტრუქციის თეორია”. ამ თეორიის მიხედვით სქესთა სხვაობას განსაზღვრავს არა ინდივიდუალური ქცევა, არამედ ინტერაქცია და სოციალური კონტექსტი (Hirschauer, 1994, 678). ის წესები თუ ნორმები, რომლებიც განაპირობებენ სქესთა ქცევებს, ნორმირებულია, თვით სქესთა კონსტრუქციის ცვლა კი ინდივიდზეა დამოკიდებული (Breitenbach, 2002, 27). სქესთა სოციალური კონსტრუქცია წარმოადგენს ვერბალურ და არავერბალურ ინტერაქციულ რეპროდუქციას (West/Zimmermann, 1991, 23). დასახელებული კონსტრუქციის მიხედვით, “სქესი” კულტურული და საზოგადოებრივი პროდუქტია (Krüger, 2002, 36).

სქესი სოციალური სტრუქტურის სოციალური არათანასწორუფლებიანობის მხოლოდ ნიშანია, სხვა კლასიფიკაციები, როგორცაა საზოგადოებრივი კლასი, ეთნიკური ჯგუფი, განსაზღვრავენ სოციალურ მდგომარეობას. სქესთა სოციალიზაციის საკითხში ვემხრობით “სქესთა განვითარებისა და დიფერენცირების პროცესის სოციო-კოგნიციურ თეორიას”, რომლის მიხედვით, აღნიშნული პროცესი ხდება საზოგადოებრივი ზეგავლენისა და ამ ზეგავლენის კოგნიციური გადამუშავების სამი ცენტრალური ფორმის საშუალებით:

- მოდელირებით
- ქცევითა და მისი შეფასებით
- პირდაპირი სწავლებით (Bussey/Bandura, 1999, 689).

მოდელირება მამაკაცებისათვის/ქალებისათვის ჩვეული ქცევების კონცეფციათა კონსტრუქციაა. ამ მზა კონსტრუქციების საშუალებებით ხდება საზოგადოების გავლენა ინდივიდზე.

მეორე კრიტერიუმისთვის – ქცევა და მისი შეფასება, მნიშვნელოვანია, რა ვერბალურ თუ არავერბალურ ქცევას ველით გოგონასაგან/ბიჭისაგან და როგორ აფასებენ ამ ქცევებს საზოგადოებაში.

მესამე ფორმა – პირდაპირი სწავლება – გულისხმობს, რომ ბავშვები მემკვიდრეობით იღებენ საზოგადოების მიერ საუკუნეების მანძილზე შემუშავებულ ნორმებსა და ფასეულობებს. ისინი სწავლობენ, რა არის გოგონასათვის/ბიჭისათვის, ნებადართული თუ აკრძალული, როგორია

“მამაკაცურობისა” და “ქალურობის” ნორმები, მათი პიროვნული და სოციალური “მე”-ს ელემენტები (Davies,1992,8). გენდერის თანამედროვე კონცეფციები მხარს უჭერს ჰიპოთეზას, რომ “ქალურობა” და “მამაკაცურობა” არ არის ინდივიდში მოცემული თვისებები, ისინი ჩვენი საზოგადოების სტრუქტურის ნაწილებია და ყალიბდებიან სოციალური ურთიერთობებიდან (Maihofer,2002.26).

რაც შეეხება სხვადასხვა სქესის წარმომადგენელთა შორის არათანასწორუფლებიანობის პრობლემის კვლევას, იგი ეყრდნობა შემდეგ თეორიებს:

- 1) „მდუმარე ჯგუფის თეორია“ იგივე „ქალთა თანამშრომლობისა და მამაკაცთა მეტოქეობის თეორია“
- 2) „სოციალური ინტერაქციის თეორია“
- 3) „სქესთა ენობრივი ფარდობითობის თეორია“
- 4) „ორი კულტურის თეორია“ (Herlinger, 1990, 38).

პირველი თეორია ანთროპოლოგიურია. მისი საფუძველია თეზისი – საზოგადოება ორგანიზებულია დომინანტობისა და დაქვემდებარების პრინციპით. ეს არის დამოკიდებულება ქალებსა და მამაკაცებს, თეთრებსა და შავებს, ბავშვებსა და ზრდასრულებს შორის და ა.შ. საზოგადოებაში დომინირებული ჯგუფი განსაზღვრავს ნორმებსა და ფასეულობებს. საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სფეროში პრიორიტეტულია ენობრივი დომინირება – „ვინც ენას ფლობს, ფლობს ძალაუფლებას“ (Spandl, 1998, 50). მეტყველების იერარქია პირდაპირ კავშირშია სოციალურ სტატუსთან და საზოგადოებრივ პოზიციასთან. შესაბამისად, მამაკაცს, როგორც დომინირებული სოციალური სტატუსის მქონე ფენომენს, მეტი უფლებები აქვს ენობრივ ნორმათა დადგენასა და გაკონტროლებაში. ქალს, დაქვემდებარებული ჯგუფის წარმომადგენელს, უმეტეს შემთხვევაში, მხოლოდ დუმილის უფლება რჩება (Spender, 1985, 68). აქ დუმილი არ ნიშნავს იმას, რომ ქალებს ინტელექტუალური ან ლინგვისტიკური თვალსაზრისით რაიმე პრობლემები აქვთ. საუბარია იმაზე, რომ ქალებს ხელი არ მიუწვდებათ გარკვეული ენობრივი ფორმების გამოყენებაზე. ქალი და კაცი ორი სხვადასხვა

მსოფლმხედველობის მქონე ფენომენია, მაგრამ გენდერული კვლევებისათვის მთავარია არა მიერ სამყაროს ხედვის დიფერენცირების საკითხი, არამედ, ამ დიფერენცირების საფუძვლების ანალიზი. ეჭვგარეშეა, რომ ქალებსა და მამაკაცებს შორის სექსუალური და რეპროდუქციული სხვაობა ბიოლოგიურადაა განპირობებული. დომინანტობისა და დაქვემდებარების პრინციპით შექმნილ საზოგადოებრივ-იერარქიულ კონსტრუქციას არანაირი ბიოლოგიური ბაზისი არ გააჩნია. არ შეიძლება მოეძებნოს ბიოლოგიური ახსნა, მაგალითად, იმ ფაქტებს, რომ:

- 1) გრამატიკული სქესის მქონე ენებში უპირატესობა ენიჭება ერთი სქესის ფორმას, მაგრამ მასში იგულისხმება როგორც მამრობითი, ასევე მდედრობითი სქესი. გერმანულ ენაში მამრობითი გრამატიკული სქესის დომინირებული გამოყენება სოციალურად აიხსნება.
- 2) მამაკაცებთან დისკუსიების დროს ქალები, უმეტესწილად იჩაგრებიან: მათ ხშირად აწყვეტინებენ საუბარს, აქვთ ნაკლები სასაუბრო დრო, მაშინ, როცა კაცები, საუბრის დროის არქონის შემთხვევაშიც, მაქსიმალურად ცდილობენ აზრი ბოლომდე დაასრულონ.
- 3) ქალები იშვიათად მონაწილეობენ საზოგადოებრივ დისკუსიებში. მათთვის ერთი მხრივ რთულია ამ სფეროში შეღწევა, მეორე მხრივ, დისკუსიებში ნაკლებად აქვთ საკუთარი აზრის გამოხატვის შესაძლებლობა. მას თავისი ახსნა აქვს: ქალი მიდრეკილია უფრო კოოპერაციისაკენ, ვიდრე შეჯიბრისაკენ. რადა, დისკუსიებში ყოველთვის იმ პირთა აზრი დომინირებს, ვისაც ვერბალური ბრძოლის მეტი უნარი ან უფლება აქვს.

სოციალური ინტერაქციის თეორიის მიხედვით, ინტერაქციაში სქესის ენობრივ ვარიაციაზე გავლენას ახდენს სიტუაციის ცვლა და ბიპოლარულ კონტრასტებთან დაკავშირებული სტერეოტიპული მამაკაცურობისა და ქალურობის ნორმები. მაღალი სტატუსი/დაბალი სტატუსი, დომინირებული/დაქვემდებარებული, რაციონალური/ემოციური და ა.შ. სოციალური ინტერაქციის მოდელი ინდივიდსა და დასახელებულ

კონტრასტებს შორის კავშირის მოდიფიცირებას ახდენს (Smith,1985.55). დასახელებული თეორია ყურადღებას ამახვილებს, თუ რა ენობრივი საშუალებებით ხდება მამაკაცთა დომინირებისა და ქალთა დაქვემდებარების ხაზგასმა, თვით ქალები და მამაკაცები რა ენობრივი საშუალებებით ცდილობენ ამ პოზიციების დაცვას ან შეცვლას.

სქესთა ენობრივი ფარდობითობის თეორიის მიხედვით ქალებისა და მამაკაცების მიერ სინამდვილის განსხვავებული აღქმა განაპირობებს მათ განსხვავებულ არტიკულაციას. ქალისა და მამაკაცის მეტყველების შესახებ არსებობს მეტაფორები, მყარი გამოთქმები, ანდაზები, მაგალითად: „არსებობს უამრავი საშუალება, რომ ქალს ლაპარაკი აიძულო, მაგრამ არც ერთი, რომ გააჩუმო“ (ბუშე) ან: „Ein Mann ein Wort“ (შილერი). იდიომატური გამოთქმები, ძირითადად დომინირებული ჯგუფის შეხედულებების, ნორმებისა და ფასეულობების საფუძველზე იქმნება და ისინი ფარდობით გავლენას ახდენენ სინამდვილის აღქმასა და, შესაბამისად, მოსაუბრის მსოფლმხედველობაზე (Herlinger, 1990.42).

გენდერული ლინგვისტიკის უახლესი კვლევები ეყრდნობა მალც/ბორკეს (Maltz/Borker, 1991) “ორი კულტურის თეორიას”. ეს თეორია, თავის მხრივ, ეფუძნება ი. გამპერცის (Gumperz, 1982) ამავე სახელწოდების თეორიას, რომელიც ეხება სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენელთა ენობრივი ინტერაქციას. ინტეკულტურული კომუნიკაციის დროს პრობლემები წარმოიშვება არა ენობრივი შეცდომების გამო (გრამატიკული თუ სემანტიკური შეცდომები ამ დროს დასაშვებია და მისაღებია), არამედ ცალკეული ენობრივი ქმედებების განსხვავებული ინტერპრეტაციით. გამპერცმა ენათმეცნიერებაში დაამკვიდრა ტერმინი “Kontextualisierungshinweise” – მითითება კონტექსტის შესახებ. მოსაუბრე თავისი გამოხატულებებით გვაწვდის კონტექსტუალურობის ნიშანს, ამით რეციპიენტს აძლევს სიგნალს, თუ როგორ უნდა გაუგოს მას. კონტექსტუალურობა შეიძლება იყოს გამოხატული ხმის გაძლიერებით, გარკვეული სემანტიკური კონსტრუქციებით, ცნებების არჩევით, ინტენციით. განსხვავებული კონტექსტუალური ნიშნების არსებობა არის ინტერკულტურულ კომუნიკაციაში გაუგებრობისა და კომუნიკაციური

შეცდომების მიზეზი (Ayañ 2008,85). ამ თეორიის მიხედვით, ქალი და მამაკაცი გენდერთი განპირობებული სხვადასხვა სუბკულტურული ფენომენებია და სწორედ ეს არის მათი ენობრივი სხვაობის მიზეზი. ორი კულტურის თეორიის ძირითადი ჰიპოთეზებია:

1) გოგონები და ბიჭები სხვადასხვა კულტურულ სფეროში იზრდებიან და სქესისთვის სპეციფიკურ ინტერაქციის ნიშნებს 5-15 წლის ასაკში ავლენენ.

2) ქალთა და მამაკაცთა კომუნიკაცია კულტურათაშორისო კომუნიკაციაა (Maltz/Borker.1991.152).

დასახელებული თეორია განივრცო მოსაზრებით – ბიჭები/ მამაკაცები უპირატესობას ანიჭებენ ინფორმაციის სფეროს, ხოლო გოგონები/ქალები საურთიერთო სფეროს. საუბრის დროს დომინირებს ხან ერთი, ხან მეორე სფერო. კომუნიკაციაზე დიდ გავლენას ახდენს სიტუაცია და სასაუბრო თემა. სოციო-ლინგვო-კონფლიქტი წარმოიშობა მოსაუბრე გოგონასა და მოსაუბრე ბიჭს შორის დასახელებული სფეროების შერევით. ინტერაქციაში მონაწილენი ამ პროცესს ან აცნობიერებენ, ან – არა (Tannen, 1991, 165). დასახელებული მოსაზრება მრავალ რეცენზიაში გააკრიტიკეს, მაგრამ მას აქტუალურობა არ დაუკარგავს, ის დღემდე ენათმეცნიერებასა და სოციოლოგიაში გოგონებისა და ბიჭების ვერბალური ენის განსხვავების საფუძველია.

2.4. ვერბალური და არავერბალური ენის გენდერული კვლევის ფსიქოლოგიური ასპექტები.

ფსიქოლოგიაში გენდერული კვლევები დაიწყო ბიოლოგიურ-ფსიქოლოგიური და სოციოკულტურული ფაქტორებით განსაზღვრული ემოციების კვლევით. ფსიქოლოგიაში ემოციურობის სისტემურ დონეებად ითვლება:

- ორგანულ-ფიზიოლოგიური დონე: ნევრონალური სისტემა, ენდოკრინოლოგიური სისტემა, იმუნური სისტემა, ჰორმონალური რეგულაცია, ჰომესტაზის ფიზიოლოგიური ფორმა.

- ფილოგენეტიკური დონე: ქცევა, იმპულსები, ინსტიკტი, ჰომესტაზის ბიობიჰავიორული ფორმა.
- ფსიქოლოგიური დონე: ქცევათა სქემა (სენსომოტორული დონე, სიმბოლური დონე), „მეს“ შეგრძნება, „საკუთარი კონცეპტი“.
- მიკროსოციალური დონე: ჯგუფი და ინტერპერსონალური ურთიერთობები
- მაკროსოციალური დონე: საზოგადოებები, საზოგადოებრივი ქცევის სტანდარტები
- კულტურული დონე: მენტალობა, კულტურული „კლიმატი“, წესრიგის სიმბოლური პრინციპები, ქცევის სტანდარტები, ნორმათა სისტემა, კოლექტიური „ჭეშმარიტება“, კოლექტიური შეგრძნებები, მაგ., რელიგიურობის შეგრძნება (Wimmer, 2008, 80).

დასახელებულ დონეებს შორის კავშირი უწყვეტია. მაგ., ემოცია უკავშირდება ქცევებს, რომლებიც ინსტიკტებით იმართებიან. ინსტიკტი გენეტიკაში დევს და აქვს ბიოლოგიურ-ფიზიოლოგიური ნიშნები (მაგ: სპეციფიკური ჰორმონალური სტატუსი, ადრენალინის გამოყოფა, კუნთების მომატებული დაჭიმულობა და ა.შ.).

სოციოფსიქოლოგიური თვალსაზრისით ემოციის წარმოშობაში ჩართულია მთელი რიგი სოციალური პროცესები: მსჯელობა, შეფასება, დარწმუნება, ინტერპრეტაცია. ამ შემთხვევაში ემოცია არაა სუფთა ბიოლოგიური ფენომენი, სუბიექტი თავისუფალია ემოციის ინდივიდუალურ გამოხატვაში.

ცენტრალური მნიშვნელობა აქვს ადამიანურ ენას. დროის ან საზოგადოებრივი ფენის სპეციფიკური ენა ემსახურება გარკვეული კულტურებისა და სოციალური ჯგუფების ემოციების გამოხატვას. (Lewis/Saarni, 1985, 8). არსებობს გარკვეული სოციოკულტურული საზღვრები და პირობები, რომელთა მიხედვით განსაზღვრულია, რომელი კონკრეტული ქცევით უნდა მოხდეს კონკრეტულ სიტუაციაზე რეაგირება. არსებობს წესი, მაგ., „მამაკაცები არ ტირიან“, „ქალმა არ უნდა გამოამყდავოს სიბრაზე“, ამ წესის შედეგად

შეიძლება შეიცვალოს ბუნებრივი ქცევა, სახის გამომეტყველება და მთლიანი ემოციური ექსპრესიულობა (Wimmer, 2008, 85).


გენდერული კვლევის ფსიქოლოგიური საფუძვლები თანამედროვე ეტაპზე ეყრდნობა განწყობის თეორიას. იგი საშუალებას გვაძლევს გენდერული ცნობიერების ფორმირების მექანიზმები და სტრუქტურა განვიხილოთ ადამიანის მთელი ფსიქიკური აქტივობისა და განვითარების პოზიციიდან. სავარაუდოდ, განწყობის მექანიზმის საფუძველზე ხდება ქალებისა და მამაკაცების თანაარსებობის ძირითადი პრინციპების ასახვა ფსიქიკაში. გენდერული სტერეოტიპების, როგორც გენდერული ცნობიერების, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტის საფუძველს ფიქსირებული განწყობა წარმოადგენს (წერეთელი, 2004, 186).

სქესობრივი იდენტობა ფსიქოლოგიაში ცნობილია ფსიქოლოგიური სქესის სახელწოდებით (Hannover, 1997, 28). სქესთა როლი გარკვეულ ფსიქოლოგიურ კონტექსტზეა დამოკიდებული, იგი აქტუალური კონტექსტის მიხედვით იცვლება (Schreyer, 2008, 35). კოგნიციური ფსიქოლოგია, იგივე პროტოტიპების თეორია, ადამიანის კოგნიციური პროცესების ანალიზს წარმოადგენს (Kesselheimer, 2003, 72). ენის დონეებიდან ლექსიკური მარაგი ემსახურება არა მხოლოდ ინფორმაციის გადაცემას, მასში ჩადებულია მოსაუბრის განწყობა, პიროვნებებისა და მოვლენების მისეული შეფასება. ენობრივი სახელდებები მაგ., Dame, Jungfrau ან Schlampe დენოტატიურად ერთი მნიშვნელობისაა, მაგრამ, არა კონოტატიურად. მაგ., სიტყვა „წარმატებული“ არა მხოლოდ ისტორიულად, არამედ თანამედროვე სამყაროშიც ასოცირდება მამრობითობასთან (82%), რაც საზოგადოებაში მამაკაცთა სოციალური პრესტიჟით აიხსნება (გრაფიკი 1.). მაგ., სტატისტიკური მონაცემებით, ცნება „ტიპური ქალი“ ასოცირდება დედასთან (21%), დიასახლისთან (29%), მეუღლესთან (26%) და არა – „წარმატებულ პიროვნებასთან“ (გრაფიკი 2.).

ფსიქოლოგიურად დადასტურებულია, რომ ქალი და მამაკაცი სინამდვილეს განსხვავებულად აღიქვამენ. აღქმის პროცესი კოგნიციური ნიშნებით იმართება. ხდება ინფორმაციის მიღება, გაფილტვრა და


დახარისხება. კომუნიკაცია აღქმის ფიზიკური საშუალებაა. აღქმა ცნობიერების მოდუსია, ხოლო კომუნიკაცია საზოგადოებრივი ქმედებების მოდუსი (Luhmann, 1988, 580).

გრაფიკი 1. (Manngasser-Wahl, 1999, 202)



- 1. Weiblich 15%
- 2. Weiblich/männlich 3%
- 3. Männlich 82%

გრაფიკი 2. (Manngasser-Wahl, 1999, 193)



- 1. Hausfrau 29%
- 2. Ehefrau 26%
- 3. Mutter 21%
- 4. Frau 9%
- 5. Dame 6%
- 6. Hexe 6%
- 7. Weib 3%


აღქმა მხოლოდ და მხოლოდ კომუნიკაციის დროს იქცევა სოციალურ ფენომენად. მისი სტრუქტურა იქმნება სოციალიზაციის დროს, ამ სტრუქტურის მოდელირება ხდება სემანტიკური ნიშნებით და სქემებით. ასეთი ნიშნების თუ სქემების აღქმის პროცესში ხდება სელექციური გამოძახება (Pasero 2003, 110). მათი საშუალებით იქმნება კოგნიციური გარემო, რომელშიც ხდება რაღაც ახალისა და უცხოს წინასწარი განჭვრეტა. მსგავსი ნიშნები და სქემები სტერეოტიპებია, მათ ქმნის სოციალური მოლოდინი. ადამიანი, თავისდაუნებურად, ახდენს გარემოს კატეგორიზირებას, ახარისხებს პიროვნებებს, ცხოველებს და სხვა ობიექტებს ერთ დიდი მთლიანობაში. ამით თითქოს ცდილობს გაამარტივოს სამყაროს აღქმის პროცესი. ამ გამარტივებაში იმალება სტერეოტიპების და ცრურწმენათა ჩამოყალიბების საშიშროება (Spreckels, 2008, 40). უნდა აღინიშნოს, რომ სტერეოტიპი არაა კატეგორიის იდენტური, ის გარკვეული წარმოდგენაა კატეგორიაზე (Quasthoff, 1973, 28).

გენდერის კვლევისათვის მნიშვნელოვანია კომუნიკაციის პროცესში განხორციელებული აღქმა. ხდება სიტუაციაში გენდერული სტერეოტიპების გააქტიურება. აღქმის შემდეგ ფსიქოლოგიური კვლევის საფუძველია ქცევა. სტერეოტიპები და საზოგადოებაში მიღებული წარმოდგენები ქალისა და მამაკაცის ქცევის შესახებ კიდევ უფრო აღრმავებს სქესთა დიფერენციაციას. გენდერული სტერეოტიპები ფაქტობრივად იგივეა, რაც სოციალური ნორმები, ისინი განსაზღვრავენ ადამიანის ქცევას საზოგადოებაში. ინდივიდის ქცევები ბიოლოგიურ სქესს უნდა შეესაბამებოდეს. ადამიანი ცდილობს მოიქცეს იმ სტერეოტიპების შესატყვისად, რომლებიც მისი სქესის შესაბამისად მიიჩნევა და მის კულტურაშია მიღებული. ემპირიულად დადგენილია, რომ მამაკაცის ტიპური თვისებებია: იყოს დამოუკიდებელი, დომინანტური, აქტიური. ამ თვისებებს „ინსტრუმენტულ“ თვისებებს უწოდებენ. ქალის ტიპური თვისებებია: იყოს მეგობრული, მგრძობიარე, ემოციური. ეს “ექსპრესიული” თვისებებია. გამოკითხვის შედეგები განზოგადებულია გრაფიკის (Diekmann/ Eoyly, 2000, 1171) (გრაფიკი 3.)⁵ სახით.

გრაფიკიდან ჩანს: სტერეოტიპულ ქალში ექსპრესიულობის ხარისხი ინსტრუმენტალურობის ხარისხზე უფრო მაღალია, მამაკაცებში – პირიქით, ინსტრუმენტალურობის ხარისხი უფრო მაღალია, ვიდრე ექსპრესიულობისა. საკუთარი თავის დახასიათების დროს კი ეს განსხვავება მინიმუმამდეა დაყვანილი. ქალებიც და მამაკაცებიც თვლიან, რომ მათში ინსტრუმენტული და ექსპრესიული თვისებები თანაბრადაა.

⁵ გრაფიკში მოცემულია, რა მიაჩნიათ ადამიანებს ქალისა და მამაკაცის ტიპურ თვისებებად (Stereotyp Frau, Stereotyp Mann) და რამდენად შეესაბამებიან გამოკითხვაში მონაწილე ადამიანები ამ ტიპებს (Selbstbild). ექსპრესიული თვისებები აღნიშნულია მუქი ფერით, ინსტრუმენტული ღია ფერით. სქემის მარცხენა მხარეს მოცემულია ექსპრესიული და ინსტრუმენტალური თვისებების პროცენტული აღწერა.


გრაფიკი 3.



საინტერესოა, როგორი იყო ქალურობისა და მამაკაცურობის სტერეოტიპები წარსულში, როგორია აწმყოში და როგორი იქნება სამომავლოდ. შემდგომი გრაფიკი (Abele 1995,123) (გრაფიკი 4.) გვიჩვენებს დასახელებული კვლევის მონაცემებს⁶. კვლევის შედეგები გვიჩვენებს ვარაუდს, რომ სამომავლოდ ქალში მოიმატებს ინსტრუმენტული თვისებები, ხოლო კაცში – ექსპრესიული.

⁶ ექსპრესიული და ინსტრუმენტული თვისებები აღნიშნულია სხვადასხვა ფერით, მოცემულია თვისებათა პროცენტული აღწერა წლების მიხედვით.

გრაფიკი 4.



ფსიქოლოგიური კვლევის შემდგომ საფუძველს ქმნის გენდერული როლი. გენდერული როლი ეწოდება სოციალური ნორმების ერთობლიობას. ისინი გვაძლევენ ინფორმაციას ორივე სქესისთვის დამახასიათებელ თვისებებზე.

სოციალური დარგის ფსიქოლოგების აზრით, ჩვენი გენდერული როლებისადმი „დამორჩილება“ გამოწვეულია ორი ძირითადი ფაქტორით: 1) ნორმატიული ზეწოლით, 2) ინფორმაციული ზეწოლით.

ნორმატიული ზეწოლა ადამიანის იძულებაა გაამართლოს საზოგადოების მოლოდინი და მოიქცეს თავისი გენდერული როლის შესაბამისად, ანუ ისე, როგორც ეს მიღებულია საზოგადოებაში. ინფორმაციული ზეწოლა გულისხმობს აღნიშნულ საკითხზე მეტი ინფორმაციის მიღებას, ცოდნის გაღრმავებას, სოციალური მოვლენის მიმართ გარკვეული პოზიციების

დაკავებას. ასეთ შემთხვევაში განმსაზღვრელია საზოგადოების მიერ შემუშავებული ინფორმაცია (Берн, 2002, 32).

თანამედროვე საზოგადოებაში თანდათან ხდება ზემოხსენებული ინფორმაციის, ქალისა და მამაკაცის ტრადიციული როლის გადაფასება, სტერეოტიპების რღვევა. ადრე ქალები იძულებულნი იყვნენ მამაკაცებისაგან მიეღოთ ფიზიკური დაცვა და ეკონომიკური მხარდაჭერა. ქალს ეკისრებოდა ბავშვის გაჩენა და გაზრდა. დღეს ქალი ცდილობს დედის როლს შეუთავსოს საქმიანი ქალის როლიც. ეს განსაკუთრებით საგრძნობია დასავლეთის ქვეყნებში. ამგვარი ტენდენცია საქართველოშიც შეიმჩნევა. ბოლო დროს შეინიშნება პრესტიჟულ თანამდებობებსა თუ რთული ტექნოლოგიების მქონე საწარმოებში მომუშავე ქალების პროცენტული მაჩვენებლის საგრძნობი ზრდა (მახათაძე, 2006, 114).

ამრიგად, გენდერის ფსიქოლოგიურ ასპექტებს განაპირობებენ:

- აღქმა და აღქმის პროცესი
- ინდივიდის ქცევა
- ემოციების ბიოლოგიური, ფსიქოლოგიური, სოციოკულტურული კვლევა
- დროისა თუ საზოგადოებრივი ფენის სპეციფიკური ენის არსებობა, რომელიც ემსახურება კულტურებისა და სოციალური ჯგუფების ემოციების გამოხატვას
- ფიქსირებული განწყობა, სტერეოტიპები, როგორც გენდერული ცნობიერების კომპონენტი.

2.5. დისკურსის გენდერული კვლევის ტექსტობრივ-გრამატიკული ასპექტები

ენაში ქალისა და მამაკაცის თანასწორუფლებიანობის ფაქტებს ე.წ. ფემინისტური ლინგვისტიკა იკვლევს. მიჩნეულია, რომ სამყაროს სურათი მამაკაცის თვალსაზრისის მიხედვითაა დაფიქსირებული, ამიტომ ენა არა მარტო ანთროპოცენტრული, ე.ი. ადამიანზე ორიენტირებულია, არამედ ანდროცენტრული, ე.ი. მამაკაცზე ორიენტირებულიც (ქურდაძე, 2012, 77). არსებობს მოსაზრება, რომ არათანასწორუფლებიანობის ტექსტობრივი დადასტურება უფრო თვალსაჩინო გრამატიკული სქესის მქონე ენებშია. ამ თვალსაზრისით კარგადაა შესწავლილი გერმანული ენა. ქართულ ენას არ აქვს გრამატიკული სქესი, ამიტომ ქართული ლიტერატურა და ფოლკლორი გენდერული ასიმეტრიის და, საერთოდ, გენდერული კუთხით კვლევისათვის მეტად სპეციფიკურ მიდგომას და მრავალი ფაქტორის გათვალისწინებას მოითხოვს. ენაში გენდერული ასიმეტრიის უნივერსალური დადასტურება განსაკუთრებით მძაფრად ჟარგონსა და უპატივცემულო გამოთქმებში ვლინდება. მსგავსად სხვა ენებისა, ქართული ჟარგონიც ანდროცენტრულია. მასში მამაკაცი დომინანტია და მრავალი ტერმინი მხოლოდ მამაკაცს აღნიშნავს. მაგ., განაზი, მასტი, ტიპი, სვოი ბიჭი, ძველი ბიჭი და ა.შ. ნათესაობის აღმნიშვნელი ისეთი ჩვეულებრივი სიტყვაც კი, როგორცაა „ბიძა“, ჟარგონში დამატებით დადებით მნიშვნელობას იძენს. კერძოდ, ბიძა – მფარველი, პროტექტორია მაშინ, როდესაც ქალი უმთავრესად ნეგატიურ კონტექსტში, ზოგჯერ დაცინვითაც მოიხსენიება: ევას პავაროტი – უკანალი, მამაშა – ქალი რომელიც გარკვეული თანხის საფასურად კაცს აკავშირებს მეძავთან და ა.შ. (ქურდაძე, 2012, 77–78)⁷.

გერმანული ენაც „მამაკაცურია“ (Männersprache), სამყაროს მამაკაცისეულ ხედვას გადმოგვცემს (Schoenthal, 1985, 143). დისკრიმინაციის ენობრივი ფაქტები კონკრეტულ სიტუაციაში სიტყვიერად გამოიხატება. გერმანული ენის სისტემაში ქალთა დისკრიმინაცია, სქესთა არათანასწორობა უძველესი

⁷ რ. ქურდაძეს ჟარგონის ნიმუშები მოჰყავს ლ. ბრეგაძის „ქართული ჟარგონის ლექსიკონიდან“, თბ. 2005.

დროიდან მოდის (Miles, 1990, 11). რატომ ქმნის ესა თუ ის ენა გრამატიკული სქესის სისტემას, რა სემანტიკური, ფსიქოლოგიური თუ კულტურული ფაქტორები განაპირობებენ იმას, რომ გერმანულ ენაში მთვარე (der Mond) მამრობითი სქესისაა, ხოლო ფრანგულ ენაში (la lune) მდედრობითის (Ulrich, 1988, 389). მკვლევართა უმეტესობა (მაგ: Spand, 1998; Pusch, 1984/1994; Herlinger, 1990) თვლის, რომ გრამატიკული სქესის სისტემა ასახავს პატრიარქალური სამყაროს წყობას, რომელშიც მამაკაცი დომინირებს, როგორც „Herr“, ხოლო ქალი მას ექვემდებარება. გერმანული ენის სისტემაში უპირატესობა ენიჭება მამრობით სქესს, მამაკაცური უპირატესობის იდეოლოგიას. მამრობითი ყოველთვის პირველადი, მაღალი რანგის კატეგორიაა (Wienold, 1967, 147).

გერმანულ ენას სამი გრამატიკული სქესი აქვს: მდედრობითი, მამრობითი, საშუალო. არსებითი სახელი ყოველთვის გარკვეული გრამატიკული სქესისაა (მაგ, die Mutter, der Vater, das Kind). გაარსებითებულ ზედსართავი სახელსა და მიმღებებს (პარტიციპიებს) ორი სქესი აქვს. მაგალითად:

krank-die/der Kranke.

studieren-die/der Studierende

გრამატიკული სქესი ძირითადად ნებისმიერია: die Gabel, der Löffel, das Messer, das Huhn. გამონაკლისია ა) სულიერ არსებათა აღმნიშვნელები, როცა ხდება შეთანხმება ბიოლოგიურ და გრამატიკულ სქესებს შორის (die Tante/der Onkel). ბ) დღეების, თვეების, წელიწადის დროების აღმნიშვნელი სახელები მამრობითი სქესისაა, გ) სიტყვათწარმოების ის სფერო, სადაც გრამატიკული სქესი მორფოლოგიურადაა მოტივირებული, მაგალითად keit,-heit – მდედრობითი (die Freiheit), -er-მამრობითი (der Bäcker), -chen-საშუალო სქესი (das Mädchen).

ცვლადი გრამატიკული სქესის სიტყვათა კლასს გერმანულ ენაში ქმნიან არტიკლები, ზედსართავი სახელები, ნაცვალსახელები (მორფოლოგიური ცვლადობა თავს იჩენს მხოლოდ მხოლოდობითი რიცხვის მე-3 პირში (sie,er,es).

არტიკლის მონაცვლე ნაცვალსახელები გვიჩვენებენ სახელის გრამატიკულ სქესს.

კუთვნილებითი ნაცვალსახელები მფლობელის გრამატიკული სქესის მიხედვით იცვლება, მაგალითად:

Martha - ihr Buch/ihre Arbeit

Martin – sein Buch/seine Arbeit.

ენაში სქესთა სოციალურ იერარქიას კარგად გამოხატავს პიროვნების აღმნიშვნელი არსებითი სახელები. ისინი ემსახურებიან ადამიანთა იდენტიფიცირებასა და დახასიათებას, მიუთითებენ ინდივიდის ან ჯგუფის სპეციფიკურ, სტატისტიკურ თუ დინამიკურ თვისებებზე.

მნიშვნელოვანია დადგინდეს, რა ენობრივი საშუალებებით ხდება გერმანულ ენაში ქალისა და მამაკაცის გამოხატვა. განსხვავდება:

- სქესით განსხვავებული პიროვნების აღმნიშვნელი არსებითი სახელები – აქ სქესი ფორმალურია (მორფოლოგიური ან სემანტიკური კრიტერიუმებითაა განსაზღვრული), მაგალითად, die Sängerin, die Schwester, der Sänger, der Bruder
- სქესობრივად ნეიტრალური პიროვნების აღმნიშვნელი არსებითი სახელები – აქ არ კონკრეტდება პიროვნების ბუნებრივი სქესი, მაგალითად, das Kind, die Person. კატეგორიის რეალიზება გერმანულ ენაში სხვადასხვა საშუალებებით ხდება. ზედსართავი სახელებისა და მიმღეობებისაგან ნაწარმოები პიროვნების სქესი აღინიშნება გრამატიკული სქესით:

die Kranke / der Kranke

die Vorsitzende / der Vorsitzende

eine Angestellte / ein Angestellter

მრავლობით რიცხვში მდედრობითი და მამრობითი ფორმები ერთმანეთის იდენტურია – die Kranken, die Vorsitzenden, die Angestellten. სქესის გამოხატვის აუცილებელ შემთხვევაში მიმართავენ ლექსიკურ საშუალებებსაც, მაგალითად:

weibliche Kranken / männliche Kranken

უმეტეს შემთხვევებში შესაბამისობაა ბუნებრივ სქესსა და გრამატიკულ სქესს შორის. თუმცა გვხვდება ისეთი სიტყვებიც, სადაც ეს შესაბამისობა დაცული არ არის, მაგალითად: das Weib, das Fräulein, das Mädchen, die Memme, das Männlein, das Kerlchen.

გერმანულ ენაში შესაძლებელია პიროვნების სქესის განსაზღვრა სქესის გამომხატველი ზედსართავი სახელების (männlich/weiblich) კომბინირებით, მაგ:

Weibliche Person / männliche Person

Weibliches Genie / männliches Genie.

თუ სახელი გამოხატავს ერთ კონკრეტულ სქესს, მაგალითად, der Chirurg, მდებრობით სქესის განსაზღვრისათვის მოვიშველიებთ სემანტიკურ, მორფოლოგიურ ან ლექსიკურ საშუალებებს. მაგალითად:

Der weibliche Chirurg ან die Chirurgin.

ენაში არსებული გრამატიკულ სქესთა სისტემა საშუალებას იძლევა ქალები და მამაკაცები ენობრივად ერთმანეთისაგან კარგად განსხვავდეს. ეს საშუალებას იძლევა დაფიქსირდეს საზოგადოების პატრიარქალურ-ასიმეტრიული პროპორციები, ხაზი გაესვას სქესთა შორის არათანასწორობას (Herlinger, 1990,83) გრამატიკული მამრობითი სქესი და მამაკაცი როგორც რეფერენტი ნორმაა, ხოლო მდებრობითი სქესი და ქალი როგორც რეფერენტი გამონაკლისია (Frank,1992.130).

გერმანულ ენაში მამრობითი სქესის პრიორიტეტი შემდეგნაირად დასტურდება:

– პროფესიისა და თანამდებობების აღმნიშვნელი სიტყვები მამრობითი სქესისაა, მაგალითად, der Bauherr, der Arbeitgeber, der Beamte, der Minister, der General, der Kapitän, der Dienstherr და ა.შ. (Frau X ist der Bauherr dieses Projektes).

– სახელებსა და ზმნებს, რომლებიც ქალებს, მათ თვისებებს ან აქტივობას გამოხატავენ, ხშირად უარყოფითი კონოტაციები და ასოციაციები ახლავთ, ხოლო შესაბამისი მამრობითი სქესის სახელები (თუ ეს ფორმები ენაში არსებობს) პოზიტიურადაა შეფასებული, მაგალითად, ქალს აქვს „Eine böse Zunge“, მამაკაცი, ასეთ შემთხვევაში, სარკასტული და ირონიულია. ქალები: klatschen, ratschen, gacken, wimmern, მამაკაცები კი-reden.

– მდედრობითი სქესის ფორმები, მამრობითი სქესის ფორმებისაგან “in” სუფიქსის საშუალებით იწარმოება, მეტწილად, როცა ისინი ზმნისაგან ან არსებითი სახელისაგან იწარმოებიან, მაგალითად:

erziehen (Verb) → Erzieh-er (m)

→ Erzieh-er-in (f)

Wissenschaft (Nomen) → Wissenschaft - ler

→ Wissenschaft – ler – in

– ქალისათვის დამახასიათებელი პროფესიის სახელები, როგორცაა, საბავშვო ბაღის აღმზრდელი, ან ბებიქალი, მამაკაცებისათვის ნაკლებად საინტერესოა. ამ პროფესიაში ამჟამად მამაკაცებიც გამოჩნდნენ. პროფესიის შესაბამისი მამრობითი სიტყვა შეიქმნა არა მდედრობით ფორმაზე დაყრდნობით, არამედ ახალი სიტყვებით: Der Erzieher, der Sozialhelfer, der Geburtshelfer.

ფემინისტური ლინგვისტიკის წარმომადგენლები თვლიან, რომ ყოველივე ზემოთქმული პატრიარქალურ ენის წყობას შეესატყვისება, რომლის მიხედვით მდედრობითი სქესის სახელისაგან დაუშვებელია მამრობითი სქესის წარმოება (Herlinger, 1990, 75).

– ბევრი სალანძღავი სიტყვა მხოლოდ ქალის მიმართ გამოიყენება; მაგალითად: Kaffeetante, Unschuld von Lande, Nervensäge, Marktweib, Giftnudel, dumme Gans, dicke Nudel (Pusch, 1997, 125-126).

– მამაკაცი ითვლება ნამდვილ ადამიანად, ქალი ნაგულისხმები ადამიანია, მაგალითად:

- Die Männer der ersten Stunde;
- Der Glaube unserer Väter;
- Der Kunde ist König;
- Alle Menschen werden Brüder (Trömel-Plötz, 1979, 56).
- Ab dem 18. Lebensjahr kann jeder wählen gehen.
- Die Woche der Brüderlichkeit hat begonnen.
- Vereinsbruderschaften.
- Jeder kann Papst werden.

- Die Bürger sind wahlmüde.
- Immer weniger Deutschen entscheidet sich für die Bundeswehr (W.L. Spandl. 2002, 3.)

– ხშირად, ადამიანის აღმნიშვნელი სიტყვა „Der Mensch“ მხოლოდ კაცის მნიშვნელობით გამოიყენება, მაგალითად:

- Ein Mensch ohne Frau ist eigentlich kein Mensch (E. Sorg, 1988.15)
- Und Gott der Herr sprach: Es ist nicht gut, dass der Mensch allein sei, ich will ihm eine Gehilfin machen, die um ihr sei (Bibel. Genesis 2; 18).
 - Und Gott der Herr baute ein Weib aus der Rippe, die er von dem Menschen nahm (Bibel.Genesis2,22)
 - Da sprach der Mensch: Das ist doch Bein von meinem Bein und Fleisch von meinem Fleisch (Bibel.Genesis2,23).
 - So ist die Frau Manne von Natur aus untergeordnet, denn im Mensch herrscht stärker vernünftige Unterscheidungsfähigkeit vor“ (Thomas von Aquin 1941).

ფილოსოფიაში ასეული წლების განმავლობაში ქალის ინტელექტუალური შესაძლებლობები შეზღუდულად ფასდებოდა. მაგალითად:

„In allem aber ist die Frau schwächer als Mann“ (Platon, Politei 455 d).

„Das schöne Geschlecht hat ebenso wohl Verstand als das männliche, nur ist es ein schöner Verstand, der unser soll ein tifer Verstand sein“ (Kant 1764, 229).

თითქმის ნებისმიერი გერმანულენოვანი გაზეთი სავსეა წინადადებებით, სადაც მდებარეობთი სქესი, თითქოსდა, იგნორირებულია, მაგალითად:

- Stickkurse für Kunden.
- Mediziner behandeln Patienten mit Brustkrebs.
- Eine Gruppe von Aktiven besteht aus sieben Mann, darunter zwei Frauen. (Badische Zeitung 2002)

არსებობს მაგალითები, რომლებშიც განსაკუთრებით კარგად ჩანს იერარქიული დამოკიდებულება გრამატიკულ სქესებს შორის:

(1) Die Zuhörer dieser Sendereihe kennt ihren Villa-Labos, liebt ihren Segovia und spielt selbst klassische Gitarre.

(2) Jeder Passagier möge ihren Platz identifizieren.

(3) Wir brauchen jemaligen, die ihren Mann steht.

(4) Man erlebt ihre Schwangerschaft und Geburt jedes Mal anders.

(5) Jemand kann ihren Beitrag für das ganze Seminar vervielfältigen.

(6) Wer hat ihren Lippenstift im Bad gelassen? (Trömel-Protz, 2002, 56-57).

ფემინისტური ლინგვისტიკის წარმომადგენლებს ასეთი წინადადებები გრამატიკულად გაუმართავად მიაჩნიათ. არსებითი სახელი – der Zuhörer, ასევე ნაცვალსახელები: jeder, jemand, man, wer სქესის მიხედვით განუსაზღვრელია ისინი გამოიყენებიან მაშინ, როცა რეფერენტის ბიოლოგიური სქესი მეორეხარისხოვანია ან საუბარია შერეულ ჯგუფზე. მიაჩნიათ, რომ ეს განუსაზღვრელი ფორმები მამრობითი სქესის იდენტურია. მათ გვერდით გვხვდება მდედრობითი სქესის ფორმებიც, მაგალითად: die Zuhörerin, jede და ა.შ. პირველი წინადადება გრამატიკულად გამართული იქნებოდა ასე: „Der Zuhörer dieser Sendereihe kennt seinen Villa-Labos, liebt seinen Segovia und spielt selbst klassische Gitarre“.

ეს წინადადება გრამატიკულად გაუმართავი დარჩება, თუ რეფერენტის სქესი მდედრობითია. Der Zuhörer შესაძლებელია მსმენელი ქალიც იყოს და მამაკაციც, ან მხოლოდ მამაკაცი. მდედრობითი სქესის რეფერენტის გამოსახატავად ამ წინადადებაში გვჭირდება გარკვეული ცვლილებების შეტანა, მამრობითისთვის – არა. მაგალითად, (2) წინადადება ასე შეიცვლება: Jede Frau möge ihren Platz identifizieren. ან (10) წინადადება ასე- Wir brauchen eine Frau, die ihren Mann steht.

(4), (5) წინადადებებში სემანტიკური რეფერენტი ქალია, მაგრამ განუსაზღვრელი კუთვნილებითი ნაცვალსახელები მამრობითი ფორმების იდენტურია. აღნიშნული წინადადებები უმჯობესია შემდეგნაირად შეიცვალოს:

Die Frau erlebt ihre Schwangerschaft und Geburt jedes Mal anders.

Eine von euch hat ihren Lippenstift im Bad vergessen.

როცა ცნობილი არ არის რეფერენტთა არც სქესი და არც რიცხვი, მაშინ გერმანულ ენაში გამოიყენება „er“ პირის ნაცვალსახელი. იგია მამრობითი, მდედრობითი და მრავლობითი რიცხვის რეფერენტთა აღმნიშვნელი, მაგალითად:

Jemand war an der Tür, er hat aber nur leise geklopft und nicht geklingelt.

უკეთესი იქნებოდა დასახელებულ წინადადებაში გამოყენებული ყოფილიყო მრავლობითი რიცხვის ნაცვალსახელი, რომელიც ნაკლებად ანსხვავებს მამრობით და მდედრობით რეფერენტს, ასე მაგალითად:

Jemand war an der Tür, sie haben aber nur geklopft und nicht geklingelt.

ქალთა დისკრიმინაცია შეიმჩნევა, აგრეთვე, მიმართვის ფორმებშიც. მაგალითად, "Dame" ყველა ქალისათვის შესაფერისი მიმართვა არ არის. იგი ღირსეულ ქალს აღნიშნავს, რომელსაც ფული ან მაღალი სოციალური სტატუსი აქვს. მიმართვა „Herr" – საყოველთაოა, ასე შესაძლებელია მიმართო ნებისმიერ მამაკაცს, მიუხედავად იმისა, რომ ეს სიტყვა, ზუსტად, სოციალურად მაღალი ფენის მამაკაცს ნიშნავს. კაცს მივმართავთ, მაგალითად ასე: „Herr Müller“, მაგრამ ქალს, არა „Dame Müller“, არამედ „Frau Müller“. „Mann" da „Frau" ბიოლოგიურ, ხოლო "Dame" da „Herr" სოციალურ ცნებებს გამოხატავენ. შესაბამისად, ქალს ბიოლოგიური, ხოლო კაცს სოციალური ცნების აღნიშვნით მივმართავთ. ეს ფაქტიც ენაში ქალთა დისკრიმინირებული მდგომარეობის დასტურად ითვლება (Rungius, 2000, 8).

ქალისა და მამაკაცის აღმნიშვნელი სიტყვების სემანტიკა და ეტიმოლოგია კიდევ ერთხელ ადასტურებს მამაკაცთა პრივილეგიას ენაში. სიტყვა "Dame"-ის ფუძეა "dam". ბევრ სხვა კულტურაში "dam" ნიშნავს სისხლს. „Eine Dame“ ძველ გერმანულში ნიშნავდა სისხლით სავსე, მომწიფებულ ქალს, მაგრამ საუკუნეების მანძილზე ქალის გაუფასურებულმა სოციალურმა მდგომარეობამ განაპირობა ის, რომ ამ ფუძიდან წარმოიშვა სიტყვა "Die Dämliche" (Rungrus, 2000, 17), რაც ნიშნავს "nicht recht bei Sinnen sein" (არ იყო სრულ ჭუაზე, გიჟი) (Duden, 2003, 349). განსხვავებული მდგომარეობა გვაქვს სიტყვასთან "herrlich", რომლის ფუძეა "herr" და ნიშნავს: „In einem so hohen Maße gut, schön, dass es sich nicht besser, schöner denken lässt" (იმდენად კარგი და ლამაზი, რომ უკეთესის წარმოდგენა შეუძლებელია) (Duden. 2003.753). აღნიშნულიდან გამომდინარე, ფუძემ „dam" გერმანულ ენაში შექმნა უარყოფითი, ხოლო "herr" დადებითი სემანტიკის სიტყვები. ბევრი სხვა მაგალითის დასახელებაც შეიძლება: „Domina" ლათინურად ნიშნავს მაღალი ღირსების ქალს. თანამედროვე გერმანულ ენაში იგი აღნიშნავს "Prostituierte, die sadistische Handlungen an einem

Masochisten vornimmt” (მეძავი, რომელიც ემსახურება მაზოხისტს) (Duden, 2003, 389).

ახალგაზრდა ქალი აღინიშნება სიტყვით “Das Mädchen”, ის წარმოიშვა სიტყვიდან “Die Magd”, რაც დაბალი ფენის მძიმე ფიზიკური შრომის შემსრულებელ ქალს ნიშნავს და სიტყვა “Der Junge” წარმოიშვა სიტყვიდან “Der Junker” (რაინდი), “Knabe” სიტყვიდან “Knappe”, რაც ძველ გერმანულში რაინდული სულისკვეთებით აღზრდილ მამრობითი სქესის ბავშვს აღნიშნავს. “Herr” წარმოიშვა “Heriro/Heroio”-დან, ეს არის აღმატებითი ფორმა სიტყვისა “hehr” (hoch, aufrecht).

ძველად გერმანიკულ ენებში ქალებს Frau-ji, ხოლო მამაკაცებს Frau-ja ერქვათ, ე.ი. არსებობდა “Frau”, ზოგადად ადამიანის აღმნიშვნელი ცნება, ქალღმერთ “Freya”-ს სახელის ზეგავლენით. ნაწილაკი “ji” ნიშნავდა ქალს, “ja”-მამაკაცს (Rungius 2002.12). იცვლება დრო, იცვლება ენა. დღეს, გერმანულ ენაში, ადამიანის აღმნიშვნელი (Der Mensch) სიტყვის ფუძე წარმოიშვა სიტყვიდან “Der Mann” და არა “Die Frau”.

ფემინისტური ლინგვისტიკის მიზანია, ენაში შეწყდეს გაუთვინობიერებლად მიმდინარე ქალთა დისკრიმინაციის პროცესი. ენის სისტემაში უნდა იქნეს შეტანილი შემდეგი ცვლილებები:

- როცა ზოგადად საუბარი ეხება ქალს და მამაკაცს, გამოყენებულ იქნეს შესაბამისი ორივე ფორმა. მაგ., „Eine Professorin oder ein Professor wird ihre/seine Arbeit beurteilen“
- ორივე სქესის წარმომადგენელი დავასახელოთ ან წარვადგინოთ, თუ შესაძლებელია ზუსტად და სიმეტრიულად (სახელი, ფუნქცია, ტიტული). მაგ., „Als Ehrengäste F. Professorin Sonja Brühlmann, Politologin und Herr Samuel Brühlmann, Psychologe, eingeladen“
- გამოყენებულ იქნეს შემოკლებული ფორმა XXX/in მხოლოდ წერის დროს, მაგრამ არავითარ შემთხვევაში ზეპირი მეტყველებისას, მაგალითად, წერის დროს „Student/in der Gruppe A“, ზეპირი მეტყველების დროს „Langjährige Mitarbeitern und Mitarbeiterinnen wuden der Gruppe A zugeteilt“

- გამარტივდეს ორმაგი ფორმები მრავლობითით.
- მაქსიმალურად გამოყენებულ იქნეს ნეიტრალური ფორმები. ნაცვლად „Zürcherinnen und Zürcher“ უმჯობესია „Die Zürcher“, ნაცვლად „Jedermann ist eingeladen“ უფრო ნეიტრალური „Alle sind eingeladen“.
- დოკუმენტები (დიპლომი, პირადობის მოწმობა, ატესტატი და სხვა) უნდა იქნეს შედგენილი სქესისთვის სპეციფიკური ფორმით.
- არ გამოვიყენოთ ისეთი მყარი გამოთქმები და სტერეოტიპები, რომლებშიც ჩანს ქალთა ან მამაკაცთა დამცირება, უმჯობესია „Das Schwache Geschlecht“ ან „Das Starke Geschlecht“-ის ნაცვლად გამოვიყენოთ უბრალოდ „Die Frauen“, „Die Männer“ (იხ. Trömel-Plotz 2002).

ჩამოთვლილი შენიშვნები პირველ რიგში მასმედიის წარმომადგენლებმა უნდა გაითვალისწინონ, რადგან მასობრივი ინფორმაციის საშუალებით ხდება გენდერული კლიშეების დამკვიდრება და გავრცელება.

„რა როლი შეიძლება შეასრულოს მასმედიამ ქალთა საკითხში? პასუხი ერთმნიშვნელოვანია: ძალიან მნიშვნელოვანი. რა ჭირდება თანამდეროვე ქალს? უპიველეს ყოვლისა, ჰუმანური პრინციპების გავრცელება და ნათელი დასტური იმისა, რომ საჭიროა დაცული იქნას გენდერული პარიტეტი ჩვენი საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროში. მასმედიამ ხელი უნდა შეუწყოს ქალის ახალი ცხოვრებისული მოდელის პროპაგანდას, უზრუნველყოს იმ ტექნოლოგიების გამოყენება, რომელიც განაპირობებს ქალის სოციალური სტატუსის ცვლილებას, აგრეთვე სხვადასხვა ქვეყნის ქალთა გამოცდილების გაზიარებას“ (კიკნაძე/დონაძე, 2006, 33).

საინტერესო მასალას გვაწვდის გენდერული სარეკლამო ტექსტები. (ინტერაქციული ტექსტების ანალიზს იხილავთ შემდგომ თავებში). თანამდეროვე კომუნიკაციამ, როგორც საზოგადოების აზრისა და ადამიანის სოციალური ქცევის ჩამოყალიბების ხერხმა, აუცილებელი გახადა სოციალურად მნიშვნელოვანი ტექსტების მასობრივი გამოყენება. სარეკლამო ტექსტების მრავალსახეობა ადამიანის მოღვაწეობის სოციალურ,

საყოფაცხოვრებო, მეცნიერულ, ეკონომიკურ, მარკეტინგულ სფეროში ახალ პერსპექტივებს ქმნის. ბოლო ათწლეულის პოპულარულ სარეკლამო ტექსტებში შეიმჩნევა ქალის როლის ახლებული ხედვა, გენდერული დიფერენციაციის, გენდერული სტერეოტიპების დაძლევა. ქვემოთმოყვანილი სარეკლამო ტექსტი მიუთითებს ქალის სოციალური სტატუსის ამ ცვლილებებზე:

„Bewerber/in soll der Forschungsschwerpunkt Umweltchemie mittragen mit Ausrichtung des Arbeitsgebietes auf die Untersuchung chemischer Prozesse in der Atmosphäre.“ (Die Woche, 25/1995).

მოცემულ მაგალითში დაცულია მოთხოვნა: წერის დროს გამოყენებულ იქნეს შემოკლებული ფორმა XXX/in (Bewerber/in), რაც იძლევა საშუალებას ხაზი გაესვას იმ საკითხს, რომ ატმოსფეროს ქიმიური პროცესების კვლევისათვის პროფესიული კომპეტენტურობა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სქესი. ქალს შეუძლია იყოს არა მარტო დედა, მეუღლე, დიასახლისი, არამედ თანასწორუფლებიანი საქმიანი პარტნიორიც.

ქვემოთმოყვანილი მაგალითები (1–3) ამონარიდებია ენათმეცნიერული ტექსტებიდან:

1) „ Die Handelspartner/innen sind zugleich Kommunikationspartner/inner, da sie Informationen austauschen. Sie orientieren sich wechselseitig aneinander, das heißt: Die Kommunikation ist keine „Kommunikation der Einbahnstraße“, sondern mutuell. Die Kommunikationspartner/partnerinnen vollziehen also eine Interaction und durch Sprache eine sprachliche Interaktion.“

2) „40% aller Grundschüler/innen schauen in der Woche mehr als 300 stunden fern und zwar bis spät in die Nacht. ... Golberg führte in der USA eine Studie durch und Legte StudentInnen wissenschaftliche Aufsätze zur Beurteilung vor“ (Günthner. 1992,56)

3) „Der Terminus „ärztliche Anordnungen“ wird verwendet, um ärztlichen Rat an **Patient/inn/en** zu umschreiben, und er impliziert, dass sie keine Wahl haben, außer zu tun, was **der Arzt/die Ärztin** gesagt hat“ (West. 1992. 147).

მოცემულ ტექსტებშიც გვხვდება გენდერული დიფერენციაციის უგულვებლყოფა, არ იგრძნობა რომელიმე სქესის პრიორიტეტი: Die Handelspartner/innen, Kommunikationspartner/inner, Grundschüler/innen, StudentInnen, der Arzt/die Ärztin, Patient/inn/en.

სოციალური სქესის ნეიტრალიზების მიზნით ხშირად ტექსტებში გამოყენებულია შემდეგი ორთოგრაფიული ნიშნები თუ გრამატიკული წესები:

1. die Studentinnen und Studenten
2. die StudentInnen
3. die Student/innen
4. die Student (inn)en
5. die Studierenden (Weith. 2002,160).

ენობრივი ჩვევების ხელოვნურად შეცვლა რთულია, მაგრამ შესაძლებელი. მოყვანილ ნაწყვეტებში დასტურდება გერმანული ენობრივი სისტემის ქალის სასარგებლოდ ცვლის ტენდენცია. ქალის ზეგავლენა საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, მისი საზოგადოებრივი პოზიცია, მისი ადგილი ოჯახსა თუ ოჯახს გარეთ სხვადასხვანაირად აისახა კაცობრიობის ისტორიაში. თანამედროვე საზოგადოებაში, ხანგრძლივი პოლიტიკური თუ სხვა სახის უგულვებლყოფის შემდეგ, ქალმა, ფორმალურად, მაგრამ მაინც მოიპოვა მამაკაცის თანაბარი უფლებები. ისინი წარმატებებს აღწევენ იმ პროფესიებში, რომლებიც დღემდე მამაკაცების პრიორიტეტად ითვლებოდა და ამტკიცებენ თავიანთ კომპეტენციას. გერმანულ ფსიქოლოგიაში ცნობილი სამი “K“ – Kinder, Küche, Kirche, როგორც ქალის საზოგადოებრივი როლის გამომხატველი სიტყვები, ნელ-ნელა კარგავენ თავიანთ პროგრამულ მნიშვნელობას. მათ ემატებათ მეოთხე „K“ – Kompetenz/Kariere (Lexikon der Psychologie 1995, 126). ქალთა თვითგამოვლენა დღევანდელი საზოგადოებრივი განვითარების შემადგენელი ნაწილია, შესაბამისად, ყველასათვის საჭირო და აუცილებელი.

3. გენდერული დისკურსის სოციოლინგვისტიკური ასპექტები

3.1. ახალგაზრდების დისკურსის გენდერული ანალიზის პარამეტრები

გენდერული დისკურსის განმსაზღვრელი პარამეტრები იგივეა, რაც საერთოდ დისკურსის: სოციალური აქტივობის ორგანიზება, ურთიერთდამოკიდებულება ტექსტსა და ყოველდღიურ ინტერაქციას შორის, ურთიერთდამოკიდებულება ტექსტსა და კონტექსტს შორის, ურთიერთდამოკიდებულება საუბრის შიდა და გარე სტრუქტურებს შორის, ეთნოსოციალური საზღვრების გადაკვეთა ენაში, ენობრივი ნაჯვარი, საუბრის დრო და უფლება. გოგონებისა და ბიჭების ვერბალური ენის ანალიზისათვის აუცილებელია დისკურსის განმსაზღვრელ საერთო პარამეტრებს დაემატოს შემდეგი ნიშნები:

- შემოქმედებითი საუბრის სტილი, ე.წ. „Bastelei”
- ჭარბი ავსიტყვაობა
- ეფექტური განმუხტვა (Neuland, 2009, 162).

ახალგაზრდების დისკურსს არ ახასიათებს მხოლოდ სპეციფიკური სიტყვები, არამედ აგრეთვე ინტერაქციული მოდუსი და საუბრის სტილი.

გამოვყოთ დისკურსის გენდერული ანალიზის პარამეტრები, ესენია:

4. სოციალიზაციის პროცესი (სოციალური და გენდერული იდენტობა)
5. სოციალური აგენტები
6. სქესობრივი და ასაკობრივი ჰომოგენურობა პირჯგუფში
7. ინტერაქციის სტრუქტურა ახალგაზრდების ჯგუფში
8. საუბრის სტილი გოგონების ჯგუფში
9. საუბრის სტილი ბიჭების ჯგუფში (Branner, 2003, 9-15).

3.1.1. სოციალიზაციის პროცესი

სოციოლოგიაში ახალგაზრდების ასაკი ის ფაზაა, როცა იდენტურობის საკითხს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ამ ასაკში მთავარია იდენტურობის

ჩამოყალიბება, პასუხები უნდა გაეცეს მნიშვნელოვან კითხვებს: Wer bin ich? Wer bin ich nicht? (Erikson 1994, zit. in Keupp 2002, 77). ყველა ადამიანში არსებობს კავშირი სოციალური კუთვნილების კომპლექსურ სისტემასა და იდენტობას შორის. სოციალური და გენდერული იდენტობა ინდივიდის წარმოდგენას საკუთარ თავზე (Spreckels 2008, 24). იდენტობა პოტენციურად ყოველთვის არსებობს, კონკრეტულ სიტუაციაში ხდება მისი აქტიურობა ან დეაქტიურობა. გენდერის ნიშნები სოციალურად და კულტურულადაა განსაზღვრული, იგი სოციალიზაციის პროცესში ყალიბდება და თაობებს გადაეცემა. ამ პროცესში ენა წარმოადგენს სოციალური იდენტურობის კომუნიკაციური გამოხატვის მედიუმსა და იარაღს (Birkne, 2004, 9).

სოციალურ ინტერაქციაში ხდება უწყვეტი საუბარი სუბიექტურსა და ობიექტურ “მეს” შორის: სუბიექტური “მე” (ფიქრისა და ქმედებების ინიციატორი) იღებს გადაწყვეტილებას მოქმედების შესახებ, ობიექტური “მე” (სხვების მიერ დანახულ ჩვენი „მე“) აკეთებს პროგნოზს, თუ როგორი იქნება სხვა ადამიანების რეაქცია. თითოეული ინდივიდი განსაზღვრული იდენტურობით გამოირჩევა, რაც მას სხვებისაგან განასხვავებს.

ინდივიდუალობის შეგრძნება შეიძლება სუსტიც იყოს და ძლიერიც, მაგრამ არა თანდაყოლილი. ის ვითარდება სოციალიზაციის პროცესში, ამ დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭება ინდივიდუალურ ხასიათს. არაა აუცილებელი კონკრეტული სოციალური ჯგუფის ყველა წევრს იდენტური მსოფლმხედველობა და ქცევები ჰქონდეს. კულტურულ ნორმებთან ერთად დასაშვებია ინდივიდუალური არჩევანი: ვინ გინდა იყო, ვინ გინდა არ იყო. სქესი ბავშვობის ასაკიდანვე განაპირობებს, თუ ვინ არის ის და როგორ ფიქრობს და მოქმედებს. სოციალიზაცია გავლენას ახდენს არა მხოლოდ ჩაცმის სტილსა ან მეტყველების მანერაზე, არამედ აზროვნებისა და ურთიერთობების ყველაზე ფუნდამენტურ საშუალებებზე (Kalhun, 2007, 18). კონკრეტული საზოგადოების წევრად (ბიჭებად და გოგონებად, მამაკაცებად და ქალებად) ჩამოყალიბებასთან ერთად ორივე სქესისთვის არსებითია შესაფერისი და მართებული აზროვნება.

ბავშვები უკვე ბალის ასაკში, ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი გენდერული იდენტურობისას, ახერხებენ ქალურობისა და მამაკაცურობის ინსცენირებას. სოციალიზაცია ხდება არა პასიურად, არამედ როლების „Mädchen sein“ და „Junge sein“ აქტიური არჩევით. ისინი პარალელურად ამოწმებენ ირგვლივ მყოფთა რეაქციას (Haug-Schnabel/Bersel, 2008, 93). ყველა ადამიანი, ვისთანაც ბავშვს ურთიერთობა აქვს, არის მისი ისტორიის, მისი ბიოგრაფიის ნაწილი. ისინი ზემოქმედებენ ბავშვის იდენტურობის ჩამოყალიბებაზე, მის განვითარებაზე, მის გენდერულ ორიენტაციაზე (Focks, 2003, 16). შეუძლებელია ბავშვი გაიზარდოს გენდერული სტერეოტიპებისაგან თავისუფალი. თანატოლები, ნათესავები, სკოლა, მედია და საზოგადოება იგივე ზეგავლენას ახდენენ მისი იდენტურობის ჩამოყალიბებაზე, როგორსაც ოჯახი (Kalhun, 2007,16).

სოციალური ქცევის ერთ-ერთი ნაწილი საუბარია. ბავშვი მას ოჯახური აღზრდის პირობებში ითვისებს. ოჯახი განსაზღვრულ სოციალურ კლასს მიეკუთვნება. კლასისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ენობრივი ქცევა (ინტელექტისაგან დამოუკიდებლად) პოზიტიურად ან ნეგატიურად მოქმედებს ინდივიდის კოგნიციურ განვითარებაზე (Löffler, 1994, 175). კვლევებით დასტურდება (მაგ., Bernstein 1972), რომ დაბალი ფენის ბავშვებს საშუალო ფენის ბავშვებთან შედარებით დაბალი აკადემიური მოსწრება აქვთ. წარმატება სწავლაში უშუალო კავშირშია ელაბორირებულ (მაღალი შრომისუნარიანობის ხარისხი) კოდთან. ამ ფაქტმა განაპირობა დეფიციტის თეორიის შექმნა: დაბალი ფენის ბავშვებს, რომლებიც ოჯახურ გარემოში მხოლოდ რესტრინგირებულ (დაბალი შრომისუნარიანობის ხარისხი) კოდს ითვისებენ ენობრივი ბარიერი ექმნებათ. დეფიციტის თეორია მალე შეცვალა დიფერენციის კონცეპტმა, რომლის მიხედვით: ენა დაბალი თუ საშუალო ფენის წარმომადგენლებისთვის ერთსა და იმავე საკომუნიკაციო ფუნქციას ასრულებს. ორივე ფენის ენა, ფუნქციონალური თვალსაზრისით, ერთმანეთის ეკვივალენტურია (Birkner, 2004, 5). სოციალიზაციის პროცესში მნიშვნელოვანია არა მხოლოდ განსხვავებულ ჯგუფთა მიერ გამოყენებული ენის აღწერა, არამედ მათი ენობრივი ქცევების სოციალური ფუნქციების გაშუქებაც.

განსხვავებული ენობრივი ვარიანტულობა განაპირობებს ჯგუფების შექმნას. სოციალური კუთვნილება საერთო ენობრივი ნიშნებით გამოიხატება, სოციალური დისტანცია – ენობრივი სხვაობით (Labov, 1980, 25). თანამედროვე ენათმეცნიერებაში ენა სოციალური კუთვნილების სიმბოლოა. ქალისა და მამაკაცის განსხვავებული ცხოვრებისეული გამოცდილებები განსხვავებულ ენობრივ ქცევებს განაპირობებენ.

3.1.2. სოციალური აგენტები

როგორც სადისერტაციო ნაშრომის შესავალ ნაწილში აღინიშნა, სოციალიზაციის პროცესს მართავს სოციალური აგენტები: ოჯახი, სკოლა, პირჯგუფი, მედია. სოციალური აგენტები დისკურსის გენდერული ანალიზის მეორე პარამეტრია. განვიხილოთ თითოეული მათგანი უფრო დეტალურად.

ოჯახი ბავშვისთვის პირველი სოციალური სამყაროა. თუ როდის ითვისებს ბავშვი სქესისთვის სპეციფიკურ ენობრივ თუ არაენობრივ ქცევებს, ამას სოციოლინგვისტიკის ისტორიის მანძილზე სხვადასხვაგვარად გაეცა პასუხი. თავდაპირველად დედა ითვლებოდა „დამნაშავედ“ რადგან: „Mit ‘rosa‘ Baby sprechen die Mütter anders als mit ‘blauen‘ Babys“ (Alphen 2004, 221) ანუ დედები „ვარდისფერ ბავშვებს“ – გოგონებს – სხვანაირად ესაუბრებიან, ვიდრე „ცისფერ ბავშვებს“ – ბიჭებს. მშობლების ქცევა ბავშვის აზროვნებაზე საკმაოდ გავლენას ახდენს. ცხოვრების პირველსავე საფეხურზე ბავშვი ადგენს, რომ მამა და დედა ორი სხვადასხვაობაა და სამყაროს დედა/მამა ტიპებად ყოფს.

სოციალიზაციის პროცესში ბავშვი აცნობიერებს, რომ სულ ერთი არაა, ის გოგონაა თუ ბიჭი. ეს მისი ქცევის სტანდარტებზე მოქმედებს. ბავშვი იწყებს თავისი როლის ვიზუალურ ჩვენებას. 3 წლის ბიჭმა იცის – ბიჭობა ნიშნავს სამყაროს მანიპულირების შესაძლებლობას, გარეგნობა არც ისე მნიშვნელოვანია. უკვე ადრეულ ასაკში გოგომ და ბიჭმა იციან, რომ სხეულის მორთვა გოგონას საქმეა, ამით შესაძლებელია ქალურობის ჩვენება. ბავშვების დამოკიდებულება საკუთარ გარეგნობასთან პირველი გენდერული ნიშანია (Cahill, 1986, 168).

ბავშვები იცავენ დაწესებულ გენდერულ საზღვრებს. უკვე 2/3 წლის ასაკში შეიმჩნევა განსხვავებები რიტმსა და ინტონაციაში. გოგონების ინტონაცია, უფრო ვარიაციულია. ბიჭებში ჭარბობს დაღმავალი ინტონაცია, გოგონებში აღმავალი (Local, 1982, 73).

თამაშის დროს ბავშვები სწავლობენ დამოკიდებულებას სოციალურ იდენტობასა და იდენტობის დემონსტრირებას შორის, რომ დამოკიდებულება იდენტურობისადმი სულერთი არაა, უჩნდებათ სქესის სპეციფიკური აღქმა და შესაბამისი ქცევის სტილი. შემდგომ ეტაპზე ბიოლოგიურ განსხვავებებს უკავშირებენ გენდერს არა სხეულის განმასხვავებელი ნიშნებით, არამედ კონკრეტულ სიტუაციაში საუბრის სტილით (Goffmann, 1977, 320). მაგალითად, ბიჭები უფრო მეტად იყენებენ იმპერატივის ფორმებს, ეს უშუალო კავშირშია მამის როლთან ოჯახში. დედისა და მამის სამეტყველო ქცევები ოჯახში გვიჩვენებს (მაგ., Gleason, 1987; Ochs/Taylor, 1992), რომ მამა ორჯერ მეტი რაოდენობის ბრძანებით წინადადებას იყენებს (განსაკუთრებით ვაჟების მიმართ), ვიდრე დედა. მამისა და შვილის საუბრების ანალიზი ქმნის შთაბეჭდილებას: „მამა ყოვლისმცოდნე და ყოვლისშემძლე“. ბავშვის წარმოსახვაში მამა ავტორიტეტია, დედას კი, მამასა და შვილს შორის შუამავლის როლი აკისრია.

სამი წლის ბავშვებისა და მშობლების ინტერაქციულმა კვლევებმა აჩვენა, რომ საუბრების 30%-ს იწყებს მშობელი, უმეტესად დედა. იგი სთავაზობს (56,8%) გოგონას ვინმეს დაეხმაროს ან სხვა რამ მოიმოქმედოს, ბიჭს – 28,8%. გოგონას თამაშის ნებას რთავს 5,2 %, ბიჭს – 18,1% (Kotthoff, 2008, 2500).

ბავშვის ზრდასთან, მის გონებრივ თუ ფიზიკურ მომწიფებასთან ერთად, მშობლებთან ურთიერთობა იცვლება. უკვე მოზარდობის ასაკში ბავშვი მშობელს აღიქვამს როგორც პიროვნებას, და არა როგორც „ყოვლისმცოდნე და ყოვლისშემძლე ფიგურას“ (Youniss, 1982, 94).

იდენტურობისაკენ სწრაფვა, მშობლების „ახალი სურათი“, მათი ზედამხედველობისაგან თავის დაღწევის სურვილი, რა თქმა უნდა, პრობლემების გარეშე არ ხდება. ახალგაზრდა მშობლის ავტორიტეტს ეჭვის ქვეშ აყენებს და საკუთარი ადგილის დასამკვიდრებლად მასთან კამათს

იწყებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გვიანი მოზარდობის ფაზაში, უმეტეს შემთხვევებში, მცირდება კონფლიქტი შვილებსა და მშობლებს შორის. ამ პერიოდში მოზარდებს საურთიერთოდ არჩეული აქვთ ისეთ ჯგუფი, რომლის ფასეულობები მათი ოჯახის ფასეულობების მსგავსია ან ოჯახი ეგუება შვილის არჩევანს.

განვიხილოთ მეორე სოციალური აგენტი – სკოლა. ბავშვს სასკოლო ასაკში აქვს საბაზისო ინტერაქციის უნარი. მისი საკომუნიკაციო შესაძლებლობები შექმნილია სოციალურ პრაქტიკასთან ერთად. ბავშვის მიერ ეს არ აღიქმება როგორც სწავლის პროცესი (ე.წ. learning by doing). ყოველდღიურ სოციალურ ურთერთობებში ბავშვები სწავლობენ, როგორ გამოხატონ სურვილები, როგორი უნდა იყოს კითხვა-პასუხის სტრუქტურა, როგორ მოყვენ ამბავი, მოახდინონ არგუმენტირება, განმარტება.

სკოლა ინტელექტუალური და ტექნიკური უნარ-ჩვევების გარდა, ბავშვებს ასწავლის კულტურულ ღირებულებებს. სხვა სოციალურ აგენტებთან ერთად, იგი მათ ამზადებს მომავალი სოციალური როლებისათვის. სკოლაში ბავშვი სწავლობს არა მხოლოდ საგნებსა და გარკვეულ თემათა სფეროს, არამედ მათ შესახებ საჯარო საუბარს, შესაბამისი როლების გათვალისწინებით (Vogt, 2004, 78). სკოლაში მისვლამდე ბავშვისთვის უცხოა გაკვეთილის საკომუნიკაციო სიტუაცია. ყოველ გაკვეთილზე იგი იმპლიციტურად აფართოვებს თავის საკომუნიკაციო რეპერტუარს. საკლასო სიტუაცია წლების განმავლობაში მეტნაკლებად სტაბილურია. სხვა სიტუაციებისაგან განსხვავებით აქ ბავშვის ენობრივი ქმედება ძირითადად მონოლოგიურია, ოფიციალური და ფასდება მასწავლებლის მიერ. ის სწავლობს: მზად იყოს გაკვეთილისათვის, გამოავლინოს ცოდნა, მიიღოს შეფასება, იმოქმედოს ერთდროულად ორ კონტექსტში – გაკვეთილის ოფიციალურ კონტექსტში და გვერდით მჯდომ თანაკლასელთან არაოფიციალურ კონტექსტში. დასახელებულ კონტექსტებს განსხვავებული პირობები და ჩარჩოები აქვს, ეს ვლინდება თავაზიანობაში, მოდალობაში, თემისადმი ინტერესში. ბავშვს სხვადასხვა ურთიერთობა აქვს მასწავლებელთან და თანაკლასელებთან. სკოლაში სწავლის პერიოდში მას უყალიბდება კომუნიკაციურად ახალი იდენტობა (Kothoff, 2008, 2).

სკოლაში ტრადიციული გენდერული როლების ათვისება დაფარული პროცესია. მაგალითად, მოზარდ გოგონებს ხშირად აქებენ სოციალური უნარ-ჩვევებისა და წესრიგის სიყვარულისათვის, ხოლო ბიჭებს – შესრულებული სამუშაოს ხარისხისათვის. მასწავლებლებს მიაჩნიათ, რომ ბიჭები უფრო წარმატებულნი არიან მათემატიკაში, თუმც, გამოკვლევებმა დაადასტურეს, რომ ორივე სქესს ამ სფეროში თანაბარი მიღწევები აქვთ (მაგ: Dürscheid, 2002).

სკოლის გარე ბავშვებისათვის მისაბამია უფროსი ასაკის ბავშვები. აქ შესაძლებელია გამოვყოთ შემდეგი თავისებურებები:

- უფროსი ასაკის ბავშვისაგან რაიმეს შესწავლას ბავშვი იწყებს პასიურად
- უფროსი, უფრო კომპეტენტური ბავშვი, აღიარებულია როგორც ნიმუში, რომელსაც უმცროსი აკვირდება. ამ ფაზის შემდეგ ბავშვს უჩნდება დამოუკიდებელი ქმედების, ინიციატივის გამოვლების სურვილი (Streck, 1983, 208).

ზეპირი დისკურსის ჩვევებს მარტო ინსტიტუციები როდი აყალიბებს. გაკვეთილისა და სკოლის ფარგლებს გარე აუცილებელია ბავშვმა, ახალგაზრდამ გააფართოვოს საკომუნიკაციო რეპერტუარი. მაგ., სწორედ სასკოლო ასაკში ინსტიტუციებს გარე სწავლობენ ბავშვები ხუმრობას. სახუმარო ტექსტებს ყვებიან სახლში, მეგობრებთან, ე.ი. არაოფიციალურ წრეში.

გასული საუკუნის 90–იან წლებამდე არსებული გამოკვლევები საშუალო ფენის გოგონებისა და ბიჭების ქმედებებს განიხილავდა სასკოლო ცხოვრების ფარგლებში. სკოლა თავისი არსით, სტრუქტურით ზეგავლენას ახდენს ახალგაზრდების ინტერაქციაზე. ამიტომ თავისი სპეციფიკის გამო მისი განზოგადება არ შეიძლება.

სოციალური აგენტები ზემოქმედებენ სოციალიზაციის პროცესზე, მაგრამ ისინი ცალ-ცალკე ვერ ახერხებენ მთლიანი პროცესის ახსნას. მაგალითად, რატომ ლაპარაკობს ბავშვი კარგად დიალექტზე, მაშინ როცა სახლში (ყოველთვის არა), საბავშვო ბაღში, სკოლასა თუ უმაღლეს სასწავლებელში მას მხოლოდ სალიტერატურო ენაზე ესაუბრებიან. მიზეზი პირჯგუფია, ის

ყველაზე ძლიერი სოციალური აგენტია ბავშვის საზოგადოებასთან იდენტიფიკაციის პროცესში. აქ ყალიბდება ბავშვის სასაუბრო ენა და სქესისთვის დამახასიათებელი ქცევები.

სკოლის პერიოდში მოზარდები უკვე ახერხებენ მშობელთა კონტროლიდან თავის დაღწევას და ურთიერთობას ამყარებენ თანატოლებთან. ეს ინტერაქცია პრინციპულად განსხვავდება ჩვეული ინტერაქციისაგან (საუბარი უფროსებთან, მასწავლებელთან). ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ ბავშვი სწავლობს შეეკამათოს, შეეპასუხოს (დისკუსია გაუმართოს) თანაბარი უფლების მოწინააღმდეგეს. მისთვის ოჯახურ გარემოში ნაკლებია შანსი თავის წარმოჩენის, თავის გამოცდის. ბავშვის განვითარებისთვის აუცილებელია სხვა ბავშვები, რათა გააცნობიეროს, რომ სხვა ინდივიდებს მისგან განსხვავებული იდეები და შეხედულებები აქვთ (Hartup, 1983, 117). მას როგორც სოციალურ სუბიექტს საჭიროა ჰქონდეს კომპეტენცია (Krappmann/Oswald, 1990, 149).

ახალგაზრდების დისკურსს ქმნის ახალგაზრდების ენა. სოციოლინგვისტიკა მას ჯგუფის ენად თვლის. ჯგუფის დისკურსის სპეციფიკა მჭიდრო კავშირშია მის კულტურასთან, მის წევრთა ვერბალური თუ არავერბალური ქცევების ტრადიციებთან. მათი დისკურსის რეალური სურათის მისაღებად აუცილებელია გაკეთდეს სოციოლინგვისტიკაში ჯგუფის სოციალურად რელევანტური სტრუქტურების შეპირისპირება.

სქესობრივად და ასაკობრივად ჰომოგენურ ჯგუფს ანგლოამერიკულ კვლევებში „Peergroup“-ს უწოდებენ⁸.

⁸ გერმანულენოვან საენათმეცნიერო ლიტერატურაში რთული აღმოჩნდა ამ ტერმინის ეკვივალენტური ტერმინის შემოთავაზება. პირველად მას უწოდეს „Gleichaltrigengruppe“ (Hartup, 1983, 106) – თანატოლების ჯგუფი. ბოლო წლების ნაშრომებში გვხვდება ინგლისური ვერსია, ზოგჯერ მისი ნაწილობრივი თარგმანი – „Peergroupe“. მიზეზი ერთია, ინგლისური „peer“ და გერმანული „Gleichaltrige“ ან ქართული “თანატოლი” სემანტიკურად ტოლფასი არ არის. ინგლისური “peer” გულისხმობს “თანატოლთან” ერთად აგრეთვე „equal standing” რომელიც ითარგმნება ასე: თანაბრობა ურთიერთობებში. ანუ „Peer” არის არა მხოლოდ თანატოლთა, არამედ თანაბართა ჯგუფი (Krappmann 1991, 364). “Peergroup”-ის ქართული შესატყვისი ეკვივალენტი არ დაიძებნა. გერმანული ენის ანალოგიით უპირატესობა მივანიჭეთ ნაწილობრივ თარგმანს „პირჯგუფი” და ვგულისხმობთ – თანატოლთა და თანაბართა ისეთ ჯგუფს, სადაც ბავშვი თავისი პრინციპებით მზად არის დაამყაროს ურთიერთობა და აღიაროს ჯგუფის სხვა წევრთა ინტერესები.

პირჯგუფი წარმადგენს სოციალური როლის არჩევის ან მასზე უარის თქმის სავარჯიშო არეალს, დიდ როლს ასრულებს სასკოლო გამოცდილებაც.

პირჯგუფში განასხვავებენ ახალგაზრდების გაერთიანების სხვადასხვა ტიპებს:

1. ორი ინდივიდის რეგულარული ურთიერთობა, ე.წ. დუალური შეერთება (უმეტესად საუკეთესო მეგობრები)
2. მცირე რაოდენობის ერთნაირი ასაკის, სქესისა და სოციალური კლასის წარმომადგენელთა ერთობა. (მიზეზი შეერთებისა არის მაგ. ერთნაირი პოზიციები და შეხედულებები).
3. დიდი, ფორმირებული ორგანიზაციები (მაგ. მოსწავლეები, სტუდენტები) (Savin-Williams 1980, 344).

ჩვენ ვემხრობით პირჯგუფის მეორე განსაზღვრებას: ახალგაზრდათა მცირე რაოდენობით იქმნება ჯგუფი, რომლის წევრებს ერთმანეთთან აკავშირებთ ერთიანობის შეგრძნება.

მეგობრობა პირჯგუფის შექმნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია (Oerter/Montado, 1987, 317). არსებობს მოსაზრება, რომ მეგობრობის ფენომენი მხოლოდ დუალურ ურთიერთობებში უნდა გამოვიკვლიოთ (Seráfica/Blyth, 1985, 275). მიგვაჩნია, რომ მისი კვლევა ჯგუფშიც შესაძლებელია. პირჯგუფში ადამიანები საკუთარი ნებით ერთიანდებიან, ისინი შეიძლება არ არიან მეგობრები, მაგრამ დიდია მათი დამეგობრების ალბათობა.

პირჯგუფი ქმნის იდეალურ გარემოს, რათა ბავშვმა შეისწავლოს მეგობრობის მნიშვნელობა. მათ უკვე ადრეული მოზარდობის ასაკში აქვთ გარკვეული წარმოდგენა მეგობრობის კონცეფციაზე და იმ ქმედებებზე, რითაც მეგობრობა გამოიხატება. ისინი ამ კონცეფციას იყენებენ როგორც გზამკვლევს და სტანდარტს საკუთარი ქცევებისა და თანატოლთა ქცევის შეფასებისათვის. რასაკვირველია, კარგისა და მართებულის ბავშვებისეული გაგება ხშირად არ ემთხვევა ზრდასრული ადამიანების შეხედულებებს. ბავშვები ქმნიან საკუთარ ნორმებს, ფასეულობებსა და საკუთარ მსოფლმხედველობას.

ახალგაზრდისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როგორ მიიღებენ მას თანატოლები, გამოუცხადებენ თუ არა ჯგუფურ სოლიდარობას, იქნება თუ არა იგი პირჯგუფში პოპულარული.

სოციალიზაციის პროცესი უმეტესად სწორედ პირჯგუფის ურთიერთობებში ხდება. იმავეს თქმა შეიძლება ოჯახზეც, მაგრამ მხოლოდ ბავშვების სკოლაში შესვლამდე. ოჯახისგან ახალგაზრდის გამოყოფის მტკივნეული პროცესი თანატოლებთან ურთიერთობით შეიძლება შემსუბუქდეს. ხდება პირიქითაც, რასაც ლიტერატურაში თაობათა შორის კონფლიქტს უწოდებენ. ამ სიტუაციაში მოზარდი დგება არჩევანის წინაშე, დაემორჩილოს მშობლებს თუ დაჰყვეს თანატოლების ზეწოლას. რომელი მხარისკენ გადაიხრება მოზარდი, დამოკიდებულია სიტუაციაზე, ან იმ დაწესებულებებზე, სადაც იგი ცოდნას იღებს. მაგალითად, სკოლაში დიდია მშობლების გავლენა, უნივერსიტეტში კი – პირჯგუფისა. დიდია მშობლების ზეგავლენა, როცა საქმე ახალგაზრდის მომავალს ეხება. თავისუფალი დროის გატარების საკითხში კი პირჯგუფის ინტერესები დომინირებს. საკამათოა საკითხი, თუ რომელ ასაკში (ადრეული, შუა თუ გვიანი მოზარდობის ფაზა) აქვს პირჯგუფს ყველაზე დიდი გავლენა ახალგაზრდის ენობრივ თუ გენდერულ იდენტიფიკაციაზე.

სოციალიზაციის პროცესი ბავშვობის შუა ხანიდან გვიანი მოზარდობის ფაზის დასრულებამდე გრძელდება, ანუ როცა ადამიანი აღწევს უკვე ზრდასრულობის ასაკს. გარდამავალი ეტაპი ბავშვობიდან ზრდასრულობამდე სოციალიზაციის ფუნქციის მატარებელია, ხოლო ამ პროცესის სოციალური მხარდამჭერი არის პირჯგუფი.

ახალგაზრდის სოციალიზაციაზე პირჯგუფის გავლენა შემდეგი დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა:

- პირჯგუფი ხელს უწყობს, რომ მოზარდები გასცდნენ ოჯახურ სოციალურ გარემოს

- ამზადებს პირობებს, რომ მოზარდებმა მოსინჯონ და გაანალიზონ საკუთარი შესაძლებლობები, ორიენტირება მოახდინონ გარკვეულ იდენტობაზე, იდეოლოგიასა თუ ფასეულობებზე
- ეხმარება ინდივიდს, შეიქმნას წარმოდგენა საკუთარ „მე“-ზე
- იძლევა საშუალებას, რომ ახალგაზრდებმა შეიძინონ სხვა ადამიანებთან ურთიერთობის გამოცდილება, ხელს უწყობს კომპეტენტური სოციალური და პიროვნებათმორისო ურთიერთობის უნარჩვევების განვითარებას
- ახდენს აგრესიის გამოხატვის, სექსუალური ორიენტაციის, ქცევის, მომწიფებული ურთიერთობების სოციალიზაციას
- ეხმარება იმ ვერბალური და არავერბალური სიგნალების ინტერპრეტაციაში, რომლებიც მათ პოზიციებსა და ძალაუფლებას გამოხატავენ
- ავსებს პოზიციებისა და მისწრაფებების ემოციურ და სოციალურ სიცარიელეს
- არის ახალგაზრდების გამოცდის ადგილი და ნორმატიული რეგულატორი.

მომდევნო სოციალური აგენტია მასმედია. დიდია მასმედიის ზეგავლენა გენდერულ და სოციალურ იდენტობაზე. მასმედია ფართო საზოგადოებისთვის განკუთვნილი საკომუნიკაციო საშუალებების ერთობლიობაა. მისი ყველა საშუალება სოციალიზაციის აგენტია. თანამედროვე საზოგადოებაში ახალგაზრდების სოციალიზაციაზე ყველაზე მეტ გავლენას ინტერნეტი ახდენს.

ინტერნეტის შექმნამ მთლიანად შეცვალა ტრადიციული წარმოდგენა საზოგადოებასა და მასში არსებულ კავშირებზე. ინტერნეტკომუნიკაციის ფენომენის გაგებისა და აღწერის დროს საყურადღებოა მისი გენდერული ასპექტები, გენდერული ურთიერთობების ანალიზი, გენდერის ფაქტორი ელექტრონულ კომუნიკაციაში. თანამედროვე სოციოლინგვისტიკას აინტერესებს ვირტუალურ რეალობაში რა ენობრივი კონსტრუქციებით

ხასიათდება გენდერი. საინტერესოა, ელექტრონულ კომუნიკაციაში იცვლება თუ არა გენდერული იდენტურობის ჩამოყალიბების პროცესი და თუ კი, როგორ? რა შედეგებს იძლევა ვირტუალური მენტალობის კვლევის გენდერული მხარე?

ლიტერატურის მიმოხილვამ გვიჩვენა, რომ ელექტრონულ კომუნიკაციაში გენდერული კომპონენტი პრაქტიკულად არაა შესწავლილი. არსებობს ცალკეული კვლევები, რაც თავისი სიახლისა და მცირერიცხოვნობის გამო საკითხის განზოგადებისთვის საკმარისი არაა.

ელექტრონული კომუნიკაცია დისკურსების რთულ კომბინაციას წარმოადგენს. გენდერული თვალსაზრისით საინტერესოა გოგონებისა და ბიჭების ვერბალური ქცევები ჩატში და ელექტრონულ კონფერენციებზე. არანაკლებ საინტერესოა ვირტუალური გენდერული იდენტურობის საკითხი.

ინტერნეტში დისკურსის თავისებურებების კვლევამ აჩვენა, რომ გოგონების მიერ გაგზავნილი შეტყობინებების სიდიდე და საერთო რაოდენობა მეტია, ვიდრე ბიჭების. ბიჭები უფრო ხშირად იყენებენ შეურაცხყოფის გამომხატველ სიტყვებს, სლენგს, თვითრეკლამის საშუალებებს, ირონიასა და სარკაზმს, სვამენ ნაკლები რაოდენობის შეკითხვებს, იყენებენ ნაკლები რაოდენობის ელექტრონული მობოდიშების ფორმებს. ბიჭების ელექტრონული კომუნიკაციის მახასიათებელია: უხეში და შეურაცხმყოფელი შეტყობინებები, ხოლო გოგონების – თავაზიანი (Piwinger, 2002, 1).

განსხვავებულია ინტერნეტის გამოყენებისა და ტელევიზორის ყურების სიხშირე გოგონებსა და ბიჭებში, შესაბამისად მათ სოციალიზაციაზე მასმედიის ზეგავლენა. გამოკითხვებმა აჩვენა: 12-17 წლის ბიჭების 56% უყურებს მათი ასაკისთვის აკრძალულ ფილმებს, გოგონების – 25%. ბიჭები საშუალოდ 4 საათით მეტს უყურებენ ტელევიზორს, ვიდრე გოგონები. ბიჭები რეგულარულად თამაშობენ იმ კომპიუტერულ თამაშებს, რომლებიც ნებადართულია 18 წლის შემდეგ, მაშინ როცა მას გოგონების 14% თამაშობს. რაც შეეხება ინტერნეტის გამოყენების სიხშირეს, ბიჭები აქაც უსწრებენ გოგონებს (Pfeiffer 2008, 2). მონაცემებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ

გოგონებთან შედარებით ბიჭების სოციალიზაციაზე მასმედია უფრო დიდი ზეგავლენა აქვს.

სოციალიზაცია, როგორც წესი, ახალგაზრდობის ასაკში მიმდინარეობს, თუმცა მას მუდმივობისკენ აქვს მიდრეკილება და სინამდვილეში „საკუთარი თავის პოვნის“ პროცესი მთელი სიცოცხლის მანძილზე გრძელდება (Keupp, 2002, 82). შესაბამისად, შეუძლებელია განისაზღვროს, სად იწყება და სად მთავრდება ინდივიდის იდენტურობის ჩამოყალიბება და მის მიერ კულტურული ნორმებისა და ფასეულობების შესწავლის პროცესი, მითუმეტეს, რომ თვით კულტურა არაა სტატიკური, ის დინამიკური ფენომენია.

ახალგაზრდების დისკურსის გენდერული ანალიზის შემდგომი აგენტია **სქესობრივი და ასაკობრივი ჰომოგენურობა** როგორც პირჯგუფის დამახასიათებელი ნიშანი. მოზარდების სოციალური სამყარო უმეტესად თანატოლებისაგან შედგება. ცნობილია, რომ ამ ასაკში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ასაკობრივი დისკრიმინაციის ელემენტი.

კვლევებმა აჩვენა, რომ ახალგაზრდები პროცენტულად უფრო მეტ დროს ატარებენ თანატოლებთან, ვიდრე ზრდასრულ ადამიანებთან, უფრო ნაკლებს – ბავშვებთან (Fine, 1987, 183). მეათე/მეთერთმეტე კლასის მოზარდებისათვის თავისი ასაკის ახალგაზრდებია ავტორიტეტი (Blyth/Hill, 1982, 425). მოზარდი ბიჭები სათამაშო დროის 40-50% ატარებენ თავისი სქესის თანატოლებთან, მხოლოდ დროის 15%-ს საპირისპირო სქესთან (Branner, 2003, 15).

10 წლის ბავშვებში დომინანტურია სქესობრივად ჰომოგენური პირჯგუფი. ასეთი ორიენტაცია 12 წლის ასაკში კიდევ უფრო ძლიერდება (Oawald/Krappmann, 1986, 560).

სამეცნიერო ლიტერატურაში მრავლად არსებობს ახალგაზრდების ასაკში სქესთა სეპარაციის მაგალითი, ეს, რა თქმა უნდა, არ გამორიცხავს საპირისპირო სქესთან მათ კონტაქტს, მეგობრობას. გოგონები სიამოვნებით მიდიან ბიჭებთან ერთად კინოში, მაგრამ საყიდლებზე წასასვლელად ამჯობინებენ გოგონების კომპანიას. საინტერესოა თვით გოგონებისა და ბიჭების პირჯგუფებს შორის ინტერაქციის პროცესი. აქ გამოიყოფა ურთიერთობის შემდეგი ტიპები:

- გოგონებისა და ბიჭების ინტერაქცია, რომელიც ეფუძნება და ადასტურებს მათ შორის არსებულ საზღვრებსა და ასიმეტრიებს (მაგ., ბიჭები ხელს უშლიან გოგონებს თამაშის დროს)
- ჰეტეროსექსუალური შინაარსის ინტერაქცია (მაგალითად, გამოჯავრება: Jimmy likes Beth /ჯიმის მოწონს ბეტი)
- სიტუაცია, როდესაც გოგონები და ბიჭები გართობის მიზნით ურთიერთობენ და აქ სქესს ნაკლები მნიშვნელობა აქვს (Goffmann, 1977, 302).

სოციოლინგვისტიკა ჯერჯერობით ვერ ხსნის იმ ფაქტს, რატომ ერთიანდებიან 4/14 წლამდე გოგონები და ბიჭები სქესობრივად ჰომოგენურ ჯგუფებში საკომუნიკაციო სტილის ჩამოყალიბების დროს. უდავოა, რომ გენდერული იდენტობა ბავშვთა სამყაროს დიფერენციის მთავარი ნიშანია. პირჯგუფის სქესობრივი ჰომოგენურობის გამომწვევ მიზეზად სახელდება შემდეგი ფაქტორები:

- ბიოლოგიური ფაქტორი და კულტურული შესწავლა
- ფსიქოანალიზური პროცესი (მაგალითად, ბიჭი, რომელიც დედას ემიჯნება, საერთოდ უარყოფს მდედრობითს)
- სქესისა და იდენტურობის კოგნიციური დინამიკა (სქესის კოგნიციური ცოდნა გოგონებისა და ბიჭების ჰომოგენური ჯგუფების არსებობის წინაპირობაა) (Thorne, 1993, 61).

3.1.3. ინტერაქციული სტრუქტურა

შემდგომი პარამეტრის – ახალგაზრდების ჯგუფის ინტერაქციული სტრუქტურის – ანალიზით წარმოდგენილია გოგონებისა და ბიჭების ინტერაქციული სტრუქტურის კონტრასტული ხასიათი. ორი კულტურის თეორიის მიხედვით გოგონები და ბიჭები ერთი კულტურის სხვადასხვა სფეროში, სხვადასხვა სამყაროში იზრდებიან და სქესისთვის სპეციფიკურ ინტერაქციის ნიშნებს 5-15 წლის ასაკში ავლენენ (Veith, 2002, 162). ეს მოსაზრება, ერთი შეხედვით, მიუღებელი ჩანს, და-მმა ხომ ერთსა და იმავე

გარემოში იზრდება და ვითარდება, მაგრამ გოგონას და ბიჭს სხვადასხვაგვარად ექცევიან და ესაუბრებიან.

გოგონები ტრადიციული თვალსაზრისით უპირატესობას ანიჭებენ ასაკობრივად ჰომოგენურ პატარა ჯგუფებს, ექსკლუზიური ხასიათის მქონე სტაბილური წევრებით (Branner, 2003, 19). მათში ჭარბობს თანასწორუფლებიანობისაკენ სწრაფვა და არა პირველადი პოზიციის დაკავების სურვილი. გოგონათა ჯგუფს ახასიათებს: არადომინანტურობა, ლოიალურობა, კონფლიქტები და კრიტიკა ვნებს ურთიერთობებს, ჯგუფის სურვილები და პირადი სურვილები, უმეტეს შემთხვევაში, თანხვედრაშია.

გოგონებისა და ბიჭების ჯგუფების რაოდენობრივი სხვაობა აქტივობებისაკენ მათი განსხვავებული მიდრეკილებით აიხსნება. დაკვირვებების მიხედვით (მაგ., Griffith 1990, Goodwin 1990), გოგონები ურთიერთობისათვის, ჩვეულებისამებრ, 3-5 გოგონასაგან შემდგარ ჯგუფს ამჯობინებენ. აქტივობის ზრდა განაპირობებს ჯგუფის რიცხოვრივ ზრდას. გოგონათა ჯგუფის ძირითადი აქტივობა საუბარია, ისინი უფრო მეტ დროს კონვერსაციაში ატარებენ, ვიდრე თამაშებში.

წესის მიხედვით, გოგონების თამაშები კოოპერაციულობით ხასიათდება. ისინი, ბიჭებისგან განსხვავებით, არ შეიცავენ შეჯიბრის ელემენტებს. ეს იმის დამამტკიცებელი მაგალითია, რომ ისინი კოოპერაციულები არიან. თუმცა მათი თამაშები შეიცავს კონკურენციის ელემენტებსაც (Branner, 2003, 26). ბიჭების თამაშების არჩევანი რაოდენობრივად მეტია. გოგონები თამაშის გარდა თავისუფალ დროს იყენებენ ცეკვისთვის, სიმღერისთვის, ხელსაქმისთვის და ა.შ.

გოგონების ურთიერთობა არ უკავშირდება „ძალაუფლება“-ს. მეგობრობა მათ ესმით როგორც ინტიმურობა, თანასწორობა, ერთმანეთის გვერდით დგომა, ლოიალობა (Alphen, 2004, 225). მათი ურთიერთობა ერთი შეხედვით იდეალურია, თუმცა ეს ყოველთვის ასე როდია. თანასწორობისა და კოოპერაციის იდეოლოგია ხშირად სოციალური რეალობისაგან განსხვავებულია. ეს გოგონებს შორის იწვევს არათანასწორობის შეგრძნებას და კონფლიქტს. ბიჭების ჯგუფებთან შედარებით იერარქიის ხარისხი აქ

დაბალია. თამაში გოგონებისთვის ნიშნავს სიამოვნებას, გართობას და არა გამარჯვებას. მათში ნაკლებია ტრაბახის მცდელობაც. თუ გოგონა ბიჭისებურად ტრაბახობს, ჩხუბობს, დომინანტური პოზიციის მოპოვებისათვის იბრძვის, თანატოლები მას „ქალბიჭად“ რაცხავენ და უმეტეს შემთხვევაში თავს არიდებენ.

გოგონების ურთერთობაში ძლიერდება გარეგნობისაკენ ინტერესი. 10-11 წლის გოგონების სოციალური ინტერაქცია ძირითადად სხვისი ან საკუთარი გარეგნობის, თავის მოვლის შესახებ საუბრებს შეიცავს. ამას საპირისპირო სქესის მიმართ ინტერესი განაპირობებს. ბიჭები გოგონებს მათი გარეგნობის მიხედვით აფასებენ.

გოგონების ჯგუფში დიდი მნიშვნელობა აქვს პოპულარობას. მას ორი მხარე აქვს: ერთი მხრივ, გოგონას ყოველთვის ყავს მომზუნეები, მეორე მხრივ, განებივრებულია ყურადღებით. ასეთ გოგონასთან მეგობრობა მომგებიანია საკუთარი პოზიციების გასამყარებლად და სოციალური პრესტიჟის ასამაღლებლად (Hey, 1997, 62). გოგონების სტატუსი ჯგუფში დამოკიდებულია ბიჭებში მათ პოპულარობაზე. მოზარდი გოგონებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს, რას ფიქრობენ მასზე მისი თანატოლი გოგონები და არა ბიჭები (Adelson/Dauvan, 1980, 200).

ბიჭთა სამყარო იაერარქიულია, ისინი ურთერთობენ დიდ, ასაკობრივად ჰეტეროგენულ ჯგუფებში. ბიჭები სიამოვნებით აფართოებენ თავიანთ სამეგობრო წრეს, თამაშის ხანგრძლივობა უფრო დიდია, ვიდრე გოგონებთან და ხშირად მათი თამაშის ძირითადი შინაარსი დომინანტური როლის მოპოვებაა. კონკურენცია გოგონებშიც არსებობს, მაგრამ შედარებით ნაკლები ინტენსივობით.

სკოლამდელი ასაკის ბიჭების ჯგუფს ახასიათებს: დომინანტური პოზიციის დაკავების სურვილი, თამაშის მოგება, გადამწყვეტი სიტყვის თქმის უფლების მოპოვება, საუბრის დროს აგრესიის გამოვლენა.

მოზარდი ბიჭების ჯგუფის შემადგენლობა არაა სტაბილური. იგი შეიძლება ყოველდღიურად შეიცვალოს. მათი აქტივობის სახეებიც

ცვალებადია. ბიჭები ურთიერთობენ ძირითადად ქუჩაში, ახდენენ ათლექტური შესაძლებლობების, ძალის დემონსტრირებასა და დამტკიცებას.

კვლევების მიხედვით (მაგ: Goodwin 1990; Schofield 1982; Lever 1978/76) დიდია ბიჭების ინტერესი ფეხბურთის, კალათბურთის, ხელბურთის მიმართ. ისინი ამ თამაშში მთელი სეროზულობითა და პატივმოყვარეობით იღებენ მონაწილეობას. ხშირად ამჯობინებენ ძალის დემონსტრირების სახეობებს – მკლავჭიდს, ჭიდაობას. მათი ქმედებით ძნელი დასადგენია, ეს თამაშია მათთვის, თუ ნამდვილი ბრძოლა. თამაშის სახეობითა და სპეციფიკით აიხსნება ის ფაქტი, თუ რატომ უკავიათ სათამაშოდ ბიჭებს სკოლის ეზოში 10-ჯერ მეტი ადგილი, ვიდრე გოგონებს.

ბიჭების თამაშებში, ყოველთვის არსებობს წესები, თამაშის წარმმართველი პირი, გამარჯვებული და დამარცხებული. შეჯიბრს, თუმცა თამაშის სახით, დიდი მნიშვნელობა აქვს ჯგუფის იერარქიაში ადგილის დასამკვიდრებლად, იგი განსაზღვრავს ჯგუფის სტრუქტურას. ბიჭების პირჯგუფში იერარქიული სტრუქტურა, ჯგუფის წევრების რაოდენობა და მათი ქმედებები არაა სტაბილური. სტრუქტურა დროთა განმავლობაში იცვლება. ამის საფუძველზე ბიჭების ინტერაქცია მიმართულია ერთი მიზნისაკენ, უკეთესი ადგილი მოიპოვონ იერარქიაში, მოიგერიონ ის, ვისაც მასზე წინ დგომა სურს. ბიჭებს ადრეული მოზარდობის პერიოდში კარგად აქვთ გაცნობიერებული რა არის კონკურენცია. ისინი ჯგუფში ხმამაღლა საუბრობენ საკუთარ პოზიციებზე.

ჯერ კიდევ ადრეული მოზარდობის ფაზაში იწყება სქესის როლებით, ემოციური და სექსუალური საკითხებით დაინტერესება. სწორედ ამ ეტაპზეა სქესობრივი იდენტობა ცენტრალური კატეგორია. გოგონები და ბიჭები ერთმანეთს სხადასხვაგვარად აღიქვამენ, მდებრობითობას და მამრობითობას ამ განსხვავებების დემონსტრირებით ახდენენ.

მოზარდები ერიდებიან კონტაქტს საპირისპირო სქესთან, შიშობენ არ დაჰბრალებთ, რომ შეყვარებულები არიან (Thornes 1986, 176). ბიჭი ცდილობს თავიდა აიცილოს საპირისპირო სქესის კრიტიკა, თავის ინტერესს მალავს გოგონას გაწვალებით, გაბრაზებით, შესაძლებელია დარტყმითაც კი. ასე

მყარდება მათ შორის პირველი ფიზიკური კონტაქტი. არსებობს მონაცემები, რომ ადრეული მოზარდობის პერიოდში ფიზიკური შეხება მეტია, ვიდრე მოგვიანებით (Thorne, 1993, 81). მიზეზია რომანტიული ინტერესები, აგრესიულობა ან ორივეს ნაზავი. მიზანი ნათელია – ბიჭები ცდილობენ მიიქციონ გოგონების ყურადღება.

პირჯგუფების სქესობრივი დიფერენციაცია ხელს არ უშლის იმას, რომ ჯგუფში ბევრი ისაუბრონ საპირისპირო სქესზე. ამით ჯგუფის წევრები სამომავლო გენდერული ურთიერთობებისთვის ემზადებიან. შესაძლებელია 9–11 წლის ბავშვებშიც ვნახოთ წყვილები, რომლებიც „ერთად დადიან“. მაგრამ ეს ურთიერთობა დისტანციურია და, ჩვეულებრივ, რამდენიმე დღეს გრძელდება, უკეთეს შემთხვევაში, რამოდენიმე კვირას.

ცნობილია, რომ 11-13 წლის გოგონებში რომანტიული ინტერესები უფრო მაღალია, ვიდრე ბიჭებში. ამ დროისთვის გოგონები უფრო მომწიფებულნი და განვითარებულნი არიან. სიყვარულის ახსნა ხდება მეგობრების საშუალებით – ვერბალურად ან მიმოწერის ფორმით.

ბიჭებში, ცოტა უფრო გვიან, 12-14 წლის ასაკში ვითარდება აქტიური ინტერესი გოგონების მიმართ. თანატოლთა ჯგუფში ისინი ღიად საუბრობენ ამ თემაზე. სასიყვარულო ურთიერთობები უკვე წააგავს ზრდასრული ადამიანების ურთიერთობებს, თუმცა პირჯგუფის შეხედულებებს წყვილისთვისაც დიდი მნიშვნელობა აქვს. 14 წლის გოგონებში ჯერ კიდევ არსებობს ჯგუფის მოთხოვნა: უფრო მნიშვნელოვანია ერთმანეთთან ურთიერთობა, ვიდრე ბიჭთან (Eders, 1995; Goodwin, 1990). გოგონებში წინა პლანზეა წამოწეული რომანტიული სიყვარული, ბიჭებში სექსუალური მოთხოვნილებები, რადგან მათ ჯგუფში ბატონობს სტერეოტიპი – უნდა იყვნენ აუცილებლად სექსუალურად აქტიურნი. ისინი, უმეტეს შემთხვევაში, მამაკაცური სტანდარტებიდან გამომდინარე, გოგონასთან ურთიერთობას აგრესიულობისა და კომპეტეტიურობის გამოხატვით იწყებენ. ბიჭი სასურველ გოგონას ისე უყურებს, როგორც თავის საკუთრებას (Eders 1995, 86).

სოციალური ფაქტორის ანალიზის დროს გოგონებსა და ბიჭებს შორის არსებითია მეგობრობის საკითხი. მეგობრობის გაგება ასაკის ცვლასთან ერთად იცვლება (Hartup, 1983, 138). 11 წლის მოზარდმა მეგობრად შესაძლებელია კარგი აკადემიური მოსწრების ბავშვი აირჩიოს, 15 წლის ახალგაზრდა მეგობრისაგან გრძნობების, მოთხოვნილებების, მიზნების თანაზიარობას ითხოვს (Epstein, 1983, 16). გამოკითხვებმა ცხადყვეს, რომ 6-10 წლის ბავშვებისთვის მეგობარია ის, ვინც მასთან ხშირად თამაშობს. 12-15 წლის ბავშვები მეგობრობის კრიტერიუმად ნდობას და ურთერთგაგებას ასახელებენ (Youiss, 1982, 78).

ასაკობრივი გრადაციის მიხედვით არსებობს გოგონების მეგობრობის შემდეგი მახასიათებლები:

- მოზარდთა ადრეული ასაკი სავსეა აქტიური ქმედებებით: სპორტი, თამაშები, ხელოვნება, ჰობი და ა.შ. მეგობრობა ამ ასაკში ორიენტირებულია აქტივობებზე. პიროვნულ თვისებებს ნაკლები ყურადღება ექცევა.
- მოზარდთა საშუალო ასაკის გოგონების კავშირი ოჯახთან შესუსტებულია. მეგობრობა უფრო ინტიმური და ინტენსიური ხდება. საერთო აქტივობებს ცვლის ურთიერთობები, სადაც პიროვნულობის საკითხი ცენტრალურია. მეგობრობას ახასიათებს: ლოიალობა, ნდობა, ემოციური მხარდაჭერა. მეგობრის ღალატი მტკივნეულად აღიქმება. დიდია შიში მარტო დარჩენის. აღნიშნული საკითხის მიმართ არსებობს მკვლევართა სხვადასხვაგვარი დამოკიდებულება: ერთნი ადასტურებენ, რომ გოგონების პირჯგუფში ჩხუბი ზიანის მომტანი არ არის, კონფლიქტი დიდხანს არ გრძელდება, სწრაფად ხდება სიტუაციის დარეგულირება, შერიგება (Meyenn, 1980; Griffiths, 1995; Thone, 1993). მეორენი საპირისპიროს ამტკიცებენ – კონფლიქტი ნეგატიურად მოქმედებს პირჯგუფზე, ხდება ჯგუფის რღვევა-დანაწევრება (Goodwin, 1990; Griffin, 1985). ჩვენთვის მისაღებია მეორე მოსაზრება: გოგონებს, შუა მოზარდობის პერიოდში, მეგობრობის მიმართ გარკვეული მორალური პრინციპები აქვთ. ამ პრინციპების დარღვევას

ისინი ერთმანეთს არ პატიობენ. გოგონების მეგობრობის დაშლის მიზეზი ხშირად ეჭვიანობაა.

- 17-18 წლიდან მეგობრობა ნაკლებად მნიშვნელოვანია, გოგონებს აღარ ეშინიათ მარტოობის, თუმცა მეგობრობაში პიროვნულობის საკითხი კვლავ არსებითია (Branner, 2003, 29).

14-16 წლის ბიჭები უკვე იღებენ სექსუალურ გამოცდილებებს, შესაბამისად მათ ინტიმური მეგობრობისკენ ნაკლები მიდრეკილება აქვთ. ჯგუფებში გაერთიანება მათ უფრო საკუთარი თავის წარმოსაჩენად სჭირდებათ. ამ ასაკის ბიჭების მეგობრობის გაგება წააგავს 11-12 წლის გოგონების მეგობრობას.

მკვლევართა ზემომოყვანილი მოსაზრებები დაეყრდნო ინტერვიუებს, ამიტომ მათი განზოგადება საკამათოა. აუცილებელია ახალგაზრდების ინტერაქციაზე დაკვირვება ბუნებრივ გარემოში, ინტერაქციის პროცესში.

საუბრის სტილი გოგონების ჯგუფში

როგორც წინამდებარე თავში აღვნიშნეთ, გოგონები და ბიჭები ურთიერთობენ ჰომოგენურ ჯგუფებში, რაც ქმნის მათი საუბრის დიფერენცირებულ სტილს. საუბრის დიფერენცირებული სტილი ენობრივი სოციალიზაციის შემადგენელი ნაწილია. ეს როდი ნიშნავს იმას, რომ გოგონასა და ბიჭის ცოდნა სხვადასხვა ენობრივი სისტემით განისაზღვრება. ისინი საუბრის განსხვავებულ ინტერაქციულ სტრატეგიებს იყენებენ.

12 წლის ასაკში აშკარაა განსხვავება სასაუბრო თემებს შორის. ბიჭები საუბრობენ სპორტზე, გოგონები სკოლაზე, პირად განცდებზე. ბიჭებს კონფრონტაციული რიტუალის ჩვევა აქვთ, გოგონებს – მეგობრული ურთიერთობის, მხარდაჭერის (Deppermann/Schmidt, 2000, 27).

გოგონების ურთიერთობაში მთავარია საუბრები (Griffiths, 1995, 67). საუბრის ინტიმურობის ხარისხი დამოკიდებულია იმაზე, თუ რა სახის ურთიერთობები აქვთ გოგონებს ერთმანეთთან. გოგონების სასაუბრო თემებია: საერთო ინტერესები, გამოცდილებების გაზიარება, აზრთა გაცვლა ოჯახსა და მეგობრებთან ურთიერთობების შესახებ, სირთულეები და პრობლემები მშობლებთან, სახლში ან სკოლაში, ერთერთი მთავარი თემაა ბიჭებთან ურთიერთობა, აქ რეალურ ურთიერთობებთან ერთად ოცნებები და ფანტაზიები დიდ როლს თამაშობენ.

18-19 წლის სტუდენტ გოგონებზე ჩატარებულმა კვლევებმა (Jonsen/Aries, 1983; Hey, 1997; Huber/Rehling, 1989 ; Griffiths, 1995) გვიჩვენა, რომ გოგონები უპირატესობას ანიჭებენ საუბარს საკუთარ თავზე (საკუთარ შიშზე, განცდებზე, პრობლემებზე, ურთიერთობებზე ოჯახში, მეგობრებთან, ბიჭებთან), მაშინ როცა მოზარდი ბიჭები საუბრობენ სპორტზე, ჰობიზე და ა.შ. გოგონების საუბრები ხასიათდება პირადული თემების სიმრავლით, ნდობის ფაქტორი მათში მნიშვნელოვანია, რადგან უკავშირდება საიდუმლოებებსა და ღრმა ემოციებს. საიდუმლოს შენახვა მეგობრობის საუკეთესო დადასტურებაა (Huber/Rehling, 1989, 91). გოგონების ჯგუფში საუბრის სტილი კოოპერაციულია (Branner 2003, 40). ეს კარგად ჩანს მათ ქმედებებში, მაგ., ღონისძიებების ორგანიზებაში, კრიტიკის გამოხატვაში, სხვების მხარდაჭერაში, მსმენელის როლში ყოფნაში.

როგორც უკვე აღინიშნა, მოზარდობის ადრეული პერიოდის გოგონებისა და ბიჭებისა საუბრების ანალიზით (მაგ., Leuoer, 1991) დადგინდა, რომ კოოპერაციული საუბრის აქტი ყველაზე ხშირია გოგონებში, თუმცა არც კომპეტითურია მათთვის უცხო. ისინი, ისევე როგორც ბიჭები, იყენებენ ბრძანებით წინადადებებს ერთმანეთთან საუბრის დროს. მოზარდების საუბრებში ბრძანებითი წინადადებების, ე.წ. დირექტივების კვლევა (მაგ., Goodwin, 1990) გვიჩვენებს, რომ გოგონები დირექტივების ფორმულირებას ახდენენ ფორმით – სამომავლო ქმედების შეთავაზება. სემანტიკური ფორმაა, მაგალითად, „მოდი ვითამაშოთ!“ ან „ხომ არ ვითამაშოთ?“ რითაც არ იქმნება ბრძანების შთაბეჭდილება და კომუნიკანტებს შორის შენარჩუნებულია

სიმეტრიული ურთიერთობა. თუ ერთი გოგონა რამეს მოითხოვს მეორისაგან, უმეტეს შემთხვევაში ასახელებს მიზეზს. ამით იგი ჯგუფში იცავს თანასწორობას (Goodwin, 1990, 63). აგრესიულობას გოგონები ჯგუფში მკაცრად აკონტროლებენ. აგრესიულობა არღვევს ურთიერთობებს (Maltz/Borker, 1982/1991; Sheldon, 1993; Branner, 2003). ამის მიზეზი მათი სოციალიზაციის პროცესშია სამეზობლო, რომლის დროსაც სწავლობენ:

- შექმნან ადამიანებთან ურთიერთობის, ინტიმურობისა და თანასწორობის ატმოსფერო
- აგრესიის გარეშე გააკრიტიკონ სხვა „მსუბუქად“, არ აჩვენონ თავიანთი დომინანტურობა
- დისკუსიების დროს თავიანთი არგუმენტები დაუქვემდებარონ ჯგუფის სურვილს.

მდედრობითი და მამრობითი სტანდარტული ენობრივი ფორმები დიქტომიურია. მდედრობითი საუბრის სტილი დიფერენცირებულია. კონფლიქტი და კონკურენცია გოგონების ჯგუფისათვის მიუღებელია, თუმცა დასაშვებია, რადგან იგი გოგონების სოციალური ინტერაქციის ერთ-ერთ ელემენტს წარმოადგენს და, თავის მხრივ, მდიდარი ენობრივი კომპეტენციითა და კომპლექსურობით ხასიათდება.

გოგონებს აქვთ სპეციალური სასაუბრო სტრატეგიები კრიტიკულ ან კონფლიქტურ სიტუაციებში. ისინი სხვა გოგონას პირდაპირ არ დაადანაშაულებენ. თუ გოგონა მიღებულ წესებს არღვევს, იგი ჯგუფის კრიტიკას იმსახურებს. კრიტიკა მეტწილად არაპირდაპირია. გოგონებში მიღებულია ზურგს უკან გალანძღვის სტრატეგია (Goodwin, 1980; Eder, 1991; Lees, 1986; Branner, 2003). ბიჭებთან კონფლიქტში გოგონები იყენებენ პირდაპირი შეურაცხყოფის სტრატეგიას. მაგალითად, „სახლობანას“ თამაშის დროს მამის როლის შემსრულებელი გოგონები იყენებენ პირდაპირი იმპერატივის ფორმებს, ავლენენ აგრესიულობას, ანუ აჩვენებენ ე.წ. მამაკაცურ ენობრივ სტილს და მის სიტუაციურ გამოყენებას.

11-13 წლის გოგონების თამაშების ანალიზმა (Huges, 1993, 1988) აჩვენა, რომ გოგონების კოოპერაციული და ლოიალური სოციალური ორიენტაცია შეთავსებადია კონკურენციასთან. კოოპერაციულ მოდულში ხდება ერთმანეთის კონკურენცია, რაც სოციოლინგვისტიკაში “კოოპერაციული კომპეტეტიურობის” სახელწოდებით მოიხსენიება (Eckert, 1993, 32). გოგონებთან საკონფლიქტო თემები: პოპულარობა და დამოუკიდებლობა (Branner, 2003, 41), მაგრამ ეს თემები გაწონასწორებულია. ეს ნიშნავს, რომ გოგონა გამოთქვამს განსხვავებულ აზრს, მაგრამ ამავე დროს ცდილობს მოიქცეს ჯგუფის მოთხოვნების შესაბამისად. შეჯიბრის დროს მოწინააღმდეგის როლში მყოფი გოგონები, ბიჭებისაგან განსხვავებით, ერთმანეთს „რეალურ“ მოწინააღმდეგეებად არ აღიქვამენ. თუკი გოგონების ჯგუფში კონფლიქტური სიტუაციები მოხდა და ერთმანეთს პირდაპირი შეურაცხყოფა მიაყენეს, ეს წააგავს ბიჭების „რიტუალურ ლანძღვას“. ბიჭებს ახასიათებთ ვერბალური თავდასხმისა და თავდაცვის სტრატეგიები. აქედან გამომდინარე, გოგონების პირჯგუფშიც დასაშვებია კონკურენციისა და კონფლიქტური სიტუაციების არსებობა.

ზემოთ აღინიშნა, რომ ბიჭების ჯგუფს იერარქიული სტრუქტურა აქვს. ეს იერარქია ენაში აისახება და ენის საშუალებით გამოიხატება. ბიჭების საუბრის სტილი ენათმეცნიერებაში კონფრონტატიულად ითვლება (Veith, 2002, 166). ჯგუფში მოპოვებული და განმტკიცებული დომინანტური პოზიცია ენობრივი საშუალებებით ნარჩუნდება, დომინანტური პოზიციისათვის ბრძოლა, უმეტეს შემთხვევაში, ვერბალურია.

ბიჭების ენობრივ ქცევებში გამოიყოფა სამი ელემენტი:

- ბიჭებისათვის ენა დომინანტური პოზიციის განმტკიცების საშუალებაა. ენის საშუალებით ისინი კამათობენ სხვისი პოზიციის მართებულობაზე: ვერბალური მუქარით, ლანძღვა-გინებით, დაცინვით. ამ ქმედებებს უმეტეს შემთხვევაში ვერბალურ დუელამდე მივყავართ, რომლის მიზანი ბოლო სიტყვის მოპოვებაა.

- ბიჭები ენობრივი საშუალებებით ცდილობენ მიიპყრონ ყურადღება, დააფიქსირონ საკუთარი პოზიცია. პირველად იხილი მიჩვეულნი არიან სიტყვის გაწყვეტას, იციან, როგორ გაუმკლავდნენ საუბრის ხელისშემშლელ ფაქტორს და სათქმელი ბოლომდე თქვან. მამაკაცები, როგორც წესი, დისკუსიებში სიტყვის გაწყვეტის შემდეგაც კარგად ახერხებენ საკუთარი აზრის დასრულებას.
- ბიჭი, როგორც მსმენელი, ნაკლებ შეკითხვებს სვამს და ნაკლებ მინიმალურ რეაქციებს იყენებს, ვიდრე გოგონა. მათთვის უფრო მნიშვნელოვანია არა ამბავი, არამედ მისი როგორც მსმენელის იდენტურობის დადასტურება (Maltz/Borker, 1991, 54).

ბიჭების ჯგუფში დაცინვა დომინანტურობის გამოხატვის ყველაზე ხშირი საშუალებაა (Savin-Williams, 1976, 142). იგი გოგონებთანაც გვხვდება, მაგრამ არა მეგობრულ ურთიერთობებში. ბიჭები სიამოვნებით ჰყვებიან ამბებს, სადაც იქვე მყოფი ბიჭია გამასხარავებული. ეს უკანასკნელი თავდაცვის ან შეტევის მიზნით ყველა ისეთ ისტორიას, რომელშიც პირველია დამცირებული (Goodwin, 1980, 682).

არსებობს აზრთა სხვადასხვაობა რამდენად სტაბილურია ბიჭების ჯგუფში იერარქიული წყობა. მეცნიერთა ერთი ნაწილი თვლის (მაგ: Savin – Williams 1980, 1979, 1976), თუ პირველადი წევრთა შემადგენლობა უცვლელია, მაშინ ადრეული, შუა და გვიანი მოზარდობის პერიოდში იერარქიული წყობა შენარჩუნებულია, ამის საწინააღმდეგო მოსაზრებაა (მაგ: Goodwin 2002; 2001; 1998; 1990; 1980), რომ ბიჭების ჯგუფში იერარქია დამოკიდებულია მათ მოქმედებებზე. ყველა ავტორი აღიარებს ვერბალურ ბრძოლას ბიჭების მიერ ჯგუფის იერარქიაში ადგილის მოსაპოვებლად. ვერბალური ბრძოლა გულისხმობს: პირდაპირ შეურაცხყოფას, დადანაშაულებას, მუქარას, ბრძანებას, ტრაბახს. გოგონები სხვა გოგონას მიმართ წყენას უმეტეს შემთხვევაში მისი არ ყოფნის დროს გამოხატავენ. ბიჭები სხვა ბიჭს პირდაპირ მისი თანდასწრებით ადანაშაულებენ და შეურაცხყოფენ. ეს მოწინააღმდეგეს თავდაცვის საშუალებას აძლევს.

ბიჭები ძირითადად იყენებენ იმპერატიულ ფორმებს (Thorne/Lurie, 1985, 188). პატარა ასაკშიც კი სექსუალურობა და აგრესიულობა მათ მიერ გაიგება როგორც მამაკაცურობის და მომწიფებულობის სიმბოლო. 10-12 წლის ასაკის ბიჭებთან უპირატესობა ენიჭება აგრესიულ თემებს (Fine 1987, 110). უკვე მოზარდობის შუა ასაკში ისინი ამყობენ თავიანთი კომპეტენციით სექსუალურ საკითხებსა და ჰეტეროსექსუალურ გამოცდილებებში, ემზადებიან გახდნენ “მამაკაცები” და შესაბამისად მოიქცნენ.

სხვისი შეურაცხყოფით ბიჭები ცდილობენ აჩვენონ, რომ ხელეწიფებათ მომწიფებული ასაკის ადამიანის ენა, ე.წ. “die Sprache der Reife” (Fine 1987, 118). ეს ჰეტეროსექსუალურობის მაჩვენებლად ითვლება, ჰომოსექსუალობა კი გაიგება, როგორც სექსუალური მოუმწიფებლობა (Fine, 1987, 114). ბიჭების ყველაზე შეურაცხყოფელ სალანძღავ სიტყვებად ჰომოსექსუალურობის გამომხატველი სიტყვები ითვლება (Neuland, 2009; Reithel, 2005; Branner, 2003 ; Eder, 1995; Thorne, 1993; Fine, 1987; Thorne/Luria, 1980; Schoefeld, 1982).

ბიჭები სხვისი შეურაცხყოფისთვის ჰომოსექსუალობის კონცეპტს კიდევ ორ სხვა კონცეპტს უმატებენ: უწოდებენ ერთმანეთს პატარას ან გოგონას (Eder 1995, 63). ამით ისინი ხაზს უსვამენ ვინაა ძლიერი და ვინ სუსტი. ბიჭების შეურაცხყოფისათვის გოგონებიც იყენებენ მსგავს ფორმულირებებს.

განასხვავებენ ბიჭების მიერ გამოყენებულ “პირდაპირი შეურაცხყოფის” სამ ფორმას:

- პირჯგუფში ერთი ბიჭი შეურაცხყოფს მეორეს. მათ თავი მეგობრებად მიაჩნიათ და ჯგუფურ შეთანხმებას სწორედ შეურაცხყოფებით აღწევენ. ასეთი მოქმედება არ იწვევს მათ გაბრაზებას და წყენას
- პირჯგუფში ირონიის გამოყენება. ეს ფორმაც მეგობრობის დასტურია, მას არ მოჰყვება მოწინააღმდეგეებს შორის სერიოზული ჩხუბი
- პირდაპირი შეურაცხყოფა, რითაც შეურაცხყოფელი იმალლებს სტატუსს და ამცირებს მოწინააღმდეგეს. შეურაცხყოფილი დაბალი ან თანაბარი სტატუსის ბიჭია. შეურაცხყოფა მწარე და სასტიკია, თუკი ის აუდიტორიის წინაშე ხდება (Eder 1995,76).

ზემოთქმულიდან ცხადია, ბიჭები შეურაცხყოფილნი არიან მაშინ, როცა მათ საზოგადოების წინაშე დაამარცხებენ ან მსხვერპლად აქცევენ. პირჯგუფში ბიჭები მხარს უჭერენ გამარჯვებულს. სულ სხვა სიტუაციაა, როცა ბრძოლა პიგ-ჯგუფებს შორის ხდება. თავიანთი ჯგუფის წევრის შეურაცხყოფას ისინი პირად შეურაცხყოფად თვლიან და მისი დაცვა საკუთარი თავდაცვაა.

ზემოხსენებულიდან ახალგაზრდების სოციალიზაციისთვის პირჯგუფი ძირითადია სხვა სოციალურ აგენტებს შორის (ოჯახი, სკოლა, უნივერსიტეტი, მასმედია). პირჯგუფის მთავარი ნიშანი სქესობრივი და ასაკობრივი ჰომოგენურობაა. აქ პოულობენ ახალგაზრდები ნამდვილ გარემოს, გამოსცადონ და გაავარჯიშონ თავიანთი ინტერაქციული უნარ-ჩვევები, შეისწავლონ, განავითარონ და განამტკიცონ სქესისთვის ტიპური ქცევები და საუბრის სტილი, გაეცნონ სოციალურ სტრუქტურებს, როგორცაა იერარქია და თანასწორობა. ეს ცოდნა ერთმანეთს გადაეცემა და იქმნება სპეციფიკური ნორმები, წესები და შეფასების სისტემა. როგორც კვლევებმა გვიჩვენა, დიდია განსხვავება გოგონებისა და ბიჭების ინტერაქციულ სტრუქტურებში. მაშინ როცა ბიჭების ჯგუფი იერარქიისკენ და შეჯიბრისკენაა მიდრეკილი, გოგონების ჯგუფი ესწრაფვის თანასწორობასა და სიახლოვეს. ბიჭები უპირატესობას ანიჭებენ თამაშებს, გოგონები – საუბრებს, საუბარი უფრო კოოპერაციული და კოლაბორაციულია, იგი მოიცავს პირადულ თემებს. გოგონები ბიჭებისთვის ტიპურ საუბრის სტილსაც ფლობენ: შეურაცხყოფა, ბრძანება, მაგრამ მას სიტუაციის შესატყვისად იყენებენ.

3.1. სქესი და ასაკი, როგორც პიროვნულობის ასპექტები

სქესი და ასაკი ახალგაზრდებში პიროვნულობის ასპექტებია. გენდერული იდენტურობის განვითარება პიროვნულ განვითარებასთან უშუალო კავშირშია. პიროვნულობის ფსიქოლოგიის მიხედვით (Persönlichkeitspsychologie) ხდება შეთანხმება გენეტიკურ სქესს, სქესობრივ იდენტობასა და სქესობრივ როლებს შორის (Schreier, 2008, 31): ვიღაც დაიბადა

როგორც ქალი ან მამაკაცი (გენეტიკური), გრძნობს თავს ქალად ან მამაკაცად (სქესობრივი იდენტობა) და იქცევა ისე, როგორც მიღებულია მის სუბკულტურაში (სქესის როლი). სქესის როლი სუბკულტურაზე დამოკიდებული და ცვლადი ფენომენია. ფსიქოლოგების უმეტესობა სქესს სოციალურ კატეგორიად მიიჩნევს და თვლის, რომ სქესი გამოკვლეული უნდა იქნეს სოციალური ინტერაქციის პროცესში.

სქესი და ასაკი სხვადასხვა ფსიქოლოგიური პერსპექტივების ერთიანობაა, შესაბამისად, კომპლექსური ფენომენია. საკუთარი სქესის იდენტიფიკაცია პიროვნულობის ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტია. ასაკი, კერძოდ ახალგაზრდული ასაკი, როგორც წინა თავში იქნა განხილული, ის ეტაპია, როცა ყველაზე აქტიურად მიმდინარეობს იდენტიფიკაციის ანუ პიროვნებად ჩამოყალიბების პროცესი. სქესი როგორც პიროვნულობის ასპექტი საჭიროა შეისწავლონ სქესთა როლის მიხედვით. სქესობრივი იდენტობა ფსიქოლოგიაში განიხილება როგორც უცვლელი, სტაბილური მდგომარეობა. იგი მნიშვნელოვანია საკუთარი „მეს“ დეფინიციისათვისა და პიროვნულობის განვითარებისათვის (Schreyer 2008, 35).

სქესი და ასაკი პიროვნულობის ასპექტში განხილული მოიცავს ინდივიდის ინტერესებსა და მოტივაციას. ინტერესები, თავის მხრივ, მნიშვნელოვანი ფაქტორია პიროვნულობის დეფინიციისათვის. საინტერესოა, სქესი და ასაკი არის თუ არა განსხვავებული ინტერესების შემქმნელი? ინტერესების ჩამოყალიბება დაკავშირებულია სქესობრივ იდენტობასთან და ასაკთან: სქესობრივი როლი და სოციალური ასაკი სპეციფიკური ინტერესებით გამოირჩევა. მაგალითად, მამაკაცი ტექნიკის მიმართ იჩენს როგორც ზოგად, ასევე სპეციფიკურ ინტერესს. ის, მამაკაცური სქესის როლთან ასოცირდება, პროფესიული დასაქმების საკითხში მამაკაცური იდენტურობის შემქმნელია. ქალისთვის ტექნიკა მხოლოდ მაშინ უკავშირდება სქესის როლსა და სქესის იდენტობას, როცა იცვლება სქესის როლები ან ხდება მამის მაგალითზე სქესის იდენტიფიკაცია. ტექნოკრატი ქალების უმეტესობა ტექნიკით დაინტერესებას მამის ზეგავლენით ხსნიან (Todt 1985, 1090).

ახალგაზრდების კომპიუტერით დაინტერესებამ გვიჩვენა, რომ ბიჭებისთვის ეს საქმიანობა ინტერესისა და სიამოვნების ურთიერთშერწყმას წარმოადგენს. გოგონებისთვის იგი საჭიროებით და აუცილებლობითაა განპირობებული. გოგონები ტექნიკურ სფეროებში ცდილობენ მოახდინონ სოციალური ასპექტების ინტეგრირება (Skalz-Weiner, 1995, 136).

თანამედროვე ეტაპზე მწირია სქესისა და ასაკის მიხედვით შესწავლილი სპეციფიკური ინტერესებისა და მოტივაციის მაჩვენებელი მასალა. ხელთ არსებული მონაცემების მიხედვით (Eccles et al, 1995; Wigfield/Eccles, 2000; Hannover, 1998; Schreyer, 2008), პიროვნების ინტერესებსა და არჩევანს განსაზღვრავს სოციოკულტურული ასპექტები. ადამიანის წარმატება ბევრადაა დამოკიდებული იმაზე, რამდენად აქვს მას საკუთარი კომპეტენციის რწმენა. ეს აადვილებს დაბრკოლებების გადალახვას, გარკვეული საკითხების ღრმად შესწავლას, მიზნის მიღწევას. პიროვნების წარმოდგენა საკუთარ თავზე უშუალო კავშირშია ინდივიდის მოტივაციასთან.

საკუთარი კომპეტენციის რწმენის ჩამოყალიბებაში დიდია მშობლების, აღმზრდელების, თანატოლების, მათი პოზიციებისა და ინტერპრეტაციების ზეგავლენა. მათი აზრი და შეფასება ინდივიდზე, მის მოტივაციასა და ინტერესებზე მოქმედი ფაქტორები თავმოყრილია ვიგფილდ/ეკლეს მიერ შემუშავებულ „წარმატებული არჩევანის მოდელში“ (გრაფიკი 5.) და ემსახურება ამ ფაქტორების თვალსაჩინოებას.

„წარმატებული არჩევანის მოდელის“ პირველი 4 ფაქტორია: კულტურული გარემო, აღმზრდელის მრწამსი და ქცევა, ინდივიდუალური ფაქტორები და ადრეული გამოცდილებები. შემდგომი ეტაპია კულტურული გარემოსა და აღმზრდელის მრწამსისა და ქცევის ინდივიდუალური აღქმა. ინდივიდუალური ფაქტორებისა და ადრეული გამოცდილებების საშუალებით ახდენს პიროვნება გამოცდილებების ინდივიდუალურ ინტერპრეტაციას. კულტურული გარემოს ინდივიდუალური აღქმა და გამოცდილებების ინდივიდუალური ინტერპრეტაცია განაპირობებს ეფექტურ მოგონებებსა და ინდივიდუალური მიზნების ჩამოყალიბებას. პიროვნების მიზნებს უკავშირდება: პიროვნების შესაძლებლობები, მოკლე და გრძელვადიანი

მიზნები, საკუთარი “მე-ს” სურათი, წარმოდგენა საკუთარ შესაძლებლობებზე, დავალების სირთულის აღქმა. მიზანს თან სდევს წარმატების მოლოდინი და შესასრულებელი დავალების ანუ მისაღწევი მიზნის სუბიექტური შეფასება. მოდელის მიხედვით აქ სამი კომპონენტი გამოიყოფა:

- Der Aneigungswert – კომპეტენციის დემონსტრირებით და დაკისრებული დავალების წარმატებული შესრულებით მაღლდება ინდივიდის წარმოდგენა საკუთარ თავზე
- Die Nuzlichkeit – აქტუალური დავალების სარგებელი, მისი შესაბამისობა პირადულ, გრძელვადიან გეგმებთან და მიზნებთან
- Die Kosten – რის ფასად უჯდება ინდივიდს დავალების შესრულება (მაგ., დროის, ემოციის, ენერჯის ხარჯი).


დამატებითი კომპონენტებია, ის რაც მოდელში არაა მოცემული, თუ როგორ სიამოვნებას ანიჭებს ადამიანს დავალების შესრულება (intrinsic Wert einer Aufgabe) და სოციალიზაციის ასპექტი. სოციალიზაციის ასპექტში მნიშვნელოვანია მშობლების რწმენა შვილის შესაძლებლობებზე, რომელიც, უმეტეს შემთხვევაში, ან გადაჭარბებულია, ან პირიქით, დაუფასებელი (Schreyer, 2007, 43).

მოდელში მოცემული ფაქტორების შეჯამებით: პიროვნება მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს (მაგ., პროფესიის არჩევანი) არ იღებს იზოლირებულად, ეს პროცესი მრავალ სხვა ასპექტებს უკავშირდება. დიდი მნიშვნელობა აქვს ასევე, როგორ წარმატებას ელის პიროვნება საკუთარი თავისგან მომავალში. ადამიანის საქმიანობას განაპირობებს საჭიროება ან ინტერესი. ორივე ინდივიდუალურობის ნაწილია და, შესაბამისად, მნიშვნელოვან როლს თამაშობს საკუთარი იდენტურობის გასაზღვრაში. ინტერესები პიროვნების ცოდნასთანაა მჭიდრო კავშირში (Hannover, 1998, 120). პიროვნების მეხსიერება უკავშირდება მისი ინტერესების სფეროს (Schreyer, 2007, 44). ადამიანი თავის ინტერესებს აიგივებს პიროვნულ იდენტობასთან. საკუთარი თავის დახასიათების დროს იგი შემოიფარგლება არა მხოლოდ ასაკის, სქესის და პროფესიის დასახელებით, არამედ, ახდენს ინტერესების ჩამოთვლას.

პიროვნების წარმოდგენა საკუთარ თავზე და ინტერესები ერთმანეთზე ზემოქმედებენ. გამოიყოფა ზემოქმედების შემდეგი ასპექტები:

- ინტერესების ჩამოყალიბება ავითარებს პიროვნების „მეს“. ინტერესებისა და საკუთარი თავის შეფასების ყველაზე ხშირი ცვლა ხდება პუბერტეტის (გარდატეხის) პერიოდში.

გრაფიკი 5. (Wiegfield/ Eccles, 2000, 69).



- პიროვნება სვამს კითხვას: ვინ არის ის? მას ვინ სურს იყოს? ეს ე.წ. „Idealselbst“ (იდეალური „მე“) სამომავლო ქმედებების სტიმულია. ამიტომ ინტერესები შუამავალი რგოლია მიზანსა და პიროვნულ ქცევას შორის.
- ინტერესები თვითშეფასების მარეგულირებელია. ადამიანი ისწრაფვის საკუთარი თავი დადებითად შეაფასოს. ინტერესები პოზიტიური თვითდეფინიციის მიღწევის საშუალებას იძლევა, რადგან ადამიანთა უმეტესობა საკუთარ კომპეტენციას თავისი ინტერესების სფეროში უფრო აფასებს, ვიდრე იმ სფეროებში, რომლებიც მას არ აინტერესებს. შესაძლებელია საპირისპირო პროცესიც – ადამიანი აღწევს საკუთარი თავის პოზიტიურ თვითდეფინიციას მაშინ, როცა ცდილობს დაინტერესდეს იმ სფეროებით, რომელიც მის კომპეტენციაში ნაკლებად შედის (Hannover, 1998, 121).

პროფესიის არჩევანს პროფესიისადმი ინტერესი განაპირობებს. გამოკითხული გვიანდელი მოზარდი ასაკის გოგონებისა და ბიჭების ერთი მესამედისთვის არჩევანის საფუძველია ინტერესი. ბიჭებისთვის მნიშვნელოვანია ფინანსურად უზრუნველყოფის საკითხი (ბიჭები – 62%, გოგონები – 55%) (Baumert, 1992, 83). პროფესიულ ინტერესს თან ახლავს სქესისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური თავისებურებები. პროფესიული სასწავლებლის მოსწავლე გოგონების ერთი მესამედი 357 შესაძლებელი პროფესიიდან ირჩევს იმ ოთხ პროფესიას, რომელსაც სოციალურ გარემოში „ქალურ პროფესიად“ აღიარებენ: ექთანი, ბიუროს მუშაკი, გამყიდველი, სტილისტი. ბიჭების ერთი მესამედი კონცენტრირებულია „მამაკაცურ პროფესიებზე“: მექანიკოსი, ელექტრიკოსი, მშენებელი, დურგალი, მღებავი (Baumert, 1992)

გოგონებისა და ბიჭების განსხვავებული გენდერული ინტერესები, რა თქმა უნდა, განსაზღვრავს მათ სამომავლო პროფესიის არჩევანს. ქვემოთმოყვანილ ცხრილში პროცენტულად აღრიცხულია გერმანიასა და დიდ ბრიტანეთში სხვადასხვა პროფესიის მასწავლებელთა რაოდენობა.

თვალსაჩინოა მამაკაცთა დომინირება ტექნიკურ/საბუნებისმეტყველო დარგებში, ხოლო ქალების პრიორიტეტი – ჰუმანიტარულ დარგებში.

ცხრილი 2. (Pease 2001, 187/188)

საგანი	მასწავლებელთა რიცხვი	% ქალები	% მამაკაცები
ესპანური	2700	78	22
ფრანგული	16200	75	25
გერმანული	8100	75	25
სხვა ენები	1300	70	30
ბიოლოგია	5100	51	49
ეკონომიკა	6400	50	50
ისტორია	13800	46	54
გეოგრაფია	14200	44	56

სოციალური მეცნიერებები	11000	48	52
მუსიკა	5600	49	51
სპორტი	20100	42	58
რელიგია	13400	44	56
ხელოვნება	9400	56	44

ფიზიკა	4400	18	82
საინფორმაციო ტექნოლოგიები	10700	31	69

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	28900	35	65
ქიმია	4600	38	62

მკვლევართა ერთ ნაწილს მიაჩნია, რომ მოძველებული გენდერული სტერეოტიპები თანამედროვე ახალგაზრდებზეც მოქმედებს. გოგონებს უფრო ნაკლები თავდაჯერება აქვთ საკუთარი შესაძლებლობების მიმართ, ვიდრე ბიჭებს და ეს არის მიზეზი იმისა, თუ რატომ ამბობენ უარს აირჩიონ „რთული“ საბუნებისმეტყველო საგნები და პროფესიები. სხვა მიზეზად სახელდება პრობლემური შეთავსებადობა ოჯახსა და „რთულ“ პროფესიებს შორის (Spieß, 1991, 253), მაგრამ სინამდვილეში საქმე ეხება არა სირთულეს (ბოლო მონაცემებით გოგონებისა და ბიჭების წარმატებები ტექნიკურ საგნებში თითქმის ერთნაირია, ხოლო ჰუმანიტარულ საგნებში გოგონები უსწრებენ ბიჭებს, განსაკუთრებით ადრეული და შუა მოზარდობის პერიოდში), არამედ განსხვავებული სქესის წარმომადგენელთა განსხვავებული პროფესიული მოტივაციის არსებობის საკითხს და გენდერისთვის სპეციფიკურ ინტერესებს, რაც თავის მხრივ განაპირობებს განსხვავებულ ენობრივ ქცევასაც.

3.3. გენდერლექტი როგორც ენობრივი ვარიანტულობა

გენდერლექტის განსაზღვრა უშუალოდ უკავშირდება ენის სოციალური ვარიანტულობის საკითხს. ენა კულტურის შემადგენელი ნაწილია, იგი სხვადასხვა ენობრივი ვარიაციების სახით არსებობს. ენობრივი ვარიანტულობა სოციალური ლინგვისტიკის ტრადიციული პრობლემაა. ენის ვარიანტულობა ინდივიდის სამეტყველო აქტის ვარიანტები როდია, ეს ენის სოციალურად განპირობებული ფორმები და მისი გამოყენების საშუალებებია (Крючкова, 1991,44).

ენის სოციალურად განპირობებულ ცვლადობას ახასიათებს ორი განზომილება „სოციალური“ და „სტილისტიკური“. სოციალური ვარიანტი უშუალო კავშირშია საზოგადოების სოციალურ სტრუქტურასთან. იგი გამოიხატება იმ ენობრივ და სამეტყველო სხვაობებში, რომლებიც სხვადასხვა ურთიერთობის დროს წარმოჩნდებიან. სტილისტიკური ვარიანტი უკავშირდება სოციალურ სიტუაციებში ენის ფუნქციურ გამოყენებას. სათანადო ენობრივი ერთეულის შერჩევა დამოკიდებულია ინდივიდთა საკომუნიკაციო ვითარებაზე (კიკვიძე, 1999, 60). სოციალური და სტილისტიკური ვარიანტების ურთიერთმიმართება ობიექტური სურათის მიღების აუცილებელი წინაპირობაა. სქესით განპირობებული სოციოლინგვისტიკური ცვლადი ორივე სახის ვარიანტის ენობრივი და სამეტყველო კორელატია.

როგორც უკვე აღინიშნა, ენის შინაგან დიფერენციაში ასახულია საზოგადოების სოციალური სტრუქტურა. ენობრივ კოლექტივში ერთი და იმავე ენის ვარიანტები ფუნქციონირებენ, თუმცა შიდაენობრივი ჰეტეროგენულობის გამოვლენა დამოკიდებულია სოციალური სისტემის დიფერენცირებულ და კომპლექსურ ხასიათზე. რაც მეტად ჰეტეროგენულია ენა, მით მეტად შეზღუდულია საზოგადოების სტრუქტურები. მიუხედავად ამისა, ენა მაინც დიფერენცირებულია (Nahrings, 1981, 8). ენა ჰომოგენური ფენომენია. საზოგადოებრივ სტრუქტურებში არსებული „მამრობითი“ და „მდედრობითი“ ენობრივი სხვაობები ერთი ფენომენის სხვადასხვა ასპექტებს წარმოადგენს.

ენის სოციოლინგვისტიკური დახასიათებისათვის გამოიყოფა ვარიანტულობის ორი სახეობა: 1) დიალექტური ვარიანტი, რომლებიც სხვადასხვა სოციალურ და ტერიტორიულ ჯგუფებს შორის არსებობს. 2) საკომუნიკაციო სიტუაციით განპირობებული პიროვნული ვარიანტები, კერძოდ, როდესაც მოსაუბრე დიალექტური ნორმებიდან გადადის ყოველდღიურ სასაუბრო ნორმებზე. ასეთი მოსაუბრე ერთდროულად სხვადასხვა სოციალური და ფუნქციონალური სტილის გამოხატველია (გამყრელიძე, 2003, 451). გოგონებისა და ბიჭების მიერ გამოყენებული ენობრივი ვარიანტულობიდან აუცილებელია გამოიყოს დიალექტური


ვარიანტი, კერძოდ, სოციალური დიალექტი, რომელიც ენობრივი კოლექტივის სოციალური არაერთგვაროვნების პირობებში ყალიბდება. საზოგადოებისათვის გოგონა და ბიჭი, ისევე როგორც ქალი და მამაკაცი, არათანაბარი სოციალური მდგომარეობის მქონე პირებად აღიქმებიან, შესაბამისად, გენდერთა განპირობებული ენის სპეციფიკა სოციალური დიალექტების სახეებია.

ენობრივ ვარიანტულობას ექსტრალინგვისტიკური ფაქტორები განსაზღვრავს. ამ ფაქტორთა მიხედვით ვარიანტულობის შემდეგი ტიპები არსებობს: მედიუმის ტიპი (მედიოლექტი), ფუნქციური ტიპი (ფუნქციოლექტი), ტერიტორიული ტიპი (დიალექტი), მოსაუბრეთა ჯგუფით განპირობებული ტიპი (სოციოლექსტი), ასაკისა და სქესის (სექსლექტი) და ინტერაქციის ტიპი (სიტუოლექტი). ეს კლასიფიკაცია თვალსაჩინოა ენის ვარიანტულობის მოდელში (გრაფიკი 6.). მე-6 გრაფიკზე მოცემულია გარეენობრივი ფაქტორების ზეგავლენით გამოწვეული ენობრივი ვარიანტულობის 7 სახეობა. ამ 7 სახეობიდან ჩვენი კვლევის არეალში შემოდის სოციოლექტი, როგორც მოსაუბრეთა ჯგუფის ენა; სექსლექტი – ენის გენდერული დიფერენციაციის მაჩვენებელი; გერონტოლექტი – ენის ასაკობრივი ვარიაციულობის ამსახველი და საკომუნიკაციო სიტუაციით განპირობებული ენობრივი სტილი – სიტუოლექტი. ვაითის მიხედვით, ვარიანტის არჩევა დამოკიდებულია მოსაუბრის პიროვნულ მახასიათებლებზე (სქესი, ასაკი, სოციალურ-ეკონომიკური სტატუსი, ეთნიკური წარმომავლობა, პროფესია და ა.შ.) და სიტუაციაზე (მოსაუბრეთა როლი, საუბრის თემა, დრო, ადგილი) (Veith, 2002, 24).


ენობრივ ვარიანტულობას თავდაპირველად სოციალური კლასის დიალექტს (social-class-dialects) უწოდებდნენ (Löffler, 1994, 84). XX საუკუნის მეორე ნახევარიდან ამ ცნების აღსანიშნავად გამოიყენება ტერმინი “სოციოლექტი” (Soziolekt). დღესდღეობით სოციოლექტი იმ ენობრივ თავისებურებათა ერთობლიობაა, რომლებიც რომელიმე სოციალურ ჯგუფს ახასიათებს. სოციოლექტში შედის: საზოგადოებრივ ფენათა ენა, ჯგუფის ენა, ენის განსაკუთრებული ვარიანტები (გრაფიკი 7.).

გრაფიკი 6. (Löffler, 1994, 86)

Varietätenlinguistik



გრაფიკი 7. (Löffler 1994, 86)



სოციოლექტი სოციალურ დაჯგუფებებში გვხვდება. სოციოლექტის ძირითადი ფუნქციაა: ერთმანეთისაგან განასხვავოს ადამიანთა ჯგუფები, ხოლო ჯგუფს შიდა წევრები უფრო მჭიდროდ დაუკავშიროს ერთმანეთს (Steinig, 1976,14).

მეტყველების მიხედვით ადვილად არჩევენ, მოსაუბრე მდებარეობით სქესისაა თუ მამრობითის. იგულისხმება არა ხმის ტემბრით სხვაობა, არამედ ენობრივი ნიშნები: სპეციფიკური გრამატიკული, ლექსიკური და ინტონაციური ვარიანტები. ეს ჩამონათვალი ქალისა და მამაკაცის საუბრის სიმპტომური სიგნალებია, მათზე დაყრდნობით ხდება მოსაუბრეთა სქესის მიხედვით კლასიფიკაცია.

სოციოლექტი ვერ ქმნის კომუნიკაციის მთლიან სისტემას. ეს ძირითადად ენის თავისებურებებია – კონკრეტული სიტყვები, სიტყვათა შეთანხმებები, სინტაქსური კონსტრუქციები (Bausch, 1980, 358). სოციოლექტში გამოიყოფა:

- 1) სოციალური ჯგუფის ენობრივი ნიშანი – რომლისთვისაც მნიშვნელოვანია საზოგადოების შიგნით არსებული სოციალური იერარქია, არა მხოლოდ საზოგადოების სამ ფენად დაყოფა, არამედ ის ენობრივი სხვაობა რომელიც არსებობს ქალაქში და სოფლად

მაცხოვრებელს, სალიტერატურო ერთ მოსაუბრესა და დიალექტით მოსაუბრეს, განათლებულსა და განათლების არ მქონე ადამიანს, ადგილობრივ მცხოვრებსა და უცხოელს შორის.

2) სოციალური ჯგუფი – არაენობრივი ნიშნები, რომლებიც მიხედვითაა კლასიფიცირებულია სოციალური მდგომარეობის, პროფესიის, სტატუსის, შეხედულებების მიხედვით.

3) ენის განსაკუთრებული ვარიანტები – იგულისხმება ტრანზისტორული (ასაკით გამოწვეული), ტემპორალური (დროითი ფაქტორით განპირობებული) და ჰაბიტუალური (სქესით განპირობებული) სხვაობები (Löffler,1994,125).

ტრანზისტორულ სოციოლექტში მოცემულია ადამიანის ასაკობრივი გრადაციით გამოწვეული ენობრივი ვარიანტები ტემპორალურ სოციოლექტში შედის დროებითი მდგომარეობით გამოწვეული ენობრივი ვარიანტები. ეს სოციოლექტი ჯერჯერობით ნაკლებადაა შესწავლილი. აქ სახეზეა, მაგალითად, ჰობის, პატიმრების ენის ან “ღამის ცხოვრებისათვის” დამახასიათებელი ენობრივი ვარიანტები.

ჩვენი კვლევის საგანია ჰაბიტუალური სოციოლექტი. იგი სქესით განპირობებული ენობრივი ვარიანტია. დასახელებულ სოციოლექტში ასევე შედის საზოგადოებისაგან გამოყოფილი, განსხვავებული ჩვეულებების მქონე ჯგუფთა ენები, მაგალითად: მაწანწალების ენა, ბოშების ენა და ა.შ. დასმული საკითხის კვლევაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ჰაბიტუსს (გარეგნული შესახედაობა), კერძოდ, ენისა და ჰაბიტუალური გამოხატულების ურთიერმიმართების კვლევას. ცნება “ჰაბიტუსი” სოციოლინგვისტიკაში ნიშნავს განსხეულებულ დისპოზიციებს (აღქმა, ქცევა, აზროვნება). სხეული სოციალური სამყაროს ნაწილია. ადამიანებს უყალიბდებათ გემოვნება, ცხოვრების სტილი, მათ ისე იყენებენ, როგორც ჩვეულებრივ მოვლენას, როგორც ნორმას. სოციოლინგვისტიკური თვალსაზრისით თვით პროფესიონალური აღქმის უნარიც ჰაბიტუსად გაიგება. ჰაბიტუსი გვიჩვენებს ადამიანის დამოკიდებულებას განათლებასთან, ხელოვნებასთან, სახლის მოწყობასთან და სხვა, ანუ როგორ განსხეულდება გარემო ადამიანში. (Gogolin

1994, 2). ინდივიდის სოციალური იდენტობა გარკვეულ კონტურებს იძენს, ეს მისი სხვა ინდივიდებისაგან განსხვავების საწინდარია. ჰაბიტუსში აისახება საარსებო გარემოს სტრუქტურა. სტრუქტურა ოპოზიციურად გამოიხატება, მაგალითად: მაღალი/დაბალი ფენა, მდიდარი/ღარიბი, ქალაქში მაცხოვრებელი/სოფლად მაცხოვრებელი და ა.შ. ქალი და მამაკაცი ჰაბიტუალურად ერთმანეთისაგან განსხვავდება, მამაკაცური/ქალური ამავე სტრუქტურის ერთ-ერთი ოპოზიციია (Bourdieu, 1987, 279). სოციოლინგვისტიკას ჰაბიტუსი გენდერული კვლევის ბაზისად მიაჩნია. სქესი, ფიზიკური ნიშნებით, ადამიანის ჰაბიტუსით გამოიხატება. ის სქესის დიფერენცირების ძირითადი საშუალებაა, რადგან “ჰაბიტუსში ძვეს ინდივიდის სქესი” (Meuser, 1998,13).


ცხადია, ადამიანის სქესს მარტო ფიზიკური ნიშნები არ უჩვენებს. არსებობს სხვა საშუალებებიც: ტანსაცმელი, ვარცხნილობა, სამკაულები (Breiderstein/Kelle, 1998, 122). რას ჩავიცვამთ, რა სამკაულს გავიკეთებთ, ან რა ფერებს მივანიჭებთ უპირატესობას, დამოკიდებულია არა მხოლოდ სქესზე, არამედ სოციალურ გარემოზე, რეგიონალურ და ეთნიკურ წეს-ჩვეულებებზე, ანუ სოციალური და კულტურული სხვაობით აიხსნება სქესთა განსხვავებული ქცევები, ჰაბიტუსი როგორც “სქესის ბუნებრივი პრეზენტაციას”, ასევე საზოგადოების მიერ ფორმირებულ “პოლიტიკური სხეულს” (Maihofer, 2002,23). მასში მოცემულია სქესთა ობიექტური და სოციალური სტრუქტურები (Brandes, 2002,64).

კიდევ ერთხელ დავაზუსტოთ ტერმინები გენდერი/სქესი. ტრადიციულად სქესის გაგება დაკავშირებულია ფიზიოლოგიური და მორფოლოგიური განსხვავებების გამოვლენასთან. სქესი განისაზღვრება ბიოლოგიური ფაქტორით. გენდერი გულისხმობს ფსიქოლოგიურ ატრიბუტებს, მახასიათებლებს და ქცევებს, რომელთა შექმნა ხდება ცოსიალურ კონტექსტში, რაც დაკავშირებულია სქესობრივი კატეგორიების სოციალურ გაგებასთან. ყველა საზოგადოებაში გენდერული განსხვავებები ვლინდება ადამიანთა ქცევის ფორმებში, იგი გვევლინება სოციალური ურთიერთობების საზომად ამა თუ იმ კულტურაში (წერეთელი, 2006, 8–9). „სქესი“ ბიოლოგიური და ანატომიური განსხვავებაა

ქალებსა და მამაკაცებს შორის, ხოლო “გენდერი”– მამრთა და მდედრთა შორის არსებული ფსიქოლოგიური, სოციალური და კულტურული განსხვავება. რაც შეეხება ტერმინებს: ა) “Sexlekt” ბ) “Genderlekt”– ნიშნავს ენობრივი სისტემის დამოკიდებულებას ა) ბუნებრივ სქესთან, ბ) სოციალურ სქესთან. გენდერლექტს ენობრივ სისტემაში აკისრია სოციალური სქესის ფუნქცია (Veith, 2002,157). ანუ სექსლექტი – ბუნებრივი სქესით, გენდერლექტი – სოციალური სქესით განპირობებული ენობრივი ვარიანტულობაა.

ვარიანტულობის სოციოლინგვისტიკურ მოდელში (გრაფიკი 8.) ტერმინ “სექსლექტს” ფართო მნიშვნელობაც აქვს, მასში შედის: ქალების / მამაკაცების ენა და ასაკობრივი ენა (ბავშვების/ახალგაზრდების/ხანდაზმულთა ენა):

გრაფიკი 8. (Löffler, 1994, 86)



3.3.1. ქალისა და მამაკაცის ენის სოციოლინგვისტიკური ანალიზი

სოციოლინგვისტიკაში გენდერლექტზე არსებობს აზრი, რომ ქალები ფონეტიკურ-ფონოლოგიურად, მორფოლოგიურ-სინტაქსურად უფრო უახლოვდებიან სტანდარტულ ენას, ვიდრე, მამაკაცები. უ.ლაბოვი სქესსა და გენდერს ენობრივი ვარიანტულობის ერთერთ განმაპირობებელ ფაქტორად თვლის. სოციოფონოლოგიური ვარიაციების ასახსნელად იგი იყენებს “პრესტიჟის” სოციოლოგიურ კონცეფციას და თვლის, რომ, საზოგადოებაში დაბალი სოციალური სტატუსის მქონე ქალები თავიანთი პრესტიჟის საჩვენებლად იყენებენ სტანდარტულ ენობრივ ვარიანტებს (Herlinger, 1990, 21). ჩვენ ვეთანხმებით მოსაზრებას, რომ ქალები მაღალი ენობრივი ნორმების გამოყენებით ცდილობენ საზოგადოებაში აღიარების მოპოვებას, რადგან სალიტერატურო ენაზე საუბარი კომპეტენტურობისა და ინტელიგენტურობის მაჩვენებელია.

არსებობს სიტუაციით და სუბკულტურით განპირობებული პრესტიჟის განსხვავებული ფორმები. ქალებში ხშირია სიტუაციით გამოწვეული ენობრივი კოდის ცვლა. ყოველი ადამიანი ფლობს სტილის სამუალებებს და სიტუაციის მიხედვით, ირჩევს ოფიციალურ და არაოფიციალურ სტილს. არასტანდარტულ, არაოფიციალურ პრესტიჟულ ფორმებს უფრო ხშირად მამაკაცები გამოიყენებენ (Kotthoff, 2006, 1510). პრესტიჟული ენობრივი ფორმებისადმი ქალთა მაღალი მგრძნობელობა სოფლებში მცხოვრებ ქალებში იკლებს. აქ შეიმჩნევა კონსერვატორული დიალექტური საუბრის მანერა. სტანდარტული ენობრივი ფორმებისაკენ მიდრეკილება უფრო ძლიერია ქალაქელ ქალებში. არსებული მასალებით დასტურდება, რომ ყველა ფენის ქალი უფრო დიდი რაოდენობით იყენებს პრესტიჟულ ენობრივ ფორმებს, ვიდრე მამაკაცები. ქვემოთმოყვანილ ცხრილში (ცხრილი 3.) (Macaulay, 1978, 135) მოცემულია ქალთა და მამაკაცთა მიერ პრესტიჟული ენობრივი ფორმების გამოყენების პროცენტული მაჩვენებელი.

ცხრილი 3.

	მამაკაცი %	ქალი %
საშუალო ფენის ზედა ნაწილი	69.00	80.00
საშუალო ფენის ქვედა ნაწილი	52.25	71.25
მუშათა ზედა ფენა	53.25	55.00
მუშათა ქვედა ფენა	50.00	53.00

მოყვანილი მონაცემების მიხედვით, ყველა ფენის ქალები უფრო იყენებენ სტანდარტულ ენობრივ ფორმებს, ვიდრე მამაკაცები. განსაკუთრებით დიდია განსხვავება საშუალო ფენაში სადაც ქალების მიერ სტანდარტული ენობრივი ფორმების გამოყენება დაახლოებით 10 %-ით უსწრებს მამაკაცებისას. იქმნება შთაბეჭდილება, რომ თანამედროვე საზოგადოებაში სიტუაციისაგან დამოუკიდებელ სოციოლექტს უფრო მამაკაცები იყენებენ, ხოლო სტანდარტულ ენას – ქალები.

ქალები/გოგონები სტანდარტულ ენობრივ ფორმებს იყენებენ მაშინაც, როცა ამას არ ცდილობენ. მამაკაცები/ბიჭები იმასვე იყენებენ სიტუაციის მოთხოვნებისა და საჭიროების შემთხვევაში. სამეტყველო ქცევების მიხედვით გაცილებით უფრო ადვილია მამაკაცის/ბიჭის სოციალური ფენის განსაზღვრა, ვიდრე ქალის/გოგონას.

ქალები და მამაკაცები განსხვავდებიან სტანდარტის და არასტანდარტის ფარგლებშიც. სიტუაციისა და ინტენციის მიხედვით კომუნიკაცია შეიძლება

შედგეს კონვერგენციში (ერთნაირი ფენა, ჯგუფი) და დივერგენციში (სხვადასხვა სქესი, სხვადასხვა სოციალური როლი) (Günther, 1992, 132).

მიაჩნიათ, რომ „ქალური“ მეტყველება მდიდარია ენობრივი ცვლილებებით, თუმცა ამის დამადასტურებელი ემპირიული მასალა ნაკლებად მოიპოვება. აღინიშნება მხოლოდ, რომ ცნება “ქალი” მრავლისმომცველია. დედისა და ქალიშვილის სამეტყველო ქცევებზე დაკვირვება ამ თვალსაზრისით საინტერესო დასკვნები იძლევა: ოჯახი, პიროვნული თვისებები, ურთიერთობები, კონფლიქტის სტრუქტურა განსაზღვრავს სასაუბრო ენის ვარიანტებს. დედა ქალიშვილისათვის და ვაჟისათვის სხვადასხვა როლს თამაშობს. დედისა და შვილების ურთიერთობაში საინტერესოა შემდეგი საკითხები:

- სჭირდებათ თუ არა ქალიშვილებს დედასთან საკუთარი იდენტურობის ხაზგასასმელად ენა?
- ენობრივად გოგონები უფრო ჰგვანან დედას თუ ვაჟები?
- გვაძლევს თუ არა ენობრივ ვარიაციებს დედასთან ურთიერთობა, ოჯახური სტრუქტურა, ბავშვთა მისწრაფება იდენტურობისაკენ?

ანალიზისათვის 16-17 წლის მოსწავლეებს დააწერინეს თხზულება თემაზე „მე და დედა“ (Wodak, 1981, 97). შედეგებმა დაადასტურა, რომ კონფლიქტს დედასთან ვაჟი უფრო ნაკლებად განიცდის, ვიდრე ქალიშვილი. თუმცა ეს კონფლიქტი სიმწვავეზეცაა დამოკიდებული. გოგონებსა და ბიჭებს განსხვავებული აფექტის სტრუქტურა და მისი გამოხატვის უნარი აქვთ. გოგონები თავიანთ შეგრძნებებს ვერბალურად გამოხატავენ. გოგონებისა და ბიჭების თხზულებები ტექსტობრივადაც განსხვავდებოდა. გოგონებმა დაწერეს სხვადასხვა შინაარსის თხზულებები, ბიჭებმა ძირითადად დღის მსვლელობა აღწერეს. დედასთან კონფლიქტური სიტუაციის დროს განსხვავებულია დედისა და ქალიშვილის საუბრის სტილი. მართალია, ახალგაზრდები უფრო არაოფიციალურად საუბრობენ, მაგრამ კონკრეტულ სიტუაციაში შეიძლება დედა უფრო არაოფიციალური იყოს.

დედისა და ქალიშვილის კარგი ურთიერთობის დროსაც კი მათი მეტყველება დედისა და ვაჟიშვილის მეტყველება კი – ნაკლებად. მიზეზი ალბათ შემდეგია: გოგონები ცდილობენ დედისაგან განსხვავდებოდნენ, და ამით იდენტობას ხაზს უსვამენ.

ყოველი სოციალური ფენის გოგონა უფრო კორექტულად საუბრობს, ვიდრე ბიჭი. მიზეზი ამ მოვლენისა ისევ ქალთა სოციალური მდგომარეობაა. მამაკაცებისათვის საყოველთაო ნორმებიდან გადახრა პრესტიჟია. ქალი პრესტიჟული ენობრივი საშუალებების გამოყენებით ცდილობს გარშემომყოფთ ამცნოს თავისი სოციალური მდგომარეობის, განათლებისა და ინტელექტის შესახებ. მამაკაცი ენობრივი საშუალებებით გვაწვდის ინფორმაციას თავისი პროფესიული და ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ, საზოგადოებაში მისი დომინირებული სოციალური სტატუსი საუკუნეების მანძილზეა განსაზღვრული. ოფიციალურ კონტექსტში ქალი უფრო კონსერვატორულია ვიდრე კაცი, არაოფიციალურ კონტექსტში ქალი უფრო ინოვაციურია.

ენობრივი განსხვავება ახალგაზრდა და ასაკოვან მდედრობით გენერაციებში უფრო დიდია, ვიდრე მამრობითში. აქ დიდ როლს თამაშობს ქალის მისწრაფება, დაიმკვიდროს თავი საზოგადოებაში, ასევე ქალის როლის საზოგადოებრივი ცვლა.

ვერბალური ენის გენდერული კვლევისას გასათვალისწინებელია ინდივიდის პროფესია კომუნიკაციური თვალსაზრისით. ქალური პროფესიები უფრო კომუნიკაციურია, ვიდრე მამაკაციური, ამ უკანსაკნელში ძალა და ლოგიკური, ცივი აზროვნებაა საჭირო.

ვერბალურ ენაში კარგად ჩანს განსხვავება იმ ასაკში (20-დან 50 წლამდე), როცა სექსუალური აქტივობა დიდ როლს თამაშობს. ამ ასაკში გენდერს ახასიათებს განსხვავება დიალექტის გამოყენებაში. ქალების მიერ დიალექტის ნაკლები გამოყენება, ერთი მხრივ, უკავშირდება მათ მიერ ბავშვების აღმზრდელით საქმიანობას, მეორე მხრივ, იმ დიდ როლს, რომელსაც თამაშობს ჰაბიტუალური სქესობრივი მარკირება. მოზარდი გოგონა, ისევე

როგორც ზრდასრული ქალი, ცდილობს იყოს სტანდარტული, რათა არ დაკარგოს ქალურობა (Iespersen, 1925,238).

ხანდაზმულ ქალებში დიალექტის გამოყენების სიხშირე მატულობს. ამ ასაკში ისინი ბავშვებს აღარ ზრდიან, სექსუალური აქტივობა დაქვეითებულია, ნაკლებია სურვილი იყოს ქალური, შესაბამისად, სტანდარტული. ქვემოთმოყვანილ ცხრილში (Günther, 1992, 142) მოცემულია დიალექტის გამოყენების პროცენტული მაჩვენებლები სქესის, ასაკის და სიტუაციის მიხედვით:

ცხრილი 4.

დიალექტის გამოყენება

	14-29 წლის	30-44 წლის	45-59 წლის	60ზე ზემოთ
ოჯახში	%	%	%	%
ქალი	85.7	80.6	81.1	88.5
კაცი	75.0	75.6	81.1	88.5
სამეგობრო წრეში				
ქალი	68.3	63.1	73.1	75.0
კაცი	76.5	77.9	79.2	81.1
სამუშაო ადგილზე				
ქალი	42.9	39.8	40.5	34.4
კაცი	58.3	59.3	65.6	44.4

ცხრილში ნათლად ჩანს ასაკის მიხედვით დიალექტის გამოყენების პროცენტული მაჩვენებელი. ჩვენი კვლევის არეალში შემოდის 14-29 წლის ახალგაზრდა ქალი და მამაკაცი. ოჯახი ერთადერთი ადგილია, სადაც ქალის დიალექტის გამოყენების სიხშირე მამაკაცისას უსწრებს, დანარჩენ შემთხვევაში (სამეგობრო წრე, სამუშაო ადგილი) მამაკაცის მიერ დიალექტის გამოყენების სიხშირე უფო მაღალია და წლების მომატებასთან ერთად იმატებს. სამუშაო ვითარებაში ორივე სქესი მიდრეკილია სტანდარტისაკენ, მაგრამ უფრო მეტად მაინც ქალი. კვლევით მიღებული დასკვნები წინააღმდეგობაში მოდის იმ მოსაზრებასთან, თითქოს ქალი ბავშვების აღზრდის პროცესში ნაკლებად საუბრობდეს დიალექტზე. ოჯახურ გარემოში ქალი არასტანდარტულია, ეს იმით აიხსნება, რომ ქალში დიდია სურვილი საჯარო სიტუაციებში წარმოადგენდეს ქალურობის ნიმუშს. სახლში იგი განტვირთულია, მოშვებულია და საკუთარ მეტყველებას ნაკლებად აკონტროლებს.

გენდერი გავლენას ახდენს საუბრის ინტონაციურ საშუალებებზე. გოგონების და ქალების მეტყველების მელოდიურობა უფრო ვარიაციულია, ვიდრე ბიჭების და მამაკაცების. ქალთა ენა უფრო კონსერვატიულია და კარგად ინარჩუნებს რეგიონალურ თავისებურებებს. მათ მეტყველებაში უკეთესადაა დაცული პროსოდია (ინტონაცია, მახვილი, სეგმენტაცია, პაუზა) (Троицкая, 2000,1).

ურთიერთობის დროს ქალისათვის საუბარი მნიშვნელოვანია. მამაკაცი საუბარს სიტუაციის გაკონტროლების მიზნით იყენებს, რათა შეინარჩუნოს დამოუკიდებლობა და აიმაღლოს სტატუსი.

ძირითადი განსხვავება გოგონების/ქალისა და ბიჭების/მამაკაცების მეტყველებაში სიტყვათა არჩევანშია. ისინი ერთსა და იმავე სიტყვას ზოგჯერ სხვადასხვა კონტექსტში იყენებენ.

ქალური მეტყველებისათვის დამახასიათებელია: ემოციური ექსპრესიულობა, ხშირი მობოდიშება, გულლიაობა, ქარაგმებისა და ირიბი გამოთქმების გამოყენება, გრამატიკულად გამართული მეტყველება, ტონალობების უფრო ფართო დიაპაზონი და მათი სწრაფი ცვლა, მაღალი ხმა, ძირითადი სიტყვების გამოყოფა, ხშირი ღიმილი. მაშინ როცა მამაკაცური

მეტყველების დამახასიათებელი ნიშნებია: სურვილების პირდაპირი ფორმულირება, დაჟინებულობა, მომთხოვნელობა, საუბარში ინიციატივის აღების სურვილი, აგრესიულობა. ეს ნიშნები უკვე კარგად შეინიშნება მოზარდობის პერიოდში.

ქალი საუბრისას უმეტესად ცდილობს გრძნობების გადმოცემას, ამისთვის იგი სიტყვებს გადატანითი მნიშვნელობით იყენებს. მამაკაცი სიტყვის პირდაპირ მნიშვნელობას მიმართავს და ნათქვამსაც ასევე იგებს. შესაბამისად, განსხვავებული სქესის წარმომადგენელთა შორის ხშირია საკომუნიკაციო სირთულეები. მაგალითად, ცოლ-ქმრის საუბარი ავტომატურად მგზავრობის დროს.

ქალი – „Würdest du gern irgendwo anhalten, um was zu trinken?“

მამაკაცი – „nein“

ცოტა ხნის შემდეგ მამაკაცი ამჩნევს, რომ ქალი ნაწყენია, რადგან მას სურდა, რომ სადმე შეჩერებულიყვნენ (Tannen, 1990, 3).

ქალი ამბობს მაგალითად: „Die Sonne scheint ganz schön stark zum Fenster hinein“ იმის იმედით, რომ მამაკაცი შეეკითხება, სურს თუ არა ფანჯრის გაღება, მამაკაცმა შესაძლებელია ვერ გაიგოს ეს ირიბი ნათქვამი (Hertlein, 2002,2). ქალმა თავისი სურვილი პირდაპირ არ თქვა, რადგან არაპირდაპირობა და სათქმელის შემოვლითი გზით თქმა მისი მეტყველების ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია. მამაკაცი კი, პირიქით, თავისი სურვილის კონკრეტულ ფორმულირებას ახდენს და მას აზნებს ქალის საუბრის ორაზროვნება. როცა ქალი იტყვის: „Willst du nicht hier bleiben?“ ან „Sollst du das nicht ändern?“ მამაკაცი იმავეს უმეტეს შემთხვევაში ასე სიტყვებით იტყვის: „Willst du hier bleiben?“, „Sollst du das ändern?“ (Tannen, 1990,5).

ქალთა საუბარში ჭარბობს ნათქვამისადმი ეჭვის გამომხატველი მოდალური სიტყვები მაგ: ალბათ, ასე მგონია, მე ვფიქრობ, ჩემი აზრით, შეიძლება (ich denke, ich glaube, vielleicht, anscheinend, ich weiß nicht, meiner Meinung nach...). ქალი ერიდება რაიმეს მტკიცებას, მაშინ როცა მამაკაცთა მეტყველება უმეტესად მტკიცებით კონსტრუქციებს შეიცავს. ისინი ხშირად იყენებენ ისეთი სიტყვებს როგორცაა, მაგ: ნამდვილად, უეჭველად, უთუოდ და ა.შ.

როცა ქალი ამბობს: Redet er nicht einen Unsinn?

მამაკაცი იმავს ასე იტყოდა: Er redet Unsinn! (Hertlein, 2002, 3).

ქალი ცდილობს ისაუბროს ზოგადად და არაპირდაპირ. ეს მის ბუნებას შეესატყვისება. მამაკაცისათვის მისი მეტყველება ისეთივე ამოუცნობელია, როგორც თვით ქალი. მდედრის მეტყველებაში მამაკაცისთვის ბევრი რამ გაუგებარი რჩება, ამიტომ იგი მეტწილად არ უსმენს, ან ვერ უსმენს და, შესაბამისად, ვერ უგებს ქალს.

ქალის მეტყველების თვისებას – არაპირდაპირობას, მამაკაცები მაშინ იყენებენ, თუ მათ არ სურთ ან არ შეუძლიათ ინტერესების ნათლად გამოხატვა. არაპირდაპირი საუბარი დიდად ფასობს პოლიტიკასა და დიპლომატიაში. ქალი მას, ჩვეულებრივ, ტრივიალურ გარემოშიც იყენებს. შესაბამისად, მისი მეტყველება უფრო მეტი რაოდენობის კავშირებითი კილოს კონსტრუქციებს შეიცავს, ვიდრე მამაკაცის, მაგ:

“Vielleicht wäre es nicht schlecht, wenn...”

“Wenn du dir richtig überlegst, wäre es nicht schlecht , wenn...”

“Wäre es nicht auch für dich besser, wenn du einmal ausspannen würdest und...”

(Trömel-Plötz, 1978, 252).

ქალი საუბარს იწყებს უმნიშვნელო დეტალებით. მას ეს უმნიშვნელო დეტალები ისევე აინტერესებს, როგორც ძირითადი. მამაკაცი მხოლოდ გლობალური საკითხებითაა დაინტერესებული, ამიტომ უშუალოდ მხოლოდ ძირითადს გამოყოფს (Ayaß, 2008, 67).

ცნობილია, რომ ქალები ბევრს ლაპარაკობენ. ემპირიულმა კვლევებმა აჩვენა, რომ დიალოგში მონაწილე კარგად ინფორმირებული ქალი მეტს საუბრობს, ვიდრე კარგად ინფორმირებული კაცი. სამაგიეროდ, პროფესიონალი მამაკაცი მეტს საუბრობს, ვიდრე პროფესიონალი ქალი (Burghardt, 1995, 4). უნდა აღინიშნოს, რომ პროფესიონალიზმი განსხვავებულად ახდენს ეფექტს ქალსა და კაცზე. ქალი პროფესიონალ მამაკაცს უფრო დადებითად აფასებს, ვიდრე პირიქით.

ქალები იყენებენ მეტი რაოდენობის კითხვით სიტყვებს, ვიდრე მამაკაცები. განსხვავდება კითხვის დასმის მიზანიც. შეკითხვის დასმით ქალი

ცდილობს წარმართოს საუბარი, მამაკაცი კი შეკითხვას ინფორმაციის მოპოვების მიზნით დასვამს (Kotthoff, 2006, 2504). ქალებს აინტერესებთ პარტნიორული საუბარი. ამისთვის ხშირად იყენებენ საუბრის აქტუალიზატორებს (მაგ: მოვიდა ჰლ?; ფანქარი გაქვს, არა?) სხვადასხვა კომუნიკატივებს (რეპლიკებს, რეაქციებს: აუ, ოჰ, ვაი და ა.შ.). აქტუალიზატორების გამოყენება ორივე სქესს ახასიათებს, მაგრამ მათი გამოყენების სპეციფიკა სხვადასხვაა:

- მამაკაცები აქტუალიზატორებს უფრო მეტად იყენებენ ახალგაზრდებთან საუბარში ან სტატუსით უფრო დაბალ და, მათი აზრით, ნაკლებად მოაზროვნე მოსაუბრეებთან, მაგალითად:

ქალი – „მაქვს თუ არა დასვენების უფლება?!“

მამაკაცი – “მერე შენ საქმეს მე გავაკეთებ, ჰლ?”

- აქტუალიზატორების გამოყენებით მამაკაცი ცდილობს ხაზი გაუსვას მოსაუბრისადმი თავის დამოკიდებულებას (უმეტესად ირონიულ დამოკიდებულებას) ან მიიღოს დასმულ კითხვაზე მისთვის სასურველი პასუხი, მაგალითად:

მამაკაცი – „12 საათზე გვიანი იქნება, ჰლ?“

ქალი – „ჰო , გვიანია“

- ქალები აქტუალიზატორებს პარტნიორული საუბრის წარმართვისათვის იყენებენ. ორი ქალი საუბრობს, ერთი (A) ადრესანტია, მეორე (B) ადრესატი. A აქტუალიზატორების და რეპლიკების საშუალებით ამოწმებს დაკარგა თუ არა B-მ თხრობისადმი ინტერესი. B იძლევა ინფორმაციას, რომ მზადაა ჩაერთოს საუბარში და გამოთქვას თავისი აზრი. მაგალითად:

A – მრცხვენია, რამდენი ხანია მას ვერ დავურეკე. არ შემეძლო, ხომ იცი, რომ ავად ვიყავი. ჩემი ქმარი არაფერს ჯავრობს, ზის 24 საათი თავის სამსახურში, მე შენ გეტყვი და, ხელფასი აქვს დიდი, მამაშენის არ იყოს.

B – ლჰ, ხელფასი მართლა მცირეა.

A –100 ლარი გავუზღავნე, უკმაყოფილო დარჩებოდა, ვითომ?

B – არ ვიცი. არა მგონია (Троицкая, 2000, 5).

ქალთა მეტყველებას ახასიათებს ყურადღების გამომხატველი ელემენტარული სიგნალები, მინიმალური რეაქციები. მაგ: აუ, ჰე, აჰა, ა, უჰ, ოჰ; ან თავის დაქნევა, თავის გაქნევა, ხელის მოძრაობა. ეს მინიმალური რეაქციები დიალოგის მხარდამჭერი ელემენტებია. თუ მსმენელისგან მინიმალური რეაქცია იგვიანებს, ე.ი. მისთვის საუბრის თემა უინტერესოა.

უნდა აღვნიშნოთ, რომ მინიმალურ რეაქციებს ორი ფუნქცია აკისრია: საუბრის მხარდაჭერის (კოოპერაციული ანუ პარტნიორული ფუნქცია) და საუბრის გაწყვეტის (კომპეტიტიური ანუ საბრძოლო ფუნქცია). მამაკაცი იყენებს მეტი რაოდენობის კომპეტიტიური ფუნქციის მქონე საუბრის მხარდამჭერებს, ქალი იყენებს მეტი რაოდენობის კოოპერაციული ფუნქციის მქონე მხარდამჭერებს. ქალური საუბრის მანერისთვის უფრო დამახასიათებელია კოოპერაციული საუბრის გაწყვეტა, მამაკაცურისათვის – კომპეტიტიური.

მამაკაცი საუბრის გაწყვეტას საუბრითვე პასუხობს. ქალმა რომ მოსაუბრეს საუბარი გააწყვეტინოს, ბგერებს ან ერთსიტყვიან რეაქციებს მიმართავს.

მაგალითად, ორი მამაკაცის კამათის ფრაგმენტი⁹ თემაზე „რელიგია“. 15 წუთის განმავლობაში დაფიქსირდა საუბრის 143-ჯერ გაწყვეტა:

მამაკაცი (A) - მე გეკითხები, რა არის რწმენა? ის მორწმუნეა, მაგრამ მუსლიმანი, ის ბუდისტია, ისინი ყველა[

მამაკაცი (B) (აწყვეტინებს) – [გიხსნი და არ მისმენ, საქმე იმაში არ არის

A (აწყვეტინებს) – [რა? ისინი არ მოხვდებიან სამოთხეში?

B – უბრალოდ, ჭეშმარიტებიდან შორს არიან

A – შენი კანონებით[

B - (აწყვეტინებს) [ჩემი არა, ღვთის კანონებით . . .

⁹ საუბარი ჩვენ მიერაა ჩაწერილი

საუბრის გაწყვეტისადმი მამაკაცები აგრესიულად არიან განწყობილი, ვიდრე ქალები. საბაზი მამაკაცთა ფსიქიკაში დევს. ისინი კონკრეტული მიზნისაკენ არიან ორიენტირებულნი. სიტყვის გაწყვეტას აფასებენ, როგორც მიზნის მიღწევის წინააღმდეგობას. კაცი ემოციის გადმოცემის დროს მობილიზებულია. მისთვის რთულია, ერთდროულად იფიქროს და ისაუბროს. სწორედ ამიტომაც მამაკაცთა სჯა-ბაასი აგრესიით გაჯერებული. აგრესიულობა და ერთმანეთისთვის სიტყვის გაწყვეტინება მათი კომუნიკაციის სტერეოტიპული ნიშანია.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში (Bauers, 1996, 27) აღნუსხულია გენდერული საუბრის გაწყვეტის რაოდენობრივი მაჩვენებელი (საუბარში მონაწილეობდა 8 კაცი და 10 ქალი).

ცხრილი 5.

საუბრის გაწყვეტა	შედეგით	უშედეგოთ
ქალი აწყვეტინებს ქალს	3	5
ქალი აწყვეტინებს კაცს	7	19
საერთო ჯამში	10	24
კაცი აწყვეტინებს ქალს	20	8
კაცი აწყვეტინებს კაცს	7	7
საერთო ჯამში	27	15

ცხრილში ნაჩვენებია, თუ რამდენჯერ შეაწყვეტინეს ქალმა და მამაკაცმა თავისი სქესისა და საპირისპირო სქესის პიროვნებას საუბარი (შედეგით) და რამდენჯერ შეეცადნენ, მარგამ ვერ მოახერხენ ეს (უშედეგოდ). გამოკვლევებმა ცხადყვეს, რომ საუბრის შეწყვეტის მცდელობის 96% ეკუთვნის მამაკაცს (Veith 2002,164).

ქალი ისევე ცდილობს გაალამაზოს მეტყველება, როგორც საკუთარი თავი. ის მეტი რაოდენობის ევფემიზმებს და კნინობით ფორმებს იყენებს

საუბარში. მაგალითად: პაწაწუნა, ციციქა, დედიკო, Kleidchen, Kettchen, Täschchen, Ringlein და ა.შ.

ქალთა ენა ნაკლებად შეიცავს არანორმატიულ ლექსიკას და უფრო ახლოს დგას საყოველთაოდ მიღებულ ენობრივ ნორმებთან, ვიდრე მამაკაცთა ენა. მამაკაცების მეტყველებაში სალანძღავი და ვულგარული სიტყვების დიდი რაოდენობა დასტურდება. 1000 სიტყვაში, საშუალოდ, ქალი იყენებს 1, ხოლო მამაკაცი 3 სალანძღავ ან ვულგარულ სიტყვას (Крючкова, 1991,45). არანორმატიული ლექსიკის გამოყენება ბევრადაა დამოკიდებული მოსაუბრის კულტურულ დონეზე.

საგნების და მოვლენების დასახელებისას ქალი მეტი რაოდენობის ჩვენებით ნაცვალსახელებს იყენებს.

ქალი საუბრობს ზოგადად და იშვიათად იყენებს პირის ნაცვალსახელ “მე-ს”. მისთვის უფრო ზოგადი ხასიათის საუბარია მისაღები, მაგალითად:

ქალი – "man könnte sagen"

მამაკაცი – "ich kann sagen"

მამაკაცის მეტყველება ხასიათდება დიდი რაოდენობის ტერმინების გამოყენებით. მათ მეტყველებაზე უფრო ძლიერ გავლენას ახდენს პროფესიის ფაქტორი და უცხო ენის ცოდნა, მათ ისინი იყენებენ არაოფიციალურ სიტუაციებში. მაგ: “ბევრს ნუ უყურებ, პერედოზირღვკა დაგემართება” (ექიმის მეტყველებიდან).

ტელეფონზე საუბრისას ქალი ყველაფერზე ლაპარაკობს. თემები შემდეგია: მამაკაცები, ჭორები, საკუთარი თავი, განწყობა, ფასები ბაზარში და მაღაზიაში, მომსახურეობის ახალი სფეროები, სამსახური, შვილები და ა.შ. ტელეფონზე საუბრისას მამაკაცი კონკრეტულ თემებზე ლაპარაკობს.

საუბრის დროს ხდება თემის არა მხოლოდ შინაარსობრივი, არამედ ემოციური განვითარებაც. ქალები საუბრის მხარდამჭერი რეაქციების მეტ რაოდენობას იყენებენ და ემოციურობა მათი მეტყველების ძირითადი მახასიათებელია. აქედან გამომდინარე, თემის განვითარებაში ქალები უფრო აქტიურები არიან ხოლო სასაუბრო თემის არჩევაში მამაკაცებს აქვთ პრიორიტეტი.

საზოგადოებაში მიღებულია აზრი, რომ ქალებს კომპლიმენტების მოსმენა უყვართ. აღმოჩნდა, რომ არც მამაკაცია გულგრილი ქათინაურების მიმართ. არსებობს განმასხვავებელი ნიუანსიც: ქალისათვის არ არის მნიშვნელოვანი კომპლიმენტი შეესაბამება თუ არა რეალობას. მათთვის მთავარია შექება, გარშემომყოფთა ყურადღება, თავაზიანობა. მამაკაცებისათვის კომპლიმენტი არის მისი ღირსების გულწრფელი აღიარება, მისი უპირატესობის დადასტურება, მისი უნიკალურობის დამტკიცება.

ქალთა მეტყველება მეტი რაოდენობის არსებით და ზედსართავ სახელებს შეიცავს, მამაკაცებისა – ზმნებს. ქალები ხშირად იყენებენ კონკრეტულ არსებით სახელებს, მამაკაცები – აბსტრაქტულს. მამაკაცები სარგებლობენ აქტიური გვარის ზმნებით, ქალები – პასიურით (Крюкова, 1991,45).

ქალებისთვის დამახასიათებელია სინონიმური გამეორებები, რაც მათ ტავტოლოგიისაგან თავის არიდების საშუალებას აძლევს. მამაკაცები აზრის გამოსახატავად ხშირად იმეორებენ ერთი და იმავე სიტყვას. მაგალითად:

ქალი – “დამქანცა სახლმა, დამღალა სამსახურმა!”

მამაკაცი – “დავიღალე, გაიგე, დავიღალე!”

მამაკაცი ახდენს მოვლენისა თუ საგნის ზუსტ ნომინაციას. ქალისთვისებაა არ დაასახელოს ისინი პირდაპირ, ამიტომ ხშირია მათთან პერიფრაზები, ევფემიზმები. მამაკაცი იყენებს მეტი რაოდენობის ჰიპერბოლებს. ამის მიზეზია მამაკაცთა სურვილი რაც შეიძლება გააფართოვონ საუბრის არეალი. ისინი ენასა და მეტყველებაშიც კი არ თმობენ დომინანტურ პოზიციას, რადგან, როგორც ამბობენ: „ვინც ენას ფლობს, ფლობს ძალაუფლებას“ (Spandl, 1998,50).

საუბრის დროს დომინანტური პოზიციის შესანარჩუნებლად მამაკაცები იყენებენ გარკვეულ კომუნიკაციურ სტრატეგიებს. მაგალითად: დასმულ კითხვაზე ისინი არ იძლევიან საპასუხო რეაქციას, ცდილობენ მოსაუბრეს გააწყვეტინონ საუბარი ან პირიქით, დუმილს ინარჩუნებენ და ა.შ.

გენდერული ლინგვისტიკა ქალის/გოგონას და მამაკაცის/ბიჭის მეტყველებაში იკვლევს იუმორის გრძნობის, დირექტივების გამოყენების

ხარისხსა და მათ შინაარსს. ეს, თავის მხრივ, უკავშირდება სტატუსს და სოციოლინგვისტური თვალსაზრისით მნიშვნელოვანია.

იუმორის გენდერული ანალიზი

იუმორი, თავისთავად, ერთმანეთისაგან რთულად გასამიჯნი სახეობებისაგან შედგება. ესენია: კომედია, ირონია, ჯამბაზობა, პაროდია, ანეკდოტი, ხუმრობა, ენამახვილობა, გაჯავრება, სიტყვათა თამაში, ფლირტი. მათი ძირითადი ფუნქციაა ადამიანებში დადებითი მუხტის შეტანა, რაც, უმეტესწილად, იწვევს სიცილს ან ღიმილს.

სანამ ქალის/გოგონას და მამაკაცის/ბიჭის იუმორის საკითხის შესახებ ვისაუბრებდეთ, ინტერესმოკლებული არ იქნება შევეხოთ, თუ როგორ ფუნქციონირებს ღიმილისა და სიცილის ფენომენი მათში. დადგენილია, რომ მამაკაცში მეტი თანმიმდევრობაა ვერბალურ და არავერბალურ გამოხატულებებს შორის. მაგალითად, როცა მამა იღიმის, ამას მოყვება შვილებისათვის უფრო სასიამოვნო ამბის თხრობა ან რაიმე ფაქტის შეტყობინება, რაც ღიმილის გარეშე საუბარს თან არ ახლავს. დედების ღიმილი ნაკლებადაა დამოკიდებული ვერბალური გამოხატულებების ხასიათზე. ეს შესაძლებელია აიხსნას ქალის ტრადიციული როლით, იყოს ყოველთვის თბილი და თავაზიანი. ღიმილი, უდავოდ, თავაზიანობის შესანიშნავი ნილაბია (Bugental/Love. 1971. 315). სიცილი, ისევე როგორც ღიმილი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინტერაქტიული ელემენტია. ემპირიულმა კვლევებმა აჩვენა, რომ ქალები ორჯერ უფრო ხშირად იცინიან, ვიდრე მამაკაცები (94%→47%). გაცილებით ნაკლებია მამაკაცთა სიცილის სიხშირე უცხო გარემოში. ქალები, პირიქით, უფრო მხიარულად და თავისუფლად გრძნობენ თავს. თუ საუბრის დროს სიცილს იწყებს ქალი, ქალთა მხრიდან სიცილითვე მხარდაჭერას აღწევს მხოლოდ 13.0%-ით, თუ მამაკაცი იცინის, მხარს უჭერს ქალთა 29,8%. მამაკაცები როგორც კაცების, ასევე ქალების სიცილს სიცილითვე უჭერენ მხარს მხოლოდ 4,25%-ით. საერთო ჯამში, ქალთა სიცილის სიხშირის მაჩვენებელი მამაკაცებზე 7-ჯერ მეტია (Kotthoff, 1996, 127). კაცთა 54,3% სიცილისაგან თავს იკავებს, როცა იცინის ქალი, 40,4% – როცა

მამაკაცი. ქალთა 23,4% არ იცინის ქალის სიცილზე, 10,6% – მამაკაცის სიცილზე (Drevber 1982, 200).

ამ მონაცემებზე დაყრდნობით ჩნდება კითხვები: თუკი ქალები მეტს იცინიან, რატომ ითვლება, რომ ქალებს ნაკლებად განვითარებული იუმორის გრძნობა აქვთ? და, საერთოდ, ავლენენ კი ისინი განსხვავებულ იუმორის გრძნობას? ან არის თუ არა იუმორის გამოყენებაში ხარისხობრივად და შედეგობრივად სხვაობა საპირისპირო სქესთა შორის? არსებული მონაცემები ნაკლებად იძლევიან მტკიცე დასკვნების გაკეთების საშუალებას. ისინი ადასტურებენ საზოგადოებაში მიღებულ აზრს, რომ მამაკაცები ქალებზე მეტად ცდილობენ გამოავლინონ იუმორის ნიჭი. ეს სხვაობა ბავშვობის ასაკშიც კარგად ჩანს. ბიჭები კომიკური და აგრესიული თამაშების სახით ავლენენ “პროდუქტიული იუმორის” გრძნობას. გოგონებისთვის უფრო ვერბალური იუმორია დამახასიათებელი (Stocking, 1999, 230). ბიჭები ცდილობენ უფრო ქცევებით იყვნენ სასაცილო (შემლილის თამაში, სახის მანქვა), გოგონები - ვერბალურად (თქვან რაღაც სასაცილო), მაგრამ, ორივე ტიპის იუმორის მიხედვით, ბიჭები უფრო ცდილობენ ვინმე გააცინონ, ვიდრე გოგონები. ამის მიზეზია ის ფაქტი, რომ ბიჭების კომიკურობას საზოგადოება უფრო უჭერს მხარს და მათ გამოცდილებაც მეტი აქვთ. ბევრ კულტურაში ახალგაზრდა ბიჭებს შორის ხუმრობათა ვერბალური დუელი რიტუალადაა ქცეული. ვერბალური შებრძოლების აღნიშნულ ფორმას ქართულ სინამდვილეშიც დიდი ტრადიცია აქვს შაირობისა და კაფიაობის სახით. ამ პაექრობაში არსებობს გამარჯვებულის და დამარცხებულის. გამარჯვებას კი ნიჭთან ერთად ვერბალური წვრთვნაც სჭირდება.

იუმორის გრძნობის გამოვლენის ხარისხი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მჭიდრო კავშირშია სტატუსთან. რაც უფრო მაღალია ინდივიდის სოციალური მდგომარეობა, მით უფრო მაღალია მისი ხუმრობის სიხშირის მაჩვენებელი. ქალს საზოგადოებაში ტენდენციურად დაბალი სტატუსი აქვს, აქტიურობა და ინიციატივა ნაკლებად შეესაბამება მის სოციალურ როლს. ეს ფაქტორი, რა თქმა უნდა, მას გარკვეულ დაბრკოლებას უქმნის. იგი არ მოყვება ანეკდოტს, არ გააკეთებს ირონიულ შენიშვნებს, არ გამოაჯავრებს ვინმეს და ა.შ.

ყველაფერ ამის კომპენსაციას ქალი სახითა და იუმორის სხვა საშუალებებით ახერხებს, მაგალითად: ენამახვილობით, სიტყვათა თამაშით, სახუმარო კომენტარებით. ლექტორი მამაკაცები კოლეგებთან მეტ სასაცილო ისტორიებს ყვებიან, ვიდრე ქალები (მამაკაცები – 42%, ქალები – 28%). სამაგიეროდ, ქალები კაცებს უსწრებენ სახუმარო კომენტარებით (მამაკაცები – 13%, ქალები – 33%) (Zillman, 1979, 110). კაცი ყველა უფრო მზა ფორმის სახუმარო ისტორიებს, ხოლო ქალში მეტია სპონტანურობა. ეს კი გვადლევს საშუალებას ვივარაუდოთ, რომ ქალში იუმორის გრძნობა საკმაოდ არის განვითარებული. სპონტანური იუმორი ხომ გაცილებით მეტი გონებამახვილობის მაჩვენებელია.

განსაკუთრებით დიდია სხვაობა ქალსა და მამაკაცს შორის “თვითშეფასებითი” და “თავდასხმითი” ხუმრობების გამოყენებისას. თავდასხმითი ანუ როგორც მას ზოგიერთი ავტორი უწოდებს „მტრული იუმორი” არის იუმორის ის სახეობა, რომელიც სხვის დაცინვასა და შეურაცხყოფას შეიცავს (Stocking, 1996, 232). ამ სახეობას უფრო მეტად კაცები იყენებენ. მაგალითად:

- ich habe in der Ausstellung dein Bild bewundert. Es war das Einzige, das man sich überhaupt ansehen konnte
- Du Schmeichler!
- Nein, wirklich! Vor der anderen Bildern standen einfach viele Leute!

* * *

- Ich habe, Ihr neues Buch gelesen... Wer hat es für Sie geschrieben?
 - Ich freue mich, dass es Ihnen gefallen hat. Wer hat es Ihnen vorgelesen?
- (Stocking, 1996, 232–235)

ხუმრობის ასეთ ფორმას მამაკაცი იყენებს განსაკუთრებით მაშინ, როცა ვერბალური ხუმრობებით თავს ესხმის მოწინააღმდეგე სქესს. მამაკაცს მხარს უჭერს მამაკაცი, როცა თავდასხმითი იუმორი საპირისპირო სქესის წარმომადგენლებს შორის გამოიყენება. ქალები უფრო ჯვარედინ სიტუაციას ამჯობინებენ – ქალი და მამაკაცი ქალისა და მამაკაცის წინააღმდეგ. ქალებს თავდასხმითი იუმორის გამოყენება და მოსმენა ნაკლებად ამხიარულებთ.

მათთვის თვითშეფასებითი იუმორი უფრო სასაცილოა. ქალებს მოსწონთ, როცა იუმორის ამ ფორმას ისევ ქალები იყენებენ (Kotthoff, 1996, 237).

აღიარებული სქესისათვის სპეციფიკური სტერეოტიპებია: დომინანტური პოზიციის მოპოვება, სწრაფვა მამაკაცური იდენტურობის ნიშანია, ხოლო დაქვემდებარება – ქალური. შესაბამისად, არაფერია გასაკვირი იმაში, რომ ხუმრობაშიც კი სქესთა დომინანტურობა და დაქვემდებარება სხვადასხვანგვარად აღიქმება ან მიიღება. მამაკაცი თავს არიდებს ისეთ ხუმრობას, რომელიც მის პიროვნულ “მე”-ს დაამცირებს, მისი მამაკაცურ იმიჯს ავნებს. ქალი თვითშეფასებითი იუმორის გამოყენებით ხაზს უსვამს თავის დაქვემდებარებულ როლს და ამით უფრო მიმზიდველი და მისაღები ხდება მამაკაცისთვის. თუ ქალი, მამაკაცთა წინააღმდეგ თავდასხმით იუმორს იყენებს, იგი არაქალური და ნაკლებად მიმზიდველია. ამით იგი არღვევს ე.წ. ქალურ ნორმებს, რაც მდგომარეობს იმაში, რომ ქალი უნდა იყოს მაქსიმალურად თავაზიანი და ხუმრობის დროსაც კი არ შეეცილოს მამაკაცს დომინირებულ პოზიციაში.

მამაკაცები და განსაკუთრების მოზარდი ბიჭები, სტატისტიკური მონაცემებით, უფრო ისეთ იუმორს იყენებენ, რომელიც შინაარსობრივად სექსუალურ ორგანოებს ან სექსუალურ აქტივობას ეფუძნება. მაგალითად:

“ Ein unaufgeklärtes Mädchen wird während des Ballspiels von ihrer ersten Periode überrascht. Sie nimmt ihren siebenjährigen Bruder beiseite und sagt ihm, dass sie zwischen den Beinen blute. Der hilfsbereite kleine Mana verlangt eine Inspektion, sieht sich die Sache an und krast bedenklich seinen nicht vorhandenen Bart. Plötzlich läuten seine Augen auf, und er hat die Lösung: “Klarer Fall, Sack abgerissen!” (Zillmann 1996, 238).

გოგონას/ქალის დამოკიდებულება აღნიშნული იუმორის მიმართ, უმეტეს შემთხვევაში, ნეგატიურია. აქ დიდია ტაბუსა და ეტიკეტის ფაქტორი. ოფიციალურ თუ არაოფიციალურ ვითარებაში ქალი თავს არიდებს არანორმატიული ლექსიკასა და სექსიზმებს. იგი ორაზროვან სიტყვებს იშველიებს, რათა დაიცვას ქალურობის ნორმები და არავის მიაყენოს

შეურაცხყოფა. ქვემოთმოყვანილ მაგალითში ქალმა გამოიყენა სიტყვა Pistole გადატანითი მნიშვნელობით და თავი აარიდა სექსიზმს:

“Hast du’ne Pistole in der Tasche, oder freust du dich einfach, mich zu sehe“ (Jeskins,1996,55).

ქალისა და მამაკაცის ხუმრობებს შინაარსობრივად შემდეგი კრიტერიუმები განასხვავებს (Jenkins, 1996,47):

ცხრილი 6.

ბიჭი/მამაკაცი:	გოგონა/ქალი:
ეგოცენტრული	ინტერპერსონალური
ინდივიდუალისტური	ინტერაქტიული
კონკურენციით სავსე	რჩევების მიმცემი
არამხარდამჭერი	მხარდამჭერი
უფრო სექსუალური	ნაკლებად სექსუალური
დამამცირებელი	ნაკლებად დამამცირებელი
უფრო თავდასხმითი	უფრო თვითშეფასებითი
მზა ფორმის	უფრო სპონტანური

განსხვავებულია აგრეთვე ქალისა და მამაკაცის რეაქციები გარკვეულ სოციალურ სიტუაციაში განხორციელებულ ხუმრობაზე. ქალები ინფორმაციას “სუბიექტურად” გადაამუშავებენ, რაც ნიშნავს, რომ ისინი ხუმრობის წარმომშობი სიტუაციისადმი ემოციურად არიან განწყობილი. მამაკაცი ინფორმაციას “ობიექტურად” ამუშავებს, მისთვის მნიშვნელობა აქვს იუმორის შინაარსს და არა სიტუაციას. ნეიროლინგვისტიკა ამ მოვლენას ისევ ქალისა და მამაკაცის ტვინის სფეროების განსხვავებული ორგანიზებით ხსნის. როგორც უკვე აღინიშნა, ქალები/გოგონები ინფორმაციას, ძირითადად, ტვინის მარჯვენა მხარეს იღებენ. ეს მხარე პასუხისმგებელია მთლიანურ აღქმაზე, კაცი ინფორმაციის გადამუშავებას ახდენს ტვინის მარცხენა სფეროს დახმარებით, სადაც უფრო ძლიერია ანალიზური აღქმის უნარი (Leventhal,1976,21).

დირექტივების გამოყენების გენდერული ანალიზი.

გენდერლექტის კვლევისას საინტერესოა ასევე საკითხით, როგორი დამოკიდებულება აქვთ ქალებსა და მამაკაცებს თავიანთი პროფესიული ავტორიტეტის მიმართ და როგორ ვლინდება ეს დამოკიდებულება ვერბალურ ქცევებში. კლასიკური განმარტებით სოციალური როლი უკავშირდება ურთიერთობის ისეთ სოციალური სიტუაციებს, რომელშიც რეგულარულად მეორდება ქცევის გარკვეული სტერეოტიპები. დაკვირვება ჩაატარეს ერთნაირი სტატუსის მქონე ქალებისა და მამაკაცების მეტყველებაზე (მაგ., ექიმებზე ან პროფესორ-მასწავლებლებზე) რათა დაედგინათ, განსაზღვრავს თუ არა სქესი და სტატუსი მათ განსხვავებულ ვერბალურ ქცევებს. აღმოჩნდა, რომ ამ პროფესიის ადამიანთა მეტყველებისთვის დირექტივების (დირექტივა – მითითება) გამოყენება ტიპურია (ექიმ-პაციენტის, პროფესორ-სტუდენტის ინტერაქცია) (Goodwin,1980,157).

არსებობს დირექტივის სხვადასხვა ფორმები, განარჩევენ დირექტივის სუსტ და ძლიერ ფორმას. ძლიერი დირექტივა პირდაპირი, მკაცრი მითითებაა, სუსტი – მითითებაა, მაგრამ არა მკაცრი ან უხეში. მეტყველების დროს დირექტივის სუსტი და ძლიერი ფორმის არჩევა განაპირობებს ინტერაქტანტთა ურთიერთდამოკიდებულებას.

განასხვავებენ დირექტივების შემდეგ სახეობებს:

1. საჭიროება, მაგალითად: Ich brauche einen Mull!
2. ბრძანება: Gib mir einen Mull!
3. იმპერატივის ელიფსური ფორმა: Einen Mull!
4. შერბილებული იმპერატივი: Könntest du mir Mull geben!
5. ნებართვის დირექტივა: Darf ich einen Mull haben!
6. კითხვითი დირექტივა: Hast du Mull?! (West 1991,129).

ყოველ ინტერაქციას აქვს თავისი კონტექსტი. ინტერაქციული კონტექსტი დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორებზე: სიტუაცია, როლი, პიროვნული იდენტობა და ა.შ. დირექტივების ალტერნატიული ფორმების გამოყენება იცვლება კონტექტის მიხედვით. მამაკაცების მიერ გამოყენებული

დირექტივების ტიპური და ყველაზე ხშირი ფორმაა იმპერატივი, მაგ: „geben Sie das der Schwester hier auf der Station !“ (West 1992, 154).

დირექტივის შემდეგი სახეობა ხშირად გვხვდება მამაკაცურ მეტყველებაში და გამოხატავს აუცილებლობას. მაგ: “Sie sollten es versuchen!“. მამაკაცების დირექტივები გამოხატავს მათ პრეფერენციას (უპირატესობას). ესეც ძლიერი დირექტივების ფორმაა. ის განსაკუთრებული ინტერესის გამოხატვასთან ერთად ინტერაქტანტისაგან კონკრეტულ ქმედებას მოითხოვს. მაგალითად:

Arzt: Lassen Sie mich Ihnen sagen, was ich gern hatte, das Sie tun sollten, jetzt möchte ich gern, das Sie schauen, was für ein Arrangement Sie treffen wollen.

* * *

Arzt: also, was ich von Ihnen gern möchte, ist weitermachen und nehmen Sie ein paar Aspirin! (Kotthoff, 1992,157).

პრეფერენციულ დირექტივებთან დაკავშირებულია კითხვითი დირექტივები, რომლებსაც „კვაზი კითხვებსაც“ უწოდებენ. იმპერატივის მსგავსად იგი გამოხატავს პირდაპირ მოთხოვნას, თუმცა ინტონაციურად კითხვითი წინადადების ტონალობა არა აქვს, მაგალითად:

(1) ექიმი: კიდევ არ დაწოლილხართ?!¹⁰

* * *

(2) ექიმი: რამდენ ხანს აპირებთ ფეხზე დგომას?!

* * *

(3) ექიმი: რატომ არ იხსნით აზღუდს?!

მამაკაც ექიმებში შეინიშნება ადრესატის მიმართვა “მე“-ფორმით. ამით ექიმი გარკვეულ ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას ახდენს პაციენტზე, მაგალითად:

(1) ექიმი: ჰო, დღეს ორშაბათია, მე ალბათ შაბათამდე გავჩერდებოდი საწოლში.

* * *

¹⁰ ქართულენოვანი მაგალითები ჩაწერილია ჩვენ მიერ

(2) Arzt: Ich würde das so machen. Ich würde viel trinken, ich würde regelmäßig das Aspirin nehmen, und wenn Sie zu Hause bleiben müssen, bleiben Sie zu Hause.

* * *

(3) Arzt: Und ich würde eine von denen vier Mal am Tag nehmen, und wenn nötig, können sie auch abends zwei zehn Tage lang so machen (Günther 1992, 159).

ზოგიერთი დირექტივა წარმოადგენს შეთავაზებას ერთობლივი ქმედებისაკენ, სინამდვილეში ქმედებას ერთი პირი ასრულებს. ეს არის “მცდარი კოლაბორაცია”, მაგალითად: Artzt: Lassen Sie uns dies wegziehen und ziehen Sie ihre Bluse wieder an (Goodwin,1980,26). როგორც ვხედავთ, აღნიშნულ მაგალითში ერთობლივი ქმედება დაგეგმილი არ არის, საქმე ეხება პაციენტს, რომელმაც ექიმის მოთხოვნა უნდა შეასრულოს.

ძლიერი ფორმის დირექტივების ხშირი გამოყენებით (81 %), მამაკაცი ხაზს უსვამს თავის სტატუსს. ასევე იყენებენ დირექტივების სუსტ ფორმებს, თუმცა შედარებით იშვიათად (19 %).

განსხვავებულია გამოყენებული დირექტივების ფორმები ქალ მედიკოსთა მეტყველებაში. მამაკაცებისაგან განსხვავებით, ქალები უფრო მეტად იყენებენ სუსტი დირექტივების ფორმებს. ამით პაციენტთან სტატუსით სხვაობა მინიმუმამდე დაჰყავთ და სიმეტრიულ ურთიერთობებს ქმნიან. ფაქტია: “ძალაუფლება და დომინირება კლინიკის პერსონალის მხარესაა” (Weith,2002,93). მედიკოსი ქალები, მამაკაცი ექიმების მსგავსად პაციენტს ერთობლივი მოქმედებისკენ მოუწოდებენ, მაგრამ „მცდარი კოლაბორაციისაგან” განსხვავებით, აქ თანამშრომლობის შეთავაზება ნამდვილად იგულისხმება, მაგალითად:

(1) ექიმი: მოდით ვისაუბროთ წნევაზე!

* * *

(2) ექიმი: მოდით თქვენი კვების ცხრილი შევადგინოთ!

* * *

(3) ექიმი: ნუ ავჩქარდებით, დავმშვიდდეთ და შემდეგ ავწონ-დავწონოთ ყველაფერი.

ექიმი ქალების მეტველებაში ხშირია ბოდიში, ნებართვის აღება, მაგალითად:

(1) ექიმი: უკაცრავად, ყურადღებას ვერ გაქცევთ, რეანიმაციაში მძიმე ავადმყოფი მყავს.

პაციენტი: თქვენ 12-ზე დამიბარეთ.

ექიმი: ვიცი, მაგრამ ... ძალიან ვწუხვარ, რომ ასე მოხდა, უკაცრავად უკაცრავად.

პაციენტი: კიდევ რამდენ ხანს დაგელოდოთ?!

ექიმი: თუ შეიძლება სისხლის საერთო ანალიზი კიდევ გაიკეთეთ! თქვენი ნომერი დამიტოვეთ და ანალიზის პასუხს თვითონ შეგატყობინებთ და შეხვედრაზეც შევთანხმდეთ.

პაციენტი: სხვა რა გზაა.

ექიმი: კიდევ ერთხელ, დიდი ბოდიში.

მედიკოსი ქალები იყენებენ იმპერატივს, რასაც დასტურის გამომხატველი კითხვებით აბოლოებენ: “კარგი?” “შევთანხმდით?”, ამით ისინი პაციენტს არჩევანის უფლებას აძლევენ, მაგალითად:

(1) ექიმი: გააკეთეთ ცხრილი, ჩაწერეთ საათების მიხედვით თქვენი წნევის მდგომარეობა, თუ ცვლილებას შეამჩნევთ, მირეკავთ და მეუბნებით, კარგი?

* * *

(2) ექიმი: ე.ი. გაიკეთებთ პროტრომბინის ანალიზს და შემდეგ მოხვალთ ჩემთან, შევთანხმდით?

(3) Ärztin: Sie wollen, dass ich Ihnen ein paar Verhaltensregeln geben? Sagen Sie mir, was Sie heute gegessen haben, okay?

* * *

(4) Ärztin: Wenn sie wollen, dass ich es ablege, sagen Sie es mir, okay? (West, 1992,165).

არსებული მასალის შეჯამებით შემდგომ ცხრილში (ცხრილი 7.) მოცემულია მამაკაცი და ქალური საუბრის სტილისთვის დამახასიათებელი დირექტივების ჩამონათვალი:

ცხრილი 7.

მამაკაცი	
დირექტივები	გამოყენების ხარისხი
პირდაპირი იმპერატივი	90 %
აუცილებლობის გამომხატველი დირექტივა	66 %
ნების დართვის გამომხატველი დირექტივა	36 %
კვაზი კითხვა	65 %
თავაზიანი მოთხოვნა	55 %
პრეფერენციის გამომხატველი დირექტივა	24%
ქალი	
დირექტივები	გამოყენების ხარისხი
თანამშრომლობის მოთხოვნის გამომხატველი დირექტივა	67 %
შეთავაზებები	75%
პირდაპირი იმპერატივი “კარგი?” “შევთანხმდით?” – დასტურით	88%
ნებართვის აღების გამომხატველი დირექტივა	80 %

ცხრილიდან ნათლად ჩანს, რომ 88% შეადგენს ქალთა მეტყველებაში პირდაპირი იმპერატივი შემარბილებელი ელემენტებით “კარგი?”

“შევთანხმდით?” და ნებართვის დირექტივა ანუ მაღალია ქალური საუბრის სტილისთვის სუსტი ფორმის დირექტივების გამოყენების ხარისხი, მამაკაცებში 90% შეადგენს ძლიერი დირექტივის ფორმა – პირდაპირი იმპერატივი. 67/75%–ი აჩვენებს, რომ თანამშრომლობისა და შეთავაზების დირექტივების გამოყენებით მამაკაცები ქალთა მეტყველებას ჩამორჩებიან.

მსგავს შედეგებს იძლევა პროფესორ-მასწავლებლების მიერ დირექტივების გამოყენების გენდერული ანალიზი (Brown/Levinson. 1978; Kuhn 1992). პროფესორი მამაკაცები ეყრდნობიან თავიანთ პროფესიულ ავტორიტეტს, ფლობენ ქალთან შედარებით მეტ კონვერსაციულ ძალაუფლებას, რაც გამოიხატება ძლიერი ფორმის დირექტივების გამოყენების მაღალი სიხშირით. მაგალითად, ქალი ამბობს: „Es wäre schon recht wichtig, dass Sie bis Montag XXX lesen, so dass wir dann darüber sprechen könnten“ ან „vielleicht könnten Sie dann schon mal bis Montag XXX lesen“. მამაკაცი იმავეს ასე იტყვის: „Bis Montag lesen Sie dann XXX“ (Brown/Levinson, 1978, 70).

პროფესიული ავტორიტეტის ხარისხის მიხედვით პროფესორი ქალების/მამაკაცების ენობრივი ქცევები დაიყო კატეგორიებად:

- 1) წინასწარი განჭვრეტა, პროგნოზი მაგ: „Sie werden erst Selinger’s “Gatcher in the Rye” lesen, und dann...“
- 2) ბრძანება : „Lesen Sie Selinger’s “Gatcher in the Rye. . .“
- 3) აზრის გამოთქმა: Ich Möchte gern mit ihnen Selinger’s „Gatcher in the Rye” besprechen, also wenn Sie das vielleicht bis nächsten Dienstag lesen könnten...
- 4) სურვილის გამოხატვა: „Ich fände es ganz schön, wenn sie dann vielleicht Salinger’s “Gatcher in the Rye” lesen wärder...“
- 5) აუცილებლობის გამოხატვა (ინსტიტუციის მოთხოვნებზე დაყრდნობა): „Sie Müssen zuerst Salinger’s „Gatcher in the Rye” lesen, weil Sie sonst nicht an der Diskussion teilnehmen können“.

6) შეთავაზება: „ Sie können sich dann vielleicht mal Salinger’s “Gatcher in the Rye” anschauen, so dass wir das dann diskutieren können“.

8) სტუდენტის უნარის გათვალისწინება: „Sie können dann vielleicht Salingers “Gatcher in the Rye” lesen . . .“ (Kuhn 1992, 58).

პირველი კატეგორია – განჭვრეტა/პროგნოზი საუკეთესოდ წარმოაჩენს ლექტორის ავტორიტეტს, მას ძირითადად მამაკაცები იყენებენ (მამაკაცი – 80%, ქალი – 20%). პირდაპირი იმპერატივი ხაზს უსვამს ლექტორის ავტორიტეტს, თუმცა “პროგნოზთან” შედარებით შეზღუდულია. ამ კატეგორიასაც, უმეტესად, მამაკაცები იყენებენ. სურვილის გამომხატველი კატეგორია სტუდენტებს თავისუფალი მოქმედების საშუალებას აძლევს. ამავდროულად ლექტორს საკუთარი ავტორიტეტის იმედიც აქვს. ამ კატეგორიას თანაბარი რაოდენობით იყენებენ როგორც მამაკაცები, ასევე ქალები.

აუცილებლობის გამომხატველ კატეგორიაში ლექტორი ნაკლებად ეყრდნობა თავის ავტორიტეტს. ის ასახელებს იმ მიზეზს, რომელიც სტუდენტს ავალდებულებს – შესარულოს გარკვეული დავალება. აუცილებლობის გამომხატველ კატეგორიას უფრო ხშირად ქალები იყენებენ. კატეგორია, რომელიც სტუდენტის უნარს ადასტურებს ან მათ შესაძლებლობებს არკვევს, ხშირად ირიბი ნათქვამის თანმხლები სტრატეგიაა. სტუდენტისათვის იგი იმავე მოთხოვნის აღმნიშვნელია როგორც, მაგალითად, იმპერატივი, მაგრამ ეს კატეგორია სტუდენტთან ურთიერთობისას სიფრთხილეს მოითხოვს. მას ხშირად მიმართავენ ლექტორი ქალები.

ქალების მიერ გამოყენებულ იმპერატივს ყოველთვის ახლავს ე.წ. “დამცავი სიტყვები”, როგორიცაა: ალბათ, ვფიქრობ, როგორღაც და სხვა. მამაკაცები მიმართავენ “ღია” მოთხოვნის გამომხატველ წინადადებებს “გამაძლიერებელი” ელემენტებით: უეჭველად, აუცილებლად, უთუოდ.

მამაკაც ლექტორთა მეტყველებაში ხშირია აგრესიისა და მუქარის გამოხატვა.

ქალებისა და მამაკაცების მიერ დირექტივების განსხვავებული ფორმების გამოყენება ადასტურებს სტატუსისა და სოციალური როლის მჭიდრო კავშირს სქესის ცნებასთან. მოზარდს სტატუსი ჯერ არ აქვს, საზოგადოებაში მისი სოციალური როლი სწავლაში გამოიხატება ან მიღწევებით სხვა ქმედებებში (სპორტში, ხელოვნებაში და ა.შ.). ერთადერთი ადგილი, სადაც მოზარდს საკუთარი სტატუსის შეგრძნება აქვს, პირჯგუფია. აქ მაღალი სტატუსი და შესაბამისად დირექტივების გამოყენების უფლება პირჯგუფის იერარქიის მაღალ საფეხურზე მყოფ მოზარდს აქვს¹¹.

3.3.2. გენდერლექტის მახასიათებლების შეჯამება

გენდერლექტის დამახასიათებელი ნიშნების ჩამონათვალი ცხრილის სახით (ცხრილი 8.) ასე შეიძლება შეჯამდეს:

ცხრილი 8.

ქალური	მამაკაცი
მეტყველების მელოდიურობა ვარიაციულია	მეტყველების მელოდიურობა ნაკლებად ვარიაციულია
არის აქტიური მსმენელი, იყენებს დიდი რაოდენობით საუბრის მხარდამჭერ რეაქციებს	ნაკლებად უსმენს. საუბარს წარმართავს საუბრის მხარდამჭერი რეაქციების მინიმალური გამოყენებით
არადომინანტურია	დომინანტურია
ემოციურია, ჰარმონიულია	აგრესიულია
კოოპერაციულია	არაკოოპერაციულია
სურვილს გამოხატავს ირიბად	ახდენს სურვილების პირდაპირ ფორმულირებას
კითხვებს სვამს, უმეტესად, საუბრის	კითხვებს სვამს მეტი ინფორმაციის

¹¹ ახალგაზრდების დისკურსში დირექტივების გამოყენების საკითხს განვიხილავთ 4.3.1. თავში

გაგრძელების მიზნით	მოპოვებისათვის
ახდენს პრობლემების დისკუსიას, ითხოვს მხარდაჭერას	ყვება პრობლემების შესახებ, ითხოვს დახმარებას გამოსავალის პოვნის მიზნით
წარმართავს საუბარს, ავითარებს თემას	განსაზღვრავს საუბარს, ირჩევს თემას
საუბარობს შელამაზებულად, შერბილებულად. იყენებს მეტი რაოდენობის ევფემიზმებსა და კნინობით ფორმებს	ახდენს საგნებისა და მოვლენების ზუსტ ნომინაციას. იყენებს დიდი რაოდენობით ვულგარულ და სალანძღავ სიტყვებს.
იყენებს უფრო მეტი რაოდენობის ჩვენებით ნაცვალსახელებს	იყენებს დიდი რაოდენობით I პირის ნაცვალსახელს: “მე”, “ჩვენ”. ასევე სტატუსის გამომხატველ ენობრივ საშუალებებს, მაგ: “ჩვენ ექიმები . . .”
იყენებს მეტი რაოდენობის კოოპერაციული ფუნქციის მქონე სასაუბრო მინიმალურ რეაქციებს	იყენებს მეტი რაოდენობის კომპეტითური ფუნქციის მქონე სასაუბრო მინიმალურ რეაქციებს
უფრო თავაზიანია, ნაკლებად აწყვეტინებს საუბარს. საუბრის შეწყვეტის მიზნით ძირითადად იყენებს ერთსიტყვიან ან მინიმალურ ბგერით რეაქციებს.	ხშირად აწყვეტინებს სიტყვას მოსაუბრეს, ძირითადად დასრულებული წინადადებების სახით.
მეტყველების სახით/ფორმით გვაწვდის ინფორმაციას თავისი სოციალური სტატუსის შესახებ	მეტყველების სახით/ფორმით გვაწვდის ინფორმაციას პროფესიისა და ეკონომიური მდგომარეობის შესახებ
საუბრის დროს ყურადღებას ამახვილებს მთავარ და უმნიშვნელო ასპექტებზე	აინტერესებს მხოლოდ მთავარი
იყენებს სინონიმურ გამეორებებს	ხშირად იმეორებს ერთსა და იმავე სიტყვას
იყენებს რაოდენობრივად მეტ არსებით და ზედსართავ სახელებს, ხშირად სარგებლობს პასიური გვარის ზმნებით	იყენებს რაოდენობრივად მეტ ზმნებს, ხშირად სარგებლობს აქტიური გვარის ზმნებით
მეტ პერიფრაზებს	მეტ ჰიპერბოლებს
ახლოს დგას საყოველთაოდ მიღებულ ენობრივ ნორმებთან	იყენებს ტერმინებს და უცხო სიტყვებს
საუბრობს მოსაუბრესთან საერთო ენის გამონახვის მიზნით	საუბრობს თვითდამკვიდრების მიზნით

კამათის დროს ადვილად იხევეს უკან, კონფლიქტის მოგვარებისათვის იყენებს განრიდების ან თანამშრომლობის სტრატეგიას.	ბოლომდე იბრძვის
---------------------------------------------------------------------------------------------------------------	-----------------

ცხრილის მიხედვით, სქესის ზეგავლენა ენაზე საკმაოდ შესამჩნევია. უფრო მეტიც, შეიძლება ითქვას, რომ ქალები და მამაკაცები სხვადასხვა ენაზე საუბრობენ და სქესთა შორის კონფლიქტის წარმოშობის ერთ-ერთი მიზეზი სწორედ მათი განსხვავებული მეტყველებაა.

შეიძლება დავასკვნათ, რომ სქესს სოციალური მდგომარეობის გამომხატველი თავისი ენობრივი ფორმები, კონტექსტუალური საშუალებები აქვს. ენა, ისევე როგორც ტანსაცმელი, ცხოვრების წესი, ავტომობილი, ჰობი და ა.შ. სოციალური შეფასების სიმბოლური განსახიერებაა. ის გვაწვდის ინფორმაციას ინდივიდის სოციალური ფენის კუთვნილების, პროფესიის, ასაკის, წარმომავლობის შესახებ. ასევე განსაზღვრავს სიტუაციას, დამოკიდებულებას მავანსა და მავანს შორის და მავანის წარმოდგენას საკუთარ თავზე.

მნიშვნელოვანია რამდენად ვლინდება გენდერლექტის მახასიათებლები გოგონებისა და ბიჭების დისკურსში.

4. გოგონებისა და ბიჭების ჯგუფური კომუნიკაციის თავისებურებანი
(გერმანული და ქართული სოციოლინგვისტიკური მასალის
შეპირისპირებითი დახასიათება)

4.1. ახალგაზრდების ცხოვრების სტილი, როგორც მათი ენობრივი
სტილის და სასაუბრო თემების განმსაზღვრელი ფაქტორი,
ეთნოლინგვისტიკური სხვაობის ფონზე

თანამედროვე საზოგადოების სტრუქტურა ოთხი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი და ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში მყოფი ფაქტორებისაგან შედგება, ესენია:

- სოციალური მდგომარეობა (ობიექტური გარეპირობები, რესურსები, მაგ: ფული, ძალაუფლება)
- სოციალური გარემო, წრე (იგულისხმება პროფესიული, ოჯახური და სამეგობრო წრე)
- სუბკულტურა (ნორმებითა და ფასეულობებით გაჯერებული სოციოკულტურული ქმედება)
- ცხოვრების სტილი (ქცევის სუბიექტური არჩევანი) (Hradil, 1992, 31).

ცხოვრების სტილი და სოციალური გარემო ხშირად სინონიმებად გაიგება (Raithel, 2005, 78). ცხოვრების სტილი ერთმანეთთან აკავშირებს სოციალურ მდგომარეობას, ინდივიდის ქცევას, ობიექტურ საცხოვრებო პირობებსა და კულტურულ გარემოს. ცხოვრების სტილი და სოციალური გარემო ქმნის ერთ ჯგუფს. სოციალური კლასისა და ფენისაგან განსხვავებით აქ მნიშვნელოვანია არა ეკონომიური მდგომარეობა, არამედ ქცევა და მსოფლმხედველობა (Spellerberg, 1996, 53). სოციოლინგვისტიკაში ახალგაზრდების მეტყველების კვლევაში ცხოვრების სტილის გათვალისწინება საკითხისადმი ახალი მიდგომაა (Georg, 1992; Hermann, 2001; Lange, 1991/1997; Heitmeyer 1995).

ახალგაზრდების ცხოვრების სტილსა და სოციალურ გარემოს განსაზღვრავს: ქცევა თავისუფალ დროს, ფილმები და ტელევიზია, მუსიკა,

ჩაცმის სტილი, ცეკვის სტილი, საკითხავი ლიტერატურისადმი დამოკიდებულება, ჭამა-სმის ჩვევები, თავის მოვლა, ჯგუფის წევრობა, ფასეულობები და ნორმები და ა.შ. (Vgl: Raithel, 2005, 86).

ცხრილში (Raithel 2005, 143) მოცემულია გერმანელი გოგონებისა და ბიჭების საქმიანობა თავისუფალ დროს:

ცხრილი 9.

ქცევა თავისუფალ დროს	გერმანელი გოგონა %	გერმანელი ბიჭი %
გასვლები: (14,8%)		
გასართობი შეკრებები	52.1	45.8
კაფე-ბარი	40.7	39.8
დისკოთეკა	25.5	23.8
კულტურა: (14,5 %)		
თეატრი	5.2	1.6
კლასიკური კონცერტი	3.7	1.2
წიგნები	48.6	20.8
შემოქმედებითი საქმე: (14.2%)		
ჩხირკედელაობა	8.9	6.5
ხელსაქმე	3.7	2.3
ხატვა, ძერწვა	11.4	7.6
აქტიური მედია: (11.0%)		
ინტერნეტი	7.6	19.7
კომპიუტერული თამაშები	11.1	51.7
პასიური მედია: (8.9%)		
ტელევიზია	67.4	59.5
კინოში სიარული	35.5	26.9

როგორც ცხრილი გვიჩვენებს, ახალგაზრდები თავისუფალი დროის დიდ ნაწილს ატარებენ გასართობ შეკრებებსა და ტელევიზორთან. ყველაზე ნაკლებ დროს ისინი უთმობენ ხელსაქმეს და კლასიკურ კონცერტებს. გოგონებში მაღალი მაჩვენებელი აქვს ტელევიზორის ყურებას (67,40 %), გასართობ შეკრებებზე საირულს (52,1%) და კითხვას (48,6 %), ბიჭებში ჭარბობს ინტერნეტის გამოყენება (59.5 %). შესაბამისად, გერმანელი გოგონები თავისუფალ დროს უფრო აქტიურად და მრავალფეროვნად ატარებენ, ვიდრე ბიჭები, მათი მონაწილეობა კულტურულ და შემოქმედებით ღონისძიებებში უფრო მაღალია. ცხრილში არაა შეტანილი სპორტი. იგი ითვლება მოზარდების ყველაზე პოპულარულ ქცევად – ბიჭები 62%, გოგონები 25% (Zinnocker, 2002,66).

გერმანელი ახალგაზრდების ცხოვრების სტილის ცხრილის (Raitel, 2005, 143) მაგალითზე გაანალიზდა ჩვენი ქართულენოვანი ემპირიული მასალა თავისუფალ დროს ქართველი მოზარდი გოგონებისა და ბიჭების ქცევის მიხედვით. ქართველი ახალგაზრდების ცხოვრების სტილის ცხრილი გერმანულთან შედარებით კიდევ უფრო განივრცო:

ცხრილი 10.

ქცევა თავისუფალ დროს	გოგონები	ბიჭები
გასვლები:		
გასართობი შეკრებები	4,0%	10,0%
კაფე-ბარები	5,5%	3,0%
დისკოთეკა	1,5%	1,5%
სტუმრად მეგობართან	45,5%	33,0%
სეირნობა	45,0%	11,0%
საბანაოდ სიარული	5,5%	20,0%
თავშეყრის ადგილი	40,0%	55,5%

კულტურა:		
თეატრი	15,0%	10,5%
კლასიკური მუსიკის კონცერტი	1,5%	0,5%
წიგნები	60,5%	50,5%
მუსიკის მოსმენა (სახლის პირობებში)	55,0%	30,0%
შემოქმედებითი საქმე:		
ხელსაქმე	35,5%	6,5%
ჩხირკედელაობა	2,5%	25,0%
ხატვა-ძერწვა	15,5%	12,0%
ლექსები-ჩანახატები	55,5%	35,0%
აქტიური მედია:		
ინტერნეტი	70,5%	35,0%
კომპიუტერული თამაშები	10,5%	65,5%
პასიური მედია:		
ტელევიზია	55,5%	21,5%
კინოში სიარული	1,5%	5,0%

როგორც ცხრილიდან ჩანს, გერმანელი მოზარდებისაგან განსხვავებით, ქართველები ნაკლებად დადიან გასართობ შეკრებებზე (გამონაკლისია დაბადების დღეები), კაფე-ბარებში, დისკოთეკებზე. მაღალია მეგობრებთან სტუმრობის მაჩვენებელი, რაც გერმანელ ახალგაზრდებში იმდენად იშვიათია, რომ ცხრილში საერთოდ არაა შეტანილი. ქართველი ახალგაზრდები უფრო დიდ დროს უთმობენ სეირნობას, საბანაოდ სიარულს, შეკრებებს (საცხოვრებელი სახლის ახლოს). თავშეყრის ადგილზე გართობას უმეტესად ვერბალური ხასიათი აქვს. ქართველი ბიჭები უფრო დიდ დროს უთმობენ

მდინარეზე/ტბაზე ბანაობას და ერთად შეკრებას, ვიდრე ქართველი გოგონები. გოგონები უპირატესობას ანიჭებენ მეგობრებთან სტუმრად მისვლას. გერმანელ ახალგაზრდებთან შედარებით ქართველი ახალგაზრდების მეტი რაოდენობა დადის თეატრში, თუმცა საერთო პროცენტული მაჩვენებელი აქაც დაბალია (ბიჭები 10,5%, გოგონები 15,0%). კლასიკურ კონცერტებზე გერმანელების და ქართველების დასწრების სიხშირე ერთნაირად დაბალია (გოგონები 1,5%, ბიჭები 0,5%). მოზარდები ამას იმით ხსნიან, რომ მათ ქალაქში კლასიკური კონცერტები იშვიათად იმართება. დანაკლისს სახლში ინაზღაურებენ. ქართველი გოგონებისა და ბიჭების უმეტესობა თავისუფალ დროს სახლში სხვადასხვა ჟანრის მუსიკას, მათ შორის კლასიკასაც უსმენს (გოგონები 55,0%, ბიჭები 30,0%), ამიტომ ქართველი ახალგაზრდების ცხოვრების სტილის ცხრილში ჩაემატა: მუსიკის მოსმენა სახლის პირობებში. გერმანელ მოზარდებთან შედარებით წიგნისადმი ქართველი ახალგაზრდების ინტერესი უფრო მაღალია. გოგონებს უპირატესობა აქვთ ბიჭებთან შედარებით (გოგონები 65,5%, ბიჭები 50,5%). ქართველი გოგონები სიამოვნებით ქარგავენ, ქსოვენ, აწყობენ მძივებს და ა.შ (35,5%); ჩხირკედელაობა, ხელოსნობა უფრო ბიჭების საყვარელი საქმეა (25,0%). საინტერესოა ის ფაქტი, რომ ქართველი მოზარდების დიდი რაოდენობა ცდილობს თავისუფალ დროს დაწეროს ლექსი ან ჩანახატი, წაიკითხოს ლექსი მხატვრულად (გოგონები 55,5%, ბიჭები 35,0%), ქართულ ცხრილში, შესაბამისად, დაემატა დიმენსია: ლექსები-ჩანახატები. გერმანელი ახალგაზრდების მსგავსად ქართველებთანაც მაღალია ინტერნეტის გამოყენების მაჩვენებელი (ინტერნეტ-კომუნიკაცია – გოგონები 70,5% ბიჭები 35,0%). კომპიუტერულ თამაშებში ქართველ ბიჭებს აშკარა უპირატესობა აქვთ: (ბიჭები 65,5%, გოგონები 10,5%). ტელევიზორს უყურებენ უფრო ხშირად გოგონები, ხოლო კინოში სიარულის პროცენტული მაჩვენებელი ორივეგან დაბალია: გოგონები 1,5%, ბიჭები 5,0%. სპორტი, გერმანელი ახალგაზრდების მსგავსად, თავისუფალ დროს ქართველებისთვისაც ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული საქმიანობაა, განსაკუთრებით ბიჭებისათვის (ბიჭები 80,0%, გოგონები 10,0%).

რაც შეეხება ფილმებსა და სატელევიზიო გადაცემებს, გერმანელი ახალგაზრდები უპირატესობას ანიჭებენ მუსიკალურ კლიპებს და გასართობ ფილმებს. ისინი ყველაზე ნაკლებად უყურებენ პოლიტიკურ გადაცემებს. გოგონებში პირველი ადგილი უკავია მუსიკალურ კლიპებს 59,3 %-ით, მას მოსდევს გასართობი ტოქ-შოუები – 57,7%, მელოდრამები – 29,7%, გასართობი ფილმები – 23% და ბოლოს ახალი ამბები – 19,5%. ბიჭებში ყველაზე პოპულარულია ფილმები კატასტროფების, ომის და საბრძოლო ხელოვნების შესახებ – 54,6%, შემდეგ მოდის მუსიკალური კლიპები – 49,6 %, სპორტული გადაცემები – 41%, ახალი ამბები –10 %. (Georg 1998, 142). ქართველი ახალგაზრდების დაინტერესება სატელევიზიო ფილმებითა და გადაცემებით თითქმის იგივეა, რაც გერმანელების. ქართველი გოგონები უპირატესობას ანიჭებენ მუსიკალურ კლიპებს, გასართობ ფილმებს, ტოქ-შოუებს. ნაკლებად აინტერესებთ პოლიტიკური გადაცემები და ახალი ამბები, თუმცა ბიჭებთან შედარებით უფრო ინფორმირებულნი არიან (გოგონები 25,5%, ბიჭები, 5,5%). მუსიკალური კლიპებით დაინტერესებას ქართველ ბიჭებში თითქმის იგივე მაჩვენებელი აქვს, რაც გოგონებში (გოგონები 55,5%, ბიჭები 50,0%). ქართველი ბიჭები, ისევე როგორც გერმანელი ბიჭები, ყველაზე მეტად უყურებენ ფილმებს კატასტროფების, ომის და საბრძოლო ხელოვნების შესახებ (60,0%).

ცხოვრების სტილი განსაზღვრავს ახალგაზრდების სასაუბრო თემებს. გერმანელი მოზარდების საუბრის სტილის ერთ-ერთი რესურსი ფილმები და ტელევიზიაა. ისინი ყველაზე სატელევიზიო ფილმების შინაარსს, საუბრობენ სენსაციურ ამბებზე, ახდენენ გადაცემების წამყვანების ან მონაწილეების ციტირებას და იმიტაციას.

მაგალითი გერმანელი გოგონების საუბრიდან:

1. A: Sie meint Lollo Ferrari
2. B: Dolly Buster
3. C: Is die nich tot?
4. D: Nein
5. A: Ja, die is gestorben
6. E: Höh. Wenn denn? Hab ich gar nicht mitgekriegt
7. A: vor´ ner Woche, ja

8. B: is gar nich lang her
9. F: Mensch, guckst du kein Fernseh?
10. E: Wie... geplatzt oder was?
11. D: (lacht) Rückenschmerzen
12. F: nein... die hat... die soll Tabletten genommen haben
13. A: Die hat ... die hatte ihre Beerdigung schon geplant
14. D: ihr ging's ganz schlecht
15. F: sie war psychisch auch total fertig
16. D: aber sie war eine liebenswerte Person. Das sagen se immer wieder (Neuland, 2008,140).

ამ საუბარს საფუძვლად უდევს სატელევიზიო გადაცემის სენსაციური შეტყობინება პოპულარული ადამიანის გარდაცვალების შესახებ. ბავშვები ანალიზს უკეთებენ მომხდარს, გამოთქვამენ საკუთარ აზრს და საუბარში იყენებენ გადაცემის წამყვანის სიტყვებს, მაგ: „ihr ging's ganz schlecht“ (სტ.14), „sie war eine liebenswerte Person“ (სტ.16). გერმანელი მოზარდების მსგავსად, ქართველი ახალგაზრდების, განსაკუთრებით გოგონების, ერთ-ერთი სასაუბრო თემა სატელევიზიო გადაცემები და ყვითელი პრესაა. შემდეგ მაგალითში გოგონები საუბრობენ სატელევიზიო შოუებზე „ნანუკას შოუ“ და „პროფილი“:

1. A: საიტზე იყო გამოკითხვა (-)
2. ნანუკას შოუ თუ პროფილი და ყველას[
3. ნანუკა: ნანუკა::: ((პატარა ბავშვის ხმით))
4. B: [ისე პროფილი არაა ცუდი
5. A: ნანუკა არის როგორი იცი?
6. შემოვიდა და (-) ასე რო=
7. =ახლა ჩვენთან შემოვა ავთანდილი ((ციტირება იმიტაციით))
8. და რაღაც გრამატიკულ შეცდომებს უშვებს
9. ბენდუქიძე რო შემოვიდა,
10. (h)ასე თქვა (-)
11. ასეთი ტაში [არავის არ ყოლია ((ციტირება იმიტაციით))
12. B: [ტაში ყოლიაო
13. G: არა:
14. ასეთი აპლოდისმენტი არ ყოლიაო?
15. A: ხო(.)
16. და ისა::
17. ვაიმე: რა გავიგე მაია ასათიანზე:

18. ეგ და ნიკა[↑] მემანიშვილი შეყვარებულები არიან
19. G: ტყუილი იქნება=
20. A: =არაა ტყუილი. თვითონ თქვა. და ექვსი წლით უფროსია (-)
21. ინტერვიუ იყო.
22. B: ვინაა უფროსი?
23. A: ექვსი წლით უფროსია მაია ასათიანი ნიკა მემანიშვილზე.

როგორც საუბრიდან ირკვევა, მათ არ მოსწონთ „ნანუკას შოუ-ს“ წამყვანი – ნანუკა, აკრიტიკებენ, მის ციტირებას, იმიტაციას ახდენენ (სტ.7/11). ჭორაობა გრძელდება მეორე შოუს „პროფილის“ წამყვან მაია ასათიანზე (სტ.17).

ქვემოთმოყვანილ მაგალითში ქართველი გოგონები საუბრობენ სენსაციურ ამბავზე, რომელიც მოისმინენ სატელევიზიო გადაცემაში: “ჟურნალისტის დღიური”

1. A: ჩვენი მშობელი და ღმერთი და დედა და მამა ესააო (-)
2. იმაზე ამბობდენ.
3. B: აუ კი სექტაა რა. (-)
4. A: ხოდა::: (-) ეს მასალა გავიდა წინა კვირას (-)
5. ხოდა::: რომელიღაცა გამოხმაურებია
6. [ხო გაიგონეთ?
7. B: [სექტაა უეჭველი
8. ხო. ერთი გამოხმაურებულა,
9. საქართველოში რა გვინდაო[↑]
10. მე ავადმყოფებთან რა მინდაო.
11. A: [წარმოგიდგენია ქალო?
12. B: [ხო გაიგონეთ?
13. მე ავადმყოფებთან რა მინდაო
14. A: ხო წარმოგიდგენია? (1.0)
15. ერთის მშობელი. [15 წელია=
16. B: [<((acc))> მოხუცია ეს კაცი
17. A: =შვილი არ უნახავს (-)
18. და: ერთხელ ხმა გამაგონეო=

19. G: =და ერთმა ოჯახმა თქვა,
20. რო მივედით. ამ კაცის მოსაკლავად.
21. წამოვედით იქიდანო ისეო:
22. რო დარწმუნებული.
23. რო. თურმე ეს კაცი ჩვენი შვილებისთვის გადასარევი ყოფილაო.
24. ესე იგი=
25. A: =მერე ამბობდნენ. რო. ამ კაცს ჰქონდა მანიპულირების
26. და გონების მართვის საოცარი ისაო(-)
27. B: უნარი↑
28. A: ხო (-) ანუ. ეს სექტაა და
29. უკრძალავს მათ მშობლებთან ურთიერთობას [რა
30. B: [აშკარად სექტაა რა:
31. რათ უნდა ახლა მაგას ლაპარაკი

საუბარი მიმდინარეობს ძირითადად გადაცემაში მონაწილეთა ციტირებებით (მაგ, სტ.1/9/10/13/18/20-23). გოგონები საუბრობენ სერიოზულად, კოლოპერაციულად. საუბარში ფიქსირდება ერთდროული საუბარი (სტ.11-12/16-17), სიტყვის გაწყვეტინების მცდელობაც (სტ.18), მაგრამ სიტყვის გაწყვეტას აქვს თემის განვითარების, გაგრძელების ფუნქცია, არ წყდება ინფორმაციული ჯაჭვი. ისინი ცდილობენ თავიანთი წვლილის შეტანას, საუბრის თემის გაანალიზებას, დასკვნის გაკეთებას. კითხვითი წინადადებები ესაჭიროებათ, არა ინფორმაციის მისაღებად, არამედ საუბრის მხარდასაჭერად (სტ: 6,11,12,14). იშვიათად ბიჭებთანაც გვხვდება სატელევიზიო გადაცემების შესახებ საუბრები.

მუსიკით გართობისას გერმანელი ახალგაზრდები უპირატესობას ანიჭებენ დისკო მუსიკას, ტექნო მუსიკას, მძიმე როკს და სოულს. ბიჭების 50% უსმენს ჰიპ-ჰოპს, 28% – ტექნოს, 27,4 % – მძიმე როკს, 26,9 % – დისკო-მუსიკას. გოგონები ამჯობინებენ სოულს (35,6%). ჯაზს და კლასიკას გოგონები უფრო ხშირად უსმენენ, ვიდრე ბიჭები (Zinnocker, 2002, 145). ქართველი ახალგაზრდების ჯგუფი, რომელსაც ვუკვირდებით, უსმენენ უმეტესად ჰიპ-ჰოპს (ბიჭები 30%, გოგონები 10%), სოულს (ბიჭები 15,5%, გოგონები 45%),

ნაკლებად მძიმე როკს და დისკო-მუსიკას (ბიჭები 10%, გოგონები 5,5%). გერმანელებისაგან განსხვავებით ქართველი ახალგაზრდები სიამოვნებით უსმენენ ხალხურ მუსიკას, პოპ-მუსიკას და საესტრადო სიმღერებს.

მუსიკისადმი ინტერესი გავლენას ახდენს ახალგაზრდების საუბარზე. საუბრობენ 14-15 წლის გოგონები:

1. A: აუ: დღეს ბიონსეს თუ უყურეთ?
2. ვაიმე:: რა↑ მიყვარს ეგ ქალი::
3. B: აუ: ვგიჟდები ბიონსეზე
4. A: სიმღერა მომწონს.
5. კლიპები მომწონს.
6. ცეკვით. ხო მაგრად ცეკვა:::ვს
7. თან. ქალიც მომწონს მაგრად
8. ხმაც უმაგრესი აქ (1.0)
9. G: აუ, ახალი სიმღერა როა. სურგულაძე რო მღერის.
10. A: აუ რა მაგარი სიმღერაა
11. G: უყურე?
12. A: გამაჟრჟოლა.
13. დამბურმგლა.
14. B: ისა (-)
15. აფხაზეთზე რო მღერის?
16. A: აფხაზეთო ჩემო::: ((მღერის))
17. ჩემო აფხაზეთო::: ჭრილობა და ცრემლი, შენ ხარ ერთადერთო ((მღერიან სამივე A,B,G))
18. A: ჩემი ცა და მიწა დამიბრუნე ღმერთო::: ((მღერის))
19. G: და მერე. სურგულაძე აკეთებს
20. ააააააა ((იმიტაცია ოპერის მომღერლის))
21. B: ის უშიკაშვილი რატოა ჩაკვებულნი (h) გაფიცებთ ყველაფერს
22. G: აუ რა უნდა მართლა ((იციან))
23. A: ხო. რას ერჩით
24. (h) ბანს აძლევს
25. G: ო::::
26. A: მე ნინო სურგულაძე ვარ.

27. შენ ნიჟარადე=
28. G: =მე უშიკაშვილი
29. A: მე ასე ვიმღერებ.
30. აფხაზეთო ჩემო::: ((იმიტაცია ოპერის მომღერლის))
31. B: (h) გასკდები მალე.

მოცემულ მაგალითში გოგონები საუბარს იწყებენ საზღვარგარეთელი მომღერლის ბიონსეს შესახებ, არიან მისი თაყვანისმცემლები(სტ.2-8). მალევე საუბარი გადადის ქართველი მომღერლების მიერ გაკეთებულ მუსიკალურ პროექტზე „აფხაზეთო ჩემო“ (სტ.9), რომლის მოსმენაზეც გოგონებს „გააჟრჟოლათ“, „დაბუბგლათ“ (სტ.12-13), ანუ ძალიან მოეწონათ. არ ავიწყდებათ კრიტიკაც, არ მოსწონთ უშიკაშვილის როლი სიმღერაში (სტ.21–25). გოგონები ცდილობენ თვითონ შეასრულონ სიმღერა, მიმართვენ იმიტაციის ხერხს (სტ.16-18/20/30).

ახალგაზრდებისათვის ყველაზე სასურველი ჩაცმის სტილია პრაქტიკული და ხარისხიანი ტანსაცმელისა და ფეხსაცმელის ტარება. ბიჭებს უფრო აინტერესებთ ტანსაცმლის მარკა და ფირმა, გოგონებს – მოდა.

შემდგომ მაგალითში საუბრობენ 15-16 წლის გოგონები:

1. A: აუ თამთას გრძელი კაბა ეცვასაა
2. იმხელა იყო: ვერ ააწვდენდი თვალს.
3. B: მაღლები ეცვა?
4. A: არა. მაგრამ.
5. ის გრძელი კაბა აგრძელებს.
6. ისედაც მაღალია თან.
7. თან. იყო ვარდისფერი.
8. უხდებოდა.
9. ძაან ვიდზე იყო (1.0.)
10. B: აუ↑ ჩემი კაბა მეცვა.
11. ის, ჩემი კაბა. ხო იცი.
12. ქალაქში↓
13. A: კაია?
14. B: კი, კაია და (-)

15. თეთრი ტაპკები მაქ. ისინი მეცვა ფეხზე.
16. კაი იყო ძაან.
17. თან. მწვანე იგი მეკეთა და (-)
18. თან. გაშლილი მქონდა თმები.
19. სწორად მქონდა თმა (-)
20. მომწონს რა::
21. [კაი კაბაა
22. A: [დედიკომ მიყიდა იუბკა.
23. B: რა ფერი?
24. A: აუ. რაღაცნაირია
25. B: ასე ((იხედება თავის კაბაზე)) სრული როა?
26. A: მე მომდგარი მაქ და (-) ქვემოთ გაშლილი
27. B: რა ფერია?
28. A: ვაიმე[↑] არ ვიცი რა ფერი,
29. რაღაც (-) მწვანე კი არა და (-)
30. ვერ ვამბობ. რაღაცნაირია
31. [მოიასამნისფრო <((rall))>
32. G: [მოიცა კარგი ნუ დამტანჯეთ ((იცინის))
33. A: განახებ მერე.
34. G: აუ მე მომწონს პროფილში რომ ეცვა ბეგაშვილს და ასათიანს.
35. მაგრად იყო ბეგაშვილი. იმ შოუზე. (1.0.)
36. თეთრი კაბა მინდოდა ძაან (1.0.)
37. ი:::მენნა თეთრი.

გოგონები საუბრობენ, ვინ რა შეიძინა, ვის რა უხდება, ვის როგორი სამოსის ყიდვის სურვილი აქვს, ვის როგორ ეცვა, აღწერენ დეტალურად სამოსელს, ვარცხნილობას. ტანსაცმელში აინტერესებთ არა მხოლოდ დიზაინი, დიდი მნიშვნელობა აქვს ფერთა პალიტრას (სტ.7, 15, 17,23, 27, 31,36,37). ბიჭებიც საუბრობენ ტანსაცმელზე, მაგრამ არა ისეთი ინტენსივობით როგორც გოგონები, თანაც ტანსაცმელის ფერი ნაკლებად აინტერესებთ.

გერმანულ ახალგაზრდებში თავისუფალ დროს წიგნის კითხვა არაა პოპულარული, თუმცა ხშირად კითხულობენ ჟურნალ-გაზეთებს. გოგონები კითხულობენ მოდებისა და ახალგაზრდებისთვის განკუთვნილ ჟურნალებს

(22,2%), ბიჭები – სპორტულ ჟურნალებს (22,1 %) (Raithel, 2005, 147). ქართველ გოგო-ბიჭებში წიგნით დაინტერესება უფრო მაღალია (გერმანელი ახალგაზრდები დაახლოებით 30%, ქართველ ახალგაზრდები 45%). ბიჭებთან შედარებით გოგონები უფრო ხშირად საუბრობენ ხელოვნებაზე. ქვემომოყვანილ მაგალითში გოგონები (16-17 წლის) საუბრობენ წაკითხული წიგნის შინაარსზე, აკეთებენ ანალიზს, ურჩევენ ერთმანეთს რა წაკითხონ:

1. A: ვაიძე ისადა:: (1.0.) რა ქვია::
2. ვკითხულობ.
3. იქ ეწერა.
4. ისაა::
5. რას (-) რას[↑] გრძნობს კაცი
6. როცა ის. ქალს უყვარს ცალმხრივად (-)
7. კაცი რას გრძნობს.
8. ქალი რას გრძნობს[↑] კი ვიცოდი.
9. მარა. კაცი (-)
10. იქ ისეთი რაღაცეები წერია,
11. [ცხრაჯერ წავიკითხე.
12. B: [აუ რა წერია
13. A: აუ[↑] ძაან კაი წიგნია=
14. B: =თქვი რა [წერია
15. A: [ასე ვერ[↓] გადმოვცემ.
16. ეს უნდა წაკითხო.
17. G: დაახლოებით?
18. A: მე. ვერ წარმოვიდგენდი.
19. რო. კაცები. ასეთი მგრძნობიარეები არიან.
20. B: ე::: გოგო თქვი
21. რას[↑] დაგვტანჯე.
22. A: მოიცა, მოვიტან ((მოაქვს წიგნი))
23. G: რა წიგნია?
24. A: სტეფან ცვაიგის რომანები (-)
25. ესეიგი(-)

26. ესეიგი (--)
27. ((კითხულობს ამონარიდს წიგნიდან)) (-)
28. A: მოკლედ ეს არის,
29. რო: ქალს უყვარს კაცი.
30. კაცი თავს გრძნობს როგორც ტყვე.
31. იმიტო რო (-)
32. სულ თან დაჰყვება ლანდი იმ ქალის სიყვარულის
33. და (-) არ შეუძლია განთავისუფლდეს ამისაგან (—)
34. ქალები უფრო მიჩვეულები არიან.
35. ვთქვათ რო↓
36. კაცები გარს ეხვევიან (-) და უყვართ.
37. კაცები კიდე, სხვანაირად აღიქვამენ. და (-) განიცდიან
38. ასე წერია კიდე (-)
39. უდანაშაულო დანაშაულს სჩადიან. ქალს როცა უარს ეუბნებიან (-) სიყვარულზე.
40. (h) დაიწვა გული ((მარკირებული ხმა)) (-)
41. G: მათხოვე. წავიკითხავ.
42. B: მეც მინდა

მოცემულ მაგალითში A-მ წაიკითხა სტეფან ცვაიგის რომანები, ემოციურად საუბრობს თავის შთაბეჭდილებებზე. იმდენად მოსწონს წაკითხული, რომ გოგონების თხოვნას – მოჰყვეს რა წერია წიგნში – ამჯობინებს ავტორის ციტირებას (სტ.15-16), ხმამაღლა კითხულობს ამონარიდებს. მხოლოდ ამის შემდეგ ჰყვება მოკლე შინაარსს. A-მ დააინტერესა სხვა გოგონებიც, მათაც გაუჩნდათ სურვილი წაიკითხონ სტეფან ცვაიგის რომანები (სტ.41-42). ბიჭები ნაკლებად ყვებიან წაკითხული წიგნის შინაარსს, უყვართ აღნიშნონ, რა წაიკითხეს, რა მოეწონათ, განსაკუთრებით გოგონებთან საუბრის დროს, როცა სურთ თავი მოაწონონ.

მაგალითი 12-16 წლის ახალგაზრდების საუბრიდან (ბიჭები G,D,E გოგონები A,B):

1. A: ტატომ გამომართვა წიგნი.
2. აუ. კაი წიგნი მომეცითო
3. (h) [და (-) ქალი გამოვიდა საღალატოდ
4. B: [კაი წიგნი მინდაო და ქალი↑ გამოვიდა საღალატოდ

5. A: აუ ეს რა იცი მარცხა
6. დავიწყებ ლაპარაკსა და ამევები (-)
7. (h) ქალი გამოვიდა საღალატოდ
8. ეს წავიკითხა
9. G: მაგი არ წამიკითხია
10. ძან დიდი იყო↓ და არ წავიკითხე.
11. ((ყველა იცინის))
12. [მე (-) მწვანეთვალეზა ანგელოზი წავიკითხე.
13. D: [აუ ეს მაგარი თქვა:::
14. E: მეც წავიკითხე მწვანეთვალეზა ანგელოზი.
15. D: მწვანეთვალეზა ანგელოზი მთელ საღორიას აქვს წაკითხული
16. A: აუ ბიჭები კითხულობენ მწვანეთვალეზა ანგელოზს
17. და გოგონები ჯინსების თაობას.
18. D: ჯინსების თაობა მაგარია
19. G: აუ მაგი რამხელაა:::
20. D: დიდი როა↓ მიტოა↑ მაგარი
21. [ძან მაგარია=
22. E: [წიგნმა თუ დამაინტერესა ვერ ვდგები↓
23. D: =ჯინსების თაობას გოგონები კითხულობენ კი არა და (-)
24. სამჯერ მაქ წაკითხული

გოგონები დასცინიან G-ს (13 წლის), რადგან მან, მათი აზრით, არასწორად შეარჩია წიგნი და წავიკითხა მისი ასაკისთვის შეუფერებელი ნაწარმოები, ოტია იოსელიანის „ქალი გამოვიდა ქმრის საღალატოდ“. G ირწმუნება, რომ არ წაუკითხავს, რადგან წიგნი ძალიან დიდი იყო, რასაც მოჰყვება ბიჭების დაცინვა, რადგან წიგნი: „დიდი როა მიტოა მაგარი“ (სტ.20). ბიჭები E, D თავს იწონებენ გოგონებთან იმით, რომ წაკითხული აქვთ „მწვანეთვალეზა ანგელოზი“ და „ჯინსების თაობა“, თანაც არაერთხელ (სტ. 22-24).

ბიჭები და გოგონები განსხვავდებიან საკვების არჩევანშიც. გერმანელი გოგონები უპირატესობას ანიჭებენ ბიოლოგიურად სუფთა საკვებს,

მიერთმევენ ხილს (67%), ბოსტნეულს (60,4%), რძის ნაწარმს (49, 7%), პურს (30,9%), ტკბილეულს (19,5%). ბიჭები კი – ძეხვს (66%), ხორცს (59,5%), პურს (50%). ბიჭები უფრო მაღალკალორიულ საკვებს მიერთმევენ, ვიდრე გოგონები. ბიჭები სვამენ ალკოჰოლურ სასმელს, ეწევიან და იღებენ გამაბრუებელ საშუალებებს უფრო ხშირად, ვიდრე გოგონები (ბიჭები 61,8%, გოგონები 11,8%) (Georg 1998, 150). იგივე შედეგები გვაქვს ქართველ ახალგაზრდებთან. შესაბამისად, საუბრები საჭმლის, სასმელის და მოწევის თემაზე ბიჭებში უფრო ხშირია ვიდრე გოგონებთან.

მაგალითში საუბრობენ 13-16 წლის ბიჭები:

- 1 A: სიგარეტი მინდა.
- 2 B: მარხვია ახლა
- 3 G: ამას ძმაო სიგარეტის მოწევის კურთხევაც აქ.
- 4 [თამაშის კურთხევაც. ((ირონიულად))
- 5 A: [მოიტა[↑] სიგარეტი
- 6 G: არა მაქ
- 7 A: აბა რა უყავი?
- 8 G: მოვწიე.
- 9 A: მტყუენის?
- 10 G: [მუშტარი გამომიჩნდა
- 11 B: [ვის უნდა სიგარეტი?
- 12 ჯანმრთელობა ვის ჰკიდია?
- 13 A: აუ გა:ქ?
- 14 B: ((იცინის))
- 15 A: აუ[↑] შენ ხარ მეცრუეთუხუცესი
- 16 B: [რამდენი ხანია ტყუილი არ მითქვია.
- 17 A: [ეს გამარჯობას რო გეუბნება. უნდა დაფიქრდე.
- 18 ხო არ გატყუებს.
- 19 B: არ მაქ არა[↑]
- 20 არ ვეწევი
- 21 ხო იცი.
- 22 რომც მქონდეს არ მოგცემ
- 23 A: რა::::

- 24 გრეხია რო ვეწევი?
- 25 B: გადი ბიჭო::: რაის↑ მომწევი ხარ შენ.
- 26 შემ მოწევა კაი↑ ბიჭობა გგონია
- 27 [სპორტსმენი მაინც არ იყო
- 28 A: [მომეცი ძმურად თუ მაძლევ.
- 29 B: შენს ძმობას ვფიცავარ თუ მქონდეს (-)
- 30 A: ისე მართლა უნდა↓ დავანებო თავი.
- 31 მახჩობს ღამე.
- 32 G: [რამდენჯერ თქვი. და მაინც არ დაანებე თავი.
- 33 B: [ფილტვები შენ რანაირი გაქ ახლა იცი?
- 34 A: ახლა მიყიდეთ ერთი ღერი და
- 35 [მაგას მართლა უნდა ვუტირო ღედა↓
- 36 B: [გოგონებსაც აღარ ევასებათ მწვევლები.
- 37 სპორტსმენები და არამწვევლები უფრო ჯიგრები↑ არიან ახლა

მოზარდი ბიჭებისათვის სიგარეტის მოწევა მოდურობისა და მამაკაცურობის ნიშანია, მიუხედავად ამისა საუბარში მონაწილე ბიჭების პირჯგუფში არ თვლიან მოწევას კარგ ჩვევად. A თხოვს მეგობრებს სიგარეტს. G უარს ეუბნება, უკვე მოვწიეო. A არ უჯერებს, რადგან იცის, რომ G არ ეწევა. B სვამს კითხვას: ვის უნდა სიგარეტი? იმის გასაგებად: ვის ჰკიდია ჯანმრთელობა ანუ ვის არ აინტერესებს საკუთარი ჯანმრთელობა. G და B ცდილობენ აუხსნან Aს, რატომ უნდა დაანებოს მოწევას თავი – მოწევა არაა „კაი ბიჭობა“ (სტ.26), იგი ვნებს ჯანმრთელობას (სტ.32), გოგონებს უფრო მოსწონთ არამწვევლი სპორტსმენები (სტ.36-37), მარხვაა და მოწევა ცოდვაა (სტ.2). A ეთანხმება იმ მოსაზრებას, რომ მოწევა მავნებელია ჯანმრთელობისთვის, დებს პირობას, რომ მალე დაანებებს თავს (სტ.29-30/43). ბიჭები სერიოზულად საუბრობენ, თუმცა არის ირონიული შენიშვნებიც, მაგ. სტროფი 3-4. სავარაუდოდ A მარხულობს, მაგრამ არ იცავს მარხვის წესებს, რასაც G ირონიულად ხსნის: „ამას ძმაო სიგარეტის მოწევის კურთხევაც აქ, თამაშის კურთხევაც“. ბიჭებმა საუბარში გამოიყენეს მათ მიერ შექმნილი კომპოზიტი: მეცრუეთუხუცესი (ადამიანი, რომელიც ხშირად იტყუება).

განვიხილოთ გერმანელი ახალგაზრდების საუბარი. აქ ბიჭები გამაბრუებელ საშუალებებსა და ალკოჰოლზე საუბრობენ:

- 1 C: mein Bruder hat sich mal so zugeKIFFT(.) dass er danach KOTzen muss= musste(.) der hatte SO lange gezogen=
- 2 D: =OH so schlimm, das ist meinem Cousin auch [schon passiert
- 3 C:[=und der musste in der Hütte liegen bleiben
- 4 D: das ist schon fast jedem passiert(.) der schon mal gekiffht hat(.) Ich hab noch nie gekotzt(.) 5.Zum Glück au ni wo ich besoffe war (.) also kein EINzigfes mal eigentlich
- 6 B:WAS?! (-) hab SO oft gekotzt schon (lacht)
- 7 Alle lachen
- 8 C: ein Freund von mir, der ist so ein Opfer der hat SO viel getrunken, geht nach Hause und 9.KOTZT erst mals=Klo voll [dann=
- 10 A:[=Jonas(.)Jonas=
- 11 B: du hast au auch NIE gekotzt?
- 12 A=NEIN(.) ich mein Landschulheim (zeigt auf Jonas)
- 13 B: ja da hat er (Jonas)gekotzt
- 14 A: erst ins Klo(.)= <((acc))> wo er dann weggerannt ist GE?
- 15 D: dann wollt er mir in de Arm=was heißt? =der HAT mir in den arm gebisse
- 16 Alle lachen
- 17 B: de Jonas war so missgeburt gewesen (? ?)
- 18 A: <((acc))> [GE
- 19 D: <((acc))> [Ge? Ganze Zeit von hinter, ich hab ihn auf de Bode geworfe und dann=
- 20 C:[ich hätt mich unter=(? ?) ich hätt mich unter Kontrolle haben KÖNnen
- 21 Das weiß ich noch aber ich hab kein BOCK drauf gehabt
- 22 D:[(weinerlich) aber s=HANDy hab ich verLOren (lacht C aus). (Sherpa, 2007, 47)

ბიჭები ჰყვებიან, თუ როგორი ზემოქმედება აქვს მარიხუანას მოწევას. მათი აზრით, მოწევის შემდეგ ყველა აღებინებს. ამ მოვლენას ისინი უარყოფითად აფასებენ (სტ 2,4). ღებინების თემას D უკავშირებს სიმთვრალის თემას. სერიოზული საუბარი გადადის არასერიოზულ საუბარში, რადგან C იწყებს სასაცილო ისტორიის მოყოლას იონასის სიმთვრალეზე. როგორც საუბრის მსვლელობიდან ჩანს, ეს ისტორია არ იცის მხოლოდ B-მ. ამიტომ A, D და C ერთდროულად უყვება მას (სტ.18-დან 22-მდე მიმდინარეობს ერთდროული საუბარი) და ყველა ერთად იცინის, განსაკუთრებით მაშინ, როცა D ამბობს, რომ იონასმა ბეჭზე უკბინა (სტ.15).

მაღალია ბიჭების აქტიურობა კრიმინალური მიმართულებითაც (ბიჭები 36,4%, გოგონები 12,9%). ექსტრემალური თამაშებით გატაცებულნი არიან

უფრო ბიჭები, ვიდრე გოგონები (ბიჭები 45,4%, გოგონები 25%). (Vgl. Raithe1, 2005, 149-150). მაგალითი ბიჭების საუბრიდან:

- 1 A: აუ:: დღეს მიშკა რო გადმოხტა ხიდზე:: ((იცინის))
- 2 B: შენ რა იცი ბიჭო?
- 3 A: მითხრეს ძმა:ო↑
- 4 ასე რო ხტებოდა თურმე და (-) გაჩერდა↑ ჰაერში ((იცინის))
- 5 B: ხიდზე ვიდექი.
- 6 გადმოხტომა მინდოდა. და (-)
- 7 რაღაცნაირად <((rall))> შევჩერდი.
- 8 A: (h) პროსტო რაღაცნაირად?
- 9 აუ რა სანახავი იქნებოდა.
- 10 B: ტალახი იყო თან,
- 11 ამ სიმალიდან ვხტები და (-)
- 12 თან (-) არ ვხტები.
- 13 ხო აზრზე↑ ხარ
- 14 აუ იმენნა იმენნა ვიხოხე↑ სახით.
- 15 A: (h) რაფერ იყვირებდი აზრზე ვარ
- 16 G: დაჯდა და (h) არ იღებდა ხმას
- 17 B: შენ ვის↑ დასცინი?
- 18 A: კაი ახლა. მასე მისდღემჩი არ გადავმხტარვარ.
- 19 თავით არ↑ ჩავრჭობილვარ ტალახში.
- 20 B: შენ მაგხელა სიმალიდან არ გადმომხტარხარ ჯერ და მიტო (-)
- 21 წამოდი ხვალ და ვნახოთ რას იზამ
- 22 A: რას მაშინებ
- 23 წამოვალ.
- 24 G: მეც

ტრანსკრიპტის დასაწყისში A სიცილით ყვება Bს სიმალიდან წყალში წარუმატებელი ნახტომის შესახებ. მას არ უნახავს ეს ნახტომი, მაგრამ კარგადაა ინფორმირებული (სტ.3-4). B მაშინვე ხვდება, რომ მისი წარუმატებლობა უკვე ყველასთვისაა ცნობილი და იწყებს თავის გასამართლებლად საკუთარი ვერსიის მოყოლას. მას სურდა გადმოხტომა, მაგრამ „რაღაცნაირად“ გაჩერდა (5-7). A

ირონიურად აწყვეტინებს (8), B სერიოზულად განაგრძობს თხოვას, იგი შეჩერდა, რადგან დაინახა რომ ქვემოთ წყალი კი არა ტალახი იყო, მაგრამ თავის შეკავება ველად მოახერხა და სახით დაეცა (10–14). A და G მაინც არ წყვეტენ მის დაცინვას (16,17) თანაც თავს წარმოაჩენენ როგორც უკეთესი მხტომელები (18, 19). B შეურაცხყოფილია და შეახსენებს A–ს, რომ იგი არასოდეს გადმომხტარა ამ სიმალიდან (20) და უნდა დაამტკიცოს, რომ გადმომხტომა შეუძლია. როგორც საუბრიდან ირკვევა, სიმალიდან გადმომხტომა დიდ რისკთანაა დაკავშირებული, რადგან იმ შემთხვევაში თუ კარგად ვერ გადახტი, ისე როგორც ეს Bს დაემართა, ადვილი შესაძლებელია რაიმე სერიოზულად დაიშავო. მიუხედევად ამისა ბიჭები რისკავენ და კვლავ აპირებენ გადმომხტნენ მაღალი სიმალიდან წყალში, რადგან ამ ნათქვამი უნდა დაამტკიცოს.

ბიჭები უფრო ხშირად საუბრობენ ცხოველებზე, ვიდრე გოგონები. მაგალითად (საუბრობენ 12–13 წლის ბიჭები) :

- 1 D: მეიცა აქეთ გამოვდნოთ.
- 2 არ წავიდეთ ყანაში. (1.0.)
- 3 A: [[ქორია ეგერაა
- 4 D: [[ქორია ბიჯო
- 5 A: [[აუ რას ცეკვავდა
- 6 G: [[სადაა?
- 7 D: ეგერ ბიჯო: ეგერ ↑
- 8 წებან დეიჭიხვინა.
- 9 პირდაპირ.
- 10 შავი.
- 11 ახლა ვერ ხედავ?
- 12 G: კაცია შე ჩემა <((ra11))>
- 13 A: კაცი კი არა ცხენია ↑ (-)
- 14 G: ფარნაოზის ცხენმა გაასწრო?
- 15 D: არა ბიჯო
- 16 G: [ზურიათ თქვა
- 17 D: [სიმონ
- 18 რა ვქენი იცი?
- 19 ამხელა ბალახი იყო.

- 20 მამუკამ გააჰენა ფარნაოზის ცხენი.
- 21 ზურამ თქვა (-)
- 22 ერთი გაყევი.
- 23 ერთი რას იზამსო.
- 24 გაყევი (-) და ოთხით მიდიოდა(-)
- 25 ასე ხტუნაობდა ბალახზე ((ხტუნავს))
- 26 ხოდა სიმონ.
- 27 მაინც დავეწიე.
- 28 არ მიმიშვია ბოლომდე ალვირი
- 29 და (-) დევეწიე
- 30 და (-) გავჩერდი
- 31 კი დაეწია ფარნაოზის
- 32 მარა ვერ გაასწრო და=
- 33 G: = არა კაცო[↑] ზურამ თქვა გადაასწროვო.
- 34 D: დაეწია, მაგრამ არ გაუსწრია(-)
- 35 მე კი გავაჰენე ჩქარა.
- 36 A: [კი დადის ჩქარა
- 37 D: [ისე მხედარი რას[↑] ნიშნავს
- 38 (h) ფარნაოზი რო დაჯდა
- 39 აჩუ აჩუო: და ვერ დაძრა ადგილიდან
- 40 აჩუ აჩუ აჩუ ((მარკირებული ხმით)) (1.0.)
- 41 G: ზურაც მაგარია რა[↑]
- 42 წკენს არ მინდა მივაჩვიოვო
- 43 D: რა სისულელეა
- 44 ტვინიკოსები არიან რა (-)
- 45 წკენის გარეშე როგორ=
- 46 A: =მამუკამ უთხრა
- 47 არა ბიჯო ის [მათრახი ტყვილა უკავიათ ხელშიო
- 48 G: [მე ვიჯექი
- 49 ჩევედი ამერიკაში.
- 50 მათრახი რო მოვარტყი.
- 51 მოუმატა და მოუმატა:::(--)

- 52 D: გუშინ რო ვიყავი დოღზე.
- 53 დედას გეფიცები.
- 54 მათრახის დარტყმით მოიგო.
- 55 რო[↑] დაარტყა ბოლოს სკუპი[↑] გააკეთა და იმითი მოიგო რა[↓]
- 56 ჭაკი ცხენი იყო.
- 57 ინგლისური ჯიშის.
- 58 სუფთა სისხლის.
- 59 იმენნა მაგარი.
- 60 იმხელა იყო.
- 61 ვერ შეახტებოდი.
- 62 A: (h) დინოზავრი ყოფილა=
- 63 D: =მაგარი იყო.
- 64 იმენნა (-) ძაან მაგარი.

ბიჭები (13-15) ცდილობენ ყანაში ცხენები მოძებნონ, რომ გააჭენონ. შორიდან შეამჩნიეს ერთი ცხენი “ქორია”, რომელიც პოპულარულია მოსაუბრე ბავშვებში, რადგან ქორიამ რამდენჯერმე მოიგო დოღი. საუბრის მოდალობა სერიოზულია, დინამიური, მიუხედავად იმისა, რომ არის ერთდროული საუბრისა და სიტყვის გაწყვეტის რამდენიმე შემთხვევა (სტ. 16,32,45), “ცხენის” თემა ისე განვითარდა, რომ ყველამ მოახერხა საკუთარი აზრის გამოთქმა. ბიჭები სიამოვნებით, ჰიპერბოლისა და ფიქციის გამოყენებით ჰყვებიან თავადასავლებს ცხენებზე. ფიქციაა, მაგალითად, სტროფი 21–31 სადაც D ამბობს, რომ თავისი ცხენი ისე გააჭენა, რომ ქორიას დაეწია. ჰიპერბოლაა, მაგ, სტროფი 60–61: „ცხენი იმხელა იყო რო ვერ შეახტებოდი”, აგრეთვე სტ.49: „ჩვედი ამერიკაში“, მნიშვნელობით _ ძალიან შორს წავედი. საუბარში გვხვდება ირონიული შენიშვნა (სტ.62). D-ს ნათქვამზე, რომ ცხენი იმხელა იყო რო ვერ შეახტებოდი, A ირონიულად პასუხობს: „დინოზავრი ყოფილა”. ბიჭები დასცინიან იმ ბიჭს, რომელიც კარგად ვერ აჭენებს ცხენს (სტ.38-40), აკრიტიკებენ ადამიანს, რომელსაც სურს, რომ ცხენი „წკნელს” არ მიაჩვიოს (სტ.41-47). თვალშისაცემია იმერული კილო, მაგ: დაიჭიხვინას ნაცვლად დეიჭიხვინა, დავეწიეს ნაცვლად დევეწიე და ა.შ. მიმართვის ფორმად იყენებენ

“ბიჯო”, “სიმონ”, “კაცო”, ასევე ვულგარული მიმართვის ფორმას “შე ჩემა”. მეტი დამაჯერებლობისთვის ბიჭები იფიცებენ დედას (სტ.53), იყენებენ გამაძლიერებელ ენობრივ საშუალებებს (მაგ: იმენნა ძაან მაგარი (სტ.64)). საუბარი მიმდინარეობს მარტივი, ელიფსური წინადადებებით.

ფასეულობებსა და ნორმების არჩევანში გოგონებსა და ბიჭებს შორის არ შეიმჩნევა დიდი განსხვავება. გოგონებისათვის მნიშვნელოვანია ჰქონდეთ კარგი პროფესია – 91,3%, ბიჭებისათვის – 80,6%, აქვთ სურვილი მიიღონ კარგი განათლება, გოგონები – 89,6%, ბიჭები 85,5%, შექმნან კარგი ოჯახი, გოგონები – 88,5%, ბიჭები – 75,6% (Raithe1, 2005, 155). სამომავლო გეგმებზე საუბარი და საოჯახო, ჩვეულებრივი, ტრივიალური ისტორიების მოყოლა გოგონებთან უფრო ხშირად ხდება, ვიდრე ბიჭებთან. შემდეგ მაგალითში სამი გოგონა საუბრობს ოჯახურ სიტუაციებზე, ვის რა პრობლემა შეჰქმნია დაბანის დროს. მსგავსი საუბრები ტიპურია მათთვის:

- 1 A: შევედი ვანაში.
- 2 მამაჩემი იყო სახლში/
- 3 ხოდა (-) ჩამეკეტა კარები.
- 4 ჩამეკეტა.
- 5 ო:..... ვკვივი
- 6 ზაზა↑
- 7 მამა↑ სად ხარ. მო:დი.
- 8 თურმე. გარეთ გასულა.
- 9 მერე დედაჩემი მოვიდა და გამიღო (-)
- 10 ნახევარი საათი ვიჯექი. მინიმუმ.
- 11 B: მე მეგონა თბილი იყო წყალი.
- 12 მოვუშვი.
- 13 ვუცადე. ვიცადე. და(-)
- 14 მერე სულ ცივში დავიბანე
- 15 A: მე ერთხელ გამითავდა შუა ბანაობაში=
- 16 G: =აუ მეც მომივიდა მასე.
- 17 სახლში არავინაა.
- 18 ვიბან. და თავი გასაპნული მაქ. და

- 19 წავიდა წყალი.
- 20 ვრეკავ მეზობელთან და ვეუბნები.
- 21 (h) ერთი ვედრო წყალი მასესხე(-)
- 22 ხოდა იმან დამისხა=
- 23 B: =ცივი?
- 24 G: ხო
- 25 [აპა რა მექნა?
- 26 A: [იმიტო არ მიყვარს მართო დაბანა
- 27 არ ვიცი რა მემართება
- 28 ან კარები იკეტება
- 29 ან წყალი თავდება=
- 30 G: =ხოდა, ცივი წყლით ვიბანავე და (-)
- 31 დედაჩემი კინალამ გადაირია.
- 32 რატო↑ იბანავე ცივშიო.

მიუხედავად იმისა, რომ საუბრის დინამიკა კოოპერაციულია, მაინც იგრძნობა შეჯიბრის მომენტი. გოგონები ცდილობენ ერთმანეთს აჯობონ საინტერესო ისტორიების მოყოლაში. და საინტერესო ამჯერად ისაა, თუ ვის ჩაეკეტა აბანოს კარები, ვის გაუცივდა წყალი დაბანის დროს და ა.შ. გოგონები საუბრობენ ნებისმიერ წვრილმანზე და თან დიდი ინტერესითა და ემოციით. ბიჭები ნაკლებად მსგავს თემებზე. ასევე იშვიათია მათი საუბარი გარეგნობაზე, ამჯობინებენ კონკრეტულ სხეულის ნაწილებზე საუბარს. გოგონები უფრო მეტ ყურადღებას ამახვილებენ სხეულის კორექციაზე, ქვემომოყვანილ მაგალითში გოგონები (15-17 წლის) საუბრობენ, როგორ გაილამაზონ თავი, რა არ მოსწონთ საკუთარ გარეგნობაში, რა მოსწონთ. აქვთ კრიტიკული დამოკიდებულება საკუთარი გარეგნობის მიმართ:

1. A: მინდა რო გავიკეთო (-)
2. მინდა რო გავიკეთო სილიკონი
3. B: მე მაგალითად=
4. A: =საშუალება რომ მქონდეს არ↑ დავფიქრდებოდი
5. B: მე რო არ მქონდეს გავიკეთებდი.
6. მართლა↑ გავიკეთებდი.

7. იმიტო რომ(-)
8. მაგი ი:მხელა კომპლექსია (-)
9. ბუბუ[↑] რო არ გაქ.
10. არ[↑] დავფიქრდებოდი=
11. G: [ნამდვილად
12. A: [არ დავფიქრდებოდი მარა რაღაცა რისკი
13. B: =ბოლო კაპიკებს (-) [არა(-)
14. G: კი რისკი არის [როგორ შეეგუები
15. B: არა ხო(.)
16. [რისკი არის.
17. A:[ცხიმი რო გამოაქვთ. და ასხამენ მკერდში.
18. G: მანდ გოგო ჯირყვალს ეხებიან
19. A: ვიცი ხო[↑]
20. B: უნდა გაკეთდეს კარგად.
21. მე ვიყურე.
22. ქალი (-)
23. ქალს რომელსაც გაკეთებული აქ ოპერაცია
24. როგორ[↑] ვთქვა ახლა.
25. ეს სილიკონი იყო სა:ღაცა ჩავარდნილი.
26. რაღაცა სასწაული[↑] შესახედავი იყო.
27. და ტუჩები არ გინახავთ გაფუჭებული?
28. G: კი როგორ არ მინახავს [მაგრამ
29. B: [გარანტია (-)
30. რა გარანტიაა რო კარგად გაგიკეთებენ=
31. G: =და ორგანიზმი როგორ შეეგუება
32. B: ტუჩები.
33. ტუჩები.
34. სხვათაშორის იცი რაა? (-)
35. კუზანოვი ჩამოდის აქ.
36. [და უნდა ჩაეწერო
37. A: [და იცი[↑] რა ღირს?
38. თბილისში გაცილებით უფრო იაფია.
39. 1200 ლარი. ტუჩი.
40. B: არამგონია

41. გოგო (-) თან. რა↑ არის იცი?
42. ტუჩის გადიდება სხვაა და ტუჩის დაბერვა სხვა.

საუბარში მონაწილე გოგონას (A-ს) აქვს პატარა მკერდი და სურს გაიკეთოს პლასტიკური ოპერაცია, Bს არ აქვს ეს პრობლემა, მაგრამ ესმის მისი მეგობრის, მასაც კომპლექსი ექნებაოდა პატარა მკერდი, რომ ჰქონდეს (5–10). მას თავად ტუჩების გადიდება სურს, ისევე როგორც Gს (32). გოგონები მსჯელობენ, რა გართულება შეიძლება მოჰყვეს მსგავს ოპერაციებს, არის ეს რისკთან დაკავშირებული თუ არა (14–26), რა ფინანსებია ამისთვის საჭირო (37–39). გოგონები საუბრობენ სერიოზულად, მსჯელობენ და აანალიზებენ სასაუბრო თემას ისე, როგორც ზრდასრული ადამიანები.

როგორც გერმანელი ახალგაზრდები, ასევე ქართველი ახალგაზრდებიც ინტენსიურად იყენებენ ინტერნეტს, რაც, ბუნებრივია, აისახება მათ მეტყველებაში და საუბრის თემატიკაზე. თემა „ინტერნეტკომუნიკაცია“ (უმეტესად ინტერნეტ საიტები: ოდნოკლასნიკი რუ, სკაიპი, ფეისბუკი) მათი საუბრების თითქმის 40% შეადგენს.

მაგალითად, გოგონა ჰყვება (16 წლის), როგორ ესაუბრა ბიჭს ინტერნეტ-გვერდით „ოდნოკლასნიკი რუ“. ისტორია სახალისოა. გოგონა ფიქრობდა, რომ ბიჭს „აგლახავებდა“, სინამდვილეში კი თვითონ აღმოჩნდა „ფარულ კამერაში“. A გატაცებით ჰყვება თავის თავგადასავალს:

- 1 A: მეუბნება:: ნანა (-) დავოსტე ჩემთან მესამე გვერდზე
- 2 გეხვეწები ააგლახავე. ვითომ (-) შებმა გინდაო
- 3 მე ვუთხარი.
- 4 ხო ↑არ გადაირიე
- 5 მიხვდება შენ მეგობრებში რო ვართქო=
- 6 =გეხვეწები და მერე ვეტყვი რო მე გთხოვე და რო ვაგლავებდითო და (-)
- 7 კაითქო.
- 8 დავვოსტე::
- 9 დავააცენკე::
- 10 ვიღაცა ჟღვიანტიანი(-)
- 11 ხო::დაა:: რო↑ მივწერე რაღაცა. ასე მითხრა.

- 12 (h) ↑ფუ (-) რას↑ გავხარ
- 13 ვიღაცა ხარო დამანზე თავიო=
- 14 B: =ვინ იყო ამნაირი?
- 15 A: ვიამე:: მე თან ვიგუდები სიცილით ისეთები მივწერე.
- 16 არაფოტოგენური ვართქო. და რეალში მნახე რა ვართქო. ((იცინის))
- 17 მაგის ცდა სიცოცხლის ბოლომდე მოგიწევსო (-)
- 18 B: აუ↑
- 19 A: თან ვაკოპირებ. და ვუატპრავკებ ნანას რასაც მწერს
- 20 B: [რაში ჭირდებოდა მაგ გოგოს ეგ?
- 21 A: [მეთქი ხო არ გეშინია=
- 22 B: =რა უნდოდა?
- 23 A: მაცალე გითხრა(-)
- 24 შენ პლასტიკური გინდაო რას გავხარო ((იცინის))
- 25 ო:::::: მეთქი როგორც იქნა ხო ამოთქვი შენი პრობლემა
- 26 პოტენციის პრობლემა გაქ <((acc))> ალბათ და კუზანოვი გჭირდებათქო
((იცინის))
- 27 B: ვინ იყო ამნაირი. რა უნდოდა?
- 28 A: მოიცა გითხრა.
- 29 თურმე გოგო (-) ორივე მაგლახავენს (-) ნანაც გვერდით უზის ((იცინის))
- 30 B: მე მაგას გოგო მაშინვე მივხვდი
- 31 [აბა ახლა რომელი ბიჭი ეტყვის გოგოს შეხვედრაზე ასე ცივ უარს
- 32 A: [ფარული კამერაა გაიღიმეო
- 33 ((ორივე იცინის))
- 34 ესე ი:::გი::: ვხოხავდით ძირს. ((იცინის))

ინტერნეტ საიტების ხშირი გამოყენება გავლენას ახდენს ახალგაზრდების მეტყველებაზე. რუსულ სიტყვებზე დაყრდნობით, დერივაციის მეთოდით, მოცემულ მაგალითში გოგონები ქმნიან ახალ სიტყვებს. მაგ., გოგონებმა გამოიყენეს: „დაგოსტვა“ (სტ.1) მნიშვნელობით სხვის ინტერნეტ გვერდზე შესვლა, „დააცენკება“ (სტ.9) – სურათების შეფასება, „დააპრავკება“ (სტ.19) – შეტყობინების გაგზავნა. გოგონების საუბარი კოოპერაციულია, A–ს ამბის თხრობას B ყურადღებით უსმენს, ფიქსირდება სიტყვის გაწყვეტის მცდელობაც (14, 20, 22), მაგრამ ინფორმაციის მოპოვების მიზნით და არა სხვა თემაზე საუბრის

გასაგრძლებლად. A გატაცებულით ჰყვება საკუთარ თავგადასავალს, Bს დასმულ შეკითხვებს ყურადღებას არ აქცევს, არ წყვეტს თხრობას, ეუბნება „მაცალე“ (23), იცის, თუ B ისტორიას ბოლომე მოუსმენს, პასუხს თავადვე იპოვის. თავის „უფრო ჭკვიანად“ წარმოჩენა გოგონებში, ისევე როგორც ბიჭებში, ჩვეულებრივი მოვლენაა. B ცდილობს აჩვენოს, რომ A-ზე უფრო გამოცდილია მსგავს საკითხებში. მაშინ როცა A ყვება ისტორიის ფინალს, თუ როგორ „ააგლახავა“ მეგობარმა, B ამბობს, რომ იგი თავიდანვე მიხვდა მისი მეგობრის ჩანაფიქრს (30–31).

„ინტერნეტკომუნიკაცია“ ბიჭებისთვისაც საინტერესოა, მაგრამ მათ უფრო კომპიუტერული თამაშები და პორნო საიტები იტაცებთ. მაგალითი ბიჭების საუბრიდან (12-13 წლის):

- 1 A: მანუჩარი სულელი ოხო არ არის.
- 2 აპარპალებს ოდნოში.
- 3 ვწერ. და (-) პასუხს არ მცემს
- 4 B: მერე ბიჭო მაგი მანუჩარი არაა ო
- 5 მისი ძმია.
- 6 მის ფერმას უვლის.
- 7 A: ბიჭო. მოეწერა არ ვარ მანუჩარიო ო
- 8 B: არ შედის ბიჭო მის სააბშენიებში (--)
- 9 მე ვმაღავ ჩემ ფერმას რო არ გამქურდონ (-)
- 10 A: პროსტო: რა ო მუღამი აქ. ვერ ვხვდები მაგის თამაშს
- 11 B: არაფერი (-)
- 12 ხანდახან შევალ.
- 13 ავიღებ მოსავალს.
- 14 C: (h) [ლირიული გადახვევა რა
- 15 B: [სხვა თამაშებიცაა.
- 16 უკეთესი.
- 17 ეგი ძან მარტივია ისე=
- 18 A: =შენ იგი იცი?
- 19 ჩამოკარი ჯი. და შეხვალ და.
- 20 ქალები და კაცები იხდიან.
- 21 ტიტვლდებიან

22 B: მასე სატელიტზე შედი. რამდენიც გინდა. იმდენი იხდის.

A გამოთქვამს გულისწყვეტას იმის გამო, რომ მას მეგობარი არ ეხმიანება საიტზე „აღნოკლასნიკი. რუ“ (სტ.2-3), B მას უხსნის, რომ საიტს იყენებს სხვა და არ კითხულობს “სააბშენიებს”, მხოლოდ თამაშობს ამ საიტის კომპიუტერულ თამაშს “ფერმა” (სტ.6). ბიჭები საუბრობენ იმის შესახებ, რომ ეს თამაში ძალიან მარტივია და არსებობს უფრო საინტერესო თამაშებიც (სტ.15-16). საუბარი გრძელდება მათთვის უფრო მიმზიდველი თემით – პორნო-საიტებით (სტ.18).

ხშირია მოზარდებში საუბრები საპირისპირო სქესსზე, გოგონებზე საერთოდ, ან კონკრეტულ გოგონაზე და მასთან ურთიერთობაზე. მაგ, ბიჭი ჰყვება, როგორ გაიცნო გოგონა ტელეფონით, თავს იწონებს იმით, რომ გოგონას ატყუებს და ტელეფონზე ფულს არიცხინებს:

(ბიჭები 13-14)

- 1 I: შეყვარებული გყავს?
- 2 D: არა
- 3 I: მტყუენის?
- 4 D: არათქო↑
- 5 I: [აბა რაზე გელაპარაკო?
- 6 T: [დაელაპერაკე ბიჭო გზაში
- 7 I: რაფერ.
- 8 ტელეფონი არ მაქ.
- 9 თან. დავდივარ ახლა და ფეხი რო მაქ მოტეხილი? ((იცინის))
- 10 D: რა ფეხი?
- 11 I: ვითომ ფეხი მაქ მოტეხილი
- 12 გაიგე?
- 13 D: თეოს?
- 14 I: ხო.
- 15 მე ვუთხარი ფეხბურთს ვთამაშობ და მომტყდათქო ((იცინის))
- 16 D: ატყუებდი?
- 17 I: [ვთამაშობდითქო და
- 18 D: [რა? დაურეკე?
- 19 ხოდა მე დავურეკე და=

- 20 D: =სადაურელია?
- 21 I: თბილისელი
- 22 D: ნომერი საიდან?
- 23 I: მმაკაცის ნომერია 59 05 49
- 24 მისი 59 04 49
- 25 შემეშალა და მერე მივწერე დაგირეკავთქო და
- 26 10 წუთში დავურეკე.
- 27 მე ვუთხარი:
- 28 გლახათ დამახტენ ფეხზე და მომტყდათქო
- 29 (h) ახლა საავადმყოფოში ვარ და ბებიაჩემი მაღვას თავზე=
- 30 =ძირს არ ჩადის და ფული ჩამირიცხე ტელზეთქო=
- 31 =და იმ დებილმა ჩამირიცხა ((იციანის))
- 32 D: აუფ
- 33 I: დედას გეფიცები
- 34 მე ვუთხარი ჩემი მშობლები მოვლენ და ჩაგირიცხავენთქო და(-)
- 35 მის მერე 2 კვირა გავიდა ((იციანის))
- 36 D: მერე რა გითხრა?
- 37 I: არაფერი.
- 38 მე ვუთხარი. პატივისცემა ჩემზე იყოსთქო
- 39 ((ყველა იციანის))
- 40 აუ ისე რა მაგარი ლაპარაკი აქ იცი?
- 41 გურამი თუ არ მიაჩმოროს
- 42 დედას გეფიცები.

I ყველა ისტორიას გოგონას შესახებ, რომელიც გაიცნო ტელეფონით. D ხშირად აწყვეტინებს I-ს საუბარს, არა სიტყვის წართმევის მიზნით, არამედ უფრო ინფორმაციის მისაღებად (მაგ.სტ.18,20), I პასუხს სცემს D-ს კითხვებზე და თანაც თავისი ისტორიის ბოლომდე მოყოლას ახერხებს. საფიქრებელია, რომ I ხშირად და საიმოვნებით ტრახახობს ამ ისტორიით. მან იგი D-ს გარდა საუბარში მონაწილე ყველა დანარჩენ ბიჭთან უკვე მოყვა. T სთავაზობს, მათი თანდასწრებით დაურეკოს გოგონას, I უარით პასუხობს. უარს იგი კითხვითი წინადადებით გამოხატავს: „დავდივარ ახლა და ფეხი რო მაქ მოტეხილი? (სტ.9) ანუ, მსმენელებმა იციან, რომ Iმ გოგონა მოატყუა,

ფეხბურთელი ვარ და ფეხბურთის თამაშის დროს ფეხი მოვიტეხეო. საუბარს აქვს არასერიოზული მოდალობა, ბიჭი, თავისი აზრით, სასაცილო ისტორიას ყვება და მსმენელებიც სიცილით უბამენ მხარს. I ხშირად იფიცებს დედას, ცდილობს მსმენელები მონათხრობის სიმართლეში დაარწმუნოს (სტ.33/42).

ბიჭების საუბრის თემა ხშირად სექსუალური გამოცდილებებია. რა თქმა უნდა, გოგონებიც საუბრობენ სექსუალურ თემებზე, მაგრამ არა სექსუალურ გამოცდილებებზე. შემდგომ მაგალითში, 14-15 წლის ბიჭების საუბარში, სავარაუდოდ, ფიქცია ან გადაჭარბებაა:

- 1 A: ასე ლამაზი ქალბატონი არ ინებებთ ჩემთან გასაუბრებასთქო?
- 2 B: სიფათზე შეატყვე?
- 3 A: აუ დედას გეფიცები. ეტყობოდა რო დაიკერებოდა რა:
- 4 B: ეგრევე ვატყობ მეც=
- 5 A: =კითხვა მაქოთო პასუხია ან კი ან არათქო
- 6 პირდაპირ ვაჯახე რა=
- 7 B: =აუ მეშველაო იფიქრა ((იციინის))
- 8 A: ჯერ დავლიოთ და მერე გავისეირნოთოქო
- 9 არ მითხრა კიო. მარა. ხო↑ იცი. დუმილი. (-)
- 10 თუ გირჩევნია ბინაშითქო და (-) ბინაო↑ მაჯახა
- 11 B: ჰმ
- 12 A: ევედით.
- 13 დავალევიე ცოტა. და მერე ვეუბნები (-)
- 14 თავს ვერ ვიკავებ რო არ გაკოცოთქო(-)
- 15 და მერე წავიდა::: (1.0.)
- 16 B: აუ პროსტო <((acc))> ერთი ადგილი ვიცი.
- 17 იქ რო აკოცებ (-) ვსიო რა.
- 18 ის არ იფიქრო ახლა.
- 19 დამკვრელი ასი↑ წელი არ ვარ
- 20 A: ყველაფერში გაიასნება მაქ
- 21 B: დაგენიზლავები არ გეცოდინება
- 22 A: რა უნდა იყოს ბიჯო↑
- 23 არ არსებობს. მე რო მაგი არ ვიცოდე.
- 24 B: ნიზლავი კაფეზე

- 25 A: ო:.... მოიცა ერთი (--)
- 26 B: ყურის ბიბილოზე უნდა აკოცო.
- 27 მერე კისერი. და ვსიო.
- 28 შენია
- 29 A: აუ: მოისაქმა ამან სიბრძნე რა ((იციხის))

ბიჭები საუბრობენ ისე, როგორც სექსუალურ საკითხებში კარგად გამოცდილი მამაკაცები. ორივე თვლის, რომ შეუძლიათ ქალს შეატყონ, „დაიკერება თუ არა“ (სტ.3-4). A თხზავს ისტორიას, თუ როგორ დაუახლოვდა მასზე ბევრად უფროს ქალს. B შეკითხვებით და კომენტარებით მხარს უჭერს მის მონათხრობს და იჩენს დიდ ინტერესს თემის მიმართ. A-ს ქალმა შეთავაზებაზე ერთად დაელიათ, დუმლით უპასუხა. ბიჭები ქალის დუმლს ანალიზებენ, როგორც თანხმობას (9). A აგრძელებს თხრობას, რა მოხდა, როცა ქალი ბინაში შეიყვანა, წარმოაჩენს B-სთან თავს, როგორც ძალიან ტემპერამენტიანი: „ვეუბნები თავს ვერ ვიკავებ რო არ გაკოცო“ (14), ქალი მას დათანხმდა და არა მხოლოდ კოცნას (15-16). A-მ სათქმელი დაამთავრა და ახლა B-ს ჯერი დგება. მან უნდა მოყვეს რაიმე საინტერესო, რომ A-ს კონკურენცია გაუწიოს. იგი იწყებს საუბარს ქალის ეროგენულ ზონებზე (19) და თვლის, ის რაც მან იცის, არ შეიძლება A-მ იცოდეს (21). A საუბარში უფრო თავდაჯერებული ჩანს, ტრაბახობს, რომ სექსუალურ საკითხებში „გაიასნება“ აქ, ანუ ყველაფერი იცის და B-ს ნათქვამზე, რომ ქალის ყველაზე მგრძობიარე ეროგენული ზონა ყურის ბიბილოა, დასცინის მას (21). ბიჭები საუბრობენ სერიოზულად, ქმნიან ფანტაზიების კონსტრუქციებს, არავინ კამათობს იმაზე, მონათხრობი რეალობაა თუ არა, მთავარია იყო თავდაჯერებული, საინტერესო მთხრობელი. მიუხედავად კოოპერაციული საუბრისა, იგრძნობა ძლიერი კონკურენცია, ორივე ცდილობს ერთმანეთს აჯობონ საკუთარი გამოცდილებებითა და ცოდნით სექსუალურ საკითხებში. საუბარში მონაწილე ბიჭების სოციალური მდგომარეობა არ იძლევა იმის საშუალებას, რომ მათ საკუთარი ბინა ჰქონდეთ, სადაც შეუძლიათ აიყვანონ „ადვილად დასაბმელი ქალი“. ამით ვვარაუდობთ, რომ საუბარი ფიქციაა.

გოგონების საუბრის თემა ხშირად საკუთარი წარუმატებლობაა, პრობლემები, ახალი პიროვნებები, მასწავლებლებთან, მშობლებთან

ურთიერთობა, სახუმარო ისტორიები, პირადი ჰიგიენა, მოდური ვარცხნილობა, ტანსაცმელი. ბიჭებს აინტერესებთ სპორტული წარმატებები, ტანსაცმელი, რეალური ან მათ მიერ შეთხზული ისტორიები, ცხოველები, სენსაციური ამბები, ანეკდოტები. ყველაზე მაღალი მაჩვენებელი გოგონებშიც და ბიჭებშიც აქვს რომანტიულ თემებს, ჰეტეროსექსუალურ ურთიერთობებს. რა თქმა უნდა, გრძნობებზე, რომანტიულ ურთიერთობებსა თუ შეგრძნებებზე საუბარი განსხვავდება ასაკის, სქესის, კულტურის მიხედვით. ქართული კულტურითაა განპირობებული ის, რომ ქართველი გოგონები ხშირად საუბრობენ „ქალიშვილობის თემაზე“, მაგალითად:

- 1 A: ამას წინათ ჩამოსულა.
- 2 მე (-) ვა:ფშე არ დამინახია
- 3 აზრზე არ ვარ რა:
- 4 B: შეიძლება მისმა ძმამაც გაიგო.
- 5 არ ვიცი. რა მოხდა.
- 6 G: დედამისის გაფუჭებულია მაგ გოგო და დეიდამისის.
- 7 ყველგან[↑] უშვებდნენ
- 8 B: დედამისის გაფუჭებულია სხვა პონტში (-)
- 9 G: იმას დაურეკა.
- 10 იცი ჩემი მდგომარეობა და (-) თუ მიგყავარ მიგყავარო და
- 11 იმას უთქვამს. დავაიო რა::
- 12 A: აუ (-) თუ არ შეაყვარე თავი რაფერ უნდა წაგიყვანოს პროსტა
- 13 აი (-) ქავთარაძე ხო ძან მაგარია
- 14 მე მაგას ველაპარაკე ძან მაგარ პონტში.
- 15 ხოდა:: ასე თქვა::
- 16 მე (-) თანამედროვე ბიჭი ვარო (-) კი ვამბობ ასეო. მარაო <((rall))>
- 17 ჩემი ცოლი ქალიშვილი უნდა იყოსო:::
- 18 G: მაგას ქეთისთან ქონდა რომანი
- 19 A: ხო (-) მომიყვა ყველაფერი
- 20 რა პონტია იცი?
- 21 ის გოგო არის ძან ალალია=
- 22 G: =მე ერთმა მითხრა
- 23 ძან არ მიყვარს კომპლექსიანი გოგოებიო.

- 24 არც მე მევასებათქო.
- 25 არც მე ვარ კომპლექსიანიოთქო. მემგონითქო.(-)
- 26 ხო (-) კიდე როგორი ბიჭები მოგწონსო (-) შავგრემანო?
- 27 მე მოსული გოგოები მიყვარსო.
- 28 ხელში რო მოგყვებაო.
- 29 ნუ. სხვანაირ პონტში საქმე რო იცოდესო.
- 30 ხო↑ მიხვდი
- 31 B: ხო.
- 32 A: და მერე.
- 33 მაგნაირი ჩემს პონტში არავინ არაათქო.
- 34 ნუ (-) ანუ არც მე ვართქო რა:
- 35 მაგნაირითქო.

საუბრის დასაწყისში გოგონები საუბრობენ გოგონაზე, რომელმაც “დაკარგა ქალიშვილობა” და ბიჭი ცოლობაზე უარს ეუბნება. გოგონები კრიტიკულად უდგებიან ამ გოგოს მდგომარეობას, თვლიან, რომ ის დედამ და დეიდამ “გააფუჭეს”, რადგან ყველგან უშვებდნენ (სტ.10) და ამართლებენ ბიჭს. მათი აზრით, ძნელია ცოლად მოიყვანო ქალი, რომელიც არ გიყვარს (სტ.12). გოგონები თვლიან, რომ თანამედროვე ბიჭებსაც კი ცოლად „ქალიშვილი გოგო” უნდათ და ამის დასტურად A ყვება ვინმე ქავთარაძესთან თავისი საუბრის შესახებ (სტ.13-17). ქავთარაძე გოგონებისთვის მიღებულია, როგორც „თანამედროვე გაგების” ბიჭი, რომელმაც A-სთან აღიარა, რომ ცოლად მხოლოდ “ქალიშვილს” მოიყვანს, თუმცა ხმამაღლა ამაზე არ საუბრობს. G აგრძელებს საუბარს სხვა ბიჭზე, რომელმაც მასთან ინტერნეტით გასაუბრების დროს ნიადაგი მოსინჯა “იმ პონტში” (სტ.29-31) ანუ შეამოწმა, დაეთანხმებოდა თუ არა გოგო მასთან სექსუალურ ურთიერთობას. გოგონამ აუხსნა ბიჭს: „მაგნაირი ჩემს პონტში არავინაა, ანუ არც მე ვარო” (სტ.32-33).

ადრეული ასაკიდანვე მოზარდებში იწყება დაწყვილებისადმი ინტერესი. გოგონები ხშირად უზიარებენ ერთმანეთს საკუთარ სასიყვარულო, რომანტიულ შეგრძნებებს. მეგობარ გოგონებს ერთმანეთის პირად გრძნობებზე მეტი ინფორმაცია აქვთ. აინტერესებთ, მუდმივად აკვირდებიან

ერთმანეთის რომანტიულ ქმედებებს, რეგულარულად საუბრობენ, მსჯელობენ ამ საკითხზე, ეს მათი გასართობი ინტერაქციაა.

ქვემოთმოყვანილ დიალოგში ორი გერმანელი გოგონა საუბრობს იმ სტრატეგიებზე, როგორ გაიცნონ ბიჭი, რათა აეჭვიანონ და სამაგიერო გადაუხადონ ბერნს:

1 A: Florian

2 B: was?

3 A: sieht der eigentlich gut aus?

4 B: des is der mit der Mütze da

5 A: ach des is Florian (--)

6 B: den hat(-) den hat Bernd gemeint, den kann er ewig nicht leiden, dann muss ich mich mit 7 dem jetzt auch anfreunden (-)

8 A: oh JA. Nimm mich mit (-) bitte. Hehehe

9 B: soll ich mich für dich mit ihm anfreunden. Dann will ich aber die nummer von dem anderen

10 (- -)

11 A: ja (-)

12 B: aslo. Des isch ein Deal.

13 A: okey. Ich wollt eigentlich wollt ich des übern Charlie machen, aber (-) so isch auch in Ordnung, hehehe

(Kotthoff 2007,17).

B გამოხატავს ინტერესს ბერნის მიმართ (სტ. 8). A მზადაა დაუახლოვდეს ფლორიანს და ამით მისცეს გოგონა B-ს ფლორიანის მეგობრის ბერნის გაცნობის შანსი. გოგონები ქმნიან ალიანსს: Des isch ein Deal (12) (Deal ანგლიციზმია, ნიშნავს „doing frendship“, გერმანულად „dabei Freundschaft“, ქართულად „მეგობრულად შევთანხმდეთ“). დისკურსი კოოპერაციულია, არ გვხვდება საუბრის გაწყვეტინების შემთხვევა. გამოყენებულია სიცილის ნაწილაკები (8–13), თუმცა საუბარს სერიოზული მოდალობა აქვს. მსგავსი საუბრები ბიჭებშიც ხშირია, მეგობარი ბიჭებიც ხშირად ერთად გეგმავენ როგორ დაეხმარონ მეგობარ ბიჭს გოგონას გაცნობაში ან მის მოხიბვლაში.

ბიჭები პირად გრძნობებზე დეტალურად არ საუბრობენ, არ ახდენენ ფაქტების დრამატიზირებას. არსებობს გამონაკლისიც, მაგ: ბიჭი A (14 წლის) ყვება ბიჭ B-სთან (15 წლის) წარუმატებელი სიყვარულის შესახებ:

- 1 A: es war bei mir so(--)
 - 2 meine erste Freundin(-)
 - 3 da war ich in Urlaub(-) in Stuttgart
 - 4 und da hab ich (-) halt das Mädchen kennengelernt
 - 5 und dann
 - 6 (1.0)
 - 7 Dann bin ich halt zurück gefahren
 - 8 Und dann haben wir und nur telefonisch
 - 9 Ah (-) äh (1.0.)
 - 10 Ja
 - 11 B: Kontakt [gehabt
 - 12 A: [Kontakt
 - 13 Ja genau
 - 14 Und (-) ah (-- ja unda dann
 - 15 äh
 - 16 (--)
 - 17 Und irgendwann dann Hammer GAR net von einander gehört
 - 18 Also so
 - 19 Wir haben immer so gedacht
 - 20 Ja (-- ich ruf dich dann so in einer Woche an (-) oder so (-)
 - 21 Und von (-) bis da
 - 22 So(--) die Zeit und so
 - 23 Das war dann
 - 24 Da hab ich immer gedacht
 - 25 Sch scheisse (-) warum kannst du nicht hier sein, warum kann ich nicht dort sein?
 - 26 Urgendwann Hammer dann GAR nicht mehr gehört (1.0)
 - 27 Ja
 - 28 Ja
 - 29 hm
- (Kotthoff 2007,25).

საუბარი მიმდინარეობს მონოლოგის ფორმით, ბიჭი B არის მსმენელის როლში, იგი მხოლოდ ორჯერ ჩაერთო საუბარში, შეეცადა დახმარებოდა მოსაუბრეს მოეძებნა საჭირო სიტყვა (სტ. 12) და საუბრის დასასრულს გამოიყენა დიკურსის ნაწილაკი hm, რითაც გამოხატა თავისი სინანული მომხდარის გამო. მოსაუბრე ბიჭი არაფერს ამბობს თვით გოგონას შესახებ, მაგრამ ბიჭებისათვის უჩვეულო დრამატულობით ჰყვება საკუთარ განცდებზე

(მაგ., სტროფი 25: warum kannst du nicht hier sein, warum kann ich nicht dort sein?). ხანგრძლივი პაუზები საუბრის დროს, დიდი რაოდენობით დისკურსის ნაწილაკების გამოყენება (ah, äh) ხაზს უსვამს მოსაუბრის მაღალ ემოციურობას.

ახალგაზრდების საუბრის სტილს, საუბრის თემატიკას განსაზღვრავს სოციალური წრე, სამეგობრო. გოგონები ხშირად მსჯელობენ მეგობრობაზე, მტკივნეულად განიცდიან მეგობრის დაღატს.

საუბრობს ორი გოგონა (15 წლის):

- 1 A: გოგო რა ქენი გუშინ?
- 2 B: რაზე?
- 3 A: ნუ (-) ტურზე რა
- 4 B: დავამხეცე რა
- 5 (h) ამხელა თემა ჯერ არ დამიწერია
- 6 გვერდნახევარი (-)
- 7 მეორეც მაგ პონტში დავწერე (-)
- 8 (h) ხატია იყო.
- 9 A: ხატია[↑] იყო ტურზე?
- 10 B: ხო გითხრა.
- 11 კობახიძე უცდიდა შიგნით და (-)
- 12 (h) ეს თურმე გარეთაა. დაუწერია უკვე.
- 13 ხოდა დამხვდა გარეთ გაჯგიმული ((იცინის))
- 14 ასე იდგა
- 15 A: ((იცინის))
- 16 B: და ბავშვები იცდიდნენ და(.
- 17 ისიც იქ იყო ჩემი სიხარული <((rall))>
- 18 ვა რა მაგარიააააა[↑]
- 19 ჯერ მანამდე რუსთაველზე დავინახე(.
- 20 მოკლედ ორჯერ ვნახე იმ დღეს რა(.
- 21 ხოდა ხატისას უცდიდა რა კაროჩე იმ დღეს
- 22 და რო მეკეტება ხო იცი და
- 23 წამოვედი სახლში რა(.
- 24 ხოდა ხატია და ის სასტავი(-)
- 25 ფლამინგოში მიდიოდნენ
- 26 გოგონები ((პატარა გოგოს ხმით))

- 27 A: მართლა?
- 28 B: ხატია ხუთზე უნდა გამოსულიყო ფლამინგოდან
29 და ხუთის ნახევარი იყო
- 30 A: შენ არ წადი↑
31 არ გითხრეს წამოდიო↑
32 ზრდილობის გულისთვის მაინც↑
- 33 B: არა(.)
- 34 A: რა შეცვლილი ხატია აზრზე ხარ?
- 35 B: მერე თვითონ ოდნოში მომწერა
- 36 A: რაო?
- 37 B: კარგად დაწერეო?
- 38 მეთქი კი დავამხეცეთუო.
39 მერე სალაპარაკო გვაქო.
40 მეთქი მე სხვებთან ყველაფერი გარკვეული მაქ და შენთანთქო(-)
41 და მრავალწერტილი მივწერე
42 ამას ეგონა რო მე და შენ არ ვართ ერთმანეთთან კარგად
- 43 A: [ბოღმაა რა
44 B: [მე და ნანა კარგად ვეწყობით ერთმანეთსთქო
45 მარა არც ჩვენ გვაწყენს დალაპარაკებათქო(-)
46 და უარყოფითი თქვა
- 47 A: რაზე?
- 48 B: უარი თქვა დალაპარაკებაზე ბოლოს.
- 49 A: ისე პროსტო არც მწყდება მაგ გოგოზე გული რა
50 აღარ ვართ დაქალები [და იმიტო
- 51 B: [ძველი დრო მენატრებაო და
52 მეთქი რა იყო ძველში კარგი თქო და
53 არაფერი თქვა.
- 54 A: ჯერ ერთი მაგი მასეთი იყო სულ
55 და მაშინ არ უნდა მეპატიებია რა
56 ცან გადაგვასაქმა თავზე
- 57 B: ხო ეგ რაღა დროსია ახლა(-)
58 ისე კი მომწერა მაშინ სხვანაირად ვფიქრობდი და ახლა სხვანაირადო
- 59 A: მაგის გარდა ვითომ შეყვარებული არავის ყოლია
60 რო სამეგობროს გადაგვასაქმა
- 61 B: ხოდა ეგ მივახვედრე და
62 ბოლოს მოძუბა

A-ს აინტერესებს, როგორ დაწერა B-მ ქართულის ტურზე თემა. B ძალიან მოკლედ პასუხობს: დავამხეცე (კარგად დავწერე) და გადადის სხვა უფრო მნიშვნელოვან თემაზე, რომ ნახა ხატია, ის გოგონა, რომელთანაც A-ს, სავარაუდოდ, კონფლიქტი აქვს. B თანაუგრძნობს A-ს, მიუხედავად იმისა, რომ ხატიასთან ერთად მისი “სიხარული” (ბიჭი, რომელიც მოსწონს) იდგა (სტ.17), ის მაინც არ გაჩერდა, რადგან “ეკეტება” (არ სიამოვნებს) ხატიას დანახვაზე. გოგონები აკრიტიკებენ ხატიას, იმის გამო, რომ მან არ შესთავაზა B-ს კაფე “ფლამინგოში” წასვლა (სტ.31), თვლიან, რომ იგი ძალიან შეცვლილია (სტ.34), იხსენებენ წარსულს, როცა ხატიამ შეყვარებულის გამო მათ შეურაცხყოფა მიაყენა (სტ.59-60) და მას აღარ უწოდებენ „დაქალს” (სტ.50). გოგონების დისკურსი სერიოზული და დინამიკურია, გოგონები უსმენენ და აცლიან ერთმანეთს აზრის დასრულებას, საუბრის მხარდასაჭერად იყენებენ შეკითხვებსა და მოსასმენ სიგნალებს. ამბის თხრობა სცენური და ემოციურია, გამოიყენეს მარკირებული ხმა (პატარა გოგოს ხმა – სტ. 26), რითაც დაახასიათეს ხატია, როგორც სულელი გოგონა. დისკურსში გვხვდება ახლგაზრდული ჟარგონი (მაგ: დამხეცება, პონტი, მოძუძგვა და ა.შ.).

ახლგაზრდები თანაუგრძნობენ მეგობარს გაჭირვებაში, ხშირად საუბრობენ პრობლემებზე, აძლევენ ერთმანეთს რჩევებს. მაგალითში საუბრობენ გოგონები – A,B და ბიჭები D,E (12-17 წლის):

- 1 A: ტატო.
- 2 მაგი როგორია იცი?(-)
- 3 დღეს სხვა[↑] უყვარს.
- 4 ხვალ სხვა[↑]
- 5 წავა ახლა დასასვენებლად და (-)
- 6 ეყოლება სხვა[↑]
- 7 B: ნედლი ნედლი <((acc))>
- 8 A: მასეთ გოგოზე არ ღირს ნამდვილად ნერვიულობა
- 9 B: [მასეთი უნდა დაიკიდო
- 10 A: [კი იქნები ცოდვა. მარა (-) ასეთ შემთხვევაში
- 11 მასეთი გოგო უნდა[↑] დაიკიდო

- 12 B: რა თქმა უნდა
- 13 A: ასე ტატო (-) გაიგე?
- 14 გესმის?
- 15 E: ხო
- 16 არ გამაგონო რო მაგის გულისთვის ინერვიულო რამე (-)
- 17 ახლა მომისმინე (-)
- 18 ახლა მაგი ასე თითს რო დაგიქნევს. იმ წუთში არ გავარდე.
- 19 გაიგე?
- 20 B: ის დაქალი კიდე კაი ჩამოსხმა ყავს.
- 21 D: ამას არ უნდა სხვა მეტი და უკეთესი და=
- 22 A: =ვისი გულიზა იკლავ თავს.
- 23 დაფიქრდი ცოტა.
- 24 გაიგე?
- 25 B: დანებე თავი. უნდა დაიკიდო ზუსტადაც
- 26 D: გინდა ვცემოთ ბექა?
- 27 A: იმისი რა ბრალია
- 28 გოგოს[↑] უნდა და=
- 29 D: =მართლა გავლახავ შენ თუ გინდა. დედას გეფიცები.
- 30 A: ჰე გამოფხიზლდი გამოფხიზლდი ახლა (-)
- 31 ვაიმე ტატო:::::
- 32 ათასი გოგო გეყოლება კიდე (-)
- 33 კაი. ნუ გეშინია.

ახალგაზრდები დიდ თანაგრძნობას იჩენენ მეგობრის მიმართ, არა აქვს მნიშვნელობა მეგობარი გოგონაა თუ ბიჭი. მოცემული დიალოგის მიხედვით, ბიჭი E მიატოვა შეყვარებულმა. იგი თავს ძალიან ცუდად გრძნობს, საუბარში მონაწილეობას არ იღებს, მხოლოდ თავჩაღუნული უსმენს მეგობრების დარიგებებს. გოგონები ცდილობენ აუხსნან, თუ რატომ არ ღირს იმ გოგონასთვის ნერვიულობა (სტ.2-12). ბიჭი D თავის თანაგრძნობას იმით გამოხატავს, რომ სთავაზობს E-ს გალახონ ვინმე ბექა (სტ.26/29), რომელიც შეუყვარდა E-ს ყოფილ შეყვარებულს. ამას კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან გოგონები, თვლიან, რომ ბექას ბრალი არაა, ეს გოგონას არჩევანი იყო (სტ.27-28).

ბიჭების პირჯგუფში უფრო იშვიათად საუბრობენ მეგობრობაზე, მაგრამ მეგობრის დაჩაგვრას ისინი არავის აპატიებენ. მაგალითში ბიჭები საუბრობენ ფეხბურთის თამაშის შემდეგ ვინ რამდენი გოლი გაიტანა. Z და B საყვედურობენ Gს, რადგან მან თამაშის დროს გალახა მოთამაშე, რომელიც მათი ჯგუფის წევრია.

- 1 Z: ერთი მე გავიტანე. და ერთი ნოლიკომ=
- 2 B: =სამი მე. (-)
- 3 Z: ბიჯო[↑] რას ერჩოდი იმ ბოვშს?
- 4 G: ღირსი იყო[↓]
- 5 Z: [[ფუ რა სირი ხარ(.)]
- 6 B: [[გაგდებული იყო იქ]
- 7 D: [[ხო იგი რანაირი ბოვშია]
- 8 G: =მეკაიფებოდა ბიჯო
- 9 Z: =რა[↑] გეკაიფებოდა
- 10 სირობები ნუ იცი[↑] (-)
- 11 გგკლავდა ბურთთან რო მოდიოდა?
- 12 B: (h) [ვერ გაიტანა და ის გალახა რა]
- 13 G: °°bla°° [ეკუთვნოდა და მიიღო]
- 14 Z: აუ: ფეხბურთის თამაში არ იცი ძმაო შენ

G ცდილობს ახსნას თავისი საქციელი, ამბობს: მეკაიფებოდა (სტ.8). ბიჭები მის საქციელს სხვანაირად ხსნიან – G-მ ვერ გაუტანა მოწინააღმდეგეს ბურთი და ამიტომ გალახა იგი – რაც ბიჭების ჯგუფში ცუდ საქციელად ითვლება. G საუბრის დასასრულს ამბობს: ეკუთვნოდა და მიიღო (13). ამ სიტყვებს იგი ჩუმად ამბობს, რაც იმის ნიშანია, რომ იგი ხვდება თავის დანაშაულს, მაგრამ ამას არ აღიარებს. საუბარი კონკურენციულია, ბიჭები კამათობენ, არ აცლიან ერთმანეთს საუბარს (14 წინადადებიდან 7-ში სცადეს სიტყვის შეწყვეტინება). საუბრის მოდალობა სერიოზულია. არის დაცინვის ელემენტებიც, მაგ, სტრიქონი 12, სადაც B დასცინის Gს: „ვერ გაიტანა და ის გალახა“. ახალგაზრდებმა გამოიყენეს ახალგაზრდული ენობრივი საშუალებები, სიტყვები: სირი (სალანძლავი სიტყვა), გაკაიფება (გაასულელო, გაათამაშო

ვინმე), სირობები (სისულელები), გაგდებული (გალახული), მიმართვის ფორმები (ბიჯო, ძმაო), მოდალობის ნაწილაკები (მაგ: ფუ, რა, აუ).

სოციალური მდგომარეობა განაპირობებს საუბრის თემატიკას. „ფულზე“ ხშირად ბიჭები საუბრობენ:

(ბიჭები 15-17)

1. A: ცივი წვენი სულ[↑] არ გვინდა არავის. ((ქარაგმა))
2. B: სხვისი მოტანილი და ნაჩუქარიც აა::რ გვინდა. ((ქარაგმა))
3. G: არ არის პროსტა, თორე არაა[↑] ბაზარი
4. A: ერთი პატარა პრობლემაა. რა
5. D: ფული არაა და ეგაა პატარა მერე?
6. ჩემი დედას გეფიცები?<((staccato))>
7. G: [სად იყავი ბიჭი შენ? ((მიმართავს A-ს))
8. A: [დღეს რა დღეა?
9. B: (h)საყვარელი ემოციების დღეა და (-)
10. თან მამაკაცური
11. D: გადაჯექი ბიჯო იქით გადაჯექი ((იციან))
12. A: რა?
13. D: გამწარებულია დღეს ((იციან))
14. A: კაი ბიჭია მარა ერთი ნაკლი აქ= ((გოგონას ხმით))
15. B: =საზიზღარი ვარ? დამპალი ვარ?
16. და რა გაგიფუჭე?
17. სიყვარულზე უარს რატო მეუბნები? ((ყველა იციან))
18. კაი ხასითზე ვარ. და მიხარია ცხოვრება ახლა [↑]ამ წამში=
19. A: =შენ ნასვამი ხარ და კაიფში.
20. ჩვენ რა ვქნათ?
21. B: [არც ნასვამი ვარ. და არც კაიფში.
22. G: [მოგვიტანე და ვიქნებით თუ გინდა
23. B: = ა: ხოდა ვინერვიულე ახლა და რატო?
24. მე არაფერს [↑]არ ვაფუჭებ
25. A: ოღონდ შენ არ იწერვიულო.
26. კეთილი ბიჭი ხარ ვიცით
27. (h) მარა ფული არ გაქ
28. B: ფული არ მაქო ვინ თქვა?
29. D: აბა დადე[↑]

30. B: ხალხში გამოსაჩენი ფული არ მაქ თორეე=
31. A: =მაგას რო აჩენდეს მაშინ კი არ ექნება (-)
32. B: გადი ბიჭო ფული მგონიხარ რო გიყურებ ((იცინის)) (-)
33. (h) აუ იმ საზოგადოებაში ვარ ახლა რომელიც არაა ცხოვრებაში

ბიჭები საუბრობენ, რომ არ აქვთ ფული ცივი სასმელის შესაძენად. თვალშისაცემია ჯგუფისთვის სპეციფიკური საუბრის სტილი, ბევრი გამოთქმა რთული გასაგებია თუ ჯგუფის წევრი არ ხარ ან კარგად არ იცნობ ჯგუფის შიდა ურთიერთობებს. საუბრის დასაწყისში (სტ.1-2) A და B ამბობენ: „ცივი წვენი სულ არ გვინდა არავის“, „სხვისი მოტანილი და ნაჩუქარიც არ გვინდა“ გადატანითი მნიშვნელობით – ცივი წყალი გვინდა, ვინმემ მოგვიტანეთ. G ხვდება მაშინვე და პასუხობს, რომ არა აქვს ფული. დიალოგი სერიოზული ხასიათისაა, ბიჭები საუბრობენ უფულობის პრობლემაზე, იგი „პატარა პრობლემა“ არ არის (სტ. 5). G იყენებს გამოთქმას: „სად იყავი ბიჭი შენ?“ მნიშვნელობით „იაზროვნე“, როცა D უფულობაზე ამბობს: „ერთი პატარა პრობლემა“ (სტ.4). As შეკითხვას: „დღეს რა დღეა?“ B პასუხობს ირონიულად: „საყვარელი ემოციების დღე“ (სტ.8-9), რაც ნიშნავს ჯგუფისთვის, რომ B იწყებს ხუმრობას. უფულობის გამო ბიჭები „ქალებში ვერ დადიან“ და ამის გამო ერთმანეთს მასხრობით ეარშიყებიან. D მაშინვე ეუბნება As „გადაჯექი ბიჭო გადაჯექი, გამწარებულია დღეს“ (სტ.11/13) და იცინის. Ac მხარს უბამს მოდალობის ცვლას და იწყებს გოგონას ხმით საუბარს: “კაი ბიჭია მარა ერთი ნაკლი აქვს” (სტ.14), Bც არ აყოვნებს და იყენებს იმ სალანძღავ სიტყვებს, რაც სპეციფიკურია გოგონებისთვის: “საზიზღარი ვარ? დამპალი ვარ?” (სტ.15). სავარაუდოდ მსგავსი დიალოგები ჯგუფის ერთერთი საკომუნიკაციო პრაქტიკაა, რადგან ჯგუფის ყველა წევრმა იცის, რომ ეს მასხრობაა და იცინიან. საუბარი იღებს კვლავ სერიოზულ ხასიათს, როგორც კი A ფულს ახსენებს. ბიჭებს ფული ელანდებათ ყველგან, გამოთქმით: „გადი ბიჭო ფული მგონიხარ, რომ გიყურებ“ (სტ.32), ისინი კიდევ ერთხელ უსვამენ ხაზს, რომ “უფულობა” მათთვის სერიოზული პრობლემაა.

ახალგაზრდების ენის სტილი ჯგუფის სტილია, მისი წინაპირობაა ინტერაქცია ჯგუფში და ჯგუფის ნორმები და ფასეულობები. განხილული

დისკურსის ნიმუშები ნათელს ხდის, რომ ცხოვრების სტილი, სოციალური გარემოცვა, მედია გავლენას ახდენს ახალგაზრდების საუბრის თემატიკაზე. გერმანელი და ქართველი ახალგაზრდების სასაუბრო თემებია: მოწვევა/ალკოჰოლი/გამაბრუებელი საშუალებები; სექსუალური გამოცდილებები; ურთიერთობები ოჯახში; საპირისპირო სქესი (ზოგადად); ურთიერთობა კონკრეტულ გოგონასთან/ბიჭთან; საკუთარი/რეალური ისტორიები; ფიქტიური ისტორიები; სახალისო ისტორიები; სენსაციური ამბები (მასმედია); სპორტი; ცხოველები; პირადი გრძნობები/პირადი პრობლემები; მუსიკა; ტანსაცმელი; მხატვრული ლიტერატურა; ექსტრემი; სხეულის ნაწილები; შიში; საუბრები სხვებზე (ჭორაობა); მეგობრობა/სიყვარული; ინტერნეტ-ურთიერთობა; ეკონომიური მდგომარეობა; უცხოელები/საზღვარგარეთი.


შედარებითი ანალიზისათვის ჩამონათვალიდან შევარჩიეთ გოგონების და ბიჭების ათი ყველაზე პოპულარული სასაუბრო თემა და დავადგინეთ არსებულ ემპირიულ მასალაში ამ თემებზე საუბრის სიხშირის პროცენტული მაჩვენებელი. შედარებითმა ანალიზმა გვიჩვენა (გრაფიკი 9): გერმანელ გოგონებში ყველაზე დიდი პროცენტული მაჩვენებელი აქვს საუბრებს სხვებზე (70%), საპირისპირო სქესზე (90%). ქართველ გოგონებში ჭარბობს თემები: პირად გრძნობებსა და პრობლემებზე (50%), ინტერნეტურთიერთობებზე (40%), სხეულის ნაწილებზე (60%), მხატვრულ ლიტერატურაზე (40%). თითქმის ერთნაირი მაჩვენებელი აქვთ: სახალისო ისტორიებს (გერმანელი გოგონებში 20%, ქართველებში 30%), მეგობრობას/სიყვარულს (გერმანელ გოგონებში 60%, ქართველებში 70%), ოჯახურ ურთიერთობებს/პრობლემებს (გერმანელ გოგონებში 30%, ქართველებში 45%), ტანსაცმელს (გერმანელ გოგონებში 60%, ქართველებში 70%).

ბიჭების საუბრის შედარებითმა ანალიზმა გვიჩვენა (გრაფიკი10.), რომ გერმანელ ბიჭებში ჭარბობს თემატიკა: სექსუალურ გამოცდილებებზე (80%), მოწვევაზე/ალკოჰოლზე/გამაბრუებელ საშუალებებზე (80%), ქართველ ბიჭებში – ეკონომიურ მდგომარეობაზე (80%), ინტერნეტ-ურთიერთობებზე (30%). ნაკლებია განსხვავება, როცა საუბარია: ექსტრემზე (გერმანელ ბიჭებში 30%, ქართველებში 40%), საუბრები სხვებზე (გერმანელ ბიჭებში 30%, ქართველებში

20%), საკუთარ/რეალურ ისტორიებზე (გერმანულ ბიჭებში 60%, ქართველებში 70%), ფიქტიურ ისტორიებზე (გერმანულ ბიჭებში 40%, ქართველებში 30%), სახალისო ისტორიებზე (გერმანულ ბიჭებში 80%, ქართველებში 80%), პირად გრძნობებზე (გერმანულ ბიჭებში 20%, ქართველებში 10%).

ამგვარად, ორივე ეროვნების ბიჭებში ყველაზე მაღალი მაჩვენებელი მოდის: სექსუალურ გამოცდილებებზე, მოწევაზე/ალკოჰოლზე/გამაბრუებელ საშუალებებზე, სახუმარო ისტორიებზე. გოგონებში – ტანსაცმელზე, საპირისპირო სქესზე, მეგობრობაზე/სიყვარულზე, სხვებზე საუბარზე.

გრაფიკი 9.




სიმბოლოები:

----- გერმანელი გოგონები.

————— ქართველი გოგონები.

1.სახალისო ისტორიები, 2. საუბრები სხვებზე, 3. პირადი პრობლემები/გრძნობები, 4. მეგობრობა/სიყვარული, 5. ინტერნეტ-ურთიერთობა, 6. ოჯახური ურთიერთობები /პრობლემები, 7. სხეულის ნაწილები, 8. ტანსაცმელი, 9. საპირისპირო სქესი, 10. მხატვრული ლიტერატურა.

გრაფიკი 10.



სიმბოლოები:

- გერმანელი ბიჭები.
- ქართული ბიჭები.

1. ექსტრემი, 2. ეკონომიური მდგომარეობა, 3. სექსუალური გამოცდილება, 4. საუბრები სხვებზე, 5. ინტერნეტ-ურთიერთობა, 6. მოწვევა/ალკოჰოლი, 7. საკუთარი/რეალური ისტორიები, 8. ფიქტიური ისტორიები, 9. სახალისო ისტორიები, 10. პირადი გრძნობები/პრობლემები.

4.2. გოგონებისა და ბიჭების დისკურსის ენობრივი საშუალებები

ახალგაზრდების ენობრივი სტილი სტანდარტულ ენაზე დაყრდნობით იქმნება, სტანდარტული ენის შეცვლა ხდება სპეციფიკური ენობრივი საშუალებებით და სტილისტიკური შეფერილობით. ამ პროცესს ენათმეცნიერებაში კრეატიულ/შემოქმედებით საუბრის სტილს უწოდებენ, იგივე “Stilbastelei” ან “Bricolage” (Neuland 2008, 72). მაგალითად, ჰიპ-ჰოპის მიმდევრები მისაღმების ფორმად ირჩევენ “Yo”-ს, ტექნო მუსიკის – “Hi, Party-People”, “Hallo, Sympartysanten“ (Vgl. Watzlawik 2000, 82).

განვიხილოთ სტანდარტული ენის ვარიაციების მაგალითები ახალგაზრდების საუბარში:

Originaltext	Jugendsprachliche Übersetzung
Unser Staat braucht die zupackende Mitarbeit der jungen Generation. In diesem Jahr werden alle Jugendlichen, die ausbildungswillig und ausbildungsfähig sind, eine Lehrstelle erhalten... wir müssen der jungen Generation Hoffnung geben	Das Antörnen der Teenies ist für unser land eine echt coole Sache. Auch wird jeder ne geil Azubistelle raffen können... wir müssen es als Laberköpfe endlich raffen, eh, den langhaarigen auf Future nehmen

Normal-Deutsch	Jugendsprachliche Übersetzung
Mark ist viel unterwegs. Nach der Schule fährt er mit seinem Skateboard an den nächsten Treffpunkt, wo seine Freunde aus der Nachbarschaft an einer Schanze ihre Tricks üben.	Mark ist immer auf dem Sprung. Nach der Schule cruised er mit dem Board zum nächsten Hangout, wo die Locals in der Halfpipe ihre Jumps durchziehen.

(Neuland 2008,10/11).

მაგალითები გვიჩვენებს, რომ ახალგაზრდების დისკურსი ძნელი გასაგებია. სტანდარტული ენის თითქმის ყველა სიტყვა შეცვლილია

ახალგაზრდების ჟარგონით, პირველ მაგალითში ნაცვლად die zupackende Mitarbeit, ახალგაზრდა ამბობს: Das Antörnen der Teenies, ნაცვლად alle Jugendlichen, die ausbildungswillig und ausbildungsfähig sind _ jeder ne geil Azubistelle, ნაცვლად der jungen Generation Hoffnung geben _ den Langhaarigen auf Future nehmen. მეორე მაგალითში, გარდა ჟარგონისა, გვხვდება ანგლიციზმები, რაც კიდევ უფრო ართულებს ტექსტის გაგებას, მაგ: ნაცვლად fahren-ისა ახალგაზრდა ამბობს cruised, ნაცვლად Treffpunkt – Hangout და ა.შ.

სტანდარტული ენისაგან ახალგაზრდების ენის დაშორების ტენდენციას ვხვდებით ქართულ დისკურსშიც. გთავაზობთ ამონარიდს ჩვენ მიერ ჩაწერილი დისკურსიდან:

საუბრობს ახალგაზრდა	სავარაუდო მნიშვნელობა
<p>აუ ახლა ვინმეს რო მაგის იმედი ექნება, რო ის რამე ჰავაის კუნძულებს იზამს, ცხოვრების გაუმჯობესება და იგი, კაროჩე, იგი უნდა გადააყუდო და გადააყენო, სამშობლოს მოღალატესავით ვაფშე სიცხეში უნდა დააყენო და ბუჩქი არ დაანახო და ამას კიდე უნდა აეხეს მანდატი</p>	<p>ეს ადამიანი (დეპუტატობის კანდიდატი) ვერ შეძლებს ხალხის სოციალურად უზრუნველყოფას, საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას. თუ ვინმეს მისი სჯერა, ის უნდა დასაჯო ისე, როგორც სამშობლოს მოღალატე. დეპუტატის კანდიდატურა უნდა მოიხსნას.</p>

ბიჭი საუბრობს დეპუტატობის კანდიდატზე და იყენებს ფრაზას: „ჰავაის კუნძულებს იზამს“ მნიშვნელობით: „ხალხის სოციალურად უზრუნველყოფას შეძლებს“. ადამიანებს, ვისაც დეპუტატის სჯერათ, იგი სამშობლოს

მოლაღატედ თვლის და უნდა, რომ ისინი დაისაჯონ. სიტყვა „დასჯას“ იგი გამოხატავს შემდეგნაირად: გადააყულო, გადააყენო, სიცხეში დააყენო და ბუჩქი არ დაანახო.

4.2.1. სოციალური კატეგორიები

ახალგაზრდებში ხშირია საუბრები სხვა ადამიანებზე, რომ ნათლად გამოხატონ როგორი უნდათ, ან არ უნდათ თავად იყვნენ. მათი ლექსიკა მდიდარია სოციალური კატეგორიების სახელწოდებებით, საკუთარი ტერმინოლოგიით.

განვიხილოთ მაგალითები კატეგორიების შექმნის, სახელდების, შეფასების, თვისებებისა და ნიშნების მიწერის ახსნის მიზნით:

1. A _ wir müssen dir mal welche zeigen
2. B_ soo (-) schlimm aber, na ja doch hehe
3. A_ aber doch eh immer drauf aus cool zu sein cool zu wirken und die rauchen Zigaretten
4. C_ ja des Rauchen, des ist das größte Symptom ja?
5. Die rauchen alle nur weil se cool sein wollen
6. D_ und rauchen ist das uncoolste was es gibt
7. C_ ja besaufen ist viel besser (lachen)
8. B_ Alkohol hat ja wenigstens ne Wirkung ja?
9. Aber rauchen des (-) macht nur die Lungen kaputt
10. D_ und man und man st-gott und man stinkt noch davon und die wollen wollen ,
11. die die die, weiß nicht die hauen sich voll das Parfüm ran aber (-) dennoch rauchen
12. B_ gell?
13. C_ voll bescheuert.
14. Wieso rauchen jetzt eigentlich immer alle, des raucht jetzt meine Mutti auch.
15. Alle Britneys und so des is jetzt eigentlich schon seit Jahren irgendwie.
16. B_ ja aber so so so Britneys an zwanzig, da weiß man schon dass es Studentinnen sind
17. C_ ja
18. B_ so ab zwanzig sind`s auch eigentlich keine Britneys mehr , weil se denn Erwachsen sind na ja fünfundzwanzig
19. C_ die größte Brietneys und sie schlimmsten sind so ab zwölf bis sechzehn. (Spreckels 2005, 132)

ამ დისკურსში ახალგაზრდა გოგონები საუბრობენ „მოწევაზე“. დასაწყისში A მიმართავს მკვლევარს: wir müssen dir mal welche zeigen. მიმართებითი ნაცვალსახელით „welche“ მოსაუბრე გოგონების ჯგუფში მოიხსენიებენ იმ ადამიანთა კატეგორიას, რომელთა მიმართ ნეგატიური დამოკიდებულება აქვთ. შემდეგი კატეგორია, რომელიც გოგონებმა საუბრის დროს გამოიყენეს არის Brietneys. აქ იგულისხმება მომღერალ ბრიტნი სპირსის თაყვანისმცემლები. მაგრამ გოგონები ამავე სახელწოდებას იყენებენ მათზე პატარა ასაკის, ცუდი გემოვნების მქონე მოზარდის აღსანიშნავად. Brietneys კატეგორიას გოგონები ახასიათებენ როგორც: “schlimm” (სტ.19). პირველ წინადადებაში გამოყენებული მიმართებითი ნაცვალსახელი „welche“ სწორედ ამ კატეგორიას მიანიშნებდა. Brietneys ერთ-ერთი ნიშან-თვისებაა ის, რომ ისინი მწვევლები არიან, რადგან სურთ : “cool sein“ (მაგარი, ყველაზე კარგი). სიტყვა cool ამ დიალოგში კავშირშია სიგარეტის მოწევისთან Rauchen, და გამოხატავს Brietneys სიგარეტის მოწევისადმი დამოკიდებულებას. მათთვის ის არის: “das Uncoolste“. მოსაუბრე გოგონები ამ საკითხს უარყოფითად აფასებენ. მათთვის მწვევლი მოზარდები: “stinken”, მიუხედავად იმისა, რომ ბლომად სუნამოსაც იპყურებენ (10–11). უარყოფითი შეფასება ორივე კატეგორიის (Raucher/ Brietneys) მიმართ კარგად ჩანს მე-4 სტროფში: გოგონა მოწევას Brietneys კატეგორიის სიმპტომს უწოდებს, ანუ ის ავადმყოფობად მიაჩნია. გოგონები ხშირად იყენებენ წინადადების ნიმუშს „die + Verb (+Objekt)“: განსაზღვრული არტიკლი აღნიშნავს Brietneys-ის კატეგორიას. ინტერაქცია მიმდინარეობს კოოპერაციულად, გოგონა A Brietneys უარყოფით მხარედ ასახელებს იმას, რომ ისინი მწვევლები არიან (სტროფი 2). ყველა გოგონა მას მხარს უჭერს. მხარდაჭერას აძლიერებს გოგონა B (სტ.8) – იგი სიგარეტის მოწევას ალკოჰოლის მიღებას ამჯობინებს. ინტერაქცია თავდაპირველად არასერიოზულია, ცინიკური, დასცინიან მწვევლ გოგონებს. საუბრის მეორე ნაწილი სერიოზული და საქმიანია, გოგონები მსჯელობენ მოწევის მავნე შედეგებზე (სტ.7–12).

განვიხილოთ კვლავ დიალოგური ტექსტი:

1. A_ nee da läuft er immer nur geradeaus des will ich auch machen
2. B_ ja da läuft er einfach nur durch die Straße und
3. wird dauernd von irgendwelchen Leuten angemacht
4. C_ weil er geradeaus läuft des müssen wir auch mal machen in der Hauptsache
5. B_ (lachend) bei uns geht's wieder schief wie alles geradeslaufen hehehe
6. C_ (schmunzelt, lachend) bei den nächsten Britneys hehe tun wir eh ausweichen
(-)
7. C_ (in Trickfilmstimme) Äh warum fahrt ihr nach Dänmark? Spanien ist doch viel toller?
8. A_ (nasal) ja da gibt's halt voll das geile Softeis so ja?
9. Des is voll viel Strand und so, des is des einzigste Land wo man keine Krätze kriegt,
10. wenn man ins Meer geht
11. C_(schmunzelt) wie se mich angeguckt hat
12. B_ kriegt man da wirklich net die Krätz, wenn man ins Wasser geht?
13. C_ hm hm.

(Spreckels 2005, 137).

გოგონები საუბრობენ, უსმენენ სიმღერას, რომელიც მოსწონთ. ისინი ყვებიან მუსიკას, თან კომენტარს უკეთებს ვიდეოკლიპს. ვიდეოკლიპში ადამიანები გარბიან განუსაზღვრელი მიმართულებით. საუბარი იწყება სირბილის თემით. ამას მოჰყვება C გოგონას მიერ ირონიული გადახვევა Brietneys კატეგორიაზე (სტ. 6). საუბარი გრძელდება დანიაში გამგზავრების თემით. დაცინვისა და ქილიკის Brietneys კატეგორია თითქმის ყველა თემაში ფიგურირებს და საუბარს ირონიულ მოდალობას ანიჭებს. კატეგორიის აღსანიშნავად ხშირია ხმის იმიტაციის გამოყენება (მაგ, სტ. 7).

ქართველი ახალგაზრდების საუბრის ნიმუში:

- 1 A: ორი ყვითელი მეჯდა უკან.
- 2 არ↑ გაუჩუმებიათ ენა.
- 3 B: [ყველაზე მაღალი და ყველაზე დაბალი ადამიანი მაგენს ყავთ=
- 4 G: [იაპონელები იქნებოდნენ
- 5 B: =ორი და ორმოცდახუთია მაღალი და დაბალი მთლად პატარაა
- 6 A: ჩინელები იყვნენ.
- 7 B: ყველაზე პატარა მაგენს ყავთ და ყველაზე დიდი
- 8 G: მუტანტები არიან
- 9 B: მთელი ჩინეთი ბილაინზეა შეერთებული ((იცინიან)) (--)

- 10 A: ლამაზი ქალები ყავთო
- 11 G: რაა ლამაზი.
- 12 თვალები აქვთ ეკონომიური
- 13 ზოგი ლამაზია და
- 14 [ზოგს მეშოკი რო გადააფარო მაინც[↑] რას გავს
- 15 A: [გააჩნია ვისთვის რაა სილამაზე

გოგონები საუბრობენ „ყვითლებზე“ – ჩინელებზე. ახასიათებენ მათ: ჩინელები არიან მუტანტები (სტ.8), თვალები აქვთ ეკონომიური (იგულისხმება წვრილი თვალები) (სტ.12), ზოგი ლამაზია და ზოგს „მეშოკი“ (ბარბარიზმი) რო გადააფარო მაინც რას გავს (სტ.14-15). საინტერესოა საუბარში სტროფი 9: „მთელი ჩინეთი ბილაინზეა შეერთებული“. ეს ფრაზეოლოგიური გამოთქმა სპეციფიკურია ჯგუფისთვის და თითქმის შეუძლებელია გაიგო მისი მნიშვნელობა თუ ჯგუფის წევრი არ ხარ. გამოთქმის შექმნას წინ უძღვის ისტორია: იმ უბანში სადაც ბავშვები ცხოვრობენ, მოსახლეობის წინააღმდეგობის მიუხედავად დაიდგა სატელეფონო ქსელის ბილაინის ანტენა. მოსახლეობა და მათ შორის ბავშვებიც თვლიან, რომ ანტენას ჯამრთელობისათვის საშიში გამოსხივება აქვს, ბევრ პათოლოგიურ დაავადებებსა და სიმახინჯეს იწვევს. გამოთქმა „ბილაინზეა შეერთებული“ ნიშნავს „მახინჯია“/„ავადყოფია“. ამას იმითაც ადასტურებენ, რომ ჩინელებს ყავთ მსოფლიოში ყველაზე მაღალი და ყველაზე დაბალი ადამიანი.

განხილული მაგალითები ადასტურებენ, რომ სტანდარტული ენის ენობრივი საშუალებების საფუძველზე ახალგაზრდები ქმნიან ახალ სიტყვებს, სიტყვათა ახალ მნიშვნელობებს. სიტყვათწარმოების ყველაზე ხშირი საშუალებაა კომპოზიტები და დერივაცია. კომპოზიტებიდან გამოიყოფა დეტერმინატიული და კოპულატიური კომპოზიტები.

ახალგაზრდები კატეგორიების სახელწოდებებს ხშირად დამატებითი კომპონენტებით ავსებენ და ქმნიან დეტერმინატიულ კომპოზიტებს. მაგალითად, კატეგორიები: „Gangschta“ და „რამშტაინა“ გვხვდება ასეთი ფორმით: „Dorf-Gangschta“, „სოფელო-რამშტაინა“. კომპოზიტის პირველი

ნაწილი „Dorf“/„სოფელი“ იძლევა ინფორმაციას იმის შესახებ, რომ მოსაუბრეს უარყოფითი დამოკიდებულება აქვს დასახელებული კატეგორიის მიმართ.

სხვაგვარი ტიპის კომპოზიტებში შერწყმულია ორი კატეგორია ორივე კატეგორიის თვისებებით. მაგალითად „Öko-Kiffer“ – ჰაშიშის მწვეველ ადამიანთა ჯგუფი – შესაძლებელია ან პირველი, ან მეორე სიტყვით გამოიხატოს. კომპოზიტი სინონიმებს შეიცავს, სიტყვათა რიგს გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ენიჭება, შეიძლება შეგვხვდეს „Kiffer-Öko“. კოპულატიური კომპოზიტი შეიძლება განსხვავებული სემანტიკის მქონე სიტყვებისაგან შედგებოდეს. მაგალითად: Öko-Schlampe, იგულისხმება ჰაშიშის მწვეველი ადამიანი, რომელიც პარალელურად მოუწესრიგებელი და მოუვლელიცაა.

კომპოზიტების ნაირგვარობას ქმნის კატეგორიის სახელწოდებას დამატებული რომელიღაც ობიექტის სახელი. ამით ხდება ამ ობიექტის დაზუსტება და დახასიათება, მაგალითად Öko-Kiffer-Lied ნიშნავს სიმღერას, რომელსაც გამაბრუებელი საშუალებების ზემოქმედების ქვეშ მყოფი ადამიანები უსმენენ.

ახალგაზრდების მეტყველებაში ხშირია კომპოზიტები, რომელთა პირველ ნაწილში გაძლიერების, გაზვიადების გამომხატველი სიტყვებია, მაგალითად Mega –Kiffer, Ober –Kiffer, Scheißlesbe, Scheißbar. ყველაზე ხშირად გაძლიერების აღმნიშვნელია სიტყვები: voll, echt, ober, mega, absolut, extern, recht, tierisch, total, verdammt, völlig, მაგარი, სერიოზული, მართლა, მეგა, აბსოლუტურად და ა.შ.

პროტოტიპული კატეგორიების ხაზგასასმელად ახალგაზრდები იყენებენ აგრეთვე სუპერლატივს მაგ., „die größten Britneys“, „die schlimmsten Gangschta“, „უმაგრესი მოჭიდავე“.

ახალგაზრდები იყენებენ რესემანტიზირებულ სიტყვებს, მაგ: Cellulitis (კანქვეშ ცხიმების დაგროვება), ახალგაზრდებში მსუქანი ადამიანების კატეგორიის აღმნიშვნელია.

კატეგორიას კონკრეტული ადამიანის საკუთარი სახელიც აღნიშნავს. მაგ., ავტობუსში გოგონებს არასასაიმოვნო ისტორია შეემთხვათ გერმანელ სტუდენტ ფილიპთან. მათთვის ეს სახელი სტუდენტის სინონიმი გახდა (Spreckels, 2005, 383). ქართულ სინამდვილეში, ვინმე ჯუმბერს ჰქონდა ნაყვავილარი სახე,

ახალგაზრდებისათვის „ჯუმბერი“ იქცა ცუდი, პრობლემური სახის კანის მქონე ადამიანების აღმნიშვნელად.

ახალგაზრდების სიტყვათა არსში რომ ჩავწვდეთ, სიტყვათა შიდასტრუქტურა რომ ავხსნათ, საჭიროა მრავალი კომპონენტის გათვალისწინება. სიტყვის სემანტიკა ჰომოგენური არ არის, მასში თავს იყრის ჰეტეროგენული ელემენტები – სიტყვის ობიექტური მნიშვნელობა (საკუთრივ ლექსიკური ცნება) და სუბიექტური მოდალობა (ექსპრესიული შეფერილობა). ამ არსებითი ნიშნების თავმოყრის ადგილია სიტყვის შინაგანი ფორმა. გარდა იმისა, რომ სიტყვის სემანტიკაში ობიექტური მნიშვნელობის წარმოებას თავისი დერივაციული მოტივები აქვს, მას ემატება მნიშვნელობის ასოციაციურ-ხატოვანი, ექსპრესიული და შემფასებლური შეფერილობა, ინტუიციურ აღქმასა და გაგებასთან დაკავშირებული (ბახტაძე, 2010, 136). სიტყვის შინაარსში წვდომისათვის დასახელებულ კომპონენტებთან ერთად აუცილებელია ახალგაზრდების ჯგუფის საკომუნიკაციო სტრატეგიების ცოდნა. მაგალითად, ახალგაზრდებისთვის, რომლებსაც არ მოსწონს მომღერალი ბრიტნი სპირსი, კომპოზიტი Britneys-Ohringe ნიშნავს არამოდურ, ცუდი ხარისხის საყურეს. მაგრამ თუ ჯგუფის წევრები ამ მომღერლის თავყანისმცემლები არიან, იგივე კომპოზიტი საპირისპირო მნიშვნელობას იძენს – მოდური, კარგი ხარისხის საყურე.

ახალგაზრდების მეტყველებაში ჩვეულია უხეში და შეურაცხმყოფელი ლექსიკური კატეგორიების შექმნა და გამოყენება, მაგ. Ignorantenschwein, Arschloch; იდიოტი, ძროხა. ისინი გვხვდება როგორც ბიჭების, ასევე გოგონების მეტყველებაში. ხშირია სხვათა დისკრიმინირებისათვის გამოყენებული სიტყვები: Neger, Japser, Schwuchteln; სოფლელები, ყანა.

ახალგაზრდები, უმეტესად გოგონები, ადამიანებს ზედმეტსახელებს არქმევენ ცხოველთა სამყაროდან. დასაცინ პიროვნებას შეურჩევენ არასასიამოვნო ცხოველის სახელს, მაგ.: Die Ratte, das Schwein; საქონელი, ძროხა, ნიანგი. ვინც მოსწონთ და უყვართ – ძლიერი ან საყვარელი ცხოველის სახელს, მაგ. Ochse, Stier, Polarbär, Kätzchen; კნუტი, ლეკვი.

ახალგაზრდების ლექსიკური ინოვაციები მხოლოდ არსებითი სახელებით არ შემოიფარგლება. დიდია შემფასებლური ზედსართავი სახელების რაოდენობა, განსაკუთრებით ანტიპატიის გამოსახატავად: eklig, schwul, asozial; დაჩმორებული, დამპალი, აქოთებული.

ყურადღებას იპყრობს ახალგაზრდების მიერ შექმნილი ფერთა ახალი პალიტრა. მაგალითად, პიროვნების მიმართ უარყოფითი დამოკიდებულების გამოსახატავად ისინი ამბობენ: ზღმურტყლის ფერი, შეშინებული თავვის ფერი, წიწილას ფერი, ყანას ფერი, ზმეიკიანი წაბლის ფერი.

შეჯამებისათვის 11. ცხრილში მოცემულია ზოგიერთი კატეგორიისათვის გერმანელი ახალგაზრდების მიერ შერჩეული სახელწოდებები:

ცხრილი 11.

მუსიკა	უცხოელები	სოციალური ჯგუფი	სოციალური სტილისტიკა	სექსუალურობის სფერო	საღანძღავი/ ბინძური სიტყვები
Britneys	Ausländer	Randgruppe	Studenten	Schwuchtel	Loser
Techno-	Türken	Artzsohn/-	Ökos	Lesbe	Spast
Schwuchtel	Ruskies	tochter	Hippies	Tussi	Idiot
Gangschta	Polacken	Einzelkind	Kiffer	Schlampe	Penner
HipHopper	Japsen	Ragbyspieler	Möchtegerns	Schicker	Arschloch
Heavy metal-	Mafia		Asoziale	Hure	Ignorantenschwein
Fan	Neger		Proleten		
Kelly-Fan			Fritten		
Harry Potter			Junkies		
			Psycho		

(Spreckels 2006, 116).

ცხრილში წარმოდგენილია ახალგაზრდების მიერ ყველაზე აქტიურად შექმნილი სახელწოდებები: მუსიკაში, ეროვნულობაში, სოციალურ ჯგუფში, სოციალურ სტილისტიკაში, სექსუალურობაში, ღანძღვა-გინებაში. ახალგაზრდები მუსიკის სფეროში, მაგალითად, მომღერალ ბრიტნი სპირსის

თაყვანისმცემლებს უწოდებენ Britneys, ჰიპ-ჰოპის მიმდევრებს – Gangschta ან HipHopper. ეროვნულობის გრაფაში ვხვდებით იაპონელებს – Japsen, რუსებს – Ruskies და ა.შ. სოციალური გარემოს მიხედვით ახალგაზრდები ასეთ კატეგორიებს გამოყოფენ: ექიმის ოჯახიდან გამოსულ ახალგაზრდას ისინი Arztsohn/-töchter-ს უწოდებენ. სოციალური სტილისტიკის სფეროში, მაგ, ადამიანები, რომლებსაც სურთ იმაზე მეტს წარმოადგენდნენ, ვიდრე არიან, ახალგაზრდების ლექსიკონში Möchtegerns ეწოდება; ადამიანებს, რომლებსაც არ სურთ ჯგუფის წევრობა – Asoziale. ადამიანები, რომლებიც ერთად ცხოვრობენ – Ökos; ადამიანები, რომლებიც გამაბრუებელ საშუალებებს ეწევიან – Kiffer; გაუნათლებელი ადამიანები – Proleten. სექსუალური ორიენტაციის და სქესის სფეროდან გვხვდება: Tussi – მიმზიდველი და მარტივი ხასიათის ქალი (ქალი რომელიც ადვილი დასამორჩილებელია), Schwuchtel – ჰომოსექსუალური ორიენტაციის მამაკაცი, Lesbe – ჰომოსექსუალური ორიენტაციის ქალი, Schlampe – მოუვლელი, მოუწესრიგებელი ქალი. ლაძღვა-შეურაცხყოფის დროს ახალგაზრდები Loser-ს უწოდებენ ხელმოცარულ ადამიანს, Penner – მამარობითი სქესის ადამიანს, რომელიც ცუდად იქცევა ან სიტუაციაში კარგად ვერ ერკვევა, Ignorantenschwein – ქვია შეზღუდული აზროვნების მქონე ადამიანს და ა.შ.

ქართველი ახალგაზრდები იმავე ინტენსივობით ყოფენ სამყაროს კატეგორიებად და არქმევენ ამ კატეგორიებს სახელებს, როგორც გერმანელი ახალგაზრდები. ქართველი ახალგაზრდების საუბრების ჩანაწერებზე დაყრდნობით შევადგინეთ ზემოთ მოცემული ცხრილის (ცხრილი 11.) ანალოგიური კლასიფიკაცია (ცხრილი 12.).

ცხრილი 12.

მუსიკა	უცხოელები	სოციალური ჯგუფი	სოციალური სტილისტიკა	სექსუალურობის სფერო	სალანძღავი/ ბინძური სიტყვები
როკერი რეპერი პაპტისტი ჯექსომან ბეთხოვენა რამშტაინა	იუდები წვრილთვალება ყვითლები წითლები ნეგერები	ექიმის შვილი პროფესორის შვილი რაგბისტი ფუტბალისტი	პუტანა სოფელო ცოდო უკუდო ზარალი მარო	ლესბიანკა იმპოტენტი ცისფერი ქალკაცა	გამოსირებული დებილი ძროხა პელენწუკა

როგორც ვხედავთ, ქართველი ახალგაზრდები არ ჩამოუვარდებიან გერმანელ ახალგაზრდებს კატეგორიების შექმნისა და სახელდების საკითხში. მუსიკის სფეროდან, მაგალითად, ჯექსონის თაყვანისმცემლებს ისინი უწოდებენ „ჯექსომანებს“, კლასიკური მუსიკის მიმდევარს – „ბეთხოვენას“. იაპონელებს შეარქვეს „წვრილთვალება“, ჩინელებს „ყვითლები“. სოციალური ჯგუფის სფეროდან, გერმანელი ახალგაზრდების მსგავსად, ქართველებიც კატეგორიებად ყოფენ ადამიანებს იმის მიხედვით, რა პროფესიის მშობლები ყავთ, ან რითი არიან დასაქმებულნი. მაგალითად, ექიმის შვილი, რაგბისტი. მრავალფეროვანია სოციალური ყოფის ამსახველი კატეგორიები, მაგალითად, ცუდი რეპუტაციის ქალს უწოდებენ პუტანას, სოფელო – უინტელექტო ადამიანია, მარო – ბიჭი ქალური მანერებით. სალანძღავი სიტყვებიდან ყველაზე ხშირად ისინი იყენებენ: გამოსირებული (უვარგისი ადამიანი), პელენწუკა (ცუდი გემოვნების, მოუვლელი ქალი) და ა.შ.

4.2.2. ქარაგმები და საიდუმლო ენა

მოზარდებში, განსაკუთრებით ადრეული ასაკის ახალგაზრდებში ხშირია „საიდუმლო ენის“ გამოყენება. აქ, გარდა შეკვეცილი სიტყვებისა, ძირითადი სახეებია: 1) სიტყვაში ყოველი მარცვლის შემდეგ გარკვეული ასოს ჩამატება, მაგალითად „Deber Abaltebe ihist dohoof“ მნიშვნელობით „Der Alte ist doof“ (Veith 2002,64) 2) სიტყვების უკუღმა წარმოთქმა, მაგალითად, „იროტქერიდ სიდომ“ მნიშვნელობით „დირექტორი მოდის“. არსებობს მოსაზრება, რომ გოგონები უპირატესობას პირველი სახის „საიდუმლო ენას“ ანიჭებენ, ბიჭები – მეორეს. „საიდუმლო ენის“ პირველი სახეობის ნიმუშებით მდიდარია ქართული ენა, მაგ., „ყვავის ენა“ , აქ სიტყვაში ყოველი მარცვლის შემდეგ ემატება „პა“ (მაგ: მამა – მაპამაპა); „ქაჯური ენა“ არაგვის ხეობიდან – ყოველი მარცვლის შემდეგ წა, წე, წი, წო, ან წუ, იმისდა მიხედვით, თუ რომელი ხმოვანია მარცვალში, მაგ., კაცი – კაწაციწი; ცაგერის რაიონის „გან-იანი და დონ-იანი საიდუმლო ენა“, მაგ., ხე – ხეგუ ან ხედუ; კახეთის, ქართლის, იმერეთის, გურიის, რაჭისა და ლეჩხუმის „ჯარ-იანი“, „შტო-იანი“, „წარ-იანი ენა“, აგრეთვე „უნდურ-ენა“, მაგ., რა – რაჯა, შენ – შეშტე, ცხენი – ცხეწენიწი, ცუდი – უნდურცუნდურუუნდურდუნდური (იხ. Boeder, 2012, 24-27).

ჩვენს ახალგაზრდების პირჯგუფში დასახელებული „საიდუმლო ენების“ ნიმუშები არ მოიძებნა, მაგრამ მათთვის ტიპურია ქარაგმების – გადატანითი, გადაკრული სიტყვების – დიდი რაოდენობით გამოყენება, რაც მათ მეტყველებას გასაიდუმლოებულს ხდის. ქარაგმა უფრო ხშირად გოგონების საუბრებში გვხვდება, თუმცა ბიჭებიც სიამოვნებით იყენებენ. განსხვავდება ქარაგმის გამოყენების ფუნქციები. გოგონები მისი დახმარებით თავს არიდებენ პირდაპირ საუბარს. ბიჭებს ქარაგმა ირონიულ საუბარში გადაჰყავთ, მაგალითად:

(ბიჭების 16-18 წ.)

1. A: რავა (-) მაგიც ქე უკრავს სალამურზე თან მდერის
2. მთაში სალამურს ვაკვენესებ ((მდერის))

3. B: ((იცინის))
4. A: ა:: (-) რამხელა ხელოვნებაა ((ირონიულად))
5. თან მღერის.
6. თან უკრავს.
7. B: ისე (-) მაგან რეკორდი დაამყარა.
8. ბევრჯერ დაუკრა.
9. თან ერთდროულად რამოდენიმე ინსტრუმენტზე
10. A: რა გინდა
11. [პროფესიონალია ((იცინის))
12. B: [მაგის სამსახური უნდა იყოს ხელოვნების მუშაკთა ასოციაცია
13. A: მესმის სტერეოტიპი დაარღვიო
14. ერთხელ. ორჯერ. სამჯერ. ოთხჯერ.
15. ხუთჯერ. ექვსჯერ. შვიდჯერ.
16. მარა (-) რვაჯერ?

ბიჭები საუბრობენ ცუდი რეპუტაციის ქალზე, საუბარი მთლიანად ქარაგმაა. „უკრავს სალამურზე“ გამოიყენეს გადატანითი მნიშვნელობით – ეწევა გარყვნილ ცხოვრებას, „ბევრჯერ დაუკრა ერთდროულად რამოდენიმე ინსტრუმენტზე“ – სექსუალური ურთიერთობა ჰქონდა მრავალ მამაკაცთან, „მაგის სამსახური უნდა იყოს ხელოვნების მუშაკთა ასოციაცია“ – ის უნდა მუშაობდეს ბორდელში. ბოლოს ბიჭები იყენებენ ფრაზას სატელევიზიო კომედიური სერიალიდან „შუა ქალაქში“ (სტ14-16), რითაც საუბრის არასერიოზულ მოდალობას უსვამენ ხაზს.

4.2.3. დისკურსული ნაწილაკები და კლიშეები

ახალგაზრდები საუბარში ხშირად იყენებენ საურთიერთობო ნაწილაკებს – დისკურსის ნაწილაკებს. დისკურსის ნაწილაკები, ძირითადად, ემოციასა და მოსმენის სასიგნალო ელემენტებს გამოხატავს. ახალგაზრდები ერთნაირად იყენებენ სტანდარტული ენის დისკურსის ნაწილაკებს, მაგ: „oh nein“, „oh gott“;

„ოხ ღმერთო ჩემო“, „ვაიმე დედა“ ასევე ვულგარული, მაგ : „oh meine fresse“, „oh scheiße“; „აუ ჩემი“, „ფუ შენი“ და ა.შ.

ახალგაზრდების მეტყველება ასევე მდიდარია დისკურსული კლიშეებით. მაგალითად, ჰიპერბოლა ფრაზების სახით. თანაკლასელს, რომ ძალიან გრძელი საყურე აქვს, გოგონა აქილიკებს: „ამის დაკიდებისთვის ტარების მოწმობაა საჭირო“. კაფე-ბარის დახასიათებისათვის, სადაც, გოგონების აზრით, ცუდი სიტუაციაა, ისინი ამბობენ: „ja un irgend so ne Hure hat da bedient un die die Mafia hat da Poker gespielt“ (Speckels, 2005, 388). მსგავსი გამოთქმები არა მხოლოდ პიროვნების, საგნისა თუ მოვლენის დისკრედიტაციას ემსახურება, არამედ იუმორის გამოყენებასაც აფიქსირებს, რაც გოგონების შემოქმედებით უნარზე მიუთითებს. ჰიპერბოლური წინადადებები ბიჭებთან უფრო ხშირად გვხვდება, ვიდრე გოგონებთან, მაგრამ, როცა საქმე შემოქმედებით/კრეატიულ საუბარს ეხება, გოგონები ჯობნიან ბიჭებს, მაგალითად:

(გოგონა A და ბიჭი B)

- 1 B: გცხავს?
- 2 A: არ მკითხო.
- 3 ვი:ხჩობი
- 4 სუნთქვა დამავიწყდა.
- 5 B: შენ სვანი ხარ.
- 6 სიცხე ვერ მოგერევა
- 7 A: ადვილად წამეკიდება ცეცხლი, მე ↑ხო ხის ვარ
- 8 B: შენ ისეთი სწრაფი სიარული იცი
- 9 რო მზე ვერ მოასწრებს ცეცხლის დანთებას
- 10 A: კი.
- 11 ფეხის გულები ისე მეწვის
- 12 თითქმის არ ვადებ მიწას
- 13 B: ხო.
- 14 წეხან ისე ჩამიქროლე
კინლამ გავცივდი
- 15 A: კინლამ არ ითვლება.
თან ისე გაგიღიმე პალტო ჩაგაცვი
- 16 B: ა::: თურმე რატო ვეღარ ვგრძნობ მზის წვას
- 17 A: მე უფრო დაგწვი

გოგონა და ბიჭი თითქოს ჰიპერბოლური წინადადებებით თამაშობენ. გოგონას ისე ცხელა, რომ სუნთქვა დაავიწყდა (სტ.4) იგი ისე სწრაფად დადის, მზე ვერ ასწრებს ცეცხლი წაუკიდოს (სტ.8-9), ფეხის გულებს არ ადებს მიწაზე (სტ.12), ისე ჩაუქროლა ბიჭს კინაღამ გააცივა (სტ.14), გაციებას ბიჭი იმით გადაურჩა, რომ გოგონამ გაუღიმა, “პალტო ჩააცვა” ანუ გაათბო (სტ.15).

ახალგაზრდებს უყვართ კინოფილმებიდან ან სატელევიზიო შოუებიდან, ტელესერიალებიდან გადმოღებული მზა ფრაზების გამოყენება, მაგალითად:

(საუბრობენ ბიჭები 13-14 წლის)

- 1 B: რა მაგარია↑
- 2 [ადგილზე მოაპუტია მანქანა
- 3 Z: [წამო ბურთი ვის გინდათ=
- 4 B: =კალონკიდან რო გამოვარდა
- 5 [კინაღამ წვილო კალონკა
- 6 Z: [მატორი გააგდო=
- 7 D: =აუ ცხენზე არ დაგვაჯენს?
- 8 Z: ცხენი კი არადა ნომერი=
- 9 D: =რა ნომერი(-)
- 10 [მანქანის?
- 11 Z: [უყვარს უყვაარს ↑ ((იცინის))
- 12 D: [[ვინ უყვარს ბიჯო?
- 13 Z: გაგიმარჯოს ((ესალმება გამვლელს))
- 14 D: ა პა პა პა ((მარკირებული ხმა))
- 15 შენ ასწავლი მამუკას? <((acc))>
- 16 Z: აპა რა::: ↑ (--)
- 17 D: ტელეფონი დეითრიე და ემესიჯე
- 18 B: რა შე გოიმო
- 19 ჩემი ნომერი?
- 20 D: არა ბიჯო↑
- 21 ვიკასი(-)
- 22 ვიკას არ აქ ტელი
- 23 ინგა დეიდას და ზურა ბიძიას აქ
- 24 Z: უყვარს უყვა:::რს↑
- 25 (h) და დაეხმარეთ გოხოვთ
- 26 ((ყველა იცინის))

- 27 Z: უყვარო უყვა:.....რო↑
 28 უყვარო უყვა:.....რო↑
 29 გავგიჟდები↑ გავგიჟდები↑
 30 B: (h) დაეხმარეთ მათხოვარს
 31 D: ლა ვუკოთ ლაააა ((პატარა ბავშვის ხმით)) <((acc))>
 32 Z: აუ დამეხმარეთ რა↑ კაცურად(.)

საუბარი იწყება ბენზინგასამართ სადგურთან ჩავლილი მანქანის თემით. თემა ვერ განვითარდა, ახალი საკითხი წამოიჭრა: Z-ს სურს ფეხბურთის თამაში, D-ს – ცხენზე ჯდომა და საუბარი სულ სხვა მიმართულებას იძენს. Z-ს საუბარი არასერიოზული მოდალობისაა. იგი იყენებს ფრაზას ქართულ კინოფილმიდან “უდიპლომო სასიძო“: „გავგიჟდები, გავგიჟდები“, „უყვარო, უყვარო“ (მნიშვნელობით „მიყვარს“) (მაგ:სტ.27-29). ბიჭები მალევე მიხვდნენ, რისი თემა სურს Z-ს: ერთ-ერთი გოგონას ტელეფონის ნომერის გაგება (სტ.17). სიცილით მხარი აუბეს ამ მოდალობას: D აგრძელებს Z-ს წინადადებას სხვა ფრაზით იმავე კინოფილმიდან: „ლა ვუკო ლა“. Z საბოლოოდ მთელი სერიოზულობით თხოვს მეგობრებს, გაუგონ გოგონას ნომერი: „აუ დამეხმარეთ რა კაცურად“. საუბარი დასაწყისში არაა კოოპერაციული, რადგან ბიჭები არ უსმენენ ერთმანეთს და ყველა თავისთვის საუბრობს. საუბრის მეორე ნაწილი უფრო დინამიურია. ბიჭები იყენებენ სცენური საუბრის სტილს: მარკირებული ხმა, ტონალობების ცვლა, ფრაზები კინოფილმებიდან. ენობრივი საშუალებებიდან გამოიყენეს: ჰიპერბოლა (სტ.2,4,5,6), ახალგაზრდული სიტყვები (მაგ: მოპუტვა, გოიმი, დათრევა, მაგარია), რუსიზმები (კალკა: მატორი), დისკურსის ნაწილაკები (აუ, რა, ა პა პა პა).

4.2.4. ჟარგონი

ჟარგონი ვიწრო სოციალური ჯგუფის მეტყველებაა. ჟარგონის მიზანია შეიქმნას მეტყველების ისეთი ნაირსახეობა, რომელიც გასაგები იქნება ადამიანთა მხოლოდ ვიწრო ჯგუფისათვის და გაუგებარი – საზოგადოების სხვა წევრებისათვის (ქურდაძე 2012 38). უკვე ითქვა, რომ ბავშვები, ძირითადად,

ჰომოგენურ ჯგუფებად ერთიანდებიან, მაგრამ შუა ასაკის მოზარდებში ჩნდება მიდრეკილება, გაერთიანდნენ ჰეტეროგენულ ჯგუფებში, ეს დაკავშირებულია მათ მეტყველებაში გარკვეულ ცვლილებებთან. მაგალითად, გოგონებში მატულობს ჟარგონის გამოყენების სიხშირე, რადგან ენობრივი სიმბოლოებით ახალი ჯგუფის წევრობა დასტურდება.

ახალგაზრდების ჟარგონში გვხვდება: 1) განსაკუთრებული სიტყვათა მარაგი, 2) განსაკუთრებული სტილისტური ფორმები, ფრაზეოლოგიზმები, სპეციფიკური სემანტიკური შეთანხმებები (კოლოკაციები), მაგალითად:

ფრაზეოლოგიზმი	მნიშვნელობა
• Ich glaub, mein Hamster bohrt.	Wenn ich etwas verrückt/doof finde.
• Ich glaub, mich knutscht ein Elch.	Verwunderung, Überraschung
• Ich glaub, mein Oma geht mit Ziwis.	etwas Unmögliches
• Ich glaub, ich steh im Wald	Ärger, Überraschung
• Alles Chicago.	Nichts verstanden
• Ich kann a hessisch babble.	Drohung
• Geh nach Bagdad Schnee schippen.	Wenn jemand Unsinn spricht
• Mein Holzbein kriegt Äste.	Wenn man entzückt ist
• Jetzt geht's rund, sprach der Specht und flog in den Ventilator.	Verblüffung, Freude

(Henne,1986,118)

გერმანელების მსგავსად მდიდარია ქართველი ახალგაზრდების საუბრები ჟარგონებით, ფრაზეოლოგიური ხატოვანებით. ქართული ჟარგონული ლექსიკა სხვადასხვა ფენისაგან შედგება. მასში გამოიყოფა როგორც საკუთრივ ქართული სიტყვები, ასევე ნასესხები ლექსიკური ერთეულები. ქართულ ჟარგონში მრავლად გვხვდება რუსულენოვანი სოციუმიდან მომდინარე როგორც რუსული, ასევე ეტიმოლოგიურად არარუსული ჟარგონული ლექსიკური ერთეულები. ზოგი ძალზე გამჭირვალეა და ერთი შეხედვით ბარბარიზმებს ჰგავს, თუმცა ხმარების სპეციფიკისა და გავრცელების არეალის მიხედვით ჟარგონს მიეკუთვნება.

(ქურდაძე, 2009). გთავაზობთ ხელთ არსებული ემპირიული მასალიდან ამოკრებილ მაგალითებს:

- გრელანდიის გაკეთება – ვინმეს ისე სცემო, რომ ფეხზე ვერ ადგეს
- ზღარბის მოსაქმება – განერიდო სიტუაციას
- რეაქცია ბუბლიკი – არ შეიმჩნიო რამე
- ტაფის დარტყმა – აზრზე მოსვლა
- ხელოვანთა ასოციაცია – ბორდელი
- უკაცოთა ასოციაცია – ქალები, რომელთა ქმრებიც ციხეშია
- ოფლიანი საჭმელი – ცხელი საჭმელი
- დედას ბუმტი – მსუქანი ბავშვი
- ჩონგურის ჩამოკვრა – გაგიჟება
- საკვერცხის დაზიანება – სექსუალური კავშირი
- კედელზე მინარცხება – სექსუალური კავშირი
- გუდასტვირზე დაკვრა – სექსუალური ურთიერთობა ასაკით უფროს კაცთან
- შტანგის აწევა – ვინმეს შეწუხება
- საფეთქლების დაკავება – დაუჯერებელი ამბის მოსმენა
- ხერხემლის ცახცახი – დაუჯერებელი ამბის მოსმენა
- პონტის აგდება – კარგი სიტუაციის შექმნა
- პონტის გამაზვა – ვერ მოახერხო კარგ სიტუაციაში მოხვედრა
- ზმანზე დგომა – თანამედროვედ, მოდურად ჩაცმა
- უნებართვოდ მიშენებული – მსუქანი ადამინი
- მიშენების პერსპექტივა – ადამინი რომელსაც მიდრეკილება აქვს სიმსუქნისაკენ
- მოგლეჯილი ბუჩქი – ცუდი ვარცხნილობა
- მელოტი კუ – მელოტი კაცი
- გადაჭრილი შვარცნეგერი – ათლეტური აღნაგობის დაბალი კაცი
- ქვირითის დაყრა – გალახვა, შეუქმნა პრობლემები ვინმეს
- ბარძაყიდან დაწყებული ზოლი – გაღუნული ფეხები
- სირთა ბელადი – უვარგისი ადამინი, ყველაზე ცუდი

- თვალების დახვევა – მოწონება
- ბრტყელი აზრი – ცუდი აზრი
- აფთიაქის სურვება – ცუდად ყოფნა
- სახის მიჟეშტვა – სახის დამახინჯება
- სახის შეშინება – მაკიაჟის გაკეთება
- თავის მიყენება – დაწყნარება, გაჩუმება
- ფურთხის მსტყორცნელი – ადამიანი რომელიც ხშირად აფურთხებს
- ატაკო ვინმეს – ხელი გაართყა ვინმეს
- ბეზის მატოციკლეტზე ჯდომა – გაგიჟება
- ბილაინზე შეერთებული – მახინჯი
- ძირს ხობვა – სიცილი და ა.შ.

ახალგაზრდების დისკურსი მდიდარია ხატოვანი გამოთქმებით, რომელსაც საფუძვლად უდევს ნორმატიული, ლექსიკონებში დაფიქსირებული მნიშვნელობები. შედარებაზე დაფუძნებული ახალგაზრდული მეტაფორებია:

- თავი აქვს ბოინის ძაღლივით
- თავი აქვს წათლილი ფანქარით
- თავი აქვს ადიგენის კარტოფილივით
- თავი აქვს ტყეში გაზრდილი კვახივით
- ცხვირი აქვს ბენზინის ფისტოლეტივით
- ზის მიტოვებული კუნძივით
- გამომეტყველება აქვს 8-ის 20 წუთივით
- თმა აქვს ელვაში დაბმულ თხასავით
- თმა აქვს ვედროში ნახათქუნებივით
- მუცელი აქვს მაკე ხვლიკივით
- სახე აქვს დაჭმუჭნული მოპარული ჟემტივით
- ძუძუები აქვს აქლემის კუზივით
- არის ნაწუწნი კამფეტივით
- არის ანატომიის ჩონჩხივით
- დადის ნაჩუქარი ინდაურივით

- არის ჭაჭანაჭამი ჭუკივით
- თვალები აქვს პალტოს ფოლაქებივით და ა. შ.

ხშირად გვხვდება ხატოვანების არმქონე მყარი გამოთქმებიც, შესიტყვებები. ტიპურია არაიდომატური ფრაზეოლოგიზმები, სემანტიკური შეთანხმებულობები, ე.წ. კოლოკაციები. სიტყვათა შეერთების სტრუქტურულ ტიპოლოგიაში გამოიყოფა ექვსი კოლოკაციის ტიპი, ესენია:

N +Adj	fetter Sound
N+V (Subj)	die Party steigen
N+V (Obj)	Witze reißen
N+Präp+N	Quatsch mit Soße
Adv+Adj	politisch korrekt
V+Adj	göttlich schmecken

(Hausmann, 1986, 399)

ახალგაზრდებში მეტად გავრცელებულია N+Adj და N+V(Obj)-ფორმის შესიტყვებების ტიპები. იშვიათად გვხვდება სხვა ტიპებიც მეტწილად გამაძლიერებელი ნაწილაკებით (Neuland, 2008,169).

N+Adj (არს.სახელს+ზედსართავი სახელი) – შესიტყვებების ეს ტიპი შედგება კონკრეტული ან მეტაფორული ბაზისისაგან (არს.სახელი) და კონკრეტული ან იდიომატური კოლოკატორისაგან (ზედ.სახელი). ახალგაზრდები დასახელებულ შესიტყვების ტიპს იყენებენ:

- საგნის ან მოვლენის დახასიათებისათვის, მაგალითად: fetter Sound; geile Mucke(Musik); cooler Schlitten (Auto); მაგარი ჯუზონი (მუსიკა); ქული სათვალე
- პიროვნების დახასიათებისათვის ან მიმართვის ფორმად: geiler Stift (Frau); du miese Ratte!;du alte Sau!;შე მელოტო კუ, ბებერო ძროხა
- ქცევის დახასიათებისათვის: coole Sprüche; dumme Sprüche, leeres Gerede; ცარიელი სიტყვები; წვეტიანი აზრი.

აღნიშნული მაგალითები მყარი შესიტყვებებია. არამყარ შესიტყვებებში საბაზისო სიტყვა უკავშირდება სხვადასხვა შემფასებლურ კოლოკატორებს (Androutsopoulos, 2006,222).

მაგალითად:

- შესიტყვებები, რომლის ძირითადი ლექსემაა „Sache“/„ვეში“ (вещь – ნივთი): geile/tolle/feine/coole/runde/...Sache; მაგარი/ სუპერი/სექსუალური ვეში
- შესიტყვებები, რომლის საბაზისო სიტყვა პირის აღმნიშვნელობა, როგორცაა მაგ, Typ/ტიპი და Gerät (ხელსაწყო)/სტანოკი (станок – დაზგა): netter/geiler/cooler/mieser/übler/... Typ; Geiles/steiles/heises... Gerät (Frau); სიმპათიური / უმაგრესი/ სუპერ ტიპი; ცხელი/ ათქვირებული / სექსუალური ... სტანოკი (ქალი)
- შესიტყვებები მუსიკის არქილექსემით: willenslose/coole... Nummer (Song); korrekte/klasse/satte/... Mucke(Musik); irrer/dufter/... Sound (Musik); მაგარი/სუპერ ... ნომერი

ახალგაზრდები სკონტანურ საუბრებში ამბობენ: tolle Sache, geile Sache, მაგრამ არა: ausgezeichnete Sache, erwähnenswerter Typ, wunderbarer Sound; არაჩვეულებრივი ნივთი.

ახალგაზრდებისათვის დამახასიათებელია მორე ტიპი N+V (არს.სახელს+ ზმნა), ძირითად ლექსემას – არსებით სახელს, უკავშირდება სოციოსტილისტიკურად შეფერილი, მეტაფორული კოლოკატორი – ზმნა (ფუნქციურზმნიანი შენაერთები). მაგალითად:

- Paras schieben (sich starke Sorgen machen)
- ein Mädchen aufreißen (mit erotischer Absicht kennenlernen)
- Frust schieben (empfinden)
- eine Show abziehen (darbieten,durchführen)
- გოგონას დაკერვა (ფლირტი)
- სიტუაციის აგდება (ორგანიზება)

(Wörterbuch der Jugendsprache 2008)

მსგავსი კოლოკაციების რაოდენობა შესაძლებელია განვივრცოს სინონიმთა ვარიაციული გამოყენებით, მაგ: . Kohle/Knete machen (Geld verdienen), აგრეთვე კოლოკაციური ზმნები დაუკავშირდნენ სხვადასხვა მნიშვნელობის მქონე არს.სახელებს და შექმნან ახალი შესიტყვებები, მაგ:

ცხრილი 13.

KOLLOKATOR	SEMEM	BASEN
<i>(ab)schieben</i>	a)ausführen b)empfinden	<i>Dienst/Garde/...</i> <i>Furst/Depri/gute laune/</i>
<i>schmeißen</i>	a)einnehmen b)abbrechen c)veranstalten	<i>Drogen/Trips/Pillen/...</i> <i>Lehre/Job/Studium/...</i> <i>Party</i>
<i>aufreißen</i>	a)kennenlernen b)sich etw.verschaffen	<i>Frau/Tussi/...</i> <i>Kohle/Job/...</i>

(Androutsopoulos, Jannis,2006,227)

ახალგაზრდების მეტყველებაში კოლოკაციების გამოყენების მაგალითი:

Jugendsprache	Normal-Deutsch
ich Chaot hatte keine Matte mit, weil ich meinen Kaftan vergessen hatte, <u>dumme Sache</u> , sagte zu Peter, er soll mal ausklicken. In dem Schuppen <u>zogen</u> ein paar People schon eine <u>heiße Show ab</u> . Wir <u>machten</u> einen kurze <u>Fleischschauung</u> und Peter	Dummerweise hatte ich kein Geld dabei, weil ich mein Jackett vergesen hatte und bat Peter, er möchte für mich zahlen. In dem Lokal sorgten einige Leute gehörig für Stimmung. Wir sahen uns etwa um, und Peter begann mit einem hübschen Mädchen zu flirten. Sie

machte sich sofort daran, einen riesige <u>Tussi anzugraben</u> . Die war echt einsam, aber ich <u>hatte</u> einfach <u>keinen Schlag</u> bei ihr	war wirklich ausnehmend schön, aber ich hatte keine Chance bei ihr.
---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	---------------------------------------------------------------------

(Neuland, 2008,11).

კოლოკაციის ამ ნიმუშში ახალგაზრდებმა გამოიყენეს გამოთქმა: dumme Sache, ამით შეფასდა ის ცუდი სიტუაცია, რაც საფულის დავიწყებით შეიქმნა, აგრეთვე: Heiße Show abziehen – კარგი განწყობის შექმნას. აქ საინტერესოა კოლოკაციის ორი ტიპის შერწყმა N+Adj (Heiße Show) და N+V (Show abziehen). Fleischbeschauung machen ნიშნავს – გოგონების დათვალიერებას, Tussi angraben – გოგონასთან ფლირტს, Keinen Schlag haben – უიმედობას, შინაარსის არ ქონას.

გერმანელი ახალგაზრდები ხშირად იყენებენ ფუნქციურზომიან გამოთქმებს machen/kriegen + არს. სახელი, სადაც ნომინალური ნაწილი შესაძლებელია მეტაფორულიც იყოს:

ცხრილი 14.

kriegen	machen
einen Abgang kriegen (ejakutieren)	Einen Abgang machen (davongehen)
Ärger kriegen (Probleme bekommen)	Ärger machen (ärgern)
Trouble kriegen (Probleme bekommen)	Truble machen (ärgern)
Die Panik kriegen (in Panik geraten, panisch werden)	Panik machen (in Panik versetzen)
Power kriegen (unter Druck gesetzt werden)	Power machen (in Gang kommen)

(Vgl: Androutsopoulos, 2006,230-234).

მსგავსი შესიტყვებები არ გვხვდება ქართველ ახალგაზრდებთან. ქართულ ენას ასეთი გამოთქმები ნაკლებად ახასიათებს, უბრალოდ არ სჭირდება, ვინაიდან ზმნა 14 გრამატიკულ კატეგორიას აღნიშნავს.

გერმანულ მოზარდებში თვალშისაცემია kein უარყოფითი არტიკლის ნაცვლად null/nix-ის გამოყენება, მაგ: ich habe null(nix) Probleme, da war null (nix) Alkohol angesagt. ძირითადად გვხვდება ორი კონსტრუქცია es gibt + null+ N (es gibt null Schwierigkeiten), და null +N+ haben აქ შესაძლებელია როგორც თავისუფალი, ასევე ფრაზეოლოგიური შესიტყვებები, მაგ: null Chance haben, ფრაზეოლოგიზმია: null Ahnung haben, null Bock haben. null/nix გამოიყენება ასევე უარყოფითი ნაწილაკის nicht-ისა და სინტაგმების gar nicht, überhaupt nicht ნაცვლად, მაგ: Themen, die mich null interessieren; Auf Daniel verlasse ich mich nix; das passt null zum Sound; Lohnt sich null; Nix weggehen (Androutsopoulos, 2006). ქართველ ახალგაზრდებთან გვხვდება “ნული”. მაგ: “მის საქციელზე ჩემი რეაქცია იყო ნული”.

მოზარდები მეტყველებაში ჟარგონის გამოყენებას მოდურობად თვლიან. ჩვენი კორპუსის ანალიზი გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ ჟარგონის გამოყენების სიხშირე გოგონებსა და ბიჭებშიც თითქმის ერთნაირია, განსხვავება გვხვდება სიტყვათა არჩევანში.

12-18 წლის ქართველი გოგონებისა და ბიჭების ჟარგონული სიტყვების გამოყენება მოცემულია შემდეგ ცხრილში:

ცხრილი 15.

ჟარგონი	მნიშვნელობა	გოგო (იშვიათად -; ხშირად +)	ბიჭი (იშვიათად -; ხშირად +)
გადაკეტვა	ვეღარ იაზროვნო	+	+
ბოდვა	ოცნება	+	-
გაჭედვა	ვერ გაიგო ან ვერ გააგებინო ვინმეს რამე	+	-
დარხევა	ცუდადაა საქმე	-	+

დაჩმორება	დაჯაბნა	-	+
დაცემა	განცვიფრება	+	+
ჩაფსმა	განცვიფრება	+	-
გახურება	ჭირვეულობა	-	+
მიცოფვა	ჩხუბი	-	+
დამკვრელები	ცუდი რეპუტაციის ქალები	-	+
შომპოლი	მამაკაცის სასქესო ორგანო	-	+
ტაშა	მამაკაცის სასქესო ორგანო	-	+
შამბალა	მამაკაცის სასქესო ორგანო	+	-
ოქრო	მაღალი პოტენციის მქონე მამაკაცი	-	+
ბიჯგა	მსუქანი ადამიანი	+	-
ცელკა	ქალიშვილი გოგონა	-	+
ცისარტყელა	პროსტატის დაავადება	-	+
კოკორი	ქალიშვილი გოგონა საჯდომი	-	+
ციკოკო	გოგონა, რომელმაც ქალიშვილობა დაკარგა	-	+
პრიშიკა	გოგონა პატარა მკერდით	-	+
ჟერთე-ბერთე	გაუგებარი საუბარი	+	-
ცვეტში	1)საუბრის დაწყების სიგნალი 2)იმ დროს	-	+
პონტი	სიტუაცია	+	+
თუხთუხი	ცეკვა	+	-
აჩლიქოსნება	ცეკვა	+	-
მანდილოზავრი	ცუდი გარეგნობის ქალი დიდი ნაკვთებით	-	+
კონკილოზავრი	ქალი დიდი ყბით	-	+

კონკილა	კაცი დიდი ყბით	-	+
ზვიანგი	ფართე სახის ადამიანი	-	+
სიზიმთრი	საზამთრო და სიმინდი	+	-
ჩანა-დანგალი	დანა-ჩანგალი	+	-
დალოსტება	დაკარგვა	+	-
ჰაშ-ჰაშ	ჩანაცვლება ვულგარული სიტყვის	+	-
წაბრძნულსტატუსება	შეცადო,რამე სერიოზული თქვა და არ გამოგივიდეს	+	-
მიმარშუტკუკანასკამება	დაჩაბნა	+	-
მიჰიტლერკაპუტება	გალახვა	-	+
დაზინგერება	გალახვა	-	+
წამოყენება	აზრზე მოყვანა	+	-
დაცემა	ძალიან მოგწონს რამე	+	+
ფოფხორი	ინდოური	+	-
მეფურთხეთუხუცესი	ადმიანი, რომელიც ხშირად აფურთხებს	+	-
ჯაგა	უინტელექტო ადამიანი	+	+
კუწუნა	თმის სამაგრი	+	-
გასქურვა	წასვლა	+	+
მოსქურვა	მოსვლა	+	+
ბონძლი	ცუდი გარეგნობის გოგო	+	-
კვაზი	ცუდი გარეგნობის ბიჭი	+	-
გონჯილა	ცუდი გარეგნობის ადამიანი	-	+
სირობა	სისულელე	+	+
სირული	სულელური, უაზრო	+	+
სირი	უვარგისი კაცი	+	+
ლაჟღაჟი	სიგიჟე	+	
მურტყლი	გამონაყარი სახეზე	+	-

ჯუმბერი	გამონაყარი სახეზე	+	-
სისხლი	ტუჩის საცხი (პომადა)	-	+
სლექი	ძალიან კარგი	+	-
გონძო	ცუდი გარეგნობის ბიჭი	+	-
გონძოლა	ცუდი გარეგნობის გოგო	+	-
ქუულ (კალკი)	კარგი (მაგარი)	+	
ტასაობა	სიარული, სეირნობა	+	-
ფორმულა	სამარშრუტო ტაქსი	+	-
ბუნკერი	სკოლა	+	+
აქროლვადი	სუსტი	+	-
ხრეში	ხურდა ფული	-	+
ძლინკი	მეორადი მოხმარების ნივთი	+	-

თვალსაჩინოა, რომ ჟარგონის გამოყენების სიხშირით გოგონები ბიჭებს უტოლდებიან (გოგონები-55%, ბიჭები-60%). ქალთა მეტყველების სტერეოტიპული ნიშანი – მეტი ენობრივი ვარიაციების გამოყენება – გოგონებში მკაფიოდ ჩანს. ისინი ყველანაირად ცდილობენ, გაკვეთილზე იმეტყველონ სწორად, მათი მეტყველება ოჯახშიც ახლოა ენობრივ ნორმებთან. მეგობრებთან ურთიერთობისას ისინი ინტენსიურად იყენებენ ჟარგონს, რაც ჯგუფთან კოოპერაციული მიმართების და მოდურობის ნიშანია. გოგონები ფლობენ სიტუაციით განპირობებული ენობრივი ვარიანტების მდიდარ მარაგს, რასაც ვერ ვიტყვით ბიჭებზე. მათი მეტყველება სტერეოტიპულია და სიტუაციის მიხედვით ნაკლებად ცვლადი.

4.2.5. ელიფსები და რუტინები

ახალგაზრდების საუბარი გამოირჩევა ელიფსებისა და ტრადიციად ქცეული ფრაგმენტული გამოთქმების, იმავე რუტინული ფორმულების გამოყენებით (Schlobinski/Kohl, 1993, 105). ელიფსი სინტაქსური შეკვეცა, ხოლო ფრაგმენტი – ერთწევრიანი წინადადებაა (Vgl. Trask, 1993,160). სალაპარაკო ენის საკომუნიკაციო სტილი და სინტაქსურად ძალიან შეკვეცილი ექსპრესიული საუბრის სტილი ერთმანეთისაგან განსხვავდება. ახალგაზრდებისათვის დამახასიათებელია „ფორმულებით კომუნიკაცია“ მაგ: Mädchenpott okay(.) aber da eine rauchen(.) scheiße (Androutsopoulos, 2006,293).

„ფორმულებით კომუნიკაციისათვის“ ახალგაზრდები ძირითადად იყენებენ სამი ტიპის ელიფსს:

- კითხვა-პასუხის მეორე ნაწილის შეკვეცა, აქ შედის მოსმენისა და პასუხის გაცემის სიგნალები
- ექსპრესიული შემახილი, წამომახილი
- ყველა სახის ელიფსური თუ რუტინული ფორმულა, მაგ: kann man nix machen; kann man!; muss man!; musste sein: geht so: geht nicht: geht okay (Klein 1993, 768).

გერმანელი ახალგაზრდები კოპულას, დამხმარე ან უპირო (es geht) ზმნებს, ჩვეულებრივ, არ წარმოთქვამენ, არც პირის ნაცვალსახელს ლექსიკურ შენაერთში, როგორცაა es ist/das ist:

1. Naja,[] nicht mein Geschmack!
2. Für Punk [] sicher eine lohnende Investition
3. [] bin zurückgekommen.
4. Okay [] genug gejamert
5. Wir [] alle total im Traum
6. Wir [] also ersma Bier gekauft

1 და 2 მაგალითში რედუცირებულია es/das ist, 3,4-ში პირის ნაცვალსახელი ich, 5 – კოპულატური ზმნა, 4,6 – დამხმარე ზმნა.

მაგალითში 8 წინადადებიდან 5 ელიფსურია:

1. H: eh , ich kenn eine
2. O: wen denn?
3. H: C (Name)
4. O: ah das ist schon was
5. Die kochen?
6. Spinnst du eigentlich?
7. H: doch die kann alles machen
8. O: ja, Würstchen Würstchen, jajaja, scheiße

(Androutsopoulos, 2006,298).

პირველი წინადადება ლექსიკური ელიფსია, შეკვეცილია პირდაპირი დამატება: ich kenn eine..., სავარაუდოდ, Frau, die kochen kann. მე-2,3 წინადადება კითხვა-პასუხის ელიფსია, მე-5 – ელიფსური წინადადება: Die kochen? რაც განცვიფრების გამოხატვის სინტაქსური ნიმუშია. საინტერესოა ბოლო წინადადება, რომელიც ორი გამყოფი ნაწილაკისაგან შედგება: ja (გამყოფი ნაწილაკი), Würstchen Würstchen (ბირთვი), jajaja (გამყოფი ნაწილაკი) scheiße (ბირთვი). არსებითი სახელი Würstchen არის სინტაქსური ობიექტი, რომლის სუბიექტი (sie) და პრადიკატი (machen kann) შეკვეცილია. მოსაუბრეს O-ს სურს თქვას: იმ ქალს, რომელზეც საუბრობს H, მხოლოდ სოსისის მომზადება შეუძლია. შემდეგ იმეორებს დისკურსის ნაწილაკებს jajaja და იყენებს შემფასებლურ ნაწილაკს scheiße, რითაც წინადადებას ანიჭებს ექსპრესიულობას და გამოხატავს უარყოფით დამოკიდებულებას ამ ქალის მიმართ.

სინტაქსურად რედუცირებულ საუბრის სტილს განაპირობებს სურვილი ისაუბრონ სწრაფად, იყვნენ ლაკონური, სხარტი. მოკლე წინადადებების გამოყენება ბიჭებისათვის უფრო დამახასიათებელია, შესაბამისად ელიფსები და რუტინები მათ მეტყველებაში მეტია. სამაგიეროდ გოგონებთან უფრო ხშირია არა ელიფსური წინადადებები, არამედ შეკვეცილი სიტყვები, რითაც ისინი თავიანთ საუბარს უფრო გაუგებარს, გასაიდუმლოებულს ხდიან. მაგალითად: გკ (გაკოცე), გა (გამარჯობა), მიყ (მიყვარხარ), სიყ (სიყვარულო), სიხ (სიხარულო), ნშტ (ნუ შეჭამე ტვინი).

რედუცირებული ექსპრესიული ენობრივი საშუალებებიდან გამოიყოფა:
 1) ექსპრესიულობის გამომხატველი ნაწილაკები: bäh, wow, ach, boach, total; ვოვ, აუ, ეუფ, ვაუ, ახ, ოხ (war er total so blond?; აუ რა მაგარია) სეგმენტაციის –

დაყოფის ნაწილაკები: okay, ja, also, ey, so; ესე იგი, ხოდა, ნუ, რო (das kotzt mich an, ey/ ხოდა მოხვდა სიფათში), კითხვა-პასუხის ნაწილაკები: ne? wa? oder? ხო?, არა? (war ganz okay, oder?/ შენც წამოხვალ, ხო?) 2) მოდალობის გამომხატველი სიტყვები, მაგ: echt, nee, wirklich; მართლა, ზუსტად, იმენა (voll der volle Hammer, echt ,echt schön; მართლა სუპერ კაბა იყო). მომდევნო მაგალითში გოგონები ათვალისებრ სურათებს, იყენებენ ექსპრესიულობის გამომხატველ ნაწილაკებს და სიტყვებს:

1. A: ასე უნდა დავიმოკლო თმა
2. B: კაია კი
3. მარა შენ გრძელი სახე გაქ
4. მაგას მრგვალი
5. A: ჰო მაგარი კაცია? ნახე (.) ((აჩვენებს მეგობრებს სურათებს კომპიუტერში))
6. B: აუ დავეცი კაცია↑
7. A: ჩამარტყით (-)
8. ეგი ნახე (.)
9. B: ვინაა?
10. A: (სახელი)
11. B: ეგია?
12. ვოლოვ რა ქალია <((rall))>
13. აქ რა კაია
14. A: რა? ისე გლახაა?
15. B: აქ სულ სხვა ტიპია(.) რაღაცა იმენა მაგარი
16. A: აჰა (-) ნახე
17. ქალი დაცემა მყავს
18. B: დაცემა მართლა (-)
19. რამდენი წლისაა?
20. A: 34 (.)
21. B: ვაა
22. G: ვოლოვ
23. A: ჩემი ანგელოზიაააა
24. ჩემი ლამაზიაა<((acc))>
25. B: აუ მაგარია
26. A: [ვგიჟდები ამ ქალზე
27. B: [ვაფშე არ გეგონება 34-ის

28. G: 25 წელსაც ვერ [მისცემ]

29. A: [ჩემი ლამაზიიიი]

მუქად დაწერილი სიტყვები რუტინების მაგალითებია ახლგაზრდა ბიჭების ინტერვიუდან:

1. I: Wenn ihr euch über etwas sehr freut, wie druckt ihr das sprachlich aus?
2. A: **UAU! Brutal geil!**
3. B: OAH
4. A: **Urgeil**
5. I: Und, wenn euch etwa total ärgert?
6. A: **AH, Menno!**
7. B: **Scheiße**
8. A: **So`n Fuck**
9. I: wenn euch etwa wahnsinnig ärgert, wie druckt ihr das sprachlich aus?
10. C: isch ja, **voll der Schott** oder **echt beschissen** oder solche Sache. (Androutsopoulos, 2006,292)

იგივე შეკითხვები დავუსვით ქართველ ახალგაზრდებს. გამოკითხვის მიხედვით:

- ბიჭები სიხარულს გამოხატავენ შემდეგნაირად: მაგარიააა, სალოლ, გაასწორა, ააააა, ვაუ
- გოგონები – ვაააა, ვა რა მაგარიააა, კუუულ, ვოოოვ, გავჭედეეეე, წავიქეციიი, ვფართხალეეეეეებ, ვხობაააავ
- გაბრაზება ბიჭებში გამოიხატება ასე: ფუ შენი, აუ მაგისი, ბოზიშვილი ვიყო, ძაღლიშვილი ვიყო, აუ ჩემი, შე კარგ მო...¹² შე გიჟო, შე სირო, შე გადარეულო, შე მამაცხონებულო, შე ოჯახქორო.
- გოგონებში – ფუ ჩემი, ტეხავს, ფუ ბლიად, დებილო, ბოთე, შე ძროხა, შე უპატრონო, შე მოსავლელი,
- განცვიფრება ბიჭებთან, მაგალითად: მაგარია, დაიგინე, დაგლიჯა
- გოგონებთან – აუ, არ არსებობს და ა.შ.

¹² განსაკუთრებით ვულგარულ სკაბრეზულ გინებას აღვნიშნავთ მრავალწერტილით

როგორც ვხედავთ, ქართველი გოგონები და ბიჭები ერთნაირად, გერმანელების მსგავსად, უარყოფითი და დადებითი ემოციის გამოსახატავად იყენებენ ელიფსებს.

4.2.6. ციტირების მარკერები

სხვისი საუბრის გადმოცემას ახალგაზრდები, უფრო გოგონები, იყენებენ პიროვნებების სტილიზირებისათვის. სხვისი საუბრის გადმოცემა მნიშვნელოვანი ეფექტური რესურსია დისკურსის მსვლელობის დროს, მას თხრობაში: „დრამატიზმი და დინამიკა“ შეაქვს (Brunner, 1991, 7). მოზარდები იყენებენ სტილიზირების სხვადასხვა მეთოდს, ერთ-ერთია სხვისი საუბრის გადმოცემა მარკირებული ხმით.

საუბრის გადმოცემა მარკირებული ხმით ეფექტური საშუალებაა მსმენელი მიხვდეს, თუ ვის სტილიზირებას ახდენს აქტუალური მოსაუბრე. არა მხოლოდ ნათქვამი გადმოიცემა პირდაპირ, არამედ იქმნება წარმოდგენა იმ პიროვნებაზე, ვისი სიტყვების ციტირებაც ხდენა. მაგალითად, ახდენენ პატარა ბავშვის ხმის იმიტაციას, რათა ის პიროვნება, ვის საუბარსაც გადმოსცემენ, წარმოაჩინონ როგორც სულელი და მიამიტი ან აჩვენონ პიროვნება, რომელიც დედის კალთასაა ამოფარებული, მაგალითად:

(გოგონები A,G , ბიჭი B) (14-15წ.)

- 1 A: აუ:: ამის ცხვირის გატეხვა ((იციანის))
- 2 [პირველად სტოლბას დავეტაკე ((ზოხი ხმით))
- 3 B: [აუ არა ((იციანის))
- 4 A: მეორეთ ბურთი მომხვდა ((ზოხი ხმით))
- 5 B: მასე არ ვლაპარაკობ მე
- 6 A: მესამედ ზახვატი გამიკეთეს ((ზოხი ხმით))
- 7 ((ყველა იციანის))
- 8 G: აუ ის რო გყავდა?
- 9 B: ვაი ჩემიიიიი °°bla°°
- 10 A: წამოდი გოგოოოო ((ზოხი ხმით))

- 11 B: პირი მიშრებოდა და ((იცინის))
 12 G: პირი გიშრებოდა?
 13 B: ო::: აჰა ანგელოზივით ბოვში რო დამიყენეთ წინ
 14 A: (h) ეს ბიძია მოზარდია ((პატარა ბავშვის ხმით))

გოგონები ყვებიან, B-მ როგორ გაიტეხა ცხვირი, ციტირებით, იმიტირებით, მარკირებული ხმით (სტ: 2,4,6,10,14), რითაც თხრობას უფრო სცენიურს და სახალისოს ხდიან.

სხვისი ან საკუთარი სიტყვების ციტირებისას იყენებენ ციტირების მარკერებს: 1) nach dem Motto; 2) von wegen; 3) und dann; 4)so; 5) na und

მაგალითად:

- 1) Das ist nun kein Aufruf, sich nur rumzuprüdeln, aber einfach nach dem Motto :“ Wehr dich, Lass die nichts mehr gefallen“
- 2) Und dann kommst du und erzählst uns hier von wegen Eigenes Leben so gestalten, dass eine Rettung denkbar wird
- 3) Total brutaler, fieser Lump und ich na und: “ ja ok, super, los“ na und hat er mir diese Schieße in den Mund geblasen.
- 4) Ich habe gesagt so: cool und er so: hä? Und ich so zu ihr: was willst du Kampfschwein

(Androutsopoulos 2006, 316)

თითქმის იგივე მარკერებია ქართველ მოზარდებთან: და, ხოდა, ხო კიდე, და მერე, ასე, ნუ. მაგალითად:

ხოდა, ასე თქვა მე თანამედროვე ბიჭი ვარო, ხო კიდე, როგორი ბიჭები მოგწონსო, ნუ, სხვანაირ პონტში საქმე რო იცოდესო და მერე, მაგნაირი ჩემს პონტში არავინ არაათქო.

4.2.7. ენობრივი საშუალებების შეჯამება

ემპირიული მასალის ანალიზის იძლევა საშუალებას დასკვნები გავაკეთოდ ბიჭებისა და გოგონების მეტყველებაში არსებული სხვაობის შესახებ.

განვსაზღვროთ მოზარდების მეტყველება ოთხი კრიტერიუმით: სინტაქსი, ლექსიკა, პრაგმატიკა და კოგნიცია (იხ. ცხრილი 16.). ბიჭებთან შედარებით გოგონების მეტყველება უფრო ვარიაციულია. ისინი იყენებენ გრძელ, კომპლექსურ და არა სტანდარტულ წინადადებებს, ბიჭები კი – მარტივ, შედარებით მოკლე და სტერეოტიპულ წინადადებებს. გოგონათა სიტყვათა მარაგი უფრო მდიდარი და დიფერენცირებულია. პრაგმატიკისა და კოგნიციის დონეზე გვაქვს შემდეგი სხვაობები: გოგონების ეფექტურობა საუბრის დროს არაპირდაპირია, ბიჭების – პირდაპირი. გოგონები ხშირად იყენებენ კითხვით წინადადებებს, ბიჭები – ბრძანებითს. ორივე სქესთან ხშირია პაუზა, დაფიქრება, დისკურსის მინიმალური რეაქციების გამოყენება. გოგონების მეტყველება უფრო მრავალფეროვანი, სრულყოფილი და ჩამოყალიბებულია, ვიდრე ბიჭების. გოგონები ადრეულ ასაკში მწიფდებიან არა მარტო ბიოლოგიურად, არამედ ფსიქოლოგიურადაც. სიტუაცია იცვლება მოზარდობის შუა ასაკში. ამ პერიოდში ბიჭების მეტყველება იხვეწება, უფრო მრავალფეროვანი ხდება. მიუხედავად იმისა, რომ სკოლის ასაკის პერიოდშიც ნაკლებად არიან სქესობრივად თუ ფსიქოლოგიურად მომწიფებულნი, მაინც კარგად ავლენენ მამაკაცური მეტყველების განმსაზღვრელ ნიშნებს: სიმოკლეს, არასტანდარტულობას.

ცხრილი 16.

კრიტერიუმები	გოგონა	ბიჭი
წინანადებების წყობა	კომპლექსური	მარტივი
წინანადებების სიგრძე	შედარებით გრძელი წინადადებები	შედარებით მოკლე წინადადებები
წინანადებების ნიმუში	არა სტერეოტიპული	სტერეოტიპული

	ვარიაციების სფერო	დიდი	შეზღუდული
სიტყვათა მარაგი	ზედსართავი სახელები, ზმნიზედები	დიფერენცირებული, მრავალი	შეზღუდული
	ეფექტურობა	არაპირდაპირი	პირდაპირი
პრაგმატიკული და კოგნიციური ურთიერთ-დამოკიდებულება	კითხვები	ხშირი	იშვიათი
	ბრძანებები	იშვიათი	ხშირი
	პაუზა/დაფიქრება	ხშირი	ხშირი
	მინიმალური რეაქციები	ხშირი	ხშირი

ზემოთქმულიდან ცხადი ხდება, რომ ახალგაზრდების დისკურსი განსაკუთრებულია, ის სტანდარტული ენის ვარიაციაა თავისი სპეციფიკური ენობრივი და სტილისტიკური საშუალებებით. ახალგაზრდები გარესინამდვილეს კატეგორიებად ყოფენ, ახდენენ მათ სახელდებას, თვისებებისა და ნიშნების გამოყოფას. აქვთ სპეციფიკური მისაღმებისა და მიმართვის ფორმები. ქმნიან ახალ სიტყვებს, ძირითადად, კომპოზიციისა და დერივაციის საშუალებით, უცვლიან სიტყვებს მნიშვნელობებს. საუბარში ხშირად იყენებენ დისკურსის ნაწილაკებს. ჭარბობს ავსიტყვაობა, ჰიპერბოლები, ჰიპერბოლური წინადადებები, მზა ფრაზების გამოყენება. მაღალია ჟარგონის და დიალექტის გამოყენების სიხშირე. ახალგაზრდული ჟარგონი შეიცავს განსაკუთრებულ სიტყვათა მარაგსა და სტილისტიკურ ფორმებს. ახასიათებთ ელიფსები, რუტინული ფორმულები, “საიდუმლო ენა”, ექსპრესიულობის გამომხატველი ნაწილაკები და მოდალური სიტყვები, მიმართავენ მარკირებულ ხმას, ციტირებას, იმიტაციას, ციტირების მარკერებს და სხვა.

4.3. გოგონებისა და ბიჭების დისკურსის დინამიკა – კოოპერაციული და კომპიტიტიური საუბრის სტილი

საინტერესოა ინტერაქციის დინამიკის საკითხი ახალგაზრდების დისკურსში. ინტერაქციის დინამიკა ეხება, მაგალითად, გოგონას ან ბიჭის როლს საუბარში. ამ საფეხურზე აუცილებელია ჯგუფის ეთნოგრაფიული ცოდნა, მოსაუბრის ჩვეული როლი ჯგუფური კომუნიკაციის დროს. კონკრეტულ სიტუაციაში მოსაუბრე პასიურია თუ აქტიური, საუბარი კოოპერაციულია თუ შეფერხებით მიმდინარეობ, გამოვლენილია თუ არა საუბრის მხარდამჭერი რეაქციები, თუ საუბარი მიმდინარეობს კომპეტიტიურად, საბრძოლო, კონკურენციით აღსავსე ბრძანებითი წინადადებებისა და დირექტივების გამოყენებით (Depeermann/Schmidt 2003,34).

4.3.1. დირექტივების ტიპები ახალგაზრდების მეტყველებაში

დირექტივა საუბრის აქტია, რომლის საშუალებითაც მოსაუბრე ადრესატს რაიმე მითითების შესრულებას ავალეს. დირექტივა შეიძლება იყოს ბრძანება, თხოვნა, აკრძალვა. იგი გამოიხატება არა მხოლოდ ბრძანებითი ფორმის წინადადებით, არამედ აგრეთვე, ინდიკატიური დეკლარაციული წინადადებით (du kommst jetzt sofort hierher), დეკლარაციული წინადადებით კონიუნქტივში (man nehme zweihundert Gramm), ინფინიტიური ფრაზით (Alle mal herhören), მიმღობით (Stillgestanden), ელიფსური გამოხატულებით (Ein Helles, hierher), უპირო პასივით (Hier wird nicht gemeckert), კომპლემენტური წინადადებებით (dass ihr mir ja nicht zu spät kommt!), მოდალური ზმნებით (Du sollst jetzt kommen!) (Bußmann 2008, 169). განასხვავებენ დირექტივების სუსტ და ძლიერ ფორმებს. ძლიერი დირექტივა პირდაპირი, მკაცრი მითითებაა, სუსტი – მითითებაა, მაგრამ არა

მკაცრი¹³. დირექტივის ფორმის შერჩევა, განსაზღვრავს დისკურსის დინამიკას. კოოპერაციული საუბრის დროს, ამჯობინებენ უფრო სუსტი ფორმის დირექტივებს, კომპეტითური საუბრის დროს – ძლიერი ფორმის დირექტივებს. მეტყველებაში დირექტივის კონკრეტული ფორმის შერჩევა ხდება სტატუსის მიხედვით, ის განაპირობებს ინტერაქტანტთა ურთიერთდამოკიდებულებას.

4.3.2. საუბრის მხარდამჭერი მინიმალური რეაქციები

საუბარის კოოპერაციულად წარმართვისათვის აუცილებელია მსმენელის მხარდაჭერა. ამისათვის გამოიყენება დისკურსის ნაწილაკები, მინიმალური რეაქციები, როგორცაა: აუ, ჰო, აჰა, აგრეთვე ჟესტიკა, მიმიკა. მათი დახმარებით შესაძლებელია გაარკვიო, რამდენად ყურადღებიანია მსმენელი. ცნობილია საუბრის მხარდამჭერი რეაქციების შემდეგი სახეობები:

- საუბრის მინიმალური მხარდამჭერი რეაქცია, რომელიც მხოლოდ ბგერებისაგან შედგება (Hmm, mhm)
- საუბრის მხარდამჭერი რეაქცია, რომელიც სიტყვებისაგან შედგება (ja, genau, nein)
- საუბრის მხარდამჭერი რეაქცია, რომელიც დასრულებული წინადადებებისაგან შედგება (Gräsler, 2002,25).

4.3.3. საუბარში ჩარევისა და გაწყვეტინების ფაქტორები

საუბრის შეწყვეტა ლინგვისტიკაში ძალაუფლების ნიშანია (West /Zimmerman, 1983, 103). სიტყვის შეწყვეტის ზუსტი დეფინიცია დღესდღეობით არ არსებობს (Kotthoff, 2006, 2503). ცალკეული ლინგვისტების მოსაზრებით, სიტყვის შეწყვეტა საუბრის უფლების დარღვევას ნიშნავს. ეს არის სიტუაცია,

¹³ იხ. თავი 3.3.1.2.

როცა მოსაუბრე პირები სიმულტანურად საუბრობენ და ერთმანეთის საუბრის გადაფარვას ცდილობენ (Ayaß, 2008 , 74).

კონვერსაციულ ანალიზში განასხვავებენ: ა) სიტყვის შეწყვეტას და ბ) ორი ან მეტი ადამიანის ერთდროულ საუბარს (Kotthoff, 2006, 2503). ერთდროული საუბარი მხოლოდ მაშინ ითვლება სიტყვის შეწყვეტად, თუ ადამიანი ვერ ახერხებს აზრის ბოლომდე გამოთქმას, თუ ის იწყებს საუბარს და პარტნიორი არ აძლევს თემის განვითარების საშუალებას, მაგალითად:

A - ich glaube, **dass**

B - **Möchtest** du noch etwa Salat? (Thannen, 2004, 209).

შავად დაწერილი სიტყვები წარმოთქმულია ერთდროულად. B აწყვეტინებს Aს საუბარს და შემოაქვს სხვა თემა. ერთდროული საუბრის მსგავსი ნიმუში ითვლება სიტყვის გაწყვეტინებად.

თუ ერთდროულ საუბარს კოოპერაციული ფუნქცია აქვს, ის არ ითვლება სიტყვის გაწყვეტად, ის შეიძლება სოლიდარობისა და ჰარმონიის გამოხატულებაც იყოს. შემდგომი მაგალითი გვიჩვენებს, რომ მოსაუბრენი სიმულტანური საუბრით არ ცდილობენ ერთმანეთს სიტყვა შეაწყვეტინონ, პირიქით, ხელს უწყობენ საუბრის წარმართვას:

A - ich denke, dass es grundsätzlich schädlich für Kinder ist. das Gute, das vielleicht dabei ist, wird vom Schlechten **überwogen**

B - **habt** ihr zwei als Kinder Fernsehen geguckt?

A -Sehr wenig. Wir hatten einen Fernseher in den **Nissen-**

B- **Wie** alt wart ihr als euere Eltern ihn anschafften?

A – Wir hatten zwar einen Fernseher, aber wir saßen nicht dauernd davor. Wir waren noch ziemlich klein. Ich war vier, als meine Eltern sich einen Fernseher **anschaffen**

B – **Vier**

(Thannen 2004,216).

სიმულანტურ საუბარს ზოგჯერ „დამხმარის“ ფუნქცია აკისრია. ქვემომოყვანილ მაგალითში მოსაუბრე ვერ იხსენებს სიტყვას და მას მსმენელი ეხმარება:

- A – Nur tut es mir leid für die ver-
(kurze Pause) (atmet aus) (kurze Pause)
A –... lo: renen Jahre
B –... hunzten Jahre (Thannen, 2004,218).

4.3.4. გენდერული დინამიკის მახასიათებლები საუბრის პროცესში

როგორც უკვე აღინიშნა, ზრდასრული ქალები მეტი რაოდენობის კოოპერაციული ფუნქციის მქონე საუბრის მხარდამჭერ რეაქციებს იყენებენ, მამაკაცები უფრო კომპიტიტიური ფუნქციის მქონე საუბრის მხარდამჭერებს. ქალური საუბრის მანერისათვის დამახასიათებელია კოოპერაციული საუბრის შეწყვეტა, მამაკაცურისათვის – კომპიტიტიური საუბრისა. მოზარდები თითქოს ზრდასრული ადამიანების მეტყველების კოპირებას ახდენენ, სინამდვილეში, ისინი არ ბაძავენ უფროსებს. სქესისთვის სპეციფიკური გენდერული გამოხატულებები მათში დაბადებიდანვეა კოდირებული და ფორმირება ხდება ერთსაკოვან ჰომოგენურ ჯგუფებში. გენდერული დინამიკა ახალგაზრდების დისკურსში ასე წარმოგვიდგება:

(ქართველი ბიჭები ჩხუბობენ ბურთის თაობაზე)

- 1 A: შენ წახვალ
- 2 ბურთი↑
- 3 B: ვის ეუბნები ბიჭო ↑ [გადი ბიჭო რა: რა გინდა რა↑
- 4 A: [შენ წახვალ.
- 5 B: ნუ იჭყანები თორე::: რო გლეწავ ახლა:: [ნუ იჩმორებ შენ ყველას
- 6 A: [ვინც გადააგდო. იგი წავა (-)
- 7 B: არ წავალ ბიჭო↑
- 8 A: წა:::ხვა:::ლ

- 9 B: არ წავალ. [გაჩუმდი ბიჭო=
- 10 A: [[წახვალ
- 11 B: [[წავალ არა:: ის კიდე
- 12 G: [[ნუ უბრძანებ ბიჭო
- 13 B: =გაჩუმდი ახლა თორე [რო გლეწავ ((ცდილობს დაარტყას A-ს))
- 14 G: ((დგება A-ს და B-ს შორის)) [რა გითხარი ბიჭო
- 15 E: ((იმიტირებს G-ს)) რა გითხარი ბიჭო
- 16 A: გადი იქით ((ურტყამს E-ს))
- 17 B: რატო ურტყამ ბიჭო↑
- 18 ნუ↑ იჩმორებ [ბიჭო
- 19 A: [გაჩუმდი
- 20 B: რა თუ არა? რა ↑
- 21 A: <((მშვიდად))> ვინც გადააგდო ის წავა
- 22 G: მერე (-) წავა აცალე
- 23 B: არ↑ წავალ=
- 24 =თუ წავალ ნახავ აგერ ((თან მიდის)) (- -)
- 25 B: (? ?)
- 26 G: ხო↑ მიდის↓
- 27 A: არ მიდიოდა. ვინც გადააგდო. მან უნდა მოიტანოს.
- 28 რატო↑ არ მოაქ
- 29 G: შენ უბრძანებ და [მიტო.
- 30 A: [არ↑ მიდიოდა
- 31 G: მიდიოდა.

ბიჭები თამაშობენ ფეხბურთს. ჩხუბი დაიწყო იმის გამო, ვინ მოინატს გადავარდნილ ბურთს. A თვლის, რომ ვინც გადააგდო ბურთი, მან უნდა მოიტანოს. B არ მიდის ბურთის მოსატანად, G-ს აზრით A-მ არ უნდა უნბრძანოს B-ს ბურთის მოტანა (სტ.28), ის მას ისედაც მოიტანს. B საბოლოოდ მიდის ბურთის მოსატანად, რადგან ჯგუფში მიღებულია წესი: “ვინც გადააგდებს, მან უნდა მოიტანოს”, მაგრამ ამავე დროს გაიძახის: “არ წავალ, თუ წავალ ნახავ აგერ” (სტ.22/23). ამით იგი ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ემორჩილება არა A-ს ბრძანებას, არამედ თამაშის წესს. ბიჭებისათვის სხვისი ბრძანების შესრულება ნიშნავს პრესტიჟის დაცემას ჯგუფში. B საყვედურობს A-ს მაშინაც, როცა იგი ურტყამს E-ს: ნუ ურტყამ, ნუ იჩმორებ!

(სტ.16). საუბრის დინამიკა კონკურენტულია, ბიჭები ჩხუბობენ, არ აცლიან ერთმანეთს საუბარს (დაფიქსირდა 8-ჯერ საუბრის შეწყვეტა). ბიჭები იყენებენ ძლიერი ფორმის დირექტივებს, მაგალითად: შენ წახვალ! – დირექტივა, რომელიც გამოხატავს ბრძანებას წინასწარი განჭვრეტით, პროგნოზს (სტ.1/4/10); გადი ბიჭო!, გადი იქით! გაჩუმდი! – იმპერატივი (3/16); ნუ იჭყანები!, ნუ უბრძანებ!, ნუ იჩმორებ! – აკრძალვა (სტ.5/12/18); ბურთი! – იმპერატივი ელიფსური ფორმით (სტ.2); რა გითხარი ბიჭო! – დირექტივა კითხვითი წინადადების ფორმით, რომელსაც ინტონაციურად კითხვითი წინადადების ტონალობა არა აქვს, ე.წ. “კვაზი კითხვა” (West,1992.157) (სტ.14).

საუბრობენ ქართველი ბიჭები (15-17 წლის):

- 1 A: რაზე ვთამაშობთ?
- 2 B: ე: ახლა ოცი ნაღდი სე:რიოზული აჯიმანია
- 3 A: ორმოცდაათი
- 4 [რა ოცი
- 5 B: [მე დაღლილი. ვარ ვივარჯიშე დღეს
- 6 A: მერე მე რა ვქნა?
- 7 B: კაი ვთამაშობთ ოცდახუთ [აჯიმანიაზე
- 8 A: [ითამაშე ახლა თუ თამაშობ ორმოცდაათზე(-)
- 9 ჰე. აჩუ აჩუ ახლა
- 10 B: [დავიწყეთ
- 11 A: [მერე არ იზამ და ხო იცი რისი უფლებაც მაქ
- 12 B: არ ჩამბარებელი იქნება ბოზი.
- 13 არაა ბაზარი ბიძია.
- 14 ოცდაათ აჯიმანიას ვაკეთებ. თუ წავაგებ.
- 15 ((სხვა ბიჭები ხმაურობენ, არ აქცევენ ყურადღებას A სს და Bs საუბარს))
- 16 A: ჩუმათ ↑
- 17 [დავიწყეთ
- 18 B: [მე ვერ გავაკეთებ ოცდაათის მეტს
- 19 (h) შენ გააკეთე თუ გინდა ჩემს მაგივრად
- 20 A: რას ↑ არ გააკეთებ ძმაო <((rall))>
- 21 [გაკეთებ
- 22 B: [ჰე: აჩუ:

- 23 მოვიდა დუშაშიიი
- 24 A: ჩუმათ რა
- 25 B: [დუშაშიიი
- 26 A: [აუ(-) კაი რა↑
- 27 სირცხვილია ბოლო ბოლო
- 28 აუ დროზე რა↑ (-)
- 29 აუ შენ ბიჭო დაჯექი. თუ ჯდები
- 30 B: ოცი:::: ოცი:::: ((სიმღერით))
- 31 A: ითამაშე (-)
- 32 ითამაშე თუ თამაშობ (- -)
- 33 ო:::::::::: კაროჩე რა::::::::::.....
- 34 კაი რა::::
- 35 B: აუ ვაფშე↑ ვერ გავიგე რაზე ვთამაშობთ.
- 36 ჩაწიე ფეხი (.)
- 37 ვართ საზოგადოებაში ძმაო [აქ]
- 38 A: [აუ თავი ნუ ამატკივეთ

ბიჭების საუბრის მოდალობა სერიოზულია და კონკურენტული. A-ს სურს ნარდის თამაში სანადლეოზე – წაგებული „ჩააბარებს“ 50 ტანის აჭიმვას „აჯიმანას“. თამაშის სურვილს ავლენს მხოლოდ B, დანარჩენები (4 ბიჭი) ყურადღებას არ აქცევენ A-ს და საუბრობენ სულ სხვა თემაზე. B-ს სურს თამაში, მაგრამ მისთვის ბევრია ორმოცდაათის აჭიმვა, A არ თმობს პოზიციას, და არც B თანხმდება მის პირობას. ბიჭები ვერ შეთანხმდნენ და ნარდი აღარ ითამაშეს. აღნიშნულ დიალოგში კომპიტიტიური საუბრის სტილია, დირექტივების ხშირი გამოყენება, სიტყვის შეწყვეტა. A და B თითქმის მთელი საუბრის განმავლობაში საუბრობენ სიმულტანურად, არა საუბრის მხარდასაჭერად, არამედ საკუთარი აზრის დასაფიქსირებლად (მაგ., სტ: 4-5,7-8,10-11,17-18,26-26). გამოყენებული დირექტივების ფორმა უმეტესად ძლიერია: ჩუმათ! (სტ.16) ითამაშე! (სტ. 31) ჩაწიე ფეხი! (სტ.36) – იმპერატივი, პირდაპირი ბრძანება; ორმოცდაათი! (სტ.3), აჩუ! მნიშვნელობით “დაიწყე თამაში” (სტ.22) – ელიფსური ფორმის იმპერატივი; თავი ნუ ამატკივე – აკრძალვა (სტ. 38); რას არ გააკეთებ ბიჭო! (სტ. 20) – კვაზი კითხვა; გააკეთებ!

(სტ.32) – დირექტივა პროგნოზით; ვთამაშობთ ოცდახუთ აჯიმანიაზე (სტ. 7) – მითითება საერთო ქმედებისაკენ, როცა არ არის გათვალისწინებული ადრესატის მოსაზრება, ე.წ. “მცდარი კოლაბორაცია” (West,1992,161). საუბარში გვხვდება სუსტი ფორმის დირექტივებიც, ესენია: დავიწყოთ! – საერთო ქმედების შეთავაზება (სტ.10); შენ გააკეთე თუ გინდა! (სტ.19), დაჯექი თუ ჯდება (სტ.29), ითამაშე თუ თამაშობ (სტ.32) – დირექტივა ადრესატის სურვილისა თუ შესაძლებლობების გათვალისწინებით; ჩუმად რა! (სტ.24), აუ კაი რა! (სტ.26), აუ დროზე რა! (სტ.28) – იმპერატივი თხოვნის გამომხატველი დისკურსის ნაწილაკით.

საუბრობენ ქართველი გოგონები (14-16 წლის)

- 1 A: სიხ (-) ქალაქში კონცერტია (-) ფრანის და(-)
- 2 წავიდეთ. კაი?
- 3 B: არ ვიცი სიხ (-) ვნახოთ.
- 4 დავიდალე დღეს რაღაც.
- 5 A: ხოდა (-)გავხალისდებით (- -)
- 6 წამოდი გთხოვ რა:
- 7 ვიხალისოთ.
- 8 თან ვიჭორაოთ.
- 9 წამო გთხოვ.
- 10 მე და გიორგი ვიქნებით.
- 11 B: დედაჩემმა თუ გამომიშვა [წამოვალ
- 12 A: [დაურეკე სიხ
- 13 B: ოკ.
- 14 შენი ლოვე იქნება?
- 15 A: კანეშნა სიხ.
- 16 გეკ?
- 17 B: და რა თქვა ახალ სურათზე?
- 18 A: მოეწონა ფოტოები.
- 19 B: და იმ სურათს როდის აჩვენებ?
- 20 A: არ მიშლის მასეთებს
- 21 B: ა::::
- 22 [ეს ბიჭი ცხოვრებას მიხალისებს=
- 23 =მიყ მიყ მიყ ძნ

- 24 B: [მაგარია
 25 A: ბათუმში წამოდი აგვისტოშიო
 26 B: მართლა?
 27 A: ბულვარში. ხელჩაკიდებული რო ვივლით
 28 მაგარია:::

აღნიშნული დიალოგი გოგონების კოპერაციული საუბრის ნიმუშია. A თხოვს B-ს წავიდნენ კონცერტზე, გახალისდნენ და თან იჭორაონ. გოგონები უსმენენ ერთმანეთს, უსვამენ ერთმანეთს შეკითხვებს (სტ.14/17/19), იყენებენ საუბრის მხარდამჭერ სიგნალებს (მაგ: აააა (სტ.21) მართლა? (სტ.26)). არის ერთდროული საუბრის შემთხვევებიც, მაგრამ არა სიტყვის შეწყვეტინების მცდელობით, არამედ სოლიდარობის გამოსახატავად (სტ.11-12, 22-24). გოგონებმა გამოიყენეს სუსტი ფორმის დირექტივები: გამოდი კაი? (სტ.3) – იმპერატივი დასტურის გამომხატველი ენობრივი საშუალებით; წამო გთხოვ რა! (სტ.6) – იმპერატივი თხოვნის გამომხატველი; გავხალისდეთ! (სტ.5), ვიჭორაოთ! (სტ.8) – შეთავაზება. ენობრივი საშუალებებიდან გოგონებმა გამოიყენეს: შემოკლებული სიტყვები სიხ (სიხარულო), გეკ? (გეკადრება?) მიყ (მიყვარს) ძნ (ძალიან); ახალგაზრდული სიტყვა: ლოვე (შეყვარებული); გამაძლიერებელი ენობრივი საშუალება: მაგარია; რუსიციზმი: კანემნა.

საუბრობენ 13 წლის გერმანელი ბიჭები:

- 1.C: diese Scheißspinnen=
2. A:= hey son Freund von mir auch ge? (.).guck (.). er PENNT bei mir ja?(-)
auf einmal eh
- 3.Sieht er so(.) oben an der Decke so(.) so ne Spinne(.) [ers EY halt ma
die Maul= war= so nacht zwei oder drei, Ewig durchgedreht=
- 4.C:[Main Bruder ist aufgewacht=
- 5.A:=(.) halt mal die Fresse man(.) meine Schwester(.) GUCK ehm ist
aufgewacht, halt so 6.HOCHgeguckt, [was los(.) halt mal die Fresse ey(-)
- 7.C:[mein Bruder ist mal aufgewacht und neben ihm lag ne
SCHWARZE DICKE spinne
8. A: <((acc))> na UND
(Sherpa, 2007, 49)

ბიჭი A ყვება ისტორიას ობობაზე. C ცდილობს ხელი შეუშალოს და მოყვეს იმავე თემაზე თავისი ისტორია. A იყენებს ბრძანებით წინადადებებს: “halt mal die Maul“ (სტ. 3), halt mal die Fresse man (სტ. 5), აგრეთვე ბრძანებითი ფორმის ელიფსს: guck, რათა მსმენელთა ინტერესი არ დაკარგოს. Cმ რამდენჯერმე შეძლო მისთვის სიტყვის გაწყვეტა (სტ4,7). A მაინც ახერხებს ამბის გაგრძელებას წინადადების დამწყები ნაწილაკით: „na und“ (სტ.8). საუბრის დინამიკა კონკურენციულია, ბიჭები ვერბალურად საუბრის უფლების მოსაპოვებლად იბრძვიან. გვხვდება ახალგაზრდული სიტყვები, მაგ: pennen – ძილი, ახალგაზრდული მიმართვის ფორმები: hey, ey, შემფასებლური სიტყვები, მაგ: Scheißspinnen.

საუბრობენ გერმანელი გოგონები (14-15 წლის)

1. A: aber Lutz ist nicht wieder mit JO zusammen oder?
 2. B: aha
 3. A: ah?
 4. B: schön wars
 5. A: wieso schön wars?
 6. B: sie macht mit Nel rum
 7. A: JA?
 8. B: ehe
 9. ha?(-) bei der Frau blick ich au nicht durch
[...]
 10. A: aber des wird lustig glaub ich (-), aber kommt dieser Eine da auch? Dieser FABI?
 11. B: aaaaa wa
 12. A: GUT den den mag ich nämlich [nicht
 13. B: [ich auch nicht
 14. A: wieso magsch den jetzt AU nicht?
 15. B: ich hab ich hab schon sein (-) seit (-) seit der was von mir wollte HASS ich ihn.
 16. A: GUT, ich Hass ihn nämlich auch
- (Kotthoff, 2007,7/8).

ორი გოგონას დიალოგი იწყება ლუცის სასიყვარულო ამბების მიმოხილვით. ცხადია, რომ მოსაუბრე გოგონებს აინტერესებთ და თვალყურს ადევნებენ ლუცის რომანტიულ ურთიერთობებს. გოგონა B აწვდის A-ს ინფორმაცია, რომ ლუცი აღარაა იოსთან ერთად და ახლა ნელს ეპრანჭება.

დისკურსის მეორე ნაწილში გოგონები საუბარს აგრძელებენ ბიჭი ფაბიზე (სტ.10), რომელიც A-ს არ მოსწონს. მეგობრის დამოკიდებულებას ამ ბიჭის მიმართ სოლიდარობას უცხადებს გოგონა B (სტ. 13). გრძნობების გამოხატვა თანდათან ძლიერდება „ich mag ihn nicht“ -დან „ich hasse ihn“-მდე. საუბრის მოდალობა არის სერიოზული, არგუმენტირებული, კოოპერაციული. გოგონები უსმენენ ერთმანეთს, არ აწყვეტინებენ საუბარს, უპრობლემოდ, შეფერხების გარეშე ახერხებენ აზრის ჩამოყალიბებას, ერთმანეთს აწვდიან ინფორმაციებს, სვამენ შეკითხვებს, სცემენ არგუმენტირებულ პასუხებს (მაგ: სტ. 15). საუბარში გოგონებმა გამოიყენეს დიდი რაოდენობით დისკურსის ნაწილაკები: aha, ah, ehe, hä. დაფიქსირდა მხოლოდ ერთი სიტყვის გაწყვეტინება (სტ. 12), მაგრამ არა სიტყვის ჩამორთმევის, არამედ მხარდაჭერის მიზნით. ენობრივ საშუალებებში ჭარბობს პირის და ჩვენებითი ნაცვალსახელების გამოყენება.

როგორც მაგალითებიდან ჩანს, მოზარდები ზრდასრული ადამიანებივით მეტყველებენ. ჰომოგენურ ჯგუფებში გოგონების საუბარი კოოპერაციულია, ბიჭების – კომპიტიტიური. განსხვავებული სიტუაციაა ინტერაქციის დროს ჰეტეროგენულ ჯგუფში. ბიჭი იჩენს მეტ კოოპერაციულობას გოგონას მიმართ, ხოლო გოგონა მეტ კომპეტიტიურობას ბიჭის მიმართ. ეს დამოკიდებულია მათ შორის სიმპათია-ანტიპათიის ხარისხზეც.

საუბრობენ ქართველი გოგონები A, B, D და ბიჭები G, E (14-17 წლის):

- 1 A: თამთა ვინაა?
- 2 B: აგერ. გიორგის და
- 3 A: ა::
- 4 მაგას აქ მასეთი ენა?
- 5 G: მაგან. ნიჩაბით მიწა მოთხარა.
- 6 ჩამდო. =
- 7 ...[[...]
- 8 =[[და მიწა მიმყარა მერე(.)]
- 8 A: [უიმე
- 9 D: ღირსი იყავი [[და=
- 10 =მიტო
- 11 G: [[რატო ვიყავი ღირსი?

- 12 A: [[ბიჭო რა გითხრა?
 13 რატო გეჩხუბა?
 14 E: შენ რა↑
 15 გეპრანჭება თუ რა?
 16 D: [არა ბიჭო (-) ისე. წინ დაუჯდა და=
 17 G: [არა კაცო ყურადღებას არ ვაქცევდი.
 18 ტელეფონს ვეჩალიჩებოდი.
 19 D: =ყურადღებას არ აქცევდა კი არა და (-)
 20 აგერ იჯდა თამთა. და.
 21 ეს წამოწვა მაგიდაზე (-)
 22 ერთხელ უთხრა.
 23 [რა↑ წესიაო=
 24 G: [რა წამოწოლილი↑
 25 ისე ვიყავი.
 26 D: =რა? არ იყავი? (-)
 27 იყავი წამოწოლილი და
 28 მაგი არაა↑ წესი
 29 და (-) იყავი ღირსი
 30 [და ვსიო↑ ახლა:
 31 G: °°ხლა°° [ხო (-) წამოვწეკი და მკმენდა უკნიდან.
 32 B: გკმენდა რა::
 33 ძალია?
 34 G: შემეშვი.

ბავშვები კამათობენ. G თვლის, რომ მას თამთა არასწორად მოექცა, რადგან დაწყევლა: „მაგან ნიჩაბით მიწა მოთხარა, ჩამდო და მიწა მიმყარა მერე” (სტ.5-7), D-ს აზრით ბიჭმა დაიმსახურა თამთასაგან ასეთი მოქცევა. საუბრის დინამიკა კომპეტითურია. არც გოგონა და არც ბიჭი არ თმობს პოზიციებს, ცდილობენ საკუთარი აზრი ბოლომდე ჩამოაყალიბონ, ხშირად აწყვეტინებენ ერთმანეთს საუბარს (სტ.9-11,16-19,23-26). მიუხედავად G-ს წინააღმდეგობისა, გოგონა ახერხებს დაასაბუთოს ბიჭის დანაშაული (სტ. 20-30), იგი უფრო აქტიური მოსაუბრეა და მისი წვლილი საუბარის თემის განვითარებაში მეტია, ვიდრე ბიჭის. ეს სერიოზული ვერბალური დუელი გოგონას გამარჯვებით მთავრდება.

განვიხილოთ სკოლის დამთავრების შემდეგ გოგონებისა და ბიჭების სქესისთვის დამახასიათებელი ვერბალური ქმედებები (17-18 წლის). ამ დროს გოგონა დგება რეალური ფაქტის წინაშე – ბიჭს მასზე გაცილებით მაღალი სოციალური სტატუსი აქვს. ადრეული მოზარდობის ფაზისაგან განსხვავებით, როცა გოგონა უფრო განვითარებულია ფსიქოლოგიურად თუ ბიოლოგიურად და მეტყველებს უკეთესად ვიდრე ბიჭი, გვიანი ადლოსცენტის პერიოდში ბიჭის მეტყველება იხვეწება, იგი უკვე ფსიქოლოგიურად და ბიოლოგიურადაც განვითარებულია და გოგონასთვის რთული ხდება რაიმე სერიოზული წვლილი შეიტანოს დისკუსიებში. მეორე მხრივ, ბიჭი გრძნობს საზოგადოების მეტ პატივისცემას, საკუთარი სოციალური სტატუსის უპირატესობას, ეს სტიმულს ჰმატებს, დისკუსიებში დომინანტური პოზიცია დაიკავოს. მას კარგად ესმის, რომ ენობრივი დომინანტობა ნიშნავს პრიორიტეტს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სფეროში.

დავაკვირდით სტუდენტებს გამოცდის მომზადების პერიოდში. ახალგაზრდებს პოტენციურად ერთნაირი სტატუსი (არიან სტუდენტები) და ერთნაირი ასაკი (18 წლის) აქვთ. ამ საკომუნიკაციო სიტუაციაში მნიშვნელოვანია არა დისკურსის თუ დისკუსიის წარმმართველი პრივილეგირებული მოსაუბრე, არამედ კონკრეტული მიზანი (გამოცდების მომზადება) და თემა (მოსამზადებელი საგანი). დაკვირვება მოხდა გოგონებისა და ბიჭების ჰომოგენურ ჯგუფებზე და ერთ შერეულ ჯგუფზე. თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ ბიჭების ჰომოგენურ ჯგუფში საუბარი წარიმართა ძირითადად მონოლოგების სახით, ამან შეაფერხა სამეტყველო ქცევებზე დაკვირვება და დასკვნების გამოტანა. ამ მხრივ გაცილებით საინტერესო მასალა მოგვცა გოგონათა და შერეულმა ჯგუფმა.

გოგონები ემზადებიან საზღვარგარეთის ლიტერატურის გამოცდის ჩასაბარებლად:

- 1.C: ტერმინი “რომანტიზმი” თავდაპირველად აღნიშნავდა ლირიკულ საგმირო სიმღერას
2. (.h) რომანსს (-)

3. შემდეგ (-)
 4. მერე(-)
 - 5.A: ჰმ (-)
 6. მერე? (--)
 - 7.C: რაღაც ამერია (-)
 8. აუ::: რას↑ მივაკვდი მთელი დღე.
 9. [ჯობდა დამეძინა
 10. A: [ჩახედე კონსპექტს.
 11. C: გადავიღალე. ((თვალეზე ხელს იფარებს)).
 12. B: თუ გინდა. მე წაგიკითხავ.
 13. C: სხვის წაკითხულს ვერ ვიგებ
 14. ვე:::რა:::
 15. ვერ↑ მოვასწრებ გამოცდამდე [ამის სწავლას.
 16. A: [კარგი. დამშვიდდი. (-)
 17. მოდი (-) თავიდან დაიწყე.
 18. C: ((იწყებს საკითხის ხელახლა მოყოლას))
- [...]
19. C : გამოიყენება ცნებები მხატვრული და გოტიკური=
 20. A: =რისგან განსხვავდება?
 21. C : ხო (-)
 22. განსხვავდება კლასიციზმში გაბატონებული მშვენიერის იდეალის გაგებისაგან
 23. მერე (--)
 24. A: მე-19 საუკუნეში=
 25. C: = მე-19 საუკუნეში სიტყვა რომანტიზმი
 26. ნიშნავს (-) კლასიციზმის წინააღმდეგ მიმართული
 27. მხატვრული მიმდინარეობის დასახელებას=
 28. =ხო?
 29. ((A თავს უქნევს ღიმილით))
 30. A : და (-) რას მიიჩნევენ კლასიციზმის ხელოვნების ნიმუშად და ნორმად?
 31. C: ჰმ (1.0.)
 32. B: ((ემებს პასუხს კონსპექტში))
 33. ანტიკურობა.
 34. C: ხო.
 35. ანტიკურობა.

36. რომანტიკოსები: კი: (-)
37. აუ↑
38. წამიკითხე რა↑
39. B: ((კითხულობს კონსპექტში)) ორიენტაციას იღებს
40. შუა საუკუნეებისა და თანამედროვეობის ხელოვნებაზე=
41. C : =ორიენტაციას იღებს შუა საუკუნეებისა და
42. თანამედროვეობის ხელოვნებაზე.

C ყვება საგამოცდო საკითხს. მოცემულ დიალოგში მნიშვნელოვანია A-ს და B-ს სოციომოციური კომპონენტი, რაც საუბარს განსაკუთრებულ ხარისხს მატებს. გოგონები იყენებენ C-ს მიმართ მხარდამჭერ კომუნიკაციურ სიგნალებს (ჰო, ხო). საგამოცდო საკითხის მოყოლის დროს პირობითად, ამ ტაქტიკას, შეიძლება, “საუბრის თერაპია” ვუწოდოთ. ორივე (A და B) ავლენენ მზადყოფნას დაეხმარონ მეგობარს. ცდილობენ “პაციენტი” (C) დაამშვიდონ, მხარი დაუჭირონ, შეაქონ და ამით გარკვეული სტიმული მისცენ. C მათი მეშვეობით ახერხებს თემის გაშლას, მიზანი მიღწეულია. ამ კონკრეტული მაგალითის ფონზე კარგად ჩანს გოგონების კოოპერაციულობა. საუბრისას გოგონები პროცენტულად მეტ კითხვებს სვამენ, თანაც საკმაოდ პრობლემურსა და საკამათოს. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ კითხვების დასმას სტუდენტურ ჯგუფებში მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრია. ეს კითხვები, გარკვეულწილად, დამუშავებული კომპლექსური თემის გაშლა-გაღრმავებას ემსახურება. მოსაუბრეს ეძლევა შესაძლებლობა ამომწურავად გადმოცეს საკუთარი აზრები და იდეები. კითხვის დამსმელს აინტერესებს მოსაუბრის აზრი. ყველაფერი ეს უზრუნველყოფს საუბრის თემის აქტუალურობასა და მიმზიდველობას.

ბიჭები ნაკლებად იყენებენ საუბრის მხარდამჭერ კომუნიკაციურ სიგნალებს და ნაკლები ყურადღებით უსმენენ მოსაუბრე პარტნიორს.

მაგალითში შერეული ჯგუფი: გოგონები (D,E) და ბიჭი (F)

- 1 D: ფროიდის მიხედვით. ადამიანი დაბადებიდანვე ჩაერთვება სექსუალურ ცხოვრებაში.
- 2 F ((იციან))
- 3 D: ბუმუს წოვის დროს=

- 4 F: =რძე რძე ((იციანის))
- 5 E: თუ ვერ ისმენ. გარეთ[↑] გადი
- 6 F: ((იციანის))
- 7 E [კაი რა:::
- 8 D: [მაცლით?
- 9 E: გისმენ
- 10 D: ნევროზის მიზეზად ის ასახელებს ბავშვობაში
- 11 განდევნილ სურვილებს,
- 12 განსაკუთრებით. სექსუალურ სფეროში=
- 13 F: =აი თურმე რატო მაქვს ნევროზი ((იციანის))
- 14 E: ნუ გვირევ სულ=
- 15 F: =რა შევლის მაგ ნევროზსო?
- 16 D: გეყოფა ახლა
- 17 D: როცა ადამიანს რაიმე სულიერი სტრესი აქვს.
- 18 თავს სტრესისაგან ითავისუფლებს.
- 19 ამ[↑] სურვილების სხვა ენერგიაში გადაყვანის გზით და=
- 20 F: =არაა მაგ კაცი მართალი ე.ი.
- 21 შენ რომ ასეთი მშვიდი ნერვები გაქვს იმის ბრალია რომ
- 22 ბავშვობაში ყველა სექსუალური სურვილი აგიხდა?
- 23 D: მასეთი კითხვები ფროიდს დაუსვი საიქიოში [და=
- 24 F: [თუ გინდა. მე გიპასუხებ.
- 25 D: =ნუ უზრდელობ

დიალოგში ბიჭი ავლენს არაკოოპერაციულობას. ის ცდილობს საკუთარი აზრის ფორმულირებას, აწყვეტინებს გოგონებს საუბარს, ამიტომ კონკრეტული თემის გაშლა ნაკლებად ხერხდება. კონფლიქტის მიზეზი გოგონებსა და ბიჭს შორის გახდა ბიჭის არაკომპეტენტური შენიშვნები. გოგონას რეპლიკა: “ნუ გვირევ სულ” (სტ. 14) ნიშნავს, რომ ბიჭისაგან მსგავსი ქცევა პირველი შემთხვევა არ არის, მაგრამ მოცემულ მაგალითში გოგონამ შეძლო საუბრის გაგრძელება. ბიჭმა ვერ მოახერხა დომინანტური პოზიციის მოპოვება, თუმცა ამას რამდენჯერმე შეეცადა. ამ ფაქტის მიზეზად შეიძლება დავასახელოთ შემდეგი ფაქტორები: ა) ბიჭი იყო ნაკლებად კომპეტენტური კონკრეტულ საკითხში, ბ) გოგონებმა გამოიჩინეს ნაკლები კოოპერაციულობა ბიჭის მიერ

შემოტანილი თემის მიმართ. მოცემულ სიტუაციაში დიდ როლს თამაშობს ის, რომ სტუდენტებს გამოცდის მომზადებისათვის მცირე დრო აქვთ.

4.3.5. დისკურსის დინამიკის შეჯამებისთვის

ზემოთქმულიდან ჩანს, რომ მოზარდების მეტყველებაში, დისკურსის დინამიკაში ვლინდება ქალური და მამაკაცური მეტყველების სტერეოტიპული ნიშნები. გოგონებთან – საუბრის მხარდამჭერი სიგნალების გამოყენების მაღალი ხარისხი, დიდი რაოდენობით კითხვითი წინადადებები, შერბილებული, შელამაზებული საუბარი, ევფემიზმების გამოყენება, დიდი რაოდენობით სუსტი ფორმის დირექტივები:

- იმპერატივი თანდართული თხოვნის გამომხატველი ენობრივი საშუალებით
- შეთანხმება
- ქმედების სამომავლო შეთავაზება
- იმპერატივი დასტურის გამომხატველი კითხვებით და ა.შ.

ბიჭებთან – საუბრის მხარდამჭერი რეაქციების ნაკლები გამოყენება, აგრესიული ტონით საუბარი, ძლიერი ფორმის დირექტივების მეტი რაოდენობა:

- იმპერატივი
- ელიფსური ფორმის იმპერატივი
- დირექტივა პროგნოზით
- აუცილებლობის გამოხატვით
- მცდარი კოლაბორაცია
- კვაზიკითხვა
- აკრძალვა.

დისკურსის ნაწილაკებს გოგონებიც და ბიჭებიც თითქმის ერთნაირად იყენებენ, განსხვავებულია გამოყენების სპეციფიკა. მინიმალურ რეაქციებს

ბიჭები ემოციის გამოსახატავად, ინტენსივირების საშუალებად იყენებენ, გოგონები – დიალოგის მხარდასაჭერად, პარტნიორული საუბრის წარმართვისათვის, ყურადღების გამომხატველ სიგნალებად, კითხვის დასასმელად.

4.4 ახალგაზრდების დისკურსის მოდალობა

კომუნიკაციის ეთნოგრაფიისათვის მნიშვნელოვანია, რა მოდალობით მიმდინარეობს საუბარი. ინტერაქციული მოდალობა მეთოდია, რომლის საშუალებითაც ენობრივ გამოხატულებებს, ენობრივ ქცევებს, გარკვეულ სიტუაციებს სიმბოლური მნიშვნელობა ენიჭება. ინტერაქციული მოდალობა შესაძლებელია იყოს სერიოზული, პათეტიკური, აგრესიული, ჰქონდეს თამაშის ან ხუმრობის ხასიათი და ა.შ. ინტერაქციული მოდალობა განპირობებულია არა ცალკეული მოსაუბრით, არამედ ინტერაქტანტებით (Kallmeier 1979, 556). ინტერაქციულ მოდალობას დიდი ზეგავლენა აქვს საუბრის აქტზე. იგი მოსაუბრის პერსპექტივას გამოხატავს. საუბრისას მოდალობის ცვლა დამოკიდებულია მოსაუბრესა და მის პარტნიორზე, პარტნიორი ან უბამს მხარს ცვლილებას, ან არა. შესაბამისად, ხდება მოდალობის ან განვითარება, ან შეწყვეტა. ინტერაქციული მოდალობის შეუფერხებელი განვითარებისთვის აუცილებელია მოსაუბრე პარტნიორის საკომუნიკაციო კომპეტენციის ცოდნა. ინტერაქციული მოდალობა შეიძლება მოიცავდეს მთელ საუბარს, მის ნაწილებს, ან ცალკეულ ენობრივ გამოხატულებებს. მაგალითად, სერიოზული საუბარი შესაძლებელია შეწყდეს მოკლე სახუმარო ჩართვებით.

ახალგაზრდების მიდრეკილებაა გაერთონ, იხუმრონ. მათი საუბრის 90% შეიცავს ხუმრობას, კომიკურობას, ირონიას, ქილიკს (Bierbach 1996, 262). ახალგაზრდების საუბრებში ძნელია საზღვარი გავავლოთ სინამდვილესა და ფიქციას შორის, გამოგონილ ისტორიებს ყვებიან თუ ნამდვილ ისტორიებს, გამდიდრებულს ფიქტიური მასალით. ხშირია შემთხვევები, როცა მოზარდები ერთმანეთს ეჯიბრებიან, ვინ უფრო აბსურდულ ისტორიას შეთხზავს.

ის, რაც ზრდასრული ადამიანებისათვის შეურაცხმყოფელი და მიუღებელია, ახალგაზრდებისთვის შესაძლებელია ინტიმურობისა და კეთილგანწყობის ნიშანი იყოს. მაგ, ახალგაზრდა გოგონა ესალმება თანატოლს: “Hi, du alte Drecksau!”, მსგავსი მისალმების ფორმა მიუღებელია ზრდასრული ადამიანისათვის, მაგრამ გოგონებისთვის ის ინტიმური ურთიერთობის ხაზგასმაა.

4.4.1. არასერიოზული, სახუმარო მოდალობა

ახალგაზრდების დისკურსის ყველაზე გავრცელებული მოდალობაა ხუმრობანარევი იუმორი, არასერიოზული საუბრები. ჩვენ უკვე ვისაუბრეთ გენდერლექტის შესწავლისათვის იუმორის კვლევის მნიშვნელობაზე¹⁴. ახალგაზრდების ასაკში განმსაზღვრელია სქესისათვის სპეციფიური იუმორის სოციალური ასპექტების დადგენა. იუმორზე დიდ გავლენას ახდენს სოციალური როლი და სოციალური გარემო (Zijderveld 1976,83), განსაკუთრებით გოგონების იუმორზე (McChree 1979, Chapman 1973).

იუმორი ჯგუფის ფენომენია, ყველა ჯგუფს იუმორის მოყოლის სპეციფიკური მანერა აქვს. ახალგაზრდების ძირითადი მიზანია გაერთონ. არასერიოზულ, ხუმრობა-გართობის მოდალობას პირჯგუფში სოლიდარობის, ურთიერთგაგებისა და გართობის ფუნქცია აქვს. იუმორის დახმარებით ისინი გამოხატავენ აგრეთვე თავიანთ დადებით ან უარყოფით დამოკიდებულებას ვინმეს ან რაიმეს მიმართ. ბიჭების ხუმრობა უფრო ვულგარულია, თუმცა, ამავე მოდალობის მქონე ხუმრობები არც გოგონებისთვისაა უცხო.

ახალგაზრდების დისკურსის მნიშვნელოვანი მახასიათებელია მხიარული ამბები, ანეკდოტების მოყოლა. საინტერესოა როგორ ყვებიან გოგონები და ბიჭები მხიარულ ისტორიებს. გამოიყოფა სამი ფაზა: შესავალი, ხუმრობის ძირითადი შინაარსის მოყოლა და რეაქცია. შესავალი სხვადასხვა კომპონენტებისაგან შედგება: ხუმრობის მოყოლის შეთავაზება, პირველი ინფორმაცია (მაგ., ხომ არ მოყვა იგი უკვე ვინმემ), მსმენელი თანახმაა

¹⁴ იხ. თავი 3.3.1.1.

მოისმინოს ხუმრობა. მეორე ფაზა – ხუმრობის ძირითადი შინაარსი ორგანიზებულია ტემპორალურად. მესამე ფაზა – რეაქცია, გაიგო თუ არა ჯგუფმა და როგორ შეაფასა იგი, სიცილით, დუმილით თუ კომენტარებით (Branner 2003,87).

გოგონები ხშირად ყვებიან სახუმარო ისტორიებს, ბიჭები – მზა ფორმის ანეგდოტებს. მაგ:

საუბრობენ გერმანელი გოგონები 16 წლის:

1. A: hastes getroffen nicht?
2. B: nee nee
3. C: ja maine Schwester, als die hm (-) durch die gegend so gefahren is (-) da is sie an den Bordstein gekommen,
4. da is der REIFEN geplatzt (lachpartikel)
5. Alle lachen: _ HAHAHAAAA
6. D: und da fährt se grad heite weg
7. Alle lachen: _ HAHAHAAAA
8. F: Reife geplatzt, [ups
9. C: [ja und da mußte sen wechsln, hehe (Lachpartikel)
10. Alle lachen: _ HAHAHAAAA
11. D: deine Schwester, so in [montur , so hehe
12. F: [hehe die Schwester (--)
13. C: ah ja
14. A: hat die das gepackt?[hehe
15. C: [ah ja muß se. Muß ma können, hehehe
16. Alle lachen: _ HAHAHAAAA
17. F: is JA geil, hehe [he
18. Alle lachen: _ [HAHAHAHAHA
19. D: da kam se a halbe Stinde später als sonst heim he oder wie
20. C: ja logisch
21. Alle lachen: _ HAHAHAAAA
22. D: geil
23. E: un der fahlehr, der Fahrlehrer hat ihr nich geholfen ja
24. C: ah ja der hat dann so gesagt, an ja mach des und des un des und dann. Na ja HEHE
25. Alle lachen: _ HAHAHAAAA
25. E: die war se voll dreckverschmiert HEHE, [und so ah ich hab heut Reifenwechsln gelernt.
26. C: [ja so war se. HEHE
27. Alle lachen: _ HAHAHAAAA

28. E: wenn ich mich des vorstell (-) deine Schwester [hm=
 29.A: [ich kann mir auch vorst[ellen
 30. E: =in in feinen 31. 32. Sachen kricht da dem Boden rum HEHE
 33. Alle lachen: _ HAHAAHAHAHA
 (Branner 2003, 163).

გოგონა C სასაცილო ისტორიას მოკლედ და კონკრეტულად ყვება (სტ. 3–4: da is sie an den Bordstein gekommen, da is der Rifen geplatzt.): მისი და გაემგზავრა ბორშტაინში, გაუსკდა მანქანის საბურველი და ჩაეშალა გეგმა. ამ ორი მოვლენის – ბორშტაინში გაემგზავრებისა და საბურველის გასკდომის – ფორმულირებას იგი იწყებს ერთნაირი, ლექსიკური განმეორებით: „da is... da is“. სავარაუდოდ, ეს მისი იუმორისტული თხრობის მანერაა. შემდეგ ახდენს „Reifen“-ის ხაზგასმას მაღალი ტონალობით, იყენებს სიცილის ნაწილაკებს (სტ. 4), ამით იძლევა ინფორმაციას, რომ ისტორია სასაცილოა. საუბარში სხვა გოგონები ერთვებიან, აკეთებენ კომენტარებს, მაგრამ ხელს არ უშლიან C-ს, მოყვებს ისტორია ბოლომდე, პირიქით, აქ სიტყვის შეწყვეტინებას ან ერთდროულ საუბარს (მაგ. სტ. 12,15,25,29) მხარდაჭერის ფუნქცია აქვს. მაგალითად, თხრობის პროცესში გოგონა F-ის სახუმარო ჩართვის შემდეგ C უპრობლემოდ აგრძელებს თხრობას. ja und-ის საშუალებით მომდევნო მოქმედებას აკავშირებს წინასთან (სტ. 4) და ახდენს სიტყვა wechseln-ის ხასგასმას ინტონაციით, რომ სწორედ ეს მოვლენაა სასაცილო, რომ მისი და იძულებული იყო თვითონ გამოეცვალა საბურავი. გოგონები მთელი საუბრის დროს იცინიან, ანუ მოყოლილი ისტორია მათ დადებითად შეაფასეს.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ფიქცია მოზარდების დისკურსის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. მოცემულ მაგალითში ვხვდებით ფიქციას. საუბარში მონაწილე არცერთი წევრი არაა მონათხრობი ისტორიის რეალური მონაწილე. გოგონები თავს C-ს დის მდგომარეობაში წარმოიდგენენ, ფიქტიური საუბრის ციტირებას ახდენენ. მაგ. სტროფში 8: „Reife geplatzt, ups“ გოგონა F ახდენს საუბრის ციტირებას, თან პატარა გოგონას ხმით, ამით იგი ფიქტიური მოსაუბრის როგორც მიამიტი ბავშვის დახასიათებას ახდენს. ფიქციაა აგრეთვე სტროფი 25: „ah ich hab heut

Reifenwechseln gelernt“. ფიქცია კომუნიკაციის ეფექტურობის მისაღწევად კლასიკური იუმორისტული მანერაა.

მაგალითში საუბრობენ ქართველი გოგონები (15-16 წლის):

- 1 B: აუ შენ ის იცი? (-)
- 2 ჭუმბურიძე რო ავაგდე?
- 3 C: [არა
- 4 A: [აუუ ეგ მაგარი იყო
- 5 B: კაროჩე (-)
- 6 ჩემი მეგობრის საიტოიდან შევედი.
- 7 უკაცრავად.
- 8 ეს წითელი ჩექმები სად შეიძინეთოქო
- 9 A: (h) წითელი ჩექმები რო აცვია გლავნიზე
- 10 C: ვაიმე↑ ხო: წითელი ((იცინის))
- 11 A: თან პახოდუ: მე მწერს
- 12 გოგო ვილაც მწერს სად იყიდე ჩექმებიო=
- 13 =და რავარი სათქმელია ახლა რო=
- 14 =ძლინკებისაა
- 15 მე ვუთხარი
- 16 შენც↑ უთხარი რო საღაცა მაგარ მაღაზიაში
- 17 B: ახლა მე თან ამას ვწერ რეაქციებს დაუკვირდითოქო
- 18 მე ჯერ პასუხს არ მცემსოქო
- 19 C: ((იცინის))
- 20 B: არ მცემს პასუხს და ვეკითხები
- 21 თქვენ სალორიელი ხო ხართოქო?
- 22 კიო(.)
- 23 ამაზე მომწერა კიო
- 24 შენ ((იცინის)) (-)
- 25 მე ვუთხარი ((იცინის))
- 26 რო ჩამოგლიჯავ მაგ თმებს და
- 27 [გათრევ მე ვუთხარი ((იცინის))
- 28 C: [ვაიმევე ცუდად ვარ ((იცინის))
- 29 შენ სეირს განახებ
- 30 A: [ხო აზრზე ხარ რა დღეში იყო ((იცინის))

- 31 B: [შენ ვის ართმევ შეყვარებულსთქო
- 32 C: დედაააა ((იციან))
- 33 B: ვაიმეო არავის არ ვართმევო(-)((პატარა გოგოს ხმით))
- 34 მე არ მჩვევია ეგეთებო ((პატარა გოგოს ხმით))
- 35 ((ყველა იციან))
- 36 B: შე ქუჩის ქალო
- 37 [მე ვუთხარი
- 38 A: [და პახოდუ მე მწერს გოგო ვინაა ეგი ((იციან))
- 39 შოკში ჩავარდა გოგო
- 40 მე ვაწყნარებ რაღაც გაუგებრობა და გაირკვევა ((იციან))
- 41 C: დედაააა
- 42 ამაყენეეეეეეთ ((იციან))
- 43 B: აუ ვიხიხეთ ძირს რა
- 44 A: მაგარი იყო
- 45 C: აუ ჭუმბურიძე რო ვიცი ახლა
- 46 ნუ ვინავატა იაა(-) ონ სამ პრიშოლ ((ფიქტიური ციტირება))
- 47 ((ყველა იციან))

B და A სასაცილო ამბავს უყვებიან C-ს. საუბარს იწყებს B, ის ჯერ არკვევს, იცის თუ არა C-მ, როგორ “ააგდეს “ ჭუმბურიძე (სტ.1-2). უარყოფითი პასუხის შემდეგ, იწყებს ძირითადი შინაარსის მოყოლას, თხრობის დროს იყენებს ლექსიკურ განმეორებას (სტ: 15/25/27/37). აღმოჩნდა, რომ B მეგობარ გოგონას უცხო ადამიანის ინტერნეტ-გვერდიდან გაესაუბრა. ეკითხება: სად შეიძინა ჩექმა, რომელიც „გლავნიზე“ დადებულ სურათში აცვია (სტ.9) (იგულისხმება ინტერნეტ-გვერდზე განთავსებული მთავარი ფოტო). გოგონას ჩექმა „ძლინკია“ (მეორადი მოხმარების ტუფლი) და ამის შესახებ ინფორმირებულნი არიან. B თხოვს A-ს, დაუკვირდეს მსხვერპლის რეაქციებს. ჭუმბურიძე გაება მეგობრების დაგებულ მახეში: A-ს წერს, რომ ინტერნეტში შემოსულ მოსაუბრეს ვერ ეუბნება, რომ ჩექმა მეორადი მოხმარებისაა და პასუხს არ სცემს. B ეკითხება, საღორიაზე თუ ცხოვრობო (სტ. 21). მთხრობელის სიცილი საუბარს აფერხებს (სტ 22-23), ეს სიგნალია, რომ ყველაზე სასაცილო სწორედ ახლა იწყება: Bმ მეგობარ ჭუმბურიძეს დაუწყო ლანძღვა, მუქარა, დააბრალა, რომ იგი შეყვარებულის წართმევას უპირებს, რამაც მსხვერპლი შოკში ჩააგდო (სტ. 29). ისტორიის თხრობის

პროცესში C თითქმის შეუჩერებლად იცინის, იცინის ყველა, რაც იმის დასტურია, რომ ისტორია დადებითად შეფასდა. საუბრის არასერიოზული მოდალობა კოოპერაციული დინამიკით მიმდინარეობს, B და A გოგონა ერთმანეთს ხელს უწყობს ამბის მოყოლაში, C კარგი მსმენელის როლშია, იცინის და ემოციებს გამოხატავს: დედააა (სტ. 32), ვაიმე ცუდად ვარ (სტ. 28), ამაყენეთ (სტ. 41), ამით B-ს და A-ს სტიმულს აძლევს ხალისით გააგრძელონ თხრობა. გოგონებმა ეფექტური თხრობისთვის გამოიყენეს მარკირებული ხმით ციტირება (სტ. 33-34), ფიქტიური საუბრის ციტირება (სტ. 45).

კვლევები ადასტურებს, რომ ბიჭების ხუმრობის დიდი ნაწილი სექსუალური თემატიკისაა. იყენებენ დიდი რაოდენობის ვულგარულ, ეროტიკულ გამოთქმებს (მაგ: Bierbach 1996, Fine 1987, Willis 1977). მიზანია გართობა და დომინანტური პოზიციის მოპოვება. ის, ვინც კარგად ხუმრობს, ჯგუფშიც წარმატებულია (Branner 2003, 133).

ამ დიალოგში ბიჭი ყვება ანეკდოტს (15 წლის):

- 1 A: კაროჩე(-)
- 2 კაროჩე(-)
- 3 ქუთაისელი.
- 4 ორი ქუთაისელი შეხვდნენ ერთმანეთს. კაროჩე=
- 5 =და (-) ერთი ეუბნება. აუ კაროჩეო.
- 6 ერთი ქალი გავიცანიო.
- 7 წავიყვანე რესტორანშიო.
- 8 ვაქეიფეო.
- 9 მერე ტანსაცმელი ვუყიდეო.
- 10 მერე ოქროულობაო.
- 11 მერე ბეწვეულობაო.
- 12 B: [ბიჭო:: დაამთავრე
- 13 A: [და მერე კიდე. ბოლოსო. (-)
- 14 ბოლოსო წავიყვანე და კაი პრიჩოსკა გავუკეთეო.
- 15 მერე მერეო?
- 16 მერე გოუმვი სახლშიო.
- 17 მერე შე კაცო. თუ სახლში უშვებდი და სახმარად არ გინდოდა.
- 18 (h) ჩემი ცოლი წაგეყვანაო
- 19 B: ჰა ჰა ჰა ((ირონიულად))

- 20 G: მართლა? ((ირონიულად))
- 21 A: მართლა
- 22 B: [მომიხიჭინეთ
- 23 G: [უნდა გაგვეცინოს ბოლოს?
- 24 ანეკდოტი იყო ეს თუ=
- 25 B: =დრამა დრამა ((იცინის))
- 26 D: რა:ო:?
- 27 B: ბიჭო[↑] სამი საათი ზის და ყვება და ვერ გაიგე?
- 28 D: (h) თავიდან დაიწყე თავიდან (-)
- 29 A: ორი ქუთაისელი შეხვდა ერთმანეთს=
- 30 B: =ვა::ი:: მე::
- 31 [არ გინდა რაააა
- 32 G:[არ გვინდა. არ გვინდა
- 33 B: გაჩუმდი ((ყველა იცინის))
- 34 A: აუ. იგი. თუ იცით თქვენ(--)
- 35 იგი(-) იგი(-)
- 36 G: (h) გადმოაგდე ენა. წავიკითხავთ
- 37 B: ვიცით. ვიცით.
- 38 უკვე ვიცით
- 39 ((ყველა იცინის))
- 40 B: მე[↑] მოვეყვები. მაგარს.

A ყვება ანეკდოტს: მამაკაცმა გაიცნო ქალი, უყიდა ყველაფერი რაც სურდა და ბოლოს სახლში გაუშვა. მეგობარმა უთხრა, თუ „სახმარად“ არ გინდოდა, ჩემი ცოლი წაგეყვანაო (ქვეტექსტი: მოგებული დავრჩებოდი ნაყიდებით). მსმენელებმა ანეკდოტი უარყოფითად შეაფასეს, არ გაეცინათ. ფრაზებით: მართლა? მომიხიჭინეთ, უნდა გაგვეცინოს ბოლოს? ეს ანეკდოტი იყო თუ დრამა? (სტ. 20-25), ყველა გამოხატავს ირონიულ დამოკიდებულებას მონათხრობის და მთხრობელის მიმართ. ახალგაზრდების უარყოფითი რეაქცია სავარაუდოდ გამოიწვია არა ანეკდოტის შინაარსმა, არამედ თხრობის მანერამ, იგი გრძელი და მოსაწყენი იყო. ბიჭები ერთვებიან თხრობაში: „ბიჭო დაამთავრე“ (სტ. 12), „სამი საათი ზის და ყვება“ (სტ. 21). მთხრობელი ცდილობს სხვა რამ მოყვეს, მაგრამ ვერ ახერხებს: „აუ იგი თუ იცით თქვენ,

იგი, იგი“ (სტ. 34-35). ბიჭები მეტს ვეღარ ითმენენ და მოყოლის საშუალებას აღარ აძლევენ: „გადმოაგდე ენა, წავიკითხავთ“, „ვიციო, ვიციო, უკვე ვიციო“ (სტ. 36-38). მოყვანილი მაგალითი ბიჭების ჩვეული დისკურსია. ბიჭების საუბარი ვულგარულია, ამას ადასტურებს ანეკდოტის შინაარსიც. ანეკდოტების მოყოლა ერთგვარი ვერბალური დუელია, სადაც გამარჯვებულია ის, ვინც უკეთესად ყვება, უფრო სასაცილო ისტორიები იცის. დამარცხებულია, რომლის მონათხრობზე არვის გაეცინება. ამ ვერ მოახერხა რაიმე საინტერესოს და სასაცილოს მოყოლა, ამიტომ მას სიტყვა ჩამოართვეს.

მომდევნო მაგალითში გერმანელი ბიჭი ყვება საკუთარ ისტორიას:

- 1.B: (singend) ICH muss PISsen
- 2.C: (singend) und ich muss KACKen
- 3.B: (singend) OHM (-) jetzt können wir ja verEINT kacken=
- 4.C: =OK
- 5.B: in ein Pissor (.) hab ich im Subway mal Gemacht (lacht)
- 6.C :[AWA
- 7.A: [doch]
- 8.B:[doch]=
- 9.C: =[WER?
- 10.B: [ich hab ins Pissoir geKACKT
- 11.A :<((acc))> [hat der Steffen mir erzählt
- 12.C:du bist so EKlich man=
- 13.B:[HAHA FETT drauf dann (lacht)=
- 14.C: =wie hascht sein (lacht) Hintern abgewischt?
- 15.B:mit Klopapier
- 16.C: GAR nicht (lacht) (.)
- 17.B: ja(-) hab mir halt vorher geHOLT
- 18.C: (? ?)(lacht)
- 19.Ganz schon DREIST [(lacht laut)=
- 20.B: [s= war richtig GEIL=
21. Alle lachen. (Sherpa 2007, 44)

B ხმამაღლა საუბრობს თავის ბუნებრივ მოთხოვნილებაზე ვულგარული სიტყვების გამოყენებით და წამღერებით, რასაც მხარს უბამს C, ისიც წამღერებით და ვულგარულად (B და C რეპის მიმდევრები არიან). რასაც მოჰყვება B-ს შემოთავაზება ერთად ავიდნენ საპირფარეშოში (სტ.3).

წამღერების შემდეგ B ხმამაღლა, ამაყად ატყობინებს დანარჩენ ბიჭებს სასაცილო ამბავს, რომ მან „in ein Pissoir¹⁵ gekackt hat“ (სტ. 5). Cს საექვოდ ეჩვენება ნათქვამი, A ადასტურებს Bს ნათქვამს, ხოლო B უნდობლობის თავიდან ასაცილებლად, რამდენჯერმე იმეორებს ამაყად: „ich hab ins Pissoir gekackt“ (სტ.10). C-ს უკვე სჯერა, რადგან A-მ B-ს ნათქვამი დაადასტურა. მიუხედავად იმისა, რომ Bს საქციელი არ მოეწონა და უწოდებს მას: „eklich“, მაინც უჭერს მხარს ჯგუფის საერთო განწყობას და ამ ამბავზე მათთან ერთად იცინის. საუბრის მოდალობა არასერიოზულია, ადასტურებს ბიჭების საუბრის ტიპურ მახასიათებელს: ღია, უცერემონიო, ვულგარული. საუბარი კოოპერაციულია, არ შეიმჩნევა შეფერხების მცდელობა, რამოდენიმეჯერ ფიქსირდება ერთდროული საუბარი (სტ: 7,8,9,12), მაგრამ არა საუბრის უფლების მოპოვებისთვის, არამედ თემის განვითარებისთვის. ბიჭები იყენებენ ახალგაზრდულ ლექსიკას, მაგ: geil, სიცილის ნაწილაკებს, მაგ: haha. საუბრობენ წამღერებით, რითაც ხაზს უსვამენ, რომ რეპის თაყვანისმცემლები არიან.

4.4.2. გახელება, გამოჯავრება

არასერიოზული, სახუმარო მოდალობის შემდეგ ახალგაზრდებში ჭარბობს ერთმანეთის გაღიზიანების, გახელების, გამოჯავრების მოდალობა. გახელება უმეტესად საპირისპირო სქესის წამომადგენელთა შორის ხდება, ე.წ. „ჰეტეროსექსუალური გახელება“ (Fine, 1987), მაგ. „გიორგის უყვარს ანა“. ადრეული ასაკის მოზარდებში გახელება ინტერაქციის მეოთხედს შეადგენს, შუა ასაკის მოზარდებთან კი იგი 50%-ია (Krappmann/Oswald, 1995, 195).

მაგალითად: (A ბიჭი, B,C გოგონები 15-16 წლის)

1. B: ვაუ ვიკას რა დაუწყოოოო
2. მიყვარხარ ძლიერ ძლიერ ((ბოხი ხმით)

¹⁵ Pissoir - öffentliche Toilette für Männer (Duden, 2003, 1213).

3. C: საწყალი ის გოგო ვისაც შენ ლექსებს მოუყვები ((იცინის))
4. [მაგ თვალს რო შეანათებ
5. B: [უყვარს და ჰეეე ((იცინის))
6. A: შენ ვის[↑] დასცინი.
7. გუშინ რო ჩამოგვიარე.
8. გიოს დანახვაზე გაწითლდი და გამარჯობა ვერ მოიხერხე
9. B: [ა:უ::ფ
10. C: [რა::?
11. ვო:::ვ
12. B: [იქ გიოს გარდა. სხვაც იდგა
13. C: [მარის გიო ევასა:::ვ
14. B: აუ. ნუ სულელობ გთხოვ რა:
15. ამას რას[↑] უსმენ
16. გამოსირებული დადის. ვიკას ეშხით ((იცინის))

B-მ შეიტყო, რომ A-ს უყვარს ვიკა და შეყვარებულს ლექსი წაუკითხა: “მიყვარხარ ძლიერ ძლიერ”. გოგონა ახდენს ბიჭის ციტირებას მარკირებული ხმით (სტ. 2), ამით მას აჯავრებს, ახელებს. გოგონა C მხარს უბამს B-ს და დასცინის A: „საწყალი ის გოგო ვისაც შენ ლექსებს მოუყვები, მაგ თვალს რო შეანათებ” (სტ. 3-4). ამას მოჰყვება A-ს საპასუხო რეაქცია, იგი B-ს ახელებს, რომ B-ს მოსწონს გიო (სტ. 8). C ამ ინფორმაციამ უფრო დაანტერესა, A-ს გამოჯავრებას თავს ანებებს და ახლა მეგობარი გოგონა B-ს გახელებას იწყებს: „მარის გიო ევასააა” (სტ. 13).

4.4.3. ქილიკი/დაცინვა/მასხრად აგდება/გაცურება

ქილიკი, დაცინვა, მასხრად აგდება ახალგაზრდების ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. ბიჭებში უფრო ხშირია ასეთი მოდალობა, რადგან ბიჭებისათვის ქილიკი და სხვების დაცინვა მამაკაცურობისა და სიმწიფის მაჩვენებელია. ქილიკისა და გახელების განმასხვავებელი ნიშანია

ის, რომ გახელებას უფრო თამაშისა და ხუმრობის მოდალობა აქვს, ვიდრე ქილიკს.

ქილიკი (გაქილიკება) არის ემოციური ქმედება, რომელიც დგას პროვოკაციასა და ხუმრობას, გაღიზიანებასა და თამაშს შორის (Günther 1996, 102). ქილიკის დროს პირები ერთმანეთს ხუმრობით აკრიტიკებენ და დასცინიან. ინტერაქცია ძირითადად მიმდინარეობს სიცილით. როგორ განვითარდება ინტერაქციის დროს ქილიკის მოდალობა, ბევრადაა დამოკიდებული მსხვერპლზე, იმ პირზე ვისაც აქილიკებენ. იგი ან მხარს უბამს ქილიკს, ან წყვეტს ამგვარ საუბარს, ან აქვს აგრესიული რეაქცია და ქილიკი გადაიზრდება სერიოზულ ჩხუბში.

ქილიკი, გაქირდება, მასხრად აგდება არის რომელიმე პიროვნებაზე ვერბალური თავდასხმის საკომუნიკაციო ქმედება. სიტუაცია ვითარდება მსხვერპლის სტატუსის მიხედვით. მაღალი სტატუსის პირმა შესაძლებელია კარგი პასუხი გასცეს თავდასხმას და ამით ჯგუფში განამტკიცოს საკუთარი პოზიცია. ან პირიქით, ვერ გასცეს პასუხი და დაკარგოს მაღალი სტატუსი. თუ მსხვერპლი დაბალი სოციალური სტატუსი მქონე პირია და გაქირდავებაზე წინააღმდეგობის გაეწია შეძლო, მისი პრესტიჟი მაღლდება. თუ მსხვერპლი თავს ვერ იცავს, იგი იქცევა ჯგუფის ხშირი თავდასხმისა და გართობის ობიექტად. გაქირდვას, მასხრად აგდებას უმეტესად რეალური ფაქტები უდევს საფუძვლად, რასაც დროთა განმავლობაში ემატება ფიქციაც და გაზვიადებაც.

ადრეული ასაკის მოზარდებში ხშირია ირონიული მინიშნებები, დაცინვა მსხვერპლის გარეგნობის გამო, მისი გვართა და სახელით სიტყვათა თამაში, მიბაძვა. ნაკლებად გვხვდება სარკასტული შენიშვნები, მხიარული შეკითხვები, რაც იმატებს შუა ასაკის მოზარდებში. მსხვერპლს დასცინიან მაგ, ცუდი გარეგნობის გამო (39%), ჭარბი წონის გამო (13%), შეზღუდული ინტელექტუალური და ფიზიკური შესაძლებლობების გამო (15%), ოჯახური მდგომარეობის, არაჰიგიენურობის, ეროვნული წარმომობის გამო (10%). ქილიკი გარეგნობის გამო უფრო ხშირია გოგონებში, ვიდრე ბიჭებში (გოგონები 48%, ბიჭები 29%) (Branner, 2003, 248).

პირჯგუფში გვერდს ვერ ავუვლით დომინანტურობისა და დაქვემდებარების პრინციპს. დასცინიან და ახელებენ დაბალი სტატუსის, ცუდი გარეგნობის, ჭარბი წონის ბავშვებს. არის შემთხვევები, როცა დაცინვის ობიექტი კარგი გარეგნობის და ინტელექტუალური ბავშვი ხდება. ამ შემთხვევაში დაცინვის მიზეზი შურია ან მასთან ურთიერთობის სურვილი (Kosslers, 1991 468). ბიჭები სხვას დასცინიან უმეტესად სპორტული წარუმატებლობისათვის, გოგონებთან მეგობრობის გამო, რაიმეს მიმართ შიშის გამო. ისინი დასცინიან უმეტესად სხვა პირჯგუფის წარმომადგენლებს, მაგრამ ეს მოდალობა პირჯგუფის შიგნითაცაა მიღებული. მაგალითად:

- 1.C: ich hab so KOPFweh am nächsten Tag gehabt
 - 2.B: Weisch Er (zeigt auf C)
 - 3.D: (markierte Stimme) ich will runter, ich hab Angst (lacht C aus)
 - 4.C: ICH?
 - 5.D: Der Han genauso (lacht) (.) Ane (.) der Jan nicht.
 - 6.C: ich hab GAR NET Angst(-) ich hab OHRNschmerzen gehabt (-)
 - 7.A: ich saß da in der Ecke mit Sandys [Handy(.) hab gespielt und SO=
 - 8.C: (? ?) [nein, ich bin auf diese Brücke gegangen und dann war Spener da
 - 9.D: aja stimmt (-) [sein Fuß stinkt ewig (-) (lacht)
 - 10.C: ich musste die GANZE Zeit oben bleiben
 - 11.D: DU Opfer (lacht)
 - 11.C: er der HUREN SOHN (lacht)
- (Sherpa, 2007, 48).

ბიჭებში პოპულარული თემაა “შიში”. აღნიშნულ დიალოგში იკვეთება ბიჭების საუბრის ჩვეული სტილი – ქილიკი. D დასცინის Cს, რადგან მას სიმაღლის შიში აქვს. იყენებს მარკირებულ ხმას, C-ს საუბრის ფიქციას და იმიტაციას (სტ.3: ich will runter, ich hab Angst). ბიჭისთვის შიშის აღიარება არასასურველია, იქმნება ჯგუფში მისი პრესტიჟის დაცემის საშიშროება, ამიტომ C უარყოფს ბრალდებას, აქვს ქილიკზე სერიოზული რეაქცია, არ ჰყვება ამ მოდალობას, იმართლებს თავს – ვერ ავიდა სიმაღლეზე, რადგან ყური სტკიოდა (სტ.6). სამაგიეროდ სიამოვნებით უბამს მხარს საუბრის მეორე

ნაწილში ვინმე სპენდერის დაცინვას, რომელიც მუდამ: „stinkt” (სტ. 9), ბიჭები ლანძღავენ მას, უწოდებენ: „Hure Sohn”-ს (სტ.11).

მაგალითი ქართველი ბიჭების საუბრიდან (15-17წლის):

- 1 A: ტოტი მომიტყდა და (-) გადავიხიე ფეხი.
- 2 B: შენ[↑] მოგიკვდი მე: ((ქალის ხმით))
- 3 G: დედა::[↑] რატო[↑] ვარ ცოცხალი:: ((ქალის ხმით))
- 4 D: [რა მეწყინა::
- 5 B: [ერთი კინკილა გული მქონდა და ისიც დამეწვა
- 6 D: აუ რა მეწყინა
- 7 ვაი[↑] გული((ქალის ხმით))
- 8 B: დღეს ღამე არ დამეძინება ისე. [რაცხა.
- 9 A: [აუ დაგადრობთ ახლა ჩლიქებს
- 10 B: ჩლიქებსაც დაგადრობ და ჰაჰა
- 11 (h) ვაი::: ჩემი::: °°bla°°
- 12 G: ჩლიქები გაწიე ბიჭო::: ((იციანის)) (--)
- 13 A: ზაპოჟნიკთან იყავი?
- 14 (h) ქე გაქ თავი ქვასანაყში ნახათქუნებივით
- 15 B: გემოვნებაზე არ დაობენ.
- 16 G: რო დაობენ. მიტო ვდაობთ.
- 17 A: გრძელი თმა უფრო გიხდებოდა
- 18 (h) ტანი არ გაკლია, სიმაღლე და(-)
- 19 თმები რო დაგეყენებია თავის ადგილას (-)
- 20 კი მოგისობდი ხელეებს ((ყველა იციანის))
- 21 B: ხო (-) იბლატავე ხალხში. კაი.
- 22 მერე მარტო რო დავრჩები:თ (--)
- 23 A: აღარ მომწონხარ ((ყველა იციანის))
- 24 კარე უნდა შეგეჭრა
- 25 B: კარე არა[↑]
- 26 პოდიუმი[↓] ((იციანის))

A-მ ფეხი იტკინა და დაიწუწუნა, რასაც სხვა ბიჭები ქილიკით პასუხობენ, იყენებენ მარკირებულ ხმას (ქალის ხმა) და გამოთქმებს, რომელიც

სპეციფიკურია ქალისთვის: შენ მოგიკვდი მე; დედა რატო ვარ ცოცხალი; რა მეწყინაა; ერთი კინკლა გული მქონდა და ისიც დამეწვა; ვაი გული (სტ.1-8) ანუ ადარებენ A-ს ქალს. შეადარო ქალს, ქართველი ბიჭისთვის დიდი შეუაცყოფაა, მაგრამ არა არასერიოზული მოდალობის დროს. A ცდილობს საუბარის ეს მოდალობა არ დაარღვიოს, თუმცა გაბრაზება უკვე ეტყობა და მიმართავს ბიჭებს ჯგუფისთვის ტიპური არასერიოზული მოდალობის მატარებელი მუქარით: აუ დაგადრობთ ახლა ჩლიქებს, მნიშვნელობით – გაგლახავთ (სტ. 9). A არ სჯერდება ამას და ცდილობს საპასუხო დარტყმა მიაყენოს თავდამსხმელს, რათა ამ ვერბალურ დუელში არ დამარცხდეს. იწყებს საუბარს B-ს ვარცხნილობაზე, ადარებს მის ფიზიკურ აღნაგობას გოგონას აღნაგობას, B-ს თმა, რომ არ შეეჭრა ადვილად აერეოდა იგი A-ს გოგონებში (სტ.18-20). B-ს არ ესიამოვნა A-ს სიტყვები და ემუქრება, რომ ცალკე დაელაპარაკება (სტ. 21-22). A ისევ აგრძელებს მასხრობას და წინადადებით: აღარ მომწონხარ, კარე უნდა შეგეჭრა (სტ. 23-24), Bს გაცინებასაც ახერხებს.

მოცემული მაგალითი ადასტურებს, რომ ქილიკსა და დაცინვას სხვადასხვა სოციოლინგვისტიკური ფუნქცია აქვს, ერთი მხრივ იგი საშუალებაა საწინააღმდეგო აზრის გამოთქმის, უარყოფითი დამოკიდებულების ჩვენებისა, მეორე მხრივ შესაძლებელია მან ახალგაზრდების ჯგუფში შეამსუბუქოს დამაბულობა, გააღრმავოს მეგობრობა. თუ მოსაუბრეს სურს, რომ მისი არასერიოზული საუბარი სერიოზულად არ მიიღონ, სწრაფად უნდა მიაწოდოს მსმენელს ან მსხვერპლს ინფორმაცია, მაგალითად, ინტონაციის შეცვლით, გამომწვევი ტონალობით, საუბრის სწრაფი ტემპით, სიცილით, ღიმილით, შესაბამისი ნაწილაკებით, როგორც ეს მოახერხა A-მ 23/24-ე სტროფში. პიროვნების საპასუხო რეაქცია ბევრადაა დამოკიდებული სიტუაციაზე და იმის ცოდნაზე, რაც მას აქვს პარტნიორის ხასიათსა და ენობრივ ქცევებზე, მოსაუბრისა და პარტნიორის ურთიერთდამოკიდებულებაზე, დისკურსის კონტექსტზე, მაყურებლების რეაქციაზე. თუ მსხვერპლი რეაგირებს ხუმრობით, ე.ი. მან ქილიკი, ვერბალური თავდასხმა ხუმრობად მიიღო. B-ს სიცილი საუბრის ბოლოს

დასრუტია იმის, რომ საუბრის არასერიოზული მოდალობა ბოლომდე შენარჩუნდა.

მაგალითი გერმანელი გოგონების საუბრიდან:

1.A: Rebecca kann ich ma ne Seviette haben?

2. hab ich ver[gessen

3.B: [NEIN du hast doch deinen Pulli mein Gott

4. Alle lachen: HAHAHA

5. C: ja aber echt

6. Mein Gott jetzt will die ne Serviette?

7. A: Stell dir vor? Ich krieg denn immer so Prüdel, wenn meine mein meine Mutt schon wieder waschen muß

8. Alle lachen: HAHAHA

9.C: ja das stimmt. Haha

10.A: einma im Monat

11. Alle lachen: HAHAHA

(Branner, 2003, 254).

გოგონების დიალოგი სასადილოშია. გოგონა A მეგობარს ხელსახოცს თხოვს, ეს გოგონა B-ს ქილიკის მიზეზი ხდება (სტ. 3), A დადებითად რეაგირებს და მეგობრის ვერბალურ თავდასხმას მხიარულ ახსნას უძებნის (სტ. 7).

არასერიოზული მოდალობის ხარისხი მატულობს, როცა მოზარდები წასვამ მდგომარეობაში არიან. მაგალითად, წასვამი გოგონები მიდინ ქუჩაში (16-17 წლის).

1. ((მღერიან)) სამი დალიე::: შეგერგება:::
((ყველა იცინის))
(...)
2. A: [აუ::: ახლა ბებიაჩემი
3. <((acc))> გამოდი გოგო გამოდი გამოდი ((მარკირებული ხმა))
4. ((ყველა იცინის))
5. B: [ვისია ვისია ჩემ და ჩემი ძმისია::: ((მღერის))
6. მოდი ქალაქში ვიმღერებ და დაგაბრალე შენ რო გამოიხედავს
7. ვისია ვისია↑ ჩემი და ჩემი ძმისია:::
8. A: ლა ლა ლა ↑
9. G: აუ ::: გამოშტერდა ხალხი
10. B: რას დვა. იშო რას.
11. ვიცეკვოთ ასე ასე ასე ((ცეკვავს))

12. G: [ნელა ხუჯადე
13. A: [სალო ასე ((იციან))
14. G: შენ გოგო ბებიაშენის მატოციკლეტზე ხო არ იჯექი
15. B: ვისია ვისია ვისიააა((მღერის))
16. G: ვისია და
17. რა ქვია იმ სერიალს ახლა რო გადის?
18. A: ლუის ალბერტოსი? ((იციან))
19. G: არა რაღაც სხვა სახელია
20. B: [ტაშ ტაშ ტაშ ტარამ ტარააააამ
21. G: [შე ქალიშვილობის უღირსო
22. ((ყველა იციან))

საუბრის მოდალობა არასერიოზულია, ყველა ხუმრობს, მღერის, ცეკვავს, იციან. აშკარაა, რომ დროს ერთად სასიამოვნოდ ატარებენ. საუბრის ჩანაწერი ცხადყოფს, რომ გოგონებისათვის მნიშვნელობა აქვს არა სასაუბრო თემას, არამედ იმას, ვინ რას მოიმოქმედებს სასაცილოს. ნასვამ მდგომარეობაშიც კი გოგონები არ კარგავენ შემოქმედებითი საუბრის უნარს. ახდენენ მოხუცი ქალების იმიტაციას (მაგ. სტ.2-3), იყენებენ ახალგაზრდულ გამოთქმებს, მაგ. „შენ გოგო ბებიაშენის მატოციკლეტზე ხომ არ ზიხარ“ (ხომ არ გაგიჟდი), აქვს თავიანთი ჯგუფისთვის სპეციფიკური მიმართვები, მაგ., „შე ქალიშვილობის უღირსო“, რაზეც გულიანად იციან.

საუბრობენ ნასვამი ბიჭები (16-17 წლის):

- 1 A: აუ შენ რა გეშველება შე ჩემა
- 2 დამურტყლული ხარ
- 3 B: ვინაა დათრგუნული?
- 4 G: მე ვარ მე
- 5 A: დათრგუნული არა დამურტყლული
- 6 B: დათურგუნულია მაგი დათურგუნული
- 7 ((ყველა იციან))
- 8 B: [მარიკურებს ვისობთ მარიკურებს
- 9 D: [დარა ჩანგალი ((ზოხი ხმით)) (-)

- 10 ბესამე ბესამე მუჟო ((მღერის))
- 11 G: და:ვერუვდით↑
- 12 გაჩუმდი↑ ბიჭო
- 13 A: ამის ყლოყინი მეზობლებს გაუგონიათ. და რა ხდებო? ((იციის))
- 14 D: [ლა ლა ლა ((ზოხი ხმით))
- 15 B: [ხო ეს რო მღეროდა. ამოწყვეტილა თურმე მთელი სამეზობლო.
- 16 მარტო მარკია გადარჩა თურმე ((ყველა იციის))
- 17 A: მაგას იმუნტიტი აქ ამის მოსმენაზე და მიტო ((ყველა იციის))
- 18 G: აუ (-) წყალი მინდა
- 19 B: უფ↑
- 20 G: აუ. მართლა მინდა.
- 21 მაგრად მინდა წყალი.
- 22 წადი. მიდი რა:::
- 23 B: ვაი შენს პატრონს
- 24 G: აუ შენი თვალების ჭირიმე დეიდა ((პატარა ციციის ბავშვის ხმით))
- 25 D: ((დოღს უკრავს))
- 26 G: ჰე როკი როკი როკი არ გვინდა ახლა
- 27 D: აუ ჩართეთ რამე მშობლიური
- 28 მშობლიურები
- 29 B: ა::: შენ დაუკარ უნდა ამას
- 30 A: [ნახეთ რამე ტელში ძმაო
- 31 B: [ფეხი დამადგით გულზე დამადგით ფეხი ყოველმა
- 32 წყალობა ჰყავით=
- 33 G:=შენ გენაცვალე:::
- 34 იცის და ჰე (-)
- 35 [შეეკითხეთ თუ გინდათ
- 36 A:[შეეკითხეთ თუ გინდათ ((ყველა იციის))
- 37 B: შენ შემაფრუთხე შემწვარი, თუ არ ვიცოდე ბოლომდე

ბიჭები ნასვამ მდგომარეობაში არიან. გოგონების მსგავსად ისინიც მღერიან, ცეკვავენ, ყვებიან ლექსებს. განსხვავებაა იმაშია, რომ ბიჭების საუბარში დაცინვის და ირონიის ელემენტი მეტია. ბიჭებს აღარაა აქვთ ღვინო, შესაბამისად აღარ ყავთ, არ სჭირდებათ თამადა, ვისაც შესაძლოა დაემორჩილონ ან მოუსმინონ, ამიტომ თითქმის ყველა ერთდროულად საუბრობს, საუბარი

კომპიტიტიურია, დირექტივებით მდიდარი. ვიღაც მღერის, ვიღაც ლექსს ყვება, ვიღაც ცეკვავს და სასაურო თემა ვერ ვითარდება. მოუხედავად ამისა ბიჭების მოცემული დისკურსი საკმაოდ საინტერესოა. საუბრის დასაწყისში ისინი იყენებენ ჯგუფისთვის სპეციფიკურ სიტყვას „დამურტყლული“, რაც სახეზე გამოჩნდება ნიშნავს. შემდეგ სიტყვებში ასო-ბგერათა გადანაცვლებით ახლა სიტყვებს ქმნიან, მაგ. „დათრგუნულის“ მაგივრად „დათურგნული“, „მანიკურის“ მაგივრად „მარიკური“, დანა-ჩანგალის ნაცვლად „დარა_ჩანგალი“, რაზეც გულიანად ეცინებათ. საუბარში გვხვდება პატარა ციგნის ბავშვის იმიტაცია: „აუ შენი თვალების ჭირიმე დეიდა“, ეს წყურია და ამით იგი ახდენს თხოვნის გაძლიერებას, მოუტანონ წყალი, პარალელურად ინარჩუნებს არასერიოზულ მოდალობას. ბიჭები საუბრობენ ჰიპერბოლური ფიქციებით, მაგ: „ამის ყლოყინი მეზობლებს გაუგონიათ და რა ხდებაო?“ (სტ. 13), „ხო ეს რო მღეროდა ამოწყვეტილა თურმე მთელი სამეზობლო“ (სტ. 15). გამოთქმა: „იცის და ჰე შეეკითხე თუ გინდა“ სპეციფიკურია ჯგუფისათვის, ასე მოიხსენიებენ იმ ადამიანს, რომელიც ცდილობს აჩვენოს, რომ ყოვლის მცოდნეა. როცა ამ გამოთქმის პირველ ნაწილს „იცის და ჰე“ ვინე იტყვის, იგი პაუზას აკეთებს და უცდის დანარჩენებს, მასთან ერთად თქვან ამ გამოთქმის მეორე ნაწილი „შეეკითხე თუ გინდა“. ჯგუფისთვის სპეციფიკურია გამოთქმა: „შენ შემაფურთხე შემწვარი, თუ...“, იგი დაფიცების მაგივრად გამოიყენება. მოცემულ მაგალითში B ამ გამოთქმით ირწმუნება, რომ ლექსი ბოლომე იცის.

ნასვამ ბიჭებში ხშირია აგრესიული ვერბალური თუ არავერბალური თავდასხმები, მაგრამ არა ჯგუფის შიგნით. ეს ხდება უფრო მაშინ, როცა ერთმანეთთან ურთიერთობა სხვადასხვა პირჯგუფის წევრებს უწევს.

4.4.4. რიტუალური ლანძღვა

როგორც უკვე არაერთხელ აღვნიშნეთ, პირჯგუფში ლანძღვა-გინებას, უმეტეს შემთხვევაში, არ აქვს სერიოზული მოდალობა. იგი გამოიყენება გართობის, თამაშის მიზნით. არასერიოზულ ლანძღვა-გინებას სამეცნიერო

ლიტერატურაში „რიტუალურ ლანძღვას“ უწოდებენ (Schmidt,2004,200), ისიც ვერბალური დუელის ერთ-ერთი სახეობაა. შესაძლებელია, რიტუალურმა ლანძღვამ სერიოზული სახეც მიიღოს. თამაშის ფუნქციით შექმნილი კონფლიქტები ბიჭებს სჭირდებათ საკუთარი ენობრივი შესაძლებლობების საჩვენებლად, ვერბალურ დუელში გამარჯვების მოსაპოვებლად.

რიტუალური ლანძღვის დროს ბიჭები იყენებენ სკაბრეზულ გინებას, მაგალითად (მაგალითში სკაბრეზული გინება მრავალწერტილით აღვნიშნეთ):

(ბიჭები 13 წლის)

- 1 E : მოდი ბიჭო აქ მოდი აქ ((იციან))
- 2 V: თუ არ მოხვალ ერთი შენი ...
- 3 E: მოდი ბლიატ ... =
- 4 V: =ე ვასია↑
- 5 E: ჩხირი შენ
- 6 მოდი სანამ ჩამიბუყნიხარ
- 7 შენი ...
- 8 V: ლილიპუტ ((იციან))
- 9 E ჩხირი ((იციან))

ბიჭები ერთმანეთს აგინებენ, უწოდებენ ლილიპუტს და ჩხირს, თან იციან, რაც ნიშანია იმის, რომ ლანძღვა არასერიოზულია, ერთმანეთს ეთამაშებიან და ერთობიან. სალანძღავი სიტყვებით თამაში გვხვდება გოგონებშიც. გოგონებიც იგინებიან, მაგრამ ძირითადად მაშინ, როცა ბიჭების საუბრის იმიტირებას ახდენენ. რიტუალური ლანძღვისას გოგონებს უფრო წყევლა, მუქარა ახასიათებთ, შესაძლებელია ამ საკომუნიკაციო ქცევას „რიტუალური წყევლა“ ვუწოდოთ, მაგალითად:

1. A: (h) რა გინდა რას მერჩი (-)
2. ჩემი სიკვდილი:....
3. გამიძეხი გოგო წინ
4. შენი კუბო დავდგი შენი ↑
5. იარე წინ. შე ოროსანო ((ორივე იციან))

6. B: (h) გადი..... გადი.....
7. A: [ვაიმე რა დალურჯებული ვარ
8. B: [რას მირტყამ. შენი გაზრდილი ვარ?
9. A: ჩემი გაზრდილი ხარ. აბა. ვისი გაზრდილი ხარ?
10. B: არ ვარ შენი გაზრდილი მე..... ((პატარა ბავშვის ხმის იმიტაცია))
11. გადი თორე მოგ... ბებიას ((იცინის))
12. არა არა არა ((იცინის))
13. A: არა არა არა ((მარკირებული ხმა))
14. [უი რა კაია კარგად რო მოგჩიჩა:....ვ
15. B: [შენ შენ შენ მიგიჟემტავ სახეს
16. A: (h) შენ თავს შევეუგდებ ბებიაშენს ((ორივე იცინის))
17. B: ბებერია და ვერ შემჭამს
18. A: ის პროტეზი რო შეგრჩება თავზე [ის მოგიღებს ბოლოს((იცინის))
19. B: [გადი თორე ხელებს მიგაჭამ ((B ბწყენს A-ს))
20. A: ოოოოო მეტკინა გოგო, [დებილი ხარ↑
21. B: [ჰე
22. დეიბოდმე ახლა (1.)
23. A: მუჟიკი ვარ
24. ნასტაიაში მუჟიკი
25. რა სინიაკები მააააჟ
26. შენ უნდა მომკლა შენ?
27. მე მოგკლავ (.) ((ურტყამს თავში))
28. (....)
29. B: [ხორცს ამოგიღებ ამ ფრჩხილებით
30. A: [ი:..... ვაიმე: პამადა↑
31. კიდე კარგი არ გადავიდა(.)
32. პროსტო. დაგახჩობდი.
33. გამიმეხი ახლა წინ.
34. მიგათრიო მასწავლებელთან ((ორივე იცინის))

15 წლის გოგონები მიდიან კერძო მასწავლებელთან, გზაში ერთმანეთს ჩქმეტენ და აწვალევენ. საუბარი თავიდან ბოლომდე მიდის არასერიოზული მოდალობით, გოგონები ერთმანეთს ლანძღავენ, ემუქრებიან, ხუმრობით წყევლიან, იცინიან და ერთმანეთს ეჯიბრებიან, ვინ უფრო ენამოსწრებულად გალანძღავს და დაწყევლის მოწინააღმდეგეს. საუბრის დინამიკა

კოოპერაციულია, გოგონები ერთმანეთს აცლიან საუბარს, ცდილობენ სათანადო პასუხი გასცენ ერთმანეთის ვერბალურ თავდასხმას. საუბარში გამოიყენეს ტრადიციული წყევლის ნიმუშები (მაგ: შენი კუბო დავდგი), მუქარა (მაგ: ამოგიღებ ხორცს ამ ფრჩხილებით, მიგათრევ), ახალგაზრდული მიმართვები (შე ოროსანო, გოგო, დებილო), ახალგაზრდული სიტყვები (მაგ: ბაზარი), ახალგაზრდული კოლოკაციები (მაგ: “სახის მიჟემტვა” მნიშვნელობით სახის დამახინჯება), რუსიზმები (მაგ: პროსტო, მუჟიკი, პამადა, სინიაკი), მარკირებული ხმა (სტ. 10), დისკურსის ნაწილაკები (იიიიი, ააააა,ოოოოო, აუ, ვაი, ჰე), სკაბრეზული გინება (სტ. 11).

4.4.5. „დისენ“

ინტერაქციაში „დისენ“ (Disson) უწოდებენ საკომუნიკაციო აქტს, რომლის საშუალებითაც მოწინააღმდეგეები ერთმანეთს პირად შეუაცყოფას აყენებენ. „დისენი“ ვერბალური აგრესიული დუელის ყველაზე ხშირი ფორმაა გერმანელ ბიჭებში (Schmidt 2004: 270). აქ ორი მოწინააღმდეგე თავს ესხმის ერთმანეთს ვერბალურად, ყოველთვის ჰყავთ მაყურებელი და შემფასებელი. გერმანიაში ამ სახის ვერბალურ დუელს საფუძველად დაედო ამერიკული ჰიპ-ჰოპი: მუსიკის თანხლებით ორი მოწინააღმდეგე გართმული ფრაზებით ერთმანეთს ებრძვის. ქილიკის, გაქირდვისა და რიტუალური ლანძღვისაგან განსხვავებით დისენის დროს შეურაცხყოფა პირდაპირი და უხეშია, ხდება ტაბუდადებული ენობრივი გამოთქმების შეუზღუდავი გამოყენება. დისენი სცენაა, ბიჭები სიამოვნებით თამაშობენ, აქ არა აქვს მნიშვნელობა სტატუსით განსხვავებას, მონაწილეობს ნებისმიერი, ვინც ენამახვილობით გამოირჩევა. ეს არის შეურაცხმყოფელი სიტყვებით თამაში, რომელსაც თან ახლავს ჰიპ-ჰოპის ან რეპისათვის დამახასიათებელი ჟესტები. ვერბალური ბრძოლა სრულდება მაშინ, როცა ერთ-ერთი მონაწილე შეტევაზე აღარ რეაგირებს, ან პირდაპირ აღიარებს დამარცხებას.

მაგალითად:

1. E: he haben wir nachmittags DING Mathe u Informatik?
2. F: NEIN DU DEPP
3. M: Ham wir morgen Mathe Informatik=
4. F:= morgen haben wir Donnerstag DU VOGEL
5. K: GE(-) DU Fischkopf

(Sherpa, 2007, 101).

დისენის ამ პატარა მონაკვეთში გამოყენებულია შეურაცხმყოფელი მიმართვები: du Depp, du Vogel, du Fischkopf, ეს სხვა არაფერია, თუ არა სიტყვათა თამაში. იგი არ იწვევს გაბრაზებას და სერიოზულ მოდალობას. ვერბალური დუელის მსგავს ფორმას საქართველოში დიდი ტრადიცია აქვს შაირობის სახით (Kotthoff, 1995). მაგრამ, დისენისაგან განსხვავებით (იხ. ცხრილი 17.), აქ ვერბალური ბრძოლა ხდება ვულგარული გართმული ლექსებით, დისენში კი რითმს დიდი მნიშვნელობა არ აქვს, აქ მთავარია სიტყვებით თამაში და რეპისთვის დამახასიათებელი რიტმი და ჟესტები. ქართულ შაირობას არაფერი აქვს საერთო ამერიკულ ჰიპ-ჰოპთან, იგი ქართული ტრადიციის გავლენა ახალგაზრდებზე. თუმც მსგავსია მათი ფუნქცია – გართობა, ორივეს ესაჭიროება „სცენა“, მინიმუმ ორი მონაწილე – გამარჯვებული, დამარცხებული – და მაყურებელი.

ცხრილი 17.

Dissen	შაირობა
<p>ვერბალური დუელი ამერიკული ჰიპ-ჰოპის ზეგავლენა ტექსტი რეპის რიტმით და ჟესტებით, რითმა არაა სავალდებულო</p> <p>ტექსტი ორიგინალური, კრეატიული საჭიროებს მაყურებელს, მინიმუმ ორ მონაწილეს (გამარჯვებული, დამარცხებული)</p> <p>მნიშვნელოვანია მაყურებლის რეაქცია დასაშვებია ვულგარული სიტყვები ემსახურება გართობას</p>	<p>ვერბალური დუელი ტრადიცია მნიშვნელოვანია რითმა</p> <p>ტექსტი ორიგინალური, კრეატიული საჭიროებს მაყურებელს, მინიმუმ ორ მონაწილეს (გამარჯვებული, დამარცხებული)</p> <p>მნიშვნელოვანია მაყურებლის რეაქცია დასაშვებია ვულგარული სიტყვები ემსახურება გართობას</p>

ხშირი გამოყენება	იშვიათი გამოყენება
------------------	--------------------

გერმანულ ახალგაზრდებში, უმეტესად ბიჭებში, უფრო ხშირი გამოყენება აქვს დისენს, ვიდრე ქართველ ახალგაზრდებში შაირობას, მაგრამ თითქმის ყველა ქართველმა ბიჭმა იცის, თუნდაც მცირე რაოდენობით, გართიმული, უხამსი სიტყვებით გაჯერებული ლექსი და, შესაბამისად, შეუძლია შაირობის რიტუალის ჩატარება.

მაგალითად:

- 1 B: ეჰ
 - 2 მამულო საყვარელო შენ როსლა აყვავდები
 - 3 A: შენ როსლა აყვავდები შენ?
 - 4 B: შენ საერთოდ ვინმე თუ გიყვარს?
 - 5 მე ჩემს მარცვალს ვთესავ ხნულში მოსავალი მინდა წმინდა,
ქუთაისის სიყვარულში შემეჯიბროს ვისაც უნდა
 - 6 A: ჩემი ცხოვრება ვალები
 - 7 ღვინო, დუდუკი, ქალები ჰე ჰე ჰე
 - 8 B: რაც გამოფებს აქტიურად დედას გტირობს ფაქტიურად
 - 9 A: ატყდა რეკვა, გლეწე რეზკად და შეიქმნა სესერეკა
 - 10 B: აქეთ ფიცარი იქით ფიცარი, ისე გაგლახე ველარ გიცანი
 - 11 A: გარბიან ტაქსები, წერენ სოჩიკები, რა კაია პონჩიკები
 - 12 B: მკიდია პონჩიკი მამიდა, თუ ქალი მამინდა
- (...)

მოცემული მაგალითი მოზარდების კავიაობის ნიმუშია. B ამბობს ფრაზას ლექსიდან რასაც მოჰყვება A-ს ირონიული შენიშვნა: შენ როსლა აყვავდები? B-ს არ ესიამოვნა ეს ირონიული გადახვევა, რადგან ის პატრიოტული პათოსით ყვებოდა ლექსს. B აგრესიულად ეკითხება A-ს: “შენ საერთოდ ვინმე თუ გიყვარს”, და ისევ ამბობს ლექსს ქუთაისის სიყვარულზე. დაგვიანებით, მაგრამ შაირით სცემს A პასუხს დასმულ შეკითხვას, თუ უყვარს ვინმე. და B-ც არ აყოვნებს პასუხს. ბიჭებს ყავთ მაყურებლები. ისინი არ ერევიან საუბარში, იცინიან და ამით მხარს უჭერენ მათ ვერბალურ პაექრობას. შეგნებულად ავარიდეთ თავი საუბრის მთლიანი ვერსიის ჩვენებას, ბიჭების ვერბალური დუელი მალე გადაიზარდა სკარბეზულ და არანორმატიული

ლექსიკის სიტყვებით თამაშში. მსგავსი პაექრობის დროს არც ერთი შეურაცხმყოფელი სიტყვა თუ წინადადება საწყენად არ მიიღება, აქ დასაშვებია ოჯახის წევრების შეურაცხყოფაც კი, მაშინ, როცა ქართველი ბიჭი დედის ან დის სერიოზულ შეურაცხყოფას არავის პატიობს.

4.4.6. საუბრის სერიოზული მოდალობა

ყოველივე ზემოთქმული არ ნიშნავს იმას, რომ მოზარდები არ საუბრობენ სერიოზულად. ისინი ზრდასრული ადამიანების მსგავსად საუბრობენ პრობლემებზე, სერიოზულ თემებზე, აკეთებენ ანალიზს, დასკვნებს. სერიოზული მოდალობის საუბრებს შესაძლებელია ახლდეს აგრესიული ან კოოპერაციულობის მოდალობა. ბიჭებისთვის უფრო ტიპურია აგრესიული საუბრის სტილი, უფრო ხშირია კონფლიქტური სიტუაციები მათ პირჯგუფში, ვიდრე გოგონებთან. აგრესიის გამოხატვის დროს ბიჭები იყენებენ დიდი რაოდენობით ვულგარულ სიტყვებს.

მაგალითად:

- 1 B: მოდი ბიჭო აგერ (სახელი). მე შენ გეტყვი. მე შენ გეტყვი (-)
- 2 კაროჩე. შენ ხარ ბიჭო სირი.
- 3 Z: რა↑
- 4 B: <((acc))> მე აგისხნი
- 5 <((acc))> მე შენ აგისხნი
- 6 რატო ხარ სირი
- 7 Z: მე არ ვარ სირი და არასოდეს ჩამიდენია სირობა და ვერასოდეს=
- 8 B: = მაცალე ერთი წუთით ბიჭო↑ (-)
- 9 გოგონებში ვდგავარ. და შენ პანჩურს მირტყამ ბიჭო.
- 10 ეს სირობაა ბიჭო. და ასეთი რამ არ უნდა ჩაიდინო და კიდე=
- 11 Z: =უარესი სირობა გაქ [ჩადენილი

- 12 B: [რა?
- 13 Z: ფუ შენი ((ურტყამს B-ს))
- 14 B: [წადი შენი
- 15 A: [გააშველეთ ბიჭო
- 16 ..[..
- 17 B: შე ბოზო გამ=
- 18 Z: =შე სირო შე სირო შე=
- 19 B: [გამოუშვი შენი
- 20 E: [ატაკე ბიჭო
- 21 B: გამიშვი შენი
((A და D აშველებენ))
- 22 (1.)
((აღარ ურტყამენ ერთმანეთს))
- 23 B: არასპრავედლივი ხელი მომხვდა (-)
- 24 კრეტინი ხარ ბიჭო. გოგოები იდგა
- 25 Z: დავაგინო დავაგინო↑
- 26 მამაშენია სირი. მამაშენია (-)
- 27 B: აპა რა იყო. გოგოები იდგა იქ.
- 28 იდგა და ეს მოვიდა და (-) პანჩური (-)
- 29 ხო იყავი შენ იქ მიდი. თქვი ((მიმართავს E-ს))
- 30 E: მე რატო მთხოვ პასუხს
- 31 B: თქვი ბიჭო↑
- 32 Z: მიაყენე ბიჭო თავი
- 33 მიაყენე ბიჭო
((D იცინის))
- 34 B: ნუ იცინი ბიჭო ((მიდის))
- 35 Z: ნუ მიდიხარ ბიჭო
- 36 გვერდზე გავიდეთ
- 37 B: (? ?)
- 38 Z: შენ რატო მიდიხარ და თან რატო ლაპარაკობ
- 39 B: (? ?)
- 40 Z: ზურგს უკან ნუ ლაპარაკობ თორე აგეწვება (h) ტრაკუნები (- -)
- 41 B: ((უკან ბრუნდება)) რა გინდა შენ?
- 42 Z: [წამოდი გვერდზე
- 43 B: [ხო უნდა შეხვიდე სხვის მდგომარეობაში.
- 44 გოგოები იყვნენ↓

45 Z: წამო

46 B: წადი და მოვალ არ მეშინია ბიჭო ((მიდის)) (-)

47 °°bla°° რას მიზამ მომკლავ თუ რას მიზამ

ბიჭები ჩხუბობენ იმის გამო, რომ Z-მ B გოგონების თვალწინ შეურაცხყო. B ცდილობს აუხსნას Z-ს, რატომაა მისი საქციელი „სირული“. საუბარი გადაიზრდება ხელჩართულ ჩხუბში. ჩხუბის პროცესში ბიჭები ერთმანეთს აგინებენ, იყენებენ შეურაცხმყოფელ სიტყვებს, აწყვეტინებენ ერთმანეთს საუბარს, არ უსმენენ ერთმანეთს, ცდილობენ საკუთარი აზრის დაფიქსირებას. იყენებენ დიდი რაოდენობით ბრძანებითი ფორმის წინადადებებს (მაგ: წამო! წადი! მოდი ბიჭო! მაცალე ერთი წუთით ბიჭო!), ახალგაზრდულ სიტყვებს (მაგ: სირი, სირობა), ახალგაზრდულ მიმართვებს (ბიჭო, შე სირო, შე ბოზო), რუსიზმებს (კაროჩე, სპრავედლივი), კოლოკაციებს („თავის მიყენება“ მნიშვნელობით გაჩუმება, დაწყნარება; „ატაკო ვინმეს“ – დაარტყა ვინმეს). საუბრის დინამიკა კონკურენციულია, მოდალობა სერიოზული, აგრესიული. A. E. და D. მაყურებლები არიან და კამათში მონაწილეობას არ იღებენ, საშუალებას აძლევენ, მოკამათებმა ბოლომდე გამოთქვან თავიანთი აზრი. E. მაშინაც კი არ ერევა, როცა მოკამათე B. თხოვს დაადასტუროს, რომ შეურაცხყოფა მიაყენეს გოგონების თანდასწრებით. E-ს დასტურის გამოთქმა ჯგუფთან ერთად არამამაკაცურ საქციელად მიაჩნია. მაყურებლები ძალიან ყურადღებით უსმენენ, მზად არიან ცემა–ტყეპის შემთხვევაში ისინი გააშველონ (სტ. 13). ცემა–ტყეპა მაყურებლებისთვის არის შოუ, თუმცა იქვე აშველებენ, პარალელურად ჩხუბის პროვოცირებას ხელს უწყობენ, სურვილი აქვთ, შოუ გახანგრძლივდეს (სტ.21). ჩხუბის დამწყები B. უკმაყოფილო ამთარვებს კამათს, რადგან მხარდაჭერა ვერავისთან ჰპოვა, გარდა ამისა Z. მასზე უფროსი და ძლიერია, ჯგუფში იგი სტატუსით მაღალია.

საუბრობენ გერამნელი მოზარდები:

1. A: ah Sebi man HÖR auf
2. B: [AH (lacht) (? ?) (Gerangel)
3. A: [HÖR AUF(Gerangel)
4. B: AH: (? ?) (Gerangel)

5. A: Sebi HALT =die=Fresse, komm her
6. B: ich SPUCK die ins g=SICHT (lacht laut)
7. A: HALT die Fresse
8. B: (lacht)
9. GRAD noch hingekriegt (lacht) (Ärgert A weiter)
10. A: dein Benehmen is (-) dein Verstand und dein Benehmen ist so was wie vonem ehm (-) voner BLONDEN (-) FRAU

(Sherpa, 2007, 65)

მოცემული მაგალითიც ტიპური ნიმუშია ბიჭების აგრესიული საუბრის სტილის. B აბრაზებს A-ს, რაც საბოლოოდ გადადის ლაძღვაში. A იყენებს ფრაზეოლოგიურ გამოთქმას: „halt die Fresse!“, B კი მას ემუქრება: “ich spuck dir ins Gesicht!”, თან იცინის. A Bs აზროვნებას და ქცევას Blondine-ს ადარებს. იგი იყენებს სტერეოტიპულ სალანძღავ გამოთქმას: „blöden Blondine“ (სულელი ქერა ქალი), რითაც შეურაცხყოფს Bs და მის მამაკაცურობას ეჭვის ქვეშ აყენებს.

აგრესიულ ან სერიოზულ მოდალობას ბიჭები ხშირად ირონიული მოდალობით ამდიდრებენ, მაგალითად:

- 1.E : rauchen ist so krass wema husten hat=
2. B: rauchen ist echt GEIL=
3. E: ja natürlich ist es GEIL(.) aber wema huste muss, des Zieht dann richtig GE?
4. A: (hustet)
5. E: bei mir ischs Problem dass mans (-) MERksch ja in de Stand dass ich HUSte, hab (-) ich hust ja GANze Zeit (lacht)
6. B: <((acc))> NEIN du hast nicht Einmal gehustet
- 7.A: (hustet die ganze Zeit)
- 8.B: <((acc))> [GE? Er hat nit einmal gehustet
- 9.D: [DU hustesch die GANze Zeit(.) bisch de MEIer oder was=
- 10.A: =ich hab nen (hustet) grippalen infekt=
- 11.B: (imitierend) = ich hab nen Virus und huste den GANzen Tag
- 12.D: gestern in Englisch(.) OH doctor i felt a Virus oder so (lacht laut) de Meier=
- 13.B: (ironisch) es ist geil(.) de meier isch echt Göttlich(-)Meier is echt COOL
14. D: vor allem wohnt er dahinter bei de Osterfeld irgendwo und ich so WAS der Meier
15. B: ich hab mir so eine gedreht ja und dann ich so(.) HE willst du nen zug von meinem Joint 16. (zitiert und imitiert) nee= e ich hab aufgehört zu Kiffen
17. Alle lachen

(Sherpa, 2007, 55).

ბიჭები საუბრობენ მოწვევაზე. დასაწყისში დიალოგს სერიოზული მოდალობა აქვს. E-ს სურს ხველება მოწვევის უარყოფით მხარედ წარმოაჩინოს (სტ. 1,3,5), რასაც B უარყოფს, იგი განადიდებს მოწვევას და იყენებს ზედსართავ სახელს: "geil". E იმეორებს: ხველება პრობლემაა, რომ ეწვევა, ამიტომაც გაკვეთილზე ხშირად ახველებს (სტ.5). B კვლავ უწევს წინააღმდეგობას, არ ადასტურებს, რომ E მთელი გაკვეთილის განმავლობაში ახველებდა (სტ.6). საუბრის მსვლელობაში ბიჭი A დაახველებს, D ყურადღებას ამახვილებს მის ხველებაზე და ეკითხება: bisch de MEIer oder was? (სტ.9). მაიერი არაა პირჯგუფის წევრი, ბიჭები დასცინიან და ქილიკობენ მასზე. საუბარი იძენს ირონიულ მოდალობას, D და B ახდენენ მაიერის სიტყვების ციტირებას და იმიტაციას (სტ.12,16), B ირონიული ტონალობით უწოდებს მას: „echt göttlich, echt cool“ (სტ. 13). შეკითხვა: მაიერი ხომ არ ხარ? იძლევა საშუალებას ვივარაუდოთ, რომ მაიერი პირჯგუფისთვის სუსტი ჯანმრთელობის, არამწვევლი მოსწავლეების კატეგორიის სახელია. მოცემულ მაგალითში საუბრის დინამიკა კონკურენტიულია, E ცდილობს დაასაბუთოს, რომ მოწვევა მავნებელია, მაგრამ ვერ ახერხებს. B-ს სავარაუდოდ ჯგუფში მაღალი სტატუსი აქვს, რაც აძლევს საშუალებას გაიტანოს საკუთარი აზრი, რომ მოწვევა არის: „cool“. ერთმანეთს ენაცვლება სერიოზული და ირონიული მოდალობა.

პირდაპირი, აგრესიული საუბარი მამაკაცური საუბრის სტილია. არც მოზარდი გოგონებისთვისაა ეს სტილი უცხო, მაგ:

- 1) A: Ihr habt irgendwas gegen uns
- 2) B: NEIN
- 3) A: DOCH
- 4) B: warum denn?
- 5) A: Weil ihr komisch seid
- 6) B: jetzt spielen wir einfach (Mengel, 2008,53).


A ითხოვს პასუხს B-საგან, რა აქვს მას მისი საწინააღმდეგო. B ჯერ კატეგორიულად უარყოფს (სტ.2), შემდეგ კითხვის დასმით (სტ. 4) გამოხატავს გაურკვევლობას A-ს ნათქვამის მიმართ. A ასაბუთებს თავის ეჭვს: Weil ihr

komisch seid. B სიტუაციის განმუხტვისათვის თავს იმართლებს იმით, რომ ის უბრალოდ თამაშობს (სტ. 6).

4.4.7. ახალგაზრდების გენდერული დისკურსის მოდალობათა შეჯამება

როგორც განხილული მაგალითებიდან ჩანს, მოზარდების ინტერაქციის მოდალობათა არჩევანი მრავალფეროვანია. საუბრის პროცესში ხდება მოდალობათა ხშირი ცვლა. მაგალითად, ადვილად გადადის სერიოზული მოდალობა არასერიოზულში ან პირიქით, არასერიოზული მოდალობა შეიძლება შეწყდეს მოკლევადიანი სერიოზული ჩართვებით და ა.შ. შეჯამებისათვის გთავაზობთ ემპირიულ მასალაზე დაყრდნობით ახალგაზრდების გენდერული დისკურსის მოდალობის პროცენტულ მაჩვენებლებს (გრაფიკი 11). ორივე ეროვნების ბიჭებში ჭარბობს ქილიკის 80%, სერიოზული კონფლიქტის 50%, რიტუალური ლანძღვის 90%, დისენის/შაირობის 40%, გაქირდვის 80%, აგრესიის მოდალობა 70%. გოგონებთან მეტია გახელება /გამოჯავრება 70%, ირონია 50%, და სერიოზული საუბრები 60 %. გოგონებსა და ბიჭებში ხუმრობის პროცენტული მაჩვენებელი თითქმის ტოლია (ბიჭები 70%, გოგონები 80%). საერთო ჯამში, ორივე ეროვნების ახალგაზრდებს, გოგონებსაც და ბიჭებსაც, არასერიოზული მოდალობა უფრო ახასიათებთ, ვიდრე სერიოზული, კერძოდ: ხუმრობა, ქილიკი, გახელება, ირონია, რიტუალური ლანძღვა.

გრაფიკი 11.



———— გოგონები.

----- ბიჭები.

1. ქილიკი (ბიჭები 80%, გოგონები 60%)
2. გახელება, გამოჯავრება (ბიჭები 40%, გოგონები 70%)
3. სერიოზული კონფლიქტი (ბიჭები 50%, გოგონები 30%)
4. რიტუალური ლანძღვა (ბიჭები 90%, გოგონები 70%)
5. დისენიჭშირობა (ბიჭები 40%, გოგონები 10%)
6. გაქირდვა, მასხრად აგდება (ბიჭები 80%, გოგონები 30%)
7. ირონია (ბიჭები 30%, გოგონები 50%)
8. ხუმრობა (ბიჭები 70%, გოგონები 80%)
9. სერიოზული საუბარი (ბიჭები 40%, გოგონები 60%)
10. აგრესია (ბიჭები 70%, გოგონები 20%)

5. დასკვნა

სადისერტაციო ნაშრომში გამოყენებულ თეორიულ და ემპირიულ მასალებზე დაყრდნობით შესაძლებელია გაკეთდეს შემდეგი დასკვნები:

1) ახალგაზრდების დისკურსის სოციოლინგვისტიკური განხილვა შეესატყვისება თანამედროვე ლინგვისტიკურ მიმართულებებს და პასუხობს მოთხოვნას – სქესისთვის სპეციფიკური ენობრივი ქცევები განგვიხილა რამდენიმე ლინგვისტიკური დისციპლინის ურთიერთქმედების ფონზე. ამან მოგვცა საშუალება ჩაგვეტარებინა გოგონებისა და ბიჭების მეტყველების სოციოლინგვისტიკური ანალიზი. ნაშრომში ახალგაზრდების მეტყველება, კერძოდ, მოზარდი გოგონებისა და ბიჭების მეტყველება, განხილულ იქნა, როგორც სტანდარტული ენის ვარიანტი თავისებური ენობრივი სტილით, რომელზეც ზემოქმედებას ახდენს გარეენობრივი ფაქტორები – ასაკი და სქესი – და იქმნება ენობრივი ნაირსახეობა. ახალგაზრდების დისკურსი განისაზღვრა, როგორც სოციალური ჯგუფის სამეტყველო ქმედება, ინტერაქციული პროცესი.

2) ნაშრომში ყურადღება გამახვილდა ახალგაზრდების დისკურსის გენდერულ ასპექტებზე. დისკურსის გენდერული ასპექტების დასადგენად, გენდერი და სქესი განვიხილეთ, როგორც კომპლექსური კომბინაციის ფორმები, შევისწავლეთ გენდერული ლინგვისტიკის გენეზისი, მისი განვითარების ეტაპები, თეორიული, ფსიქოლოგიური და ლინგვისტიკური საფუძვლები.

მოხერხდა სქესით განპირობებულ ენობრივ სხვაობათა თეორიების თავმოყრა და მათი სოციოლინგვისტიკური ანალიზი. უპირატესობა მივანიჭეთ „ორი კულტურის თეორიას“, რომლის მიხედვითაც, გოგონები და ბიჭები სხვადასხვა კულტურულ სფეროში იზრდებიან და სქესისთვის სპეციფიკურ ინტერაქციის ნიშნებს 5-15 წლის ასაკში ავლენენ, შესაბამისად, ორ სქესს შორის კომუნიკაცია კულტურათაშორისი კომუნიკაციაა. დასახელებული თეორია საფუძვლად დაედო სადისერტაციო ნაშრომს და იგი განივრცო

სქესთა ფსიქოლოგიური განსხვავების თეორიებით. გაანალიზდა, აგრეთვე, გენდერის ფსიქოლოგიური ასპექტები: აღქმა, ინდივიდის ქცევა, ემოციები, ფსიქოლოგიური განწყობა, სტერეოტიპები.

3) ნაშრომში განვიხილეთ ენაში სქესთა იერარქიის პრობლემა. მოხერხდა დასახელებული ფაქტის დამადასტურებელი ტექსტობრივ-გრამატიკული საფუძვლების მოძებნა და გაანალიზება.

დადგინდა გენდერული დისკურსის პარამეტრები. აქ დისკურსის საერთო პარამეტრებს – სოციალური აქტივობის ორგანიზებას, ურთერთდამოკიდებულებას ტექსტსა და ყოველდღიურ ინტერაქციას შორის, ურთერთდამოკიდებულებას ტექსტსა და კონტექსტს შორის, ურთერთდამოკიდებულებას საუბრის შიდა და გარე სტილს შორის – დაემატა შემდეგი ასპექტები: შემოქმედებითი საუბრის სტილი, ჭარბი ავსიტყვაობა, საუბრის განმუხტვა, ინდივიდის სოციალიზაციის პროცესი, სოციალური აგენტები, სქესობრივი და ასაკობრივი ჰომოგენურობა, საუბრის სტილი ორივე სქესთან.

4) ახალგაზრდების ენის სრულყოფილი ანალიზისათვის გოგონებისა და ბიჭების ფსიქოლოგიურ და ბიოლოგიურ განსხვავებასთან ერთად სქესი და ასაკი განვიხილეთ, როგორც პიროვნულობის ასპექტები. დადასტურდა, რომ გენდერისათვის სპეციფიკურია ინტერესთა განსხვავება, რაც, თავის მხრივ, ზემოქმედებს ინდივიდის ვერბალურ და არავერბალურ ქცევაზე.

ახალგაზრდების ვერბალური ქცევის სიციოლინგვისტიკური ანალიზისათვის განვიხილეთ გოგონებისა და ბიჭების ვერბალური ენა, როგორც სოციოლინგვისტიკური ცვლადების – გენდერლექტის, ასაკობრივი ენის, სოციოლექტის – ნაჯვარი. გაკეთდა სოციალური სტატუსის, სქესისა და ვერბალური ქცევების ურთერთკავშირის ანალიზი. დადასტურდა, რომ სოციალური სქესი სოციალური სტატუსის ერთ–ერთი განმსაზღვრელი მომენტია, ხოლო განსხვავებული სოციალური სტატუსი განაპირობებს მეტ იერარქიას და მასთან დაკავშირებულ ვერბალურ ქცევებს.

მოხერხდა ქალური და მამაკაცური საუბრის სტილის მახასიათებლების ჩვენება, რამაც შესაძლებლობა მოგვცა კვლევის შემდგომ ეტაპზე დაგვედგინა, რამდენად ფლობენ მოზარდები სქესისთვის დამახასიათებელ საუბრის სტილს.

5) დისერტაციის პრაქტიკულ ნაწილში ხელთ არსებული ემპირიული მასალის შეჯამებამ ქართველი და გერმანელი ახალგაზრდების გენდერული დისკურსის ანალიზის სინთეზური ხედვის საშუალება მოგვცა. ახალგაზრდების დისკურსს ქმნის ახალგაზრდების ენა. ჯგუფის დისკურსის სპეციფიკას განსაზღვრავს მისი კულტურა. იმდენი საკომუნიკაციო სტილი არსებობს, რამდენი ჯგუფიც, თუმცა კვლევების შედარებით დადგინდა, რომ სხვადასხვა ჯგუფის წამომადგენელ ახალგაზრდებს შორის არსებობს გარკვეული მსგავსებები და საერთო ასპექტები. ქართველი და გერმანელი გოგონების ჰომოგენური ჯგუფის საერთო ნიშანია: არადომინანტურობა, ლოიალურობა, კოოპერაციულობა, თუმცა არც კონფლიქტურობაა მათთვის უცხო. მათი კოოპერაციულობა კონკურენციასთანაა დაკავშირებული. გერმანელი და ქართველი ბიჭების ჯგუფის საერთო ნიშნებია: დომინანტურობა, აგრესიულობა, კომპეტიტიურობა. საჭიროების შემთხვევაში დასაშვებია ჯგუფის წევრების მიმართ კოოპერაციულობა.

6) დავადგინეთ გერმანელი და ქართველი ახალგაზრდების ცხოვრების სტილის საერთო და განმასხვავებელი ნიშნები, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს ახალგაზრდების საუბრის სტილს და საუბრის თემატიკას. ნაშრომში მოცემულია გოგონებისა და ბიჭების სასაუბრო თემების ჩამონათვალი, შესაბამისი მაგალითებით ორივე ენაზე და მაგალითების სოციოლინგვისტიკური ანალიზით. ჩვენი ნამუშევრის ერთერთი ღირსებაა ის, რომ ქართული ტრასკრიპტების ჩაწერა, ფონეტიკური დამუშავება და მეცნიერული ანალიზი შესრულებულია ჩვენ მიერ, ამრიგად, იგი ავთენტიკურია.

ქართველი და გერმანელი ახალგაზრდების საუბრის თემატიკა მსგავსია, სხვაობა მათ პროცენტულ მაჩვენებელშია, რისი მიზეზიც ჯგუფების განსხვავებული სოციალური გარემო და სუბკულტურაა.

7) გაკეთდა გერმანელი და ქართველი ახალგაზრდების მიერ შექმნილი ენობრივი კატეგორიებისა და მათი სახელწოდებების შედარებითი ანალიზი. დადგინდა: ორივე ეროვნებისა და სქესის ახალგაზრდები სამყაროს ყოფენ კატეგორიებად, არქმევენ მათ სპეციფიკურ სახელებს, მიაწერენ ნიშან-თვისებებს.

ახალგაზრდებისთვის ტიპურია განსაკუთრებული მისალმებისა და მიმართვის ფორმები, ქარაგმებით საუბარი, ახალი სიტყვები და სიტყვათა ახალი მნიშვნელობების შექმნა. სიტყვაწარმოების საშუალებებიდან უპირატესობა ენიჭება კომპოზიტებს და დერივაციას.

8) ახალგაზრდების ენობრივი საშუალებების ერთ-ერთ თვისებად დასახელდა დისკურსის ნაწილაკების ხშირი გამოყენება. დისკურსის ნაწილაკები გაიმიჯნა ფუნქციების მიხედვით და გაკეთდა მათი გენდერული ანალიზი.

ახალგაზრდების ლექსიკური ინოვაციების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვს არსებით სახელებს, შემდეგ მოდის ზედსართავი სახელები და ზმნა. ახალგაზრდების ენის მახასიათებელია ლექსიკური ჰიპერბოლის და ჰიპერბოლური წინადადებების ხშირი გამოყენება, განსაკუთრებით ბიჭებში.

9) ახალგაზრდებისათვის დამახასიათებელია განსაკუთრებული სტილისტური ფორმები, ფრაზეოლოგიზმები, სემანტიკური შეთანხმებები. ემპირიულმა მასალამ საშუალება მოგვცა დაგვედგინა ახალგაზრდული ფრაზეოლოგიზმების, ხატოვანების მნიშვნელობები, გამოგვეყო კოლოკაციების ტიპები, განსაკუთრებული სიტყვები, მოგვეძია ჟარგონები და მოგვეხდინა მათი გენდერული ანალიზი. ნაშრომში აღნიშნულია ახალგაზრდების მეტყველებაში ელიფსების, რუტინების, ფრაგმენტების, ექსპრესიული ენობრივი საშუალებების ხშირი გამოყენება, შესაძლებელი გახდა მათი მაგალითებით დადასტურება და ტიპებად დაყოფა.

10) გერმანელი და ქართველი ახალგაზრდები იყენებენ საუბრის წარმართვის საშუალებებს, ესენია: სხვისი ნათქვამის გადმოცემა, ხმის ცვლა, საუბრის სტილის ცვლა, სიტყვის გაწყვეტინება, დირექტივების ან კითხვითი წინადადებების ხშირი გამოყენება, ირონია, ქილიკი, მეტაფორები, ონომატოპოეტიკა, ექსპრესიული ინტერაქცია, ხმის ან საუბრის სტილის იმიტაცია, სიტყვათა თამაში, დიალექტის ან უცხო ენის გამოყენება, ფიქცია. სხვისი ნათქვამის გადმოსაცემად ახალგაზრდები იყენებენ მარკირებულ ხმას, ციტირებას, იმიტაციას, ჟესტიკა-მიმიკას, ციტირების მარკერებს.

ბიჭების კონვერსაციის ძირითადი პრინციპებია: გართობა, შეჯიბრი, გოგონებისა – გართობა, ერთმანეთის თანაგრძნობა. ბიჭებში ჭარბობს ქილიკის, სერიოზული კონფლიქტის, რიტუალური ლანძღვის, კაფიაობის, გაქირდვის, აგრესიის მოდალობა. გოგონებთან მეტია გახელება, გამოჯავრება, ირონია და სერიოზული საუბრები. გოგონებსა და ბიჭებში ხუმრობის პროცენტული მაჩვენებელი ტოლია. ორივე ეროვნების ახალგაზრდებს არასერიოზული მოდალობა უფრო ახასიათებთ, ვიდრე სერიოზული.

11) ანალიზის შედეგად სახელდება ზოგადად ახალგაზრდების ასაკობრივად განსაზღვრული არასერიოზული საუბრების შემდეგი მახასიათებლები:

- პარალინგვისტიკური, პროსოდიული, ლექსიკური, სინტაქსური მარკირება
- იმიტაცია
- ამბის დეტალური მოყოლა
- ელიფსები
- ფიქცია
- ჰიპერბოლა-გაზვიადება
- ირონიული, სახუმარო, გასართობი მოდალობა
- დიდი რაოდენობით გამაძლიერებელი ენობრივი საშუალებები
- რეალურ ისტორიაში კომიკური კომპონენტების აღმოჩენა და მათი კომენტარი

- სიცილი
- პროსოდის მარკირება (ჩქარი ტემპი, ხმოვნების გაგრძელება, მაღალი ტონალობა)
- საუბრის სტილის ცვლა
- ლექსიკური, სინტაქსური, პროსოდიული გამეორებები
- განსაკუთრებული სიტყვების, მყარი გამოთქმების, ფრაზეოლოგიზმების გამოყენება.

12) გოგონებისა და ქალების მეტყველების/ ბიჭებისა და მამაკაცების მეტყველების შედარებამ გვიჩვენა, რომ ასაკის მიუხედავად განსხვავება თითქმის არ არის. გერმანელი და ქართველი მოზარდების მეტყველების შედარებამ უჩვენა, რომ მიუხედავად ეროვნული, სოციო-კულტურული განსხვავებისა, მათი მეტყველების გენდერული ტენდენციები მსგავსია, რაც ადასტურებს, რომ ინდივიდში სქესისთვის სპეციფიკური გენდერული გამოხატულებები დაბადებიდანვეა კოდირებული.

13) ხელთ არსებული ქართული და გერმანული ემპირიული მასალის შეჯამება საშუალებას გვაძლევს დიფერენცირებულად გამოვყოთ ბიჭების საუბრის დამახასიათებელი ნიშნები:

- ელიფსების ხშირი გამოყენება
- ჩქარი საუბარი
- მეტყველების დროს ნაკლები მელოდიურობა
- დომინანტურობა
- არაკოოპერაციულობა
- აგრესიულობა
- ემოციის გამოსახატავად დისკურსის ნაწილაკების სიუხვე
- ნაკლები რაოდენობით, როგორც მსმენელის, საუბრის მხარდამჭერი სიგნალები
- დიდი რაოდენობით კომპეტითური ფუნქციის მქონე სასაუბრო მინიმალური რეაქციები

- ლექსიკური განმეორების სიუხვე
- სიცილის ნაწილაკების სიუხვე
- იმიტაცია, ციტირება, წამღერება
- ფიქცია
- სპეციპიკური მიმართვის ფორმები
- სპეციფიკური მუქარისა და ლანძღვის ფორმები
- გამაძლიერებელი ენობრივი საშუალებები
- ახალი სიტყვები, ჟარგონები
- სიტყვათა ახალი მნიშვნელობები
- კატეგორიების შექმნა
- ჰიპერბოლების სიუხვე
- კოლოკაციების სიუხვე
- საუბრის დროს დიდი რაოდენობის ჟესტიკულაცია (მაგ, ჰიპ-ჰოპისა და რეპის მოძრაობები)
- ნაკლები რაოდენობის კითხვები და კომენტარები
- იმპერატიული წინადადებების სიუხვე
- არანორმატიული ლექსიკის გამოყენება.

13) გოგონების საუბრის სპეციფიკა შემდეგი ნიშნებითაა წარმოდგენილი:

- დისკურსის ნაწილაკების სიუხვე
- როგორც მსმენელის, საუბრის მხარდამჭერი რეაქციების სიუხვე
- სიცილის ნაწილაკების სიუხვე
- ამზის სცენიური მოყოლა
- იმიტაცია, ციტირება, წამღერება
- მეტყველების ვარიაციული მელოდიურობა
- არადომინანტურობა
- კოოპერაციულობა
- ჰარმონიულობა

- დიდი რაოდენობით კნინობითი ფორმები
- სინონიმური განმეორებები
- პერიფრაზები
- სპეციფიკური მიმართვის ფორმები
- სპეციფიკური ლანძღვის და წყევლის ფორმები
- გამაძლიერებელი ენობრივი საშუალებები
- ახალი სიტყვები, ჟარგონები
- სიტყვათა ახალი მნიშვნელობები
- კატეგორიების შექმნა
- კოლოკაციების სიუხვე
- კითხვები და კომენტარები
- ნაკლებად იმპერატიული შინაარსის წინადადებები.

14) დისკურსის სოციოლინგვისტიკურმა ანალიზმა გვიჩვენა დისკურსის გენდერული დინამიკა, კერძოდ, გოგონებისა და ბიჭების როლი საუბარში. ანალიზის ამ საფეხურზე ყურადღება გავამახვილეთ საუბრის კოოპერაციულობასა და კომპეტიტიურობაზე – სიტყვის გაწყვეტინებაზე, საუბარში დირექტივების გამოყენებაზე, საუბრის მხარდამჭერ დისკურსის ნაწილაკებზე. ახალგაზრდების დისკურსის გენდერული დინამიკის ანალიზის მიხედვით ბიჭები ცუდი მსმენელები არიან, მათი დისკურსი გადმოგვცემს კონკურენციას, ბრძოლას სიტყვის თქმის მოპოვებისათვის, ხშირ სიტყვის გაწყვეტინებას, საუბრის შეფერხებას, ერთდროულ საუბარს. იგივე სიტუაციაა, თუ ინტერაქცია ჰეტეროგენულ ჯგუფში ხდება. გოგონები ბიჭების მანერით საუბრობენ, ბიჭებივით იბრძვიან სიტყვის მოპოვებისათვის. ამით მოზარდი გოგონები განსხვავდებიან ზრდასრული ქალებისაგან. ზრდასრული ქალები იშვიათად შეაწყვეტინებს საუბარს საპირისპირო სქესს. ჰომოგენურ ჯგუფში გოგონები ზრდასრული ქალებივით იქცევიან: კოოპერაციული მოსაუბრეები არიან, ხშირად აწყვეტინებენ სიტყვას ან ერთდროულად საუბრობენ, მაგრამ უფრო თემის განვითარებისა ან მხარდამჭერის მიზნით.

15) შეჯამებამ გვიჩვენა, რომ ბიჭებთან შედარებით გოგონების მეტყველება უფრო ვარიაციულია. ისინი იყენებენ გრძელ, კომპლექსურ და არასტანდარტულ წინადადებებს, ბიჭები კი – მარტივ, შედარებით მოკლე და სტერეოტიპულ წინადადებებს. გოგონების სიტყვათა მარაგი უფრო მდიდარი და დიფერენცირებულია. პრაგმატიკისა და კოგნიციის დონეზე გვაქვს შემდეგი სხვაობები: გოგონების ეფექტურობა საუბრის დროს არაპირდაპირია, ბიჭების – პირდაპირი. გოგონები ხშირად იყენებენ კითხვით წინადადებებს, ბიჭები – ბრძანებითს. ორივე სქესთან ხშირია პაუზა, დაფიქრება, დისკურსის მინიმალური რეაქციების გამოყენება.

16) დისკურსის ენობრივი საშუალებების, დინამიკისა და მოდალობის განხილვამ დაადასტურა, რომ თავისი სპეციფიკური ენობრივი და სტილისტიკური საშუალებებით ახალგაზრდების დისკურსი სტანდარტული ენის ვარიაციაა. ჩვენი კვლევის მიზანი იყო, აგრეთვე, მოგვეძებნა ის არსებითი ნიშნები და შემეცნებითი პროცესები, რაც განასხვავებს გოგონებისა და ბიჭების დისკურსს. შეიძლება თამამად ითქვას, რომ სწორედ ვერბალური სხვაობაა მოზარდი გოგონებისა და ბიჭების ინდივიდუალიზმის დამამტკიცებელი უმნიშვნელოვანესი ნიშანი, ისინი ამით კიდევ ერთხელ ხაზს უსვამენ ფაქტს, რომ ქალურობა და მამაკაცურობა ორი სხვადასხვა სუბკულტურაა, განსხვავებული ბუნებით, ფსიქიკითა და სოციალური მდგომარეობით.

ლიტერატურა:

Abele, E.Andrea (2008) : *Geschlechterdifferenz aus sozialpsychologischer Sicht*. In : Krebs, Uwe/Forster, Johanna (Hg) (2008). “Sie und Er“ interdisziplinär. Bd 1.LIT. S. 165-179

Adelson, Joseph/ Douvan, Elisabeth (1980) Adolescent Friendships. Reading in Child and Adolescent Psychology. Contemporary Perspectives. Hg. Paul Henry Mussen, John J. Conger u. Jerome Kagan. New York: Harper/Row 197-204

Ammon,Ulrich/Dittmar,Norbert/Mattheier,Klaus/Trugill Peter(2006). *Soziolinguistik*. Ein internationales Handbuch zur Wissenschaft von Sprache und Geschlecht. 3. Teilband. Sonderdruck. Walter de Gruyter. Berlin.New York.

Andersen,Helga (2002): *Sprache und Spiel*.Tübingen:Narr.

Androutsopoulos, Jannis (1997): *Mode, Medien und Musik*. Jugendsprache als Sprachexperten. In : Der Deutschunterricht 6, 10-21.

Androutsopoulos, Jannis (2006): *Jugendsprache als kommunikative soziale Stile*. Schnittstellen zwischen Mannheimer Soziostilistik und Jugendsprachenforschung.
http://www.archetup.de/text/2006/JS@FS_WK_draft.pdf(Internet)11.12.2008.

Androutsopoulos, Jannis (2008): *Sprachliche Kreuzungen im Alltagsleben*.
ph.freiburg.dokumente.de

Auer, Peter (1999) : *Sprachliche Interaktion. Eine Einführung anhand von 22 Klassikern*. Tübingen. Niemezer.

Augenstein, Susanne (1998): *Funktionen von Jugendsprache*. Studie zu verschiedenen Gesprächstypen des Dialogs Jugendlicher mit Erwachsenen. Tübingen: Nimeyer.

Adelson, Joseph/Elisabeth, Douvan(1980): *Adolescent Friendships*. Readings in Child and Adolescent Psychology. Contemporary Perspectives. (Hg). Paul Henry Mussen, John J. Conger u. Jerome Kagan. New York: Harper, Row, 197-204

Ayaß ,Ruth. (2008): *Kommunikation und Geschlecht*. Eine Einführung. Verlag W. Kohlhammer, Stuttgart.

Alphen, Ingrid (1996) : In : Kotthoff, Helga (1996). *Das Gelächter der Geschlechter*. Humor und Macht in Gesprächen von Männern und Frauen. UVK. Universitätsverlag Konstanz.S. 220-245

Bange,Pierre (1986): *Fiktion im Gespräch*. Kommunikationstypologie. Hg, Werner Kallmeyer. Düsseldorf: Schwann, 117-153.

Bauers, Christine (1996): *Diskursanalytische Betrachtung des sprachlichen Verhaltens von Frauen und Männer im Kontext einer öffentlichen Diskussion*. In: Beier, Rudloff (Hg.) 1996. Sprache – System und Funktion. Festschrift für Gunter Weise. Frankfurt am Main. S. 25-36

Baumert, J. (1992): *Koedukation oder Geschlechtertrennung*. Zeitschrift für Pädagogik, 38 (1), 83-110.

Bausch, K.(1980) Soziolekt In: *Lexikon der Germanist*. Linguistik. 1 Aufl. Tübingen.

Bernstein (1972): *Studien zur sprachlichen Sozialisation*. Düsseldorf

Berger,Peter L./Luckmann, Thomas (2000): *Die gesellschaftliche Konstruktion der Wirklichkeit*. Frankfurt: Fischer.

Bem S. (1974): *The Masurement of Psychological Androgyny*//Of Consulting and Chincial Psychology. Vol.42,

Bibel. Genesis 2. (1) Vers – S 18, (2) Vers – S 22, (3) Vers – S 23.

Bierbach, Christine (1996): *Chi non gaga un kilo – zahlt 20 Mark Strafe! Witze von Kindern zwischen zwei Kulturen*. In Kotthoff, Helga (Hg) : das Gelächter der Geschlechter. Humor und Macht in Gesprächen von Männern und Frauen. Konstanz : Universitäts- Verlag Konstanz, 247-273.

Bright, W.. (1964): *Sociolinguistics*, Hague: Mouton

Biermann, Ralf / Kommer, Sven (2005): *Medien in den Biografien von Kindern und Jugendlichen*. In: MERZ. Medien und Erziehung. Zeitschrift für Medienpädagogik, 49. Jg., 2005, Heft 1, 53-59.

Bilden, Helga (1991): *Geschlechtsspezifische Sozialisation*. In : Hurrelmann, Klaus (Hg). Neues Handbuch der Sozialisationsforschung. Weinheim: Beltz.

Birkner, Karin (2004): *Wörter in der Gruppe. Zur Sozialisation der Wörter*. In: Dittmann, J./Schmidt, C: Über Wörter. Freiburg: Rombach.

Bischof-Köhler, Doris. (2004): *Angeknackte Helden*. Der Spiegel 21/04:95.

Blyth, Dale A/ John P. Hill/ Karen Smith Thiel (1982): *Early Adolescents significant others: Grade and gender Differences in Perceived relationships with familial and Nonfamily Adults and Young people*. Journal of Youth and Adolescence 11 : 425-450

Blum, Claudia; Dirk Deissler; Joachim Scharloth; Anja Stukenbrock (2000): *Linguistische Diskursanalyse: Überblick, Probleme, Perspektiven*. In: Sprache und Literatur in Wissenschaft und Unterricht 88, S. 3-19.

Boeder, Winfried (2012): *Georgische "Geheimsprachen"*. Georgica 35 (2012): 24-37 (2013).

Boldt, Uli (2001): *Ich bin froh, dass ich Junge bin*. Materialien zur Jungenarbeit in der Schule. Hohengehren: Schneider-Verlag.

Bosinski, H (2000): *Determinanten der Geschlechtsidentität*. Neue Befunde zu einem alten Streit. Sexuologie 7: 96-140

Brandes H. (2002): *Der Männliche Habitus*. Band 2. Männerforschung und Männerpolitik. Opladen.

Breitenstein, George(1997): *Verliebtheit und Paarbildung unter Schulkinder*. Die Befremdung der eigenen Kultur. Hg. Stefan Hirschauer und Klaus Amann. Suhrkamp: Frankfurt a.M.. 53-83.

Breitenstein, George/Kelle, Helga(1998): *Geschlechteralltag in der Schulklasse*. Ethnografische Studie zur Gleichaltrigenkultur. Juventa Verlag, Weinheim und München.

Breitenbach E./ Bürmann L. (2002): *Geschlechterforschung als Kritik*. Beilefeld.

Brittain, Clay V. (1963): *Adolescent Choices and Parent-peer Cross-pressures*. American Sociological Review 28: 385-391

Brown P./Levinson S. (1978): *Universals in Language Usage*. Cambridge.

Budde, Jürgen (2003): *Männlichkeitskonstruktionen in der Institution Schule*. In :Zeitschrift für Frauenforschung. Geschlechterstudien.1/21.Jg. 91-101

Budde, Jürgen(2005): *Männlichkeit und gymnasialer Alltag*. Doing Gender im heutigen Bildungssystem. Bielefeld. Transkript.

Rouerdieu P. (1987): *Die feinen Unterschiede*. Frankfurt: Suhrkamp.

Borst Eva/Casale, Rita(Hg)(2007): *Ökonomie der Geschlechter*. Jahrbuch Freuen und Geschlechterforschung in der Erziehungswissenschaft. Verlag Barbara Budrich 3.

Brandes H. (2002): *Der Männliche Habitus*. Band 2. Männerforschung und Männerpolitik. Opladen.

Branner, Rebecca (2003): *Scherzkommunikation unter Mädchen*. Angewandte Sprachwissenschaft. Herausgegeben von Rudlof Hoberg. band 13. Peter Lang, europäischer Verlag der Wissenschaft.

Braunmühl, Claudia/Heimbach-Stein, Marianne/Müller Johannes.(2007): *Frauen-Gewinnerinnen oder Verliererinnen der Globalisierung?*. Neue Herausforderungen für eine gendergerechte Weltordnung. Kehlhammer –Verlag.

Breindestein G., Kelle H. (1998): *Geschlechteralltag in der Schulklasse*. Weinheim.

Bubenhof, Noah (2013): *Quantitativ informierte qualitative Diskursanalyse. Korpuslinguistische Zugänge zu Einzeltextrn und Serien*. In: Roth, Kersten Sven / Spiegel, Carmen (Hrsg.): *Angewandte Diskurslinguistik. Felder, Probleme, Perspektive*. Berlin: Akademie Verlag. S. 109-134. Preprint im Internet:
<http://www.bubenhof.com/publikationen/PreprintBubenhof2012QuantiQuali.pdf>
(21.08.2013)

Buchen, Sylvia (2004): *Standortbestimmung und Selbstvergewisserung der Geschlechterforschung als Einführung*. In: Buchen, Sylvia/Helfferich, Cornelia/Maier, Maja S. (Hrsg.): *Gender methodologisch. Empirische Forschung in der Informationsgesellschaft vor neuen Herausforderungen*. Wiesbaden: VS-Verlag, 11-18.

Buchen, Sylvia/Philipper, Ingeborg (2003): *Biographie, Generation, Gender im Hinblick auf die Nutzung neuer Medien: Was bewirken veränderte Lernarrangements in der Schule?* In: Bachmair, Ben/Diebold, Peter/de Witt, Claudia (Hrsg.): *Jahrbuch Medienpädagogik 3*, Opladen: Leske u. Budrich, 123-137.

Buchen, Sylvia/Straub, Ingo (2005): *Die digitale Handlungspraxis Jugendlicher als Theoriegrundlage für eine geschlechterreflexive schulische Medienbildung*. In: Hauf-Tulodziecki u.a. (Hrsg.): *Medienpädagogik. Online-Zeitschrift für Theorie und Praxis der Medienbildung* (i.E.).

Buchen, Silvia. (2006): *Neue Medien und Habitusformen von Hauptschüler(innen)- zum Widerspruch zwischen männlichem Habitus und faktischem Wissen*. <http://www.buchen@ph-freiburg.de>(Internet 4.12.2008).

Buhof A.H. (2000): *Vom Umgang mit sprachlicher Varianten*. Tübingen.Basel.

Burghardt,D.(1995): *Zweschengeschlechtliche Kommunikationsprobleme*
<http://www.Frauensprache.de/zwischen.htm>.. (Internet 2.10.2004).

Bussey K., Bandura A. (1999): *Social Cognitive Theory of gender Development und Differentiation*. In: *Psychological Review* 10. H .4.

Bußmann,Hadumond (2008): *Laxikon der Sprachwissenschaft*. Verlag: Kröner

Cahill,Spencer (1986): *Childhood Socialization as a Recruitment Process*. *Sociological Studies of Child development*, 1, 163-186

Calinski, Agatha (2004): *Zweierlei Perspektiven auf Gespräche: Ethnomethodologische Konversationsanalyse und Diskursanalyse im kontrastiven Vergleich*. Redaktion LINSE (Linguistik-Server Essen);
<http://www.linse.uni-due.de/esel-seminararbeiten/articles/zweierlei-perspektiven-auf-gespraech-e-ethnomethodologische-konversationsanalyse-und-diskursanalyse-im-kontrastiven-vergleich.html> (21.08.2013)

Casale, Rita/Barbara Rendtorff(Hg). (2008): *Was kommt nach der Genderforschung? Zur Zukunft der feministischen Theorienbildung*. Transcript Verlag, Bielefeld.

Cheure, Elisabeth/Gutjahr,ortrud/Schmidt , Claudia (Hg) (2002). *Geschlechtksruktionen in Sprache, Literatur und Gesellschaft*. Rombach Verlag

Christina, Weinbach (2003). *Die systemtheoretische Alternative zum Sex-und-Gender-Konzept: Gender als geschlechtsstereotypisierte Form „Person“*. In: *Freuen, Männer, Gender Trouble*. Systematische Essays herausgegeben von Ursula Pasero und Christina Weinbach. Suhrkamp Taschenbuch Wissenschaft. Suhrkamp Verlag Frankfurt am Main.

Connell, Robert W.(2006): *Der gemachte Mann. Konstruktion und Krise von Männlichkeiten*. 3. Aufl. Wiesbaden: VS Verlag.

Connel, R.W. (1993): *Gender and Power: Society, the Person and Sexual Politics*. Oxford.

Chovan,Milos(2006): *Kommunikative Stile sozialen Abgrenzens. Zu den stilistischen Spezifika sozial-distinktiver Handlungen in der Interaktion Jugendlichen*. In :Christa, D/Jürger, S(Hg):

Perspektiven der Jugendsprachenforschung. Trends and developments in Youth Language Research. Frankfurt am Main: Peter Lang, 135-149.

Combe, Arno/Buchen, Sylvia (1996): *Belastung von Lehrerinnen und Lehrern: Fallstudien zur Bedeutung alltäglicher Handlungsabläufe an unterschiedlichen Schulformen*. Weinheim/München: Juventa.

Connell, Robert W. (2006): *Der gemachte Mann. Konstruktion und Krise von Männlichkeit* (3.Aufl.). Wiesbaden: VS Verlag.

Davies B. (1992): *Frösche und Schlangen und Feministische. Märchen*. Hamburg.

Deaux, K (1985): *Sex und Gender*. *Annals of Psychology*, 49-81.

Deppermann, Arnulf (2000 a): *Authentizitätsrhetorik: Sprachliche Verfahren und Funktionen der Unterscheidung von „echten“ und „unechten“ Mitgliedern sozialer Kategorien*. In : Essbach, Wolfgang (Hg): *wie/ihr/sie. Identität und Alterität in Theorie und Methode*. Würzburg: Ergon, 231-252.

Deppermann, Arnulf (2000 b): *Ethnographische Gesprächsanalyse. Zu Nutzen und Notwendigkeit der Ethnografie für die Konversationsanalyse*. In: *Gesprächsforschung 1 – Online-Zeitschrift zur verbalen Interaktion*, 96-124. Verfüubar unter: www.Gespraechsforschung-ozs.de

Deppermann, Arnulf/Schmidt, Axel (2001): *Hauptsache Spaß. Zur Eigenart der Unterhaltungskultur Jugendlicher*. *Der Deutschunterricht* 6 : 27-38

Deppermann, Arnulf/Schmidt, Axel (2003): *Vom Nutzen des Fremden für das Eigene. Interaktive Praktiken der Konstitution von Gruppenidentität durch soziale Abgrenzung unter Jugendlichen*. In: Merckens, Hans/Zinnecker, Jürgen (Hg). *Jahrbuch Jugendforschung*, 3. Opladen: Leske und Budrich, 25-56.

Deppermann, Arnulf (2008): *Gespäche analysieren. Eine Einführung in konversationsanalytische Methoden*. Wiesbaden: VS

Deuber-Mankowsky, Astrid/Konnertz, Ursula.(2000): *Die Philosophin. Forum für feministische Theorie und Philosophie. Männerforschung/Männlichkeitsforschung*. Oktober 2000. Edition diskord,tübingen. ISSN 0936-7586

Dittmar, N./ Cleir M. (2000): *Zur Wissenschaftsgeschichte der Soziolinguistik im deutschsprachigen Raum*. Berlin

Dittmar, N. (1973): *Soziolinguistik*. Exemplarische und britische Darstellung der Theorie, Empirie und Anwendung. Frankfurt.

Dorsch: *Psychologisches Wörterbuch*(2004) Heraus: Hertmut O. Häcker, Kart H. Stapf. Verlag: Hans Huber, Bern

Douvan, Elisabeth/Adelson, Joseph (1966): *The Adolescent Experience*. New York: Wiley.

Dreber W. (1982): *Gesprächsanalyse: Macht als Kategorie mündlichen Interaktionsverhalten*. Spracherwechsel und Lachen. Berlin.

Duden. (2003): *Deutsches Universalwörterbuch*. Dudenverlag, Mannheim-Leipzig-Wien-Zürich.

Dürscheid,Christa.(2005). *Einführung in die Schriftlinguistik*. Wesdeutscher Verlag.

Eckert, Penelope (1993) *Cooperative Competition in Adolescent Girl Talk*. Gender and Conversation interaction. Hg. Deborah Tannen . New York, Oxford; Oxford Universitet Press, 32-61

Eccles, J.S. / Barber ,B. / Updegraff, K(1995). An expectancyvalue model of achievementchoices: The role of self-concepts , perceived task utility and interest in predicting activitychoice and course enrollment. Paper present at the AERA, san Francisco.

Eder, Donna (1990) . *Serious and Playful Disputes: Variation in Conflict Talk among Early Adolescents. Konflikt Talk*. Sociolinguistic Investigations of Arguments in Conversation. Hg. Allan Grimshaw. Cambridge: Cambridge University Press, 67-84.

Eder, Donna/Collen Evans Catharine/Stephan Parker (1995) *School Talk. Gender and Adolescent Culture*. New Brunswick, NJ.:Rutgers University Press.

Ehrlich, Konrad (Hg) (1980): *Erzählen im Alltag*. Frankfurt: Suhrkamp.

Eickelpasch, Rolf/Geisen, Richard (2002): *Ausgangsfragen-Schlüsselthemen-Herausforderungen*. Stuttgart: Klett

Eickhoff, Birgit. (2008): *Gleichstellung von Frauen und Männer in der Sprache*. http://www.freuensprache.com/gleichstellung_duden.htm. 04.11.2008

Epp, M. Helga (Hg) (2004): *Gender Studies*. Interdisziplinäre Ansichten 1. Freiburg in Breisgau.

Epstein, Joyce L. (1983): *Friends in school*. Hg Joyce L. Epstein/Nancy Karweit. New York: Academic Press. 3-25.

Ervin-Tripp, Susan (1976): *Is Symbol there?* The structure of some american directives. In: *Language in Society* 5, 25-67

Everhardt, Robert B. (1983): *Reading, Writing and Resistance Adolescence and Labor in a Junior High School*. Boston: Routledge

Faber, H / Haid, H (1995): *Endokrinologie*. Stuttgart

Fetterman, David (1989): *Ethnography step by step*. California: Sage Publications.

Fiehler, Heidi/Wagner Anjelika (2006): *Gesprochene Sprache*. In: Duden. Die Grammatik. Mannheim: Dudenverlag, S 1175-1257.

Fine, Gary A. (1987). *With the Boys. Little League Baseball and Preadolescent Culture*. Chicago and London: University of Chicago Press.

Finke P/ Müller H.M. (1997): *Linguistik und Natur*. In: Bielefelder Linguistik (Hrsg). Bielefeld. Aisthesis Verlag.

Fischer,Hans(1992): *Linguistische Gesprächsanalyse*. Eine Einführung. Berlin:Erich Schmidt Verlag.

Flick, Uwe (2002): *Qualitative Sozialforschung. Eine Einführung*. Verlag: Reinbek bei Hamburg Rowohlt

Flick, Uwe (1995): *Handbuch der qualitativen Sozialforschung: Grundlagen, Konzepte, Methoden und Anwendungen*. Psychologie Verlags Union Weinheim.

Focks,P (2002): *Starke Mädchen, starke Jungs*. Leitfaden für eine geschlechtsbewusste Pädagogik.Freiburg.

Fochks, P (2003): *Warum brauchen wir eine geschlechtsbewusste Pädagogik im Elementarbereich?* : In : patritätischer Wohlfahrtsverband (Hg): Ein Blick über die Grenzen. Fachtagung vom 6. Bis 8 November 2002. Frankfurt.

Forster , Johanna (2008): *Anmerkungen der Padagogischen Anthropologie zur aktuellen Geschlechterdiskussion*. In : Krebs, Uwe/Forster, Johanna (Hg) (2008). "Sie und Er" interdisziplinär. Bd 1.LIT S. 197-210

Frank K. (1992): *Elemente einer feministischen Linguistik*. Reihe grammatische Linguistik. Tübingen.

Friebertshäuser/Krüger/Bohnsack(2002): *Kinder und Jugendkultur in ethnografischer Perspektive - Einführung in den Themenschwerpunkt*. In : Zeitschrift für qualitative Bildungs-, Beratungs- und Sozialforschung: Heft 1.

Garfinkel, Harold(1967): *Studies in Ethnomethodology*. Englewood Cliffs,NJ: Prentice Hall

Gardt, Adreas (2007): *Diskursanalyse – Aktueller theoretischer Ort und methodische Möglichkeiten*. In: Diskurslinguistik nach Foucault. Ed.by Warnke, Ingo H. S. 27-52. Im Internet <http://www.degruyter.com/view/books/9783110920390/9783110920390.27/9783110920390.27.xml> (21.08.2013)

Gebauer, Gunter (1979): *Kinderspiele als Aufführungen von Geschlechtsunterschieden*. In : Dölling/Krais (Hg): Ein alltägliches Spiel. Geschlechterkonstruktion in der sozialen Praxis. Frankfurt : Suhrkamp.

Ginnold, Antjie.(2007): *Der Übergang Schule- Beruf von Jugendlichen mit Lernbehinderung*. Klinkhard Verlag.

Gipper H.(1998): *Soziolinguistik oder Sprachsoziologie*. Wien. 75.

Gleason ,J (1987) : *Sex differences in parent-child interaction*. In Susan U. Philips, S. Steele (Eds): language, gender, and sex in comparative perspective. Cambridge: Cambridge University Press. P.189-199

Goffman, Eving(1977). *The Arrangement between the Sexes*. Theory and Society 4, In: E.Goffmann (1994): *Interaktion und Geschlecht*. Frankfurt: Campus. S. 301-336.

Goodwin Marjorie Harnes (1980): *M. Directive-response speech sequences in girls' and boy's task activities*. In.: S. Mc Connell-Ginet/R. Borker/N. Furman (eds): Women and Language in Literature and Society. New York. Praeger

Goodwin, Marjorie Harnes(1990a): *Kinderspiele als Aufführungen von Geschlechterunterschieden*. In: Dölling/Krais(Hg): Ein alltägliches Spiel. Geschlechterkonstruktion in der sozialen Praxis. Frankfurt: Suhrkamp.

Goodwin, Marjorie Harnes (1991): *He-Said-She-Said. Talk as social organization among Black Children*. Bloomington: Indiana University Press.

Goodwin Marjorie Harnes (1992): *Orchestrating participation in Events: Powerful Talk African American Girls. Locating Power.* Hg. Kira Hall/ Mary Bucholtz. Berkeley, CA , 182-196.

Goodwin, Marjorie Harnes (1993): *Tactical Uses of Stories: Participation Frameworks within Girls' and Boys' Disputes.* Gender and Conversational Interaction. Hg. Deborah Tannen. New York, Oxford: Oxford University Press, 110-143.

Gräbel ,Ulrich. (1991a): *Sozialisation und Geschlecht.* Pfaffenweiler.

Gräbel ,Ulrich. (1991b): *Sprachverhalten und Geschlecht.* Eine empirische Studie zu geschlechtsspezifischem Sprachverhalten in Fernsehdiskussionen. Pfaffenweiler: Centaurus

Gräbel U. (2002): *Spracherhalten und Geschlecht.* <http://www.Zpr.uni-koeln.de/people/petra/weiblich.htm>. (im Internet 2004.2.10)

Griffiths, Vivienne (1987): *Adolescent Girls: Transition from Girlfriends to Boyfriends?* Women and the Life Cycle: Transitions and Turning-Points. Hg. Patricia Allatt, Teresa Keil, Alan Bryman u. Bill Bytheway. Houndmills. Macmillan Press, 49-63.

Griffiths, Vivienne (1995): *Aolescent Girls and Their Friends: A Feminist Ethnography.* Aldershot, Brookfield USA, Hong Kong: Avebury.

Gumperz J.(1982): *Discourse strategies.* Cambridge: Cambridge University Press.

Günthner, Susanne /Kotthoff, Helga (1991) (Hg.): *Von fremden Stimmen: weibliche und männliche Sprachen im Kulturvergleich.* Suhrkamp.

Günther, Susanne/ Kotthoff, Helga. (1992): *Die Geschlechter im Gespräch.* Stuttgart: Metzler.

Günthner, Susanne (1992): *Sprache und Geschlecht: ist Kommunikation zwischen Frauen und Männern interkulturelle Kommunikation?* In: Linguistische Berichte 138.

Günthner, Susanne (1993): *Diskursstrategien in der interkulturellen Kommunikation*. Tübingen: Niemeyer

Günther, Susanne (1994): *Zwischen Konfrontation und Spiel: Zur kommunikativen Konstruktion von Frotzeleien*. Konstanz : Fachgruppe Soziologie.

Günther, Susanne (1996): *Zwischen Scherz und Schmerz _ Frotzelaktivitäten in Alltagsinteraktionen*. Scherkommunikation. Hg. Helga Kotthoff. Opladen: Westdeutscher Verlag 81-108

Günthner, Susanne (1997): *Stilisierungsverfahren in der Redewiedergabe*. In: Selting, Margret/Sanding, Barbara(Hg): *Sprach- und Gesprächsstile*. Berlin/New York, S 94-123

Günther, Susanne(2000): *Vorwurfsaktivitäten in der Alltagsinteraktion: grammatische, praxiologische, rhetorisch-stilistische und interaktive Verfahren bei der Konstitution kommunikativer Muster und Gattungen*. Tübingen: Niemeyer.

Günther, Susanne(2000): *Zwischen direkter und indirekter Rede. Formen der Redewiedergabe in Alltagsgesprächen*. In: ZGL 28,S.1-22

Günther, Susanne(2001): *Kulturelle Unterschiede in der Aktualisierung kommunikativer Gattungen*. In : Info DaF Informationen Deutsch als Fremdsprache 28(1) 15-32.

Günther, Susanne/Lukmann,Thomas (2002): *Wissensasymmetrien in der interkulturellen Kommunikation*. Die Relevanz kultureller Repertoires kommunikativer Gattungen . In Kotthoff, Helga (Hg) : *Kulturen im Gespräch*. Tübingen: Narr, 213-144

Günther, Susanne(2007): *Kommunikation und Kompetenz*. In Jürgen Straub: *Handbuch Interkult*, Stuttgart, Metzler, 374-384

Haas, Adelaide (1979): *The Acquisition of Genderlect*. *Annals of the New York Academy of Science* 327. 101 -113.

Haas M(1944): *Men's and women's speech in Koasat* . *Language*

Hahn, Alois (1996): *Soziologische Relevanz des Stillbegriffs*. In: Gumbrecht, Hans/ K.L. Pfeffer (Hg): *Stil*. Frankfurt: Suhrkamp, 603-611.

Hampson, E/Kimura, D (1993): *Sex Differences and Hormonal influences on Cognitive Function in Humans*. In: Becker, J.B/ Breedlove, M.S/Crews, D (Hg): *behavioral Endocrinology*. MIT Press: Cambridge, Massachusetts.

Hannover, B (1997): *Zur Entwicklung des geschlechtsrollenbezogenen Selbstkonzepts: Der Einfluss „maskuliner“ und „femininer“ Tätigkeit auf die Selbstbeschreibung mit instrumentellen und expressiven Personeneigenschaften*. *Zeitschrift für Sozialpsychologie*, 28, 60-75

Hannover, B (2000): *Development of Self in Gender Contexts*. In T. Eckes/H. Trauter (Eds). *The development social psychology of Gender*. Hillsdale: Erlbaum. 105-12

Hannover, B (1998): *The Development of Self-Concept and Interests*. In L. Hoffmann, A. Krepp K.A. Renninger (Eds) *Interest and Learning* (pp 105-125) Kiel: IPN.

Hannover, B/ Bettge, S (1993): *Mädchen und Technik*. Göttingen: Hogrefe.

Hark S. (2001): *Feministische Theorie*. Opladen.

Hartup, Willard W. (1983): *Peer Relations*. *Handbook of Child Psychology*. Hg. Paul H. Mussen. 4. Aufl. Vol. 4. New York : John Wiley, 103-196.

Hartup, Willard W. (1986): *On Relationships and Development*. *Relationships and Development*. Hg. Willard W. Hartup und Zick Rubin. Hillsdale, NJ: Lawrence Erlbaum, 1-26.

Haug-Schnabel, Gabriele/Bensel, Joachim (2008): *Transfer interdisziplinärer Ergebnisse der Genderforschung in die Praxis*. In : Krebs, Uwe /Forster, Johanna (Hg) (2008). *„Sie und Er“ interdisziplinär*. Bd 1. LIT

Hausendorf, Heiko (2000): *Sprachentwicklung und Interaktion*. Opladen: Westdeutscher Verlag.

Hausendorf, Heiko(2009): *Gesprächs-/Konversationsanalyse*. www.ph-freiburg-dokumente.de

Hauser,Stefen(2004): *Wie Kinder Witze erzählen*. Eine linguistische Studie zum Erwerb narrativer Fähigkeiten. Bern: Lang.

Heintz, Bettina/Nadai, Eva (1998): *Geschlecht und Kontext. De-Institutionalisierungsprozesse und geschlechtliche Differenzierung*. In: Zeitschrift für Soziologie. Jg. 27, Heft 2. 75-93.

Henne, Helmut(1986): *Jugend und ihre Sprache*. Darstellung-Materialien-Kritik. Berlin.

Henne, Helmut / Helmut Rehbock (1995): *Einführung in die Gesprächsanalyse*. 3. Durchges.u.erw.Ausg.Berlin, New York:Walter de Gruyter.

Henne, Helmut(1996): *Jugend und ihre Sprache*. Darstellung-Materialien-Kritik. Berlin.

Hennmeresheimer, Beate/ Hofer, Manfred (2006): *Variantenwahl und Lernmotivation*. In : Neuland, Eva (Hg). 193-209

Herlinger H. (1990): *Kontrastive, Feministische Linguistik*. Mechanismen sprachlicher Diskriminierung im Englischen und Deutschen. Max Hueber Verlag.

Hertlein.M (Frauen reden anders.
http://www.Frauensprache.de/frauen_reden_anders.htm

Hewitt,R (1998): *Ethnizität in der Jugendkultur*. In Gogolin L. (Hg): Pluralität und Bildung. Opladen: Leske/Burdich, S.13-24

Hey, Valeria (1997): *The Company She Keeps: An Ethnography of Girls Friendsip*. Buckingham: Open University Press

Hinnenkamp, Volker (2000): *Gemischt sprechen*. Von Migrationsjugendlichen als Ausdruck ihrer Identität. In : der Deutschunterricht 2000. 96-107.

Hirschauer, Stefan (2001): *Das Vergessen des Geschlechts*. Zur Praxeologie einer Kategorisierung sozialer Ordnung. S. 208-235. In: B. Heintz (Hg.) *Geschlechtersoziologie*. Opladen: Westdeutscher Verlag

Hirschauer, Stefan (1994): *Die soziale Fortpflanzung der Zweigeschlechtlichkeit*. In: Kölner Zeitschrift für Soziologie und Sozialpsychologie, 4, 668-693.

Holthey, I (1974): *Interdisziplinär*. In :Historisches Wörterbuch der Philosophie, Bd.4, Freiburg, 476-478.

Horstkemper, Marianne (2000): *Lehrerinnen und Lehrer. Über die Bedeutung der Geschlechterdifferenz*. In: Frommelt, B. u.a.: *Schule am Ausgang des 20. Jahrhunderts*. Weinheim/München: Juventa, S. 267-286.

Hradil, S (1992): *Alle Begrieffe und neue Strukturen*. Die Milieu-, Subkultur- und Lebensstilforschung der 80er Jahre. In: Hradil, S (Hrsg) : *zwischen Bewusstsein und Sein*. Opladen: Leske+Burlich, 15-56

Huber, Michaela /Inge Rehling (1989): *Dein ist mein halbes Herz: Was Freundinnen einander bedeuten*. Frankfurt a.M. : Fischer.

Hughes, Linda A (1988): *But that's not really Mean: Competing in a Cooperative Mode*. *Sex Roles* 19.11/12: 669-687.

Hughes, Linda A (1993): *You Have to Do it with Style: Girls Games and Girls Gaming*. *Feminist Theory and the Study of Folklore*. Hg. Susan T. Hollis, Linda Pershing u. M. Jane Young. Urbane, Chicago: University of Illinois Press, 130-148

Ingrid, Crum von Alphen (1979): *Wie die Jungen Lachten und wie es den Mädchen wieder verging*. *Das Gelächter der Geschlechter*. UVK. Universitätsverlag Konstanz. Kalverkämper H. "Die Frauen und die Sprache". In: *Linguistische Berichte* 62. p. 55-71.

Jespersen, Otto (1925): *Die Sprache, ihre Natur und Entwicklung*. Heidelberg.

Kallmeyer, Werner (1994): *Bezeichnungen, Typisierungen und soziale Kategorien: Untersucht am Beispiel einer Ehe in der Filsbachwelt*. In : Kallmeyer, Werner . Hg. Kommunikation on der Stadt. Berlin/ Ney York. De Gruyter, 319-386

Kallmeyer, Werner (1988): *Konversationsanalytische Beschreibung. Soziolinguistik*. Hg. Ulrich Ammon, Norbert Dittmar u. Klaus J. Mattheier. Vol. 2 Berlin, new York: Gruyter, 1095-1108.

Kalverkämper H. (1979): *Die Frauen und die Sprache*. In: Linguistische Berichte 62. p. 55-71..

Kant,I (1764): *Gesamte Schriften*. Bd. II. Bonn (CD-Ausgabe 2002)

Kesselheim, Wolfgang (2003): *Prozesse der Gruppenkonstitution: Die konversationelle Herstellung von Gruppen im aktuellen argentinischen Einwanderungsdiskurs*. Bielefeld: Unveröff. Dissertation.

Keupp, Heiner ET AL.(2002): *Identitätskonstruktionen. Das Patchwork der Identitäten in der Spätmoderne*. Reinbek: Rowohlt.

Kirchengast Sylvia (2008): *Geschlechterdifferenz aus humanbiologischer Sicht*. In : Krebs, Uwe/Forster, Johanna (Hg) (2008). "Sie und Er" interdisziplinär. Bd 1.LIT

Klann- Delius, Gisela(2005): *Sprache und Geschlecht*. Stuttgart: Verlag J.B. Metzler.

Klann-Delius, Gisela(1999): *Spracherwerb*. Stuttgart: Metzler

Klein , Wolfgang(1980): *Argumentation und Argument*. In :Zeitschrift für Literaturwissenschaft und Linguistik 10,H.38/39,S.9-57

Klein, Wolfgang(1983): *Wie Kinder miteinander streiten*. Zum sprachlichen Verhalten von Grundschulkindern in Konfliktsituationen. In: Bouaké, Dieter/Klein, Wolfgang(Hrsg.). Untersuchungen von Dialogfähigkeiten von Kindern. Tübingen: narr, S.139-163.

Klein, Wolfgang (1993): *Ellipse*, In *Jacobs, J.et.al (eds) Syntax: An International Handbook of Contemporary research Volume 1*. Berlin, New Jork. De Gruyter, 763-799.

Klettenhammer, Siglinde/ Pöder,Elfriede (Hg)(2004): *Das Geschlecht, das sich (un) eins ist?* Freuenforschung und Geschlechtergeschichte in den Kulturwissenschaften.

Kohlberg, L (1974): *Zur kognitiven Entwicklung des Kindes*. Frankfurt/Main: Suhrkamp.

Kötting, Michaela.(2007): *Lebensgeschichten rechtsextrem orientierter Mädchen und jünger Frauen*. Biografische Verläufe im Kontext der Familien- und Gruppendynamik. Psychosozial-Verlag.

Kotthoff, Helga (1992): *Die konversationelle Konstruktion von Ungleichheit in Fernsehgesprächen*. Die Geschlechter im Gespräch. Kommunikation in Institutionen. (Hg.) Susanne Günther u. Helga Kotthoff. Stuttgart: Metzler, 251-287.

Kotthoff, Helga (1993): Unterbrechungen, Überlappungen und andere Interventionen. Deutsche Sprache 2: 162-185

Kotthoff, Helga (1994): *Geschlecht als Interaktionsritual?* Nachwort. In : Knoblauch, Hubert (Hg) : Interaktion und Geschlecht. Frankfurt a.M : New York: Campus , 159-194.

Kotthoff, Helga (1996a): *Das Gelächter der Geschlechter*. Humor und Macht in Gesprächen von Männern und Freuen. UVK. Universitätsverlag Konstanz.

Kotthoff, Helga. (1996b): *Vom Lächeln der Mona Lisa zum Lachen der Hyänen*. Universtätsverlag Konstanz.

Kotthoff, Helga(1998): *Spaß verstehen. Zur Pragmatik von konversationellem Humor.*Tübingen:Niemeyer.

Kotthoff, Helga(2002a): *Was heißt eigentlich „doing gender?“* In :van Leewen-Turnovcova. Irina et al. (Hg) : Wiener slawischer Almanach, Sonderband 55, Gender – Forschung in der Slawistik, 1-29.

Kotthoff, Helga(2002b): *Dein leid mir: Über die Kommunikation von Gefühlen in georgischen Treueritualen.* In : Kotthoff, Helga)(Hg):Kulturen im Gespräch. Tübingen: Narr, 99-150.

Kotthoff, Helga (2003): *Problemgruppe Jungen? Neue Fragen für die Kinder- und Jugendforschung, Ethnografie der Schule und Gesprächsanalyse.* In: Der Deutschunterricht, Nr. 2, 85-88.

Kotthoff, Helga (2006): *Angewandte linguistische Gender-Forschung.* In: Soziolinguistik. Internationales Handbuch zur Wissenschaft von Sprache und Gesellschaft. Herausgegeben von Ulrich Ammon, Norbert Dittmar, Klaus J. Mattheier, Peter Trudgill. 3. Teilband. Sonderdruck. Walter de Gruyter, Berlin, New York. 2493-2524.

Kotthoff, Helga (2006 a): *Sprache und Sprechen.* In: Albert Scherr(Hrsg): Soziologische Basics. Opladen: Verlag für Sozialwissenschaften

Kotthoff, Helga (2008a): *Gesprächsanalyse.* www.freidurgPHdokumente.de 2008.20.11

Kotthoff, Helga(2008b): *Grundlagen der Gesprächsanalyse.* in Huneke , H.-W. et al. (Hrsg.): Taschenwörterbuch der Deutschdidaktik. Freiburg

Kotthoff, Helga(2008c): *Gesprächsfähigkeit: Erzählen, Argumentieren, Erklären.* In Huneke, H.-W. et al. (Hrsg.): Taschenwörterbuch der Deutschdidaktik. Band 2. Hohengehren: Schneider

Kotthoff, Helga(2008d): *Wie kommunizieren wir Geschlechter? Über Körper. Komik und Konversation.* Ph.freiburg,dokumente.de

Kotthoff, Helga (2008): *Konversationelle Verhandlungen des romantischen Marktes. Adoleszente Freundinnen am Telefon.* Freiburger GeschlechterStudien. Band 22. Freiburg.

Kotthoff, Helga(2009): *Erzählstie, Figurenstilisierung und Hyperstilisierungen.*In: Der Deutschunterricht. Freiburg

Krabel, Jens/Stuve, Olaf.(2000): *Der Begriff der männlichen Identität in der Männerforschung.* In : Die Philosophin. Forum für feministische Theorie und Philosophie. Männerforschung/Männlichkeitsforschung.11.Jahrgang. Heft 22, Oktober 2000. Edition-diskord Verlag, Tübingen.

Krappmann, Lothar(1991): *Sozialisation in der Gruppe der Gleichaltrigen.* Neues Handbuch der Sozialisationsforschung. Hg. Klaus Hurrelmann/Dieter Ulich.4.völlig neubearb.Aufl.Weinheim,Basel:Beltz,355-375.

Krappmann, Lothar(1990): *Sozialisation in Familie und Gleichaltrigenwelt: Zur Sozialökologie der Entwicklung in der mittleren Kindheit.* Zeitschrift für Sozialisationsforschung und Erziehungssoziologie 2: 147-162

Krappmann, Lothar/Oswald Hans (1995): *Alltag der Schulkinder.* Weinheim und München: Juventa.

Kraus F. (1999): *Die Frauensprache bei den primitiven Völkern.* Meirz.

Krebs, Uwe/Forster, Johanna (Hg) (2008): *“Sie und Er“ interdisziplinär.* Bd 1.LIT

Kremer,Helgard/Naegele Roger (Hg) (2005): *Geschlechterangements in globaler und historischer Perspektive.*Mattes Verlag.

Krüger H. (2002): *Zur Konzeptualisierung eines Bindeglieds zwischen Socialisation und Socialstruktur.* Breitenbach.

Krumm, I (2002): *Gleichberechtigung in der Sprache*. http://www.frauensprache.de/eine_frau_ein_wort.htm.

Kuhn E(1992): *Interaktionen im Hochschulbereich*: In: Die Geschlechter im Gespräch. Stuttgart.

Labov W. (1972): *Sprache im sozialen Kontext*. 1, Bde. Krouberg.

Labov W. (1976-1978): *Sprache im sozialen Kontext*. 2 Bde. Kronberg/Ts.

Lawandowski Th. (1990): *linguistisches Wörterbuch*. Heidelberg., Bd.3.

Leapert, Martin D. (1996): *Studying Gender Differences in the Conversational Humor of Adults and Children*. Social Interaction, Social Context, and Language. Hg. Dan Isaac Slobin u.a. Mahwah, HJ: Lawrence Erlbaum Associates, 579-596.

Lemmermühle, D /Fischer D. (2000): *Lesarten des Geschlechts*. Opladen.

Lenz, Karl/Schefold, Werner/Schröer, Wolfgang.(2004): *Entgrenzte Lebensbewältigung Jugend, Geschlecht und Jugendhilfe*. Juventa Verlag. Weinheim und München.

Leventhal. 1976. A process model of humor judgment-Journal of Communication 26(3).

Levinger, George/Ann Cotton Levinger (1986): *The Temporal Course of Close Relationships: Some Thoughts About the development of Childrens Ties*. Relationships and Development. Hg. Willerd W. Hartup u. Zick Rubin. Hilldale, N. J : Lawrence Erlaum, 111-133

Levinson, Stephen(1992): *activiti Types and Language*. In: Drew paul-heritage John: talk at Work. Interaction and context in dialogical perspectives. Amsterdam: Benjamin.

_. (1995): *Lexikon der Psychologie*. Herausgegeben vom Faktum Lexikoninstitut Edition Basserwain.

_. (2013): *Lexikon der Jugendsprache*. Im Internet 27.08.2013: http://www.ge-uisburg-sued.de/index.php?option=com_content&view=article&id=72&Itemid=96

Lewotin R. (1982): *Human Diversity*. Freeman. London,

Local, John (1982): *Modeling International Variability in Children's Speech*. London: E. Arnold, 73-81

Löffler H. (1995): *Soziolinguistische Kommunikationanalyse*. In: Gerd Fritz „Handbuch Dialoganalyse“. Tübingen.

Löffler H. (1994): *Germanistische Soziolinguistik*. 2 Auflage. Erich Schmidt Verlag. Berlin.

Luhmann, Niklas (1984): *Soziale Systeme*. Grundriss einer allgemeinen Theorie. Frankfurt a. M.

Macaulay R. (1978): *Variation and consistency in Glaswegian English*. London: E-Arnold.

Maihofer A. (2002): *Geschlecht und Sozialisation*. Frankfurt/Main..

Maltz, Daniel N/Borker, Ruth (1991): *Missverständnisse zwischen Männern und Frauen – kulturell betrachtet*. Vom fremden Stimmen. In: Günthner, Susanne/Kotthoff, Helga (Hg). Frankfurt a.M. : Suhrkamp, 52-74.

Mangasser-Wahl, Martina.(2000): *Von der Prototypentheorie zur empirischen Semantik. Dargestellt am Beispiel von Frauenkategorisierungen*. Arbeiten zu Diskurs und Stil. Herausgegeben von Barbara Sandig. Peter Lang GmbH, Frankfurt am Main.

Meeus, Wim (1989): *Parental and Peer Support in Adolescence*. The Social World of Adolescents. International Perspectives. Hg. Klaus Hurrelmann u. Uwe Engel. Berlin , New York: Gruyter. 167-183.

Meier, John (1984): *Hallische Studentensprache*. In : Henne, Helmut/Objartel, Georg (Hg). Bd.5. 1-93

Meyenn, Robert J. (1980): *School Girls Peer groups. Pupil's strategies Exploration in the Sociology of the School*. Hg. Peter Woods. London: Croom helm, 108-142.

Meißner I. (1996): *Kennt Sprache kein Geschlecht? Sexismus im Sprachgebrauch*. In: Sprache-port. Hamburg.

Mengel (2008): *Pausenkommunikation bei Konder*. Wissenschaftliche Hausarbeit. Freiburg, Ped-Hochschule. Dokumente.de

Meuser M. (1998): *Geschlecht und Männlichkeit*. Soziologische Theorie und kulturelle Deutungsmuster. Opladen.

Metzler Lexikon Sprache (2005) Hareus: Helmut Glück. 3 Auflage. Verlag: Metzler. Stuttgart

Metzler Philosophie-Lexikon. (1997): *Begriffe und Definitionen*. 2. Auflage. Hrsg. P. Prechtel, F. P. Burhard Stuttgart. Weimar.

Michalek, Ruth (2006): „Also, wir Jungs sind...“. *Geschlechtervorstellungen von Grundschulern*. Münster: Waxmann.

Michalek Ruth (2008): *Perspektive der internationalen Jugendforschung und Folgerungen für die pädagogische Professionalisierung*. Geschlechtervorstellungen von Grundschulern. Münster/New York/München/Berlin.

Miles R. (1990): *Weltgeschichte der Frau*. Der deutschen Ausgabe by ECON Verlag CmbN, Düsseldorf, Wien und New York.

Milroy I. (1983): *Sociolinguistic Methodology and the Identification of speakers*. London.

Möbius, P.J. (1905): *Über den physiologischen Schwachsinn des Weibes*. Berlin. (Neuaufgabe 2000, Berlin)

Montemayer, Raymond/ Roger, Van Komen (1980): *Age segregation of Adolescent In and Out of School*. Journal of Youth and Adolescence 9: 371-381.

Nahrings K. (1981): *Sprachliche Varietäten*. Tübingen.

Niekant, Renate/Schuchmann, Uta (Hg) (2003): *Feministische Erkenntnisprozesse*. Leskebudrich Verlag

Neuland, Eva (1998): *Vergleichende Beobachtungen zum Sprachgebrauch jugendlicher verschiedener regionalen Herkunft*. In : Androupoulos, Jannis/ Scholz, Arno (Hg). 71-91

Neuland, Eva (Hg) (2007): *Sprache-Kommunikation-Kultur*. Soziolinguistische Beiträge. Variation im heutigen deutsch: Perspektiven für den Sprachunterricht. Peter Lang. Europäischer Verlag der Wissenschaften

Neuland, Eva (1994): *Jugendsprache und Standardsprache*. Zum Wechselverhältnis von Stilwandel und Sprachwandel . In : Zeitschrift für Germanistik 1. 78-98.

Neuland, Eva / Watzlawik, Sonja/marin, Stephan (2002): *Soziolinguistik und Didaktik von Jugendsprachen*. In : Hug, Michel/Richter, Sigrun (Hg): Ergebnisse aus soziologischen und psychologischer Forschung. Hohengehren, 78-94

Neuland, Eva (2003): *Subkulturelle Sprachstile Jugendlicher heute*. Tendenzen der Substandardisierung in der deutschen Gegenwartssprache. In : dies. (Hg) 131-148

Neuland, Eva(2003): *Jugendsprachen- Perspektiven für den Unterricht - Deutsch als Muttersprache und Deutsch als Fremdsprache*. In : dies. (Hg) 447-463.

Neuland, Eva/ Schubert, Daniel (2005): *Spricht die Jugend eine andere Sprache?* In: Fusco, Fabiana/ Marcato, Catla (hg): *Forme della comunicazione givoanile*. Roma, 223-251.

Neuland, Eva (2006): „*Jugendsprachen – Was man über sie und was man an ihnen lernen kann*“. In: Neuland, Eva(Hrsg) : Variation im heutigen Deutsch: Perspektiven für den Sprachunterricht. Frankfurt a. M. u.a.: Peter Lang. S. 223-241.

Neuland, Eva. (2008). *Jugendsprache*. Narr Francke Attempo Verlag. Tübingen.

Neumann-Braun, Klaus / Doppermann, Arnulf (1998). *Ethnografie der Kommunikationskulturen Jugendlicher*. Zeitschrift für Soziologie. 27.4:239-255.

Nilan, Pamela (1991): *Exclusion, Inclusion and Moral Ordering in Two Girls Friendship Groups*. Gender and education 3.1: 163-182.

Noack, Christina.(2008): *Wenn der Hont auf dem Faarat Kuren holt: Junge Sprachexperten auf dem Weg zur Schrift*. In: Sprachverfall oder Sprachwandel im Deutschen. Frischwärtz/Unkoputtbar. Münster, Aschendorff.

Norberg, Bengt (1988): *Aims of Reserch and methodology*. Soziolinguistik. Ein internationales Handbuch zur Wissenschaft von Sprache und Gesellschaft. Hg. Ulrich Ammon, Norbert Dittmar u. Klaus J. Matteier 2. Halbband. Berlin, New York: de Gruyter, 866-873.

Ochs, E/ Taylor,C (1992): *Family narrative as political activity*. Discourse/Society, 3(3), S. 301-340

Oerter,Rolf/LeoMintada.(1987): *Entwicklungspsychologie*. 2.neubearb.Aufl.München, Weinheim: Psychologie Verlag Union.

Oswald Hans/lothar Krappmann/Irene Chowdhuri/Maria von Salisch (1986): *Grenzen und Brücken: Interaktionen zwischen Mädchen und Jungen im Grundschulalter*. Kölner Zeitschrift für Soziologie und Sozialpsychologie 38: 560-580.

Oowen-Welke, Ingelore(2002): *Geschlechterdifferenzen bei entstehender Sprachbewusstsein*. In : Geschlechterkonstruktionen in Sprache, Literatur und Gesellschaft. Gedankenschrift für

Gisela Schoental. Cheure Elisabeth/Gutjahr Ortrud/Schmidt Claudia(Hg). Rombach Verlag. Freiburg im Breisgau. S.181-205.

Oowen-Welke, Ingelore(2004): *Sexus und Genus in den Sprachen*. In : Gender Studies. Interdisziplinäre Ansichten 1. Epp, M. Helga(Hg) (2004) . Freiburg in Breisgau.53-76

Pease A/B (2001): *Warum Männer nicht zuhören und Frauen schlecht einparken*. Econ Ullstein List Verlag GmbH und KG, München.

Pastega, N. (2002): *Eine tiefe stimme Findet Gehör*. Nur mit Trichs können Frauen in Gesprächen mit Männer bestehen. [http://www.Frauensprache.de/eine tiefe stimme.htm](http://www.Frauensprache.de/eine_tiefe_stimme.htm)..(Im Internet 2004. 2.10).

Platon, O.J. : Politeia. Rowohlts Klassiker 27/27a. Hamburg.

Pollak, Alexander (2002): *Kritische Diskursanalyse – ein Forschungsansatz an der Schnittstelle von Linguistik und Ideologiekritik*. In: Knapp, Karlfried / Antos, Gerd / Sendlmeier, Walter F. (Hrsg.) im Auftrag der Gesellschaft für Angewandte Linguistik. *Zeitschrift für Angewandte Linguistik* . Hert 36 / März 2002

Popp, Susanne (2008): *Frauen als Spezialfall der Geschichte?* Geschlechtsdidaktische Probleme der Gestaltung von Frauengeschichte in aktuellen Schulbüchern . In : Krebs, Uwe/Forster, Johanna (Hg) (2008). “Sie und Er“ interdisziplinär. Bd 1.LIT

Piwinger, Boris: *Kommunikation im Internet*. In: Bentele, Günter / Piwinger, Manfred / Schönborn, Gregor (Hrsg.): *Kommunikationsmanagement*. Luchterhand, 2001 ff. Loseblattwerk 3. Ergänzungslieferung September 2002

Pusch, L.F (2002): *Das vibrierende Weib*. [http://www.Frauensprache.de/das vibrierende weib.htm](http://www.Frauensprache.de/das_vibrierende_weib.htm). (Im Internet 02.10.2004.).

Pusch L.F. (1984): *Das Deutsche als Männersprache*. Aufsätze und Glossen zur feministischen Linguistik“. Frankfurt.

Pusch, L. (1994): *Alle Menschen werden Schwestern*. Suhrkamp.

Pusch, L. (2002): *Sprachregeln*. http://www.Equal.ethz.ch/html/publikationen/12-sprachregeln.php.Frauensprache.de/das_vibriierende_weib.htm. (Im Internet 2.10.2004)

Quathoff, Uta M. (1998) : *das Prinzip des primären Sprechers, das Zuständigkeitsprinzip und das Verantwortungsprinzip*.: Diskursanalytische Untersuchungen. Hg. Konrad Ehlich . Opladen: Westdeutscher Verlag, 66-81.

Quasthoff,Uta/Kern,Friederike (2003): *Diskursfähigkeiten als sprachliche Sozialisation*. DFG-Abschlussbericht.

Quelle: Badische Zeitung. <http://www.Badische-zeitung.de> 23.11. 2002

Quasthoff, Uta M. (1980): *Gemeinsame Erzählen als Form und Mittel im sozialen Konflikt oder ein Ehepaar erzählt eine Geschichte*. Erzählen im Alltag. Hg. Konrad Ehrich. Frankfurt a.M.:Suhrkamp, 109-141

Rampton,B (1995): *Crossing.language and ethnicity among adolescents*. London: Longman.

Rampton,B (1997): *Language crossing and the redefinition of reality*. In Auer,P. (Hg) Code-Switching in Conversation. London: Routledge, S. 290-320.

Rose, Lotte (2008): *“Ich will doch nur Spielen...” Jugendliche Gender-Inszenierungen als Ereignisse im pädagogischen Alltag*. In: Kinder, Jugend, Sozialisation. Freiburger GeschlechterStudien 22. 177-193.

Röper, Ursula/Hockenjos, Ruthild(Hg) (2007): *Geschechterollen*. Von dem Hintergrund unterschiedlicher Religionen und Weltanschauung. Bpb: Bundeszentrale für politische Bildung

Rungius M. “Herren sind herrlich! Sind Damen dämlich?” – Eine kritische Sprachbetrachtung. http://www.Frauensprache.de/rungius_sprach-betrachtung.htm. 2002. (In Internet 2004. 10.04)

Rungius M. (2000): *Am Anfang war die Frau – Die Rolle der Frau in der Weltgeschichte*.

Ruso, Bernhard/Müller, Fridolin/ Atzwanger Klaus (2008): *Determinierte Plastizität. Verhaltensbiologische Aspekte der Gender-Diskussion am Beispiel von Jugendlichen*. In : Krebs, Uwe / Forster, Johanna (Hg) (2008). "Sie und Er" interdisziplinär. Bd 1.LIT

Sacks, Harvey (1974): *An Analysis of the Course of a Joke's telling in Conversation. Explorations in the Ethnography of Speaking*. Hg. Richard Baumann u. Joel Sherzer. Cambridge u.a. : Cambridge University Press, 337-353.

Sacks, Harvey (1992): *lectures on Conversation*. Ed by Gail Jefferson, 2 bde. Oxford:Blackwell.

Savin-Williams, Richard C. (1976): *An Ethnological Study of Dominance Formation and Maintenance in a Group of Human Adolescents*. Child Development 47: 972-979.

Savin-Williams, Richard C. (1979): *Dominant Hierarchies in Groups of Early Adolescents*. Child development 50: 142-151.

Savin-Williams, Richard C. (1980): *Social Interaction of Adolescent Females in natural Groups*. Friendship and Social Relations in Children.Hg.Hugh C. Foot, Antony J. Chapman und J.R Smith. New York. Wiley. 343-364

Schäffer, Burkhard (2004): *Doing Generation*. Zur Interdependenz von Milieu, Geschlecht und Generation bei der empirischen Analyse generationsspezifischen Handelns mit Neuen Medien. In: Buchen, Sylvia u.a. (Hrsg.): Gender methodologisch. Empirische Forschung in der Informationsgesellschaft vor neuen Herausforderungen. Wiesbaden: VS-Verlag, 47-65.

Schank G(1973): *Zur Corpustrage in der Linguistik*. In: Deutsche Sprache. Tübingen.

Scheunpflug, Annette (2008): *Zum Geschlechterverhältnis aus biowissenschaftlicher Perspektive*. In : Krebs, Uwe/Forster, Johanna (Hg) (2008). "Sie und Er" interdisziplinär. Bd 1.LIT.

Schlobinski, Peter/Kohl, Gaby/Ludewigt, Irmgard (1993): *Jugendsprache. Fiktion und Wirklichkeit*. Opladen: Westdeutscher Verlag.

Schmidt, R./ Schetschke, M(1998): *Jugendsexualität und Schulalltag*. Opladen,.

Schmidt, Alex (2004): *Doing peer-group*. Die interaktive Konstitution jugendlichen Gruppenpraxis. Frankfurt: Peter Lang (Europäische Hochschulschriften

Schmitz,Sigrid/Neidhardt Eva(2001): *Raumsozialisation von Mädchen und Jungen: Bestandaufnahme und Möglichkeiten des Wandels*. In : *Zukunfts(t)räume*.

Sowinski, Bernhard (1999): *Stilistik. Stiltheorien und Stilanalysen*. Reihe: Sammlung Metzler, Bd. 263. Stuttgart/Weimar: J.B.Metzler Geschlechtsverhältnisse im Globalisierungsprozess. Sturm, Gabriele/Schachtner, Christina/Rausch, Renate/Maltry, Karola(Hg). Ulrike Heimer Verlag.39-56.

Schmitt-Rodermund, Eva / Silbereisen, Rainer, K. (2002): *Akkulturation und Entwicklung: Jugendliche Immigranten*. In: Oerter, Rolf / Montada, Leo (Hg.): *Entwicklungspsychologie*, Weinheim, S. 893-906.

Schnack, Dieter/Neutzling, Rainer (2000): *Kleine Helden in Not*. Jungen auf der Suche nach Männlichkeit. Reinbek: Rowohlt.

Schoenthal G(1985): *Sprache und Geschlecht*. Deutsche Sprache.

Schofield, Jenet Ward (1982): *Black and White in School*. Trust, tension, or tolerance? New York: Praeger Publishers.

Schreyer, Inge.(2008): *Geschlechtsspezifische Untersuchung in der beruflichen Interessenentwicklung*. Verlag Dr. . Hut, München.

Schilenberg, J/ Goldstein, A (1991): *Gender differences in adolescent's career interest: Beyond main effects*. *Journal of Research on Adolescence*, 1 (1), 37ß61

Schulz von Thun, Friedemann (1998): *Miteinander reden. Störungen und Konflikte*. Reinbeck: Rowohlt.

Schulze, Gerhard (1992): *Die Erlebnisgesellschaft*. Kultursoziologie der Gegenwart. Frankfurt a. M.

Schütte, Wilfried (1987): *Muster und Funktionen von Kommunikationsspielen in latenten Konflikten*. Pflaumerein und aggressive Späße. Konflikte in Gesprächen. Hg. Gerd Schnak / Johannes Schwitalla. Tübingen: Niemeyer. 239-284.

Schweder, Barbara (2008): *Gehirnunterschiede bei Mann und Frau*. In : Krebs, Uwe/Forster, Johanna (Hg) (2008). "Sie und Er" interdisziplinär. Bd 1.LIT

Schwippert, K/Bos, W/Lankes E.M (2004): *Lesen Mädchen anders?* Zeitschrift für Erziehungswissenschaft, 2/2004, 219-234

Schwitalla, Johannes (1988): *Erzählen als die gemeinsame Versicherung sozialer Identität. Zwischen Festtag und Alltag*. Zehn Beiträge zum Thema „Mündlichkeit und Schriftlichkeit“. Hg. Wolfgang Raible. Tübingen: Gunter Narr Verlag. 11-132.

Schwitalla, Johannes (1993): *Über einige Weise des gemeinsamen Sprechens*. Ein Beitrag zu redebeteiligungsrollen im Gespräch. Zeitschrift für Sprachwissenschaft 11.1: 68-98.

Schwitalla, Johannes (1994a): *Die Vergegenwärtigung einer Gegenwelt*. Sprachliche Formen der sozialen Abgrenzung einer Jugendgruppe in Vogelstang. Kommunikation in der Stadt. Exemplarische Analysen des Sprachverhaltens in Mannheim. Teil 1, Hg. Werner Kallmeier, Berlin , New York: de Gruyter 467-509.

Schwitalla, Johannes (1994b): *Sprachliche Ausdrucksformen für soziale Identität beim Erzählen*. Beobachtungen zu vier Gruppen in Vogelstang. Kommunikation in der Stadt. Exemplarische Analyse des Sprachverhaltens in Mannheim. Teil 1. Hg. Werner Kallmeier. Berlin, New York: de Gruyter, 511-577.

Schwitalla, Johannes (1995): *Kommunikative Stilistik zweier sozialer Welten in Mannheim-Vogelstang*. Kommunikation in der Stadt, bd.4.Berlin/New York.de Gruyter.

Schwitalla, Johannes (1998): *Die vielen Sprachen der Jugendlichen*. In Gutenberg, N.(Hg): kann man Kommunikation lehren? Konyepete mündlicher Kommunikation und ihrer Vermittlung. Frankfurt a.M: Sxripor,S.167-176.

Schwitalla, Johannes (2003): *Gesprochenes Deutsch*. Eine Einführung. Berlin: Ehrlich Schmidt.

Sepir E. (1968): *Male and Female forms of speech in Yana*. Berkeley and Los Angeles.

Serafica, Felicissima / Dale A. Blyth (1985): *Continuities and Changes in the study of Friendship and Peer Groups during Early Adolescence*. Journal of Early Adolescence 5.3: 267-283

Selting, Margret et.al. (1998): *Gesprächsanalytisches Transkriptionssystem*. In: Linguistische Berichte 173: S. 91-122.

(Im Internet <http://www.uni-potsdam.de/u/slavistik/vc/rlmprcht/textling/comment/gat.pdf> 20.08.2013)

Selting, Margaret et.al.(2009): *Gesprächsanalytisches Transkriptionssystem 2 (GAT 2)*.In: gesprächsforschung-Online-Zeitschrift zur verbalen Interaktion10(2009). S353-402 (Im Internet <http://www.gespraechsforschung-ozs.de/heft2009/px-gat2.pdf> 20.08.2013)

Sheldon Amy (1992): *Conflict Talk: Sociolinguistic Challenges to Self-Assertion and How Young Girls meet them*. Merrill-Palmer Quatery 38.1:95-117

Sherpa,Mingma (2007): *Analyse der Kommunikationsstilistik von männliche Jugendlichen*. Wissenschaftliche Arbeit. Transkript. Matrikellnummer:1385060. Vergabe des Themas 25.01.2007

Shulz, Thomas R. / Scott M.B. (1974): *The Creation of verbal Humor*. Canadian Journal of Psychology 28:421-425.

Sklorz-Weiner, M (1995): *Jungen und Mädchen und Computer*. Zeitschrift für Pädagogische Psychologie, 2, 129ß137.

Smith P. (1980): *Language, the Sexes and Society*. Blachwell. London.

Sorge E. (1988): *Religion und Frau*. Kohlhammer.

Spandl L. (1998): *Muttersprache*. Badische Zeitung. (Im Internet 07.09.2002)
<http://www.badische-zeitung.de>.

Spender D. (1980): *Man Made Laguage*. Routledge. London.

Spender H. (2002): *Über den Einfluss sexueller Momente auf Entstehung und Entwicklung der Sprache*. In: Dokumentation germanistischer Forschung. Sprache-Genus/Sexus. S. 116-164.

Spieß, E (1991): *Problemfeld Studienfachwahl und Berufsmotivation junger Freuen*. In T. Fleischer, M. Greuer-Werner (Hg) Schule im Spannungsfeld von Beratung . Bonn : deutscher Pszchologen Verlag. S. 253-259

_. (2001): *Sprachregeln*. (Im Internet 04.01.2002): [www. equek.ethz.ch. htm.publikationen](http://www.equek.ethz.ch/htm/publikationen).

Spreckels, Janet(2006): *Britneys, Fritten, Gangschta und wir: Identitätskonstruktion in einer Mädchengruppe*. Eine ethnografisch-gesprechsanalytische Untersuchung. Frankfurt am Main: Peter Lang.

Steinig W. (1976): *Soziolekt und soziale Rolle*. Düsseldorf.

Stocking, H./ Zillmann, D. (1996): *Humor von Frauen und Männern. Einige kleine Unterschiede*. In: Das Gelächter der Geschlechter. Universitätsverlag Konstanz.

Streeck,Jürger(1986): *Lehrerwelt-Kinderwelt*. In: Ehrlich, Konrad (Hg):Kommunikation in Schule und Bochschole.Tübingen:narr,S.203-213

Sturm, Gabriele/Schachtner, Christina/Rausch, Renate/Maltry, Karola (Hg) (2001): *Zukunfts(t)räume. Geschlechtverhältnisse im Globalisierungsprozess*. Ulrike Heimer Verlag.

Raithel, Jürgen.(2005): *Die Stilisierung des Geschlechts*. Jugendliche Lebensstile, Risikoverhalten und die Konstruktion von Geschlechtlichkeit. Jugendforschung. Juventa Verlag, Weinheim und München.

Richter, Sigrun (1994): *Geschlechtsspezifische Lieblingwortschatz*. Ergebnisse einer Untersuchung zu Jungen- und Mädchen- Wörtern. In : Sigrun Richter/Hans Brügelmann(Hg):Geschlechtsspezifische Unterschiede beim Schriftspracherwerb.S.133-142

Rudloff, Mathias (2005): *Männlichkeit und Macht*. Jugendsozialarbeit und ihre gewaltbereite männliche Klientel. Gießen: Psychsocial-Verlag.

Röper Ursula/Hockenjos Ruthild(Hg) (2007): *Themen und Materielien "Geschlechterrollen" von dem Hintergrund unterschiedlicher Religionen und Weltanschauungen*. bpb-Budeszentrale für politische Bildung.

Tannen, Deborah (1991): *Warum Männer und Frauen aneinander vorbeireden*. Hamburg.

Tannen, Deborah (2002): *Geschlecht zählt*. Geschlecht bestimmt mehr als andere Faktoren unser Gesprächsverhalten.
<http://www.Geocities.com/Wellesley/4181/frauensprache/einfhrun.htm>..(ImInternet
2004.10.04).

Tannen, Deborah (2004): *Job-Talk. Wie Freuen und Männer am Arbeitsplatz miteinander reden*. Aus dem Amerikanischen von M.Klostremann und M. Benthack. Gildmann Verlag.

Tannen, Deborah (2004): *Du kannst mich einfach nicht verstehen*. Warum Männer und Freuen aneinander vorbeireden. Aus dem Amerikanischen von M.Klostremann. Goldmann Verlag.

Thomas von Aquin (1945): *Summa Theologian*. Ottawa

Thorne , Barrie / Zella Luria (1986): *Sexuality and Gender in Childrens daily Worlds*. Social Problems 33: 176-190.

Thürmer-Rohr (2003): *Feministische Erkenntnisprozesse*. In: Niekant, Renate/Schuchmann, Uta (Hg). Leske-budrich Verlag.121-135

Todt, E.(1985): *Jugendliche und die Naturwissenschaft*. Universitas 40, 1087-1092.

Todt, E.(1990): *Entwicklung des Interesses*. In H. Hetyer (Hg) Angewandte Entwicklungspsychologie des Kindes- und Jugendalters. Heidelberg: Quelle/meier. S. 213-264.

Todt, E.(1990): *Entwicklung des Interesses*. In: H. Hetzer (Hg). Angewandte Entwicklungspsychologie des Kindes und Jugendalters. Heidelberg:Quelle/Mayer. 213-259.

Trömel-Plötz S. (1982): *Frauensprache, Sprache der Veränderung*. Frankfurt-Main.

Trömel-Plotz S. (1978): Linguistik und Frauensprache. In: Linguistische Berichte.57.. s. 49-68.

Trömel-Plötz S.(2002): *Sprachverrat*. <http://www.Frauensprache.de/sprach-verrat.htm>. 2002.

Uhrlich M. (1999): *Neutrale Männer-markierte Frauen*. In: Feminismus und Sprachwissenschaft/Max Hueber Verlag.

Veith H. Werner. (2002): *Soziolinguistik*. Gunter Narr Verlag Tübingen.

Vogt,Rüdiger (2002): *Im Deutschunterricht diskutieren.Zur Linguistik und Didaktik einer kommunikativen Praktik*.Tübingen:Niemeyer.

Vogt,Rüdiger (2004): *Gesprächsfähigkeiten im Unterricht*. In: Knapp,Karlfried u.a. (Hg).Angewandte Linguistik.Tübingen:Francke,S.78-98.

Watzlawik, Sonja (2000): *Sprechen Rapper anders als Raver?* In der Deutschunterricht 3/2000

Waldrop. Mary F. / Haveson, Charles J. (1975): *Intensive and exzensive peer Behavoir:* Longitudinal and Cross-sectional analysis. Child development 46: 19-2.

West, Candase (1979): *Against our will: male inteeuptions of females sciences.* Vol. 327, 81-97.

West, Candace./ Zimmerman, Don.H (1991): *Doing Gender.* In: Lorber I: "The Social Construction of Gender". Newbory Park.

West, Candace./ Zimmerman, Don.H (1983): *Small insults.* A study of interruptions in cross-sex cenversations between uncquainted persons, in : Thorne, barrie (Hg) language, gender and society: Rowley, MA : Newbury House, 102-117.

Wieland H. (2003): *Einführung in Genderstudien.* Opladen.

Wiegfield, A / Eccles, J.S. (2000): *expectancy-value Theory of Achievement Motivation.* Contemporary Educational Psychology, 25, 68-81

Wimmer,Manfred(2008): *Begriffliche Probleme des interdisziplinären Dialogs Ursachen und Lösungswege.* In : Krebs,Uwe/Forster,Johanna (Hg) (2008). "Sie und Er" interdisziplinär.Bd 1.LIT, S.36-80

Weinold G.(1967): *Genus und Semantik.* Mesenheim.

West, Codnace (1992): *Ärztliche Anordnungen.* Übertragen aus dem amerikanischen von Helga Kotthoff. In : Die Geschlechter im Gespräch. Kommunikation in Institutionen. (Hg) Susanne Gunther/Helga Kotthoff. Stuttgart: Metzler S,147-175.

Wolpe , Anna Marie (1988): *Within School Walls: the Role of Discipline, Sexuality and the Curriculum.* London and new York, Routledge.

Wodak R.(1998): *Sprechen Töchter anders als ihre Mütter?* Wiener

Linguistische Gazette 26/35-64.

_. (2008): *Wörterbuch der Jugensprache*. Ernst Klett Sprachen GmbH. Tübingen.

Wunderlich, D. (1971): *Zum Status der Soziolinguistik*. Frankfurt .

Zillmann, D. (1979): *Techor's humor in the College classroom*. Communication Education 28(2).

Zimmerman, Don H. (1992): *They were all doing gender, but they werent all passing*. Comment an Rogers, in : gender/Society. Vol.6. .N.2, 192-198

Zimmermann, Don/West, Candance (1983): *small insults: a study of interruptions in cross-sex conversations between unascquainted persons*. In: Language, Gender and Society. (Hg) Thorne, B/ kramarae,C/ Henley,N eds., Rowley.

Zimmermann, Don/West, Candance (1975): *sex roles, interruptions and silences in conversation*, in: Theorie, Barrie/nancy Henley (Hg) language and sex. Difference and dominance. Rowley, MA: Newbury House, 105-129

Youniss, James (1982): *Die Entwicklung und Funktionen von Freundschaftsbeziehungen*. Perspektivität und Interpretation. Beiträge zur Entwicklung des sozailen Verstehens (Hg). Wolfgang Edelstein u. Monika Keller. Frankfurt am main: Suhrkamp,78-109.

ბაი, სოფი (მთარგმნელი ქ.ჯაში) (2005): *სქესი და კომუნიკაციის პროცესი*. სამეცნიერო შრომათა კრებული “ენა, თარგმანი, ლიტერატურა” X გამომცემლობა “ენა და კულტურა”, თბილისი.

ბახტაძე, დალი (2010): *ლინგვისტიკური ტიპოლოგიის საფუძვლები გერმანული და ქართული ენების სტრუქტურა*. გამომცემლობა “მწიგნობარი”, თბილისი.

ბრეგაძე, ლ (2005): *ქართული ჟარგონის ლექსიკონი*. თბილისი.

გამყრელიძე, თ/კიკნაძე, ზ/შადური, თ/შენგელია (2003): *თეორიული ენათმეცნიერების კურსი*. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი.

გვენცაძე, მ (2009): *ლინგვისტური გერმანისტიკა. ზოგადი კურსი ბაკალავრიატის სტუდენტებისათვის*. ილია ჭავჭავაძის სახელწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი.

ზაუტაშვილი, დ / ალფაიძე, მ (2009): *ადგილობრივი ბიუჯეტის გენდერული ანალიზი*. ქუთაისი

–. (2008): *თეორიული ენათმეცნიერების კურსი*. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

კალჭუნი, ქრეგ/ლაითი, დონალდ/ კელერი, სუზენ (2007): *სიციოლოგია*. ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.

კეჭყაძე, რ. (2005): *კონფლიქტის გადაწყვეტის სტრატეგიები ქალებთან და მამაკაცებთან*. პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი „ინტელექტი“ 1(21), თბილისი.

კიკვიძე, ზ. (1999): *თავაზიანობის გამომხატველი საშუალებების სოციოლინგვისტური ასპექტები*. თბილისი.

კიკნაძე, თ./დონაძე, ნ. (2006): *გენდერი – სოციალური და პოლიტიკური სწავლებანი*. სოციალურ მეცნიერებეთა ცენტრი. თბილისი.

ლადარია, ნ. (2002): *სოციოლინგვისტიკა*. „მეცნიერება“, თბილისი.

ლებანიძე, გ. (1997): *ლექციები ენათმეცნიერების შესავალსა და ზოგად ენათმეცნიერებაში*. გამომცემლობა „ენა და კულტურა“, თბილისი.

ლებანიძე, გ. (1998): *ანთროპოცენტრიზმი და კომუნიკაციური ლინგვისტიკა*. თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის დასავლურ ენათა და კულტურათა სახელმწიფო ინსტიტუტის გამომცემლობა „ენა და კულტურა“. თბილისი.

ლებანიძე, გ. (2004): *კომუნიკაციური ლინგვისტიკა*. თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის დასავლურ ენათა და კულტურათა სახელმწიფო ინსტიტუტის გამომცემლობა „ენა და კულტურა“. თბილისი.

მახათაძე, ც. (2005): *სოციოგენდერული სტერეოტიპიზაციის ლინგვისტური წინამძღვრები*. სამეცნიერო ჟურნალი „ენა და კულტურა“ №3 თბილისი 2005.

ნადირაშვილი, შ. (1985): *განწყობის ფსიქოლოგია* (სოციალური განწყობა) II. თბილისი: მეცნიერება.

ნეზიერიძე, გ. (1989): *ენათმეცნიერების შესავალი*. თბილისი.

ომიაძე, სალომე (2009): *ქართული დისკურსის კულტუროლოგიური პარადიგმა*. თბილისი.

ქურდაძე, რამაზ (2009): *ზოგი სიტყვის წარმომავლობისათვის ქართულ ჟარგონში*. „წახნაგი“, ფოლოლოგიურ კვლევათა წელიწდეული, 1, თბილისი.

ქურდაძე, რამაზ (2012): *თანამედროვე ქართული ენის სოციალურ-კულტურული ასპექტები*. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი.

ყიფიანი, ირმა (2011): ქალი – ლინგვოკულტუროლოგიური კონცეპტი. I საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „ენა და კულტურა“ შრომები. ქუთაისი.

შენგელაია, ნ. (2004): *არასრული სიტყვები და ტექსტის სემანტიკური მთლიანობა*. თბილისი: დიოგენე.

წერეთელი, მ. (2004): *გენდერული სტერეოტიპების ფორმირების ფსიქოლოგიური საფუძვლების საკითხი*. პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი „ინტელექტი“ 2(19).

წერეთელი, მ. (2006): *გენდერი – კულტურული და სოციალური კონსტრუქტი*. სალექციო კურსი. სოციალურ მეცნიერებეთა ცენტრი. თბილისი.

Баранов, А. М./ Добровольский, Д. О. /Михайлов, М. Н /Паршин, П. Б. /Романова, О. И.(2001): *Англо русский словарь по лингвистике и семиотике*. Москва.

Березин, Ф.М., Головин Г.И. (1979): *Общее языкознание*. Москва.

Берн, Ш. (2002): *Гендерская психология*. Издательский дом «Нева». Санкт-Петербург. «Ольма-Пресс»-Москва.

–. (1998): *Большой энциклопедический словарь*. «Языкознание», Москва.

Брайт, У. (1975): Введение: *Параметр социолингвистики*. Новое в лингвистике. вып. VIII. Москва. С. 34-41

Воронина, А. (2001): *Хрестоматия к курсу “Основы гендерных исследований”*. Москва.

Давидов, Ю.Н./Ковалева, М.С./ Филиппов, А.Ф. (1990): *Современная западная социология*. Словарь. Москва.

Двинянинова, Г.С. (2000): *О лингвистическом подкреплении гендерных стереотипов в западной англоязычной культуре (на материале англоамериканских источников)* // Мир славянских, германских и романских культур: их взаимосвязи и взаимодействие в языке и литературе. Межвуз. сб. науч. тр./ Перм. ун-т. – Пермь, С. 30-45.

Земская Е.А./ Китайгородская М.В./ Розанова Н.Н. (1990): *Особенности мужской и женской речи*. Язык: система и подсистемы: К 70-летию М. В. Панова. М. С. 224-240.

Кон И. (2000): *Проблемы и перспективы развития гендерных исследования в бывшем СССР*//гендерные исследования, Москва.

Крысин, Л. П. (2000): *Социальная маркированность языковых единиц*. Вопросы языкознания. № 4. С. 26–42.

Крючкова Т.Б. / Нарумов Б.П. (1991): *Зарубежная социалингвистика –Германия*. Москва, «Наука».

Лабов, У.(1975): *Исследование языка в его социальном контексте*. Новое в лингвистике. вып. 7. Социалингвистика. Москва. С. 96-181

–. (1990): *Лингвистический энциклопедический словарь*. Москва.

Николаева Т. М. (2000): *Речевые, коммуникативные и ментальные стереотипы: социалингвистическая дистрибуция*. Язык как средство трансляции культуры. М. С. 112-132.

Пономарева, М. (2002): *Мужская и женская речь*. <http://sbiblio.com/biblio/search.aspx> (12.03.2002).

Прутков, К. (2000): *Общение женщины и мужчины*. Дамская, Баннерная сеть.120x240. Москва.

Сосюр, Ф. (1977): *Труды на языкознанию*. Москва: "Прогресс".

Троицкая, О. Г. (2000): *Гендерные особенности коммуникации //Проблемы межкультурной коммуникации*. ИГТХТУ. Иваново

Троицкая, О.Г. *Гендерный аспект фонетических исследований* [Электронный ресурс]. – Режим доступа: <http://www.isuct.ru/konf/shcherba/trud/troic-kaya.htm> (21.08.2013)

Троицкая, О. Г. *Некоторые проблемы коммуникации с точки зрения гендерного анализа*. [Электронный ресурс]-Режим доступа: <http://www.isuct.ru/konf/antropos/section> (21.08.2013)

დანართი 1. ტრანსკრიპციული ჩამონათვალი

Transkriptionssystem GAT (Selting et al. 1998).

(-)	kurze Pause
(- -)	längere Pause (weniger als eine halbe Sekunde)
(1.0)	Pausen von einer Sekunde und länger
(?was soll das?)	unsicheres Textverständnis
(? ?)	unverständliche Stelle
..[....	
..[....	der Text in den untereinanderstehenden Klammern überlappt sich
..[[...]	Mehrfachüberlappung verschiedener Sprecher/innen
=	ununterbrochenes Sprechen
hahaha	lautes Lachen
hehehe	schwaches Lachen
hohoho	dunkles Lachen, den Vokalen der Umgebung angepasst
(.h)	hörbares Ein- oder Ausatmen
(h)	integrierter Lachlaut
:	Lautlängung
?	steigende Intonation
,	kontinuierliche bis leicht steigende Intonation
.	fallende Intonation
;	leicht fallende Intonation
°blabla°	leiser gesprochen als Umgebung
°°bla°°	sehr leise
der is dOOf	Großgeschrieben trägt den Satzakkzent
COME ON	Emphaseintonation (lauter und höher)
<↑blabla>	höhere Tonlage des innerhalb der spitzen Klammern stehenden Textes
↑	hoher Ansatz bei einem einzelnen Wort Tonsprung nach oben, Tonabfall noch im Wort)
↓	Tonsprung nach unten
<↓blabla>	tiefere Tonhöhenregister innerhalb der spitzen Klammern
((liest))	Kommentar zum Nonverbalen

<((rall))> rallentando, Verlangsamung,
Kommentar vor oder unter der Zeile
<((acc))> accelerando, zunehmend schneller,
<((staccato))> Wort für Wort
<((affektiert))> impressionistische Kommentare unter der
Zeile.

შემოკლებათა ჩამონათვალი

იხ. იხილეთ

მაგ. მაგალითად

სტ. სტროფი

ციტ. ციტირება

GAT. Gesprächsanalytische Transkriptionssystem